

კვირის პალიტრა




ანა ფორტიანი
მკვლელის
სასამართლო

63

N40(69) 4/X.-10/X.2001. ფასი 60 თ.

1168
2001



ასეთი იყო გიორგი...

გიორგი სანაიას
მკვლელის პირველი
პრცედენტი ინტერვიუ

ვინ უყვარს მანია ჯაბუას

სტილისტი საშა:
მე თბილისელი გეგების
„პანპულიჩკა“ ვარ

გვ.22

მაია რჩეულიშვილი:


— „ოქროს თევზი“, ეს სახელი თავად ვასოვ
შემარქვა. ისე, ახლახან, აჭარაში ყოფნისას
ასეთი რამ მითხრას: უნ თუ „ოქროს თევზი“ ხარ,
მაშინ ვახტანგი
„ოქროს ზვიგანი“...



მინიატურები	
„მასე ნუ შობი“ – სკორტის ახალი სახეობა	3
ტკივილი	
„ასეთი იყო გიორგი...“ გიორგი სანაიას მეუღლის პირველი ვრცელი ინტერვიუ	4
აღსარება	
„არ მრცხვენია, რომ ბისექსუალი ვარ“	6
ენციკლოპედია	
„ბავშვა არც იცის, რომ ვარსებობთ“	8
ავტობიოგრაფია	
მაია ჯაბუა: „შეყვარებული? კარგი ვარ... ძალიან კარგი!..“	11
სასარგებლო აზრები	
აფორიზმების ენციკლოპედია	13
ქაღალდი	
ამერიკა ბინ ლანგა ჰაპერულ შეტყუასან ამგალებს	14
ანტიფაქსიანი	
ინფორმაციულ-შეამცნებითი კოლაჟი გონა ღვალის უბის წიგნაკიდან	16
ნამღვილი აზვანი	
აზიგა და კეზველი ქორა	16
კრიტიკა	
• „პისტოლეტი ამოვიღე, მაგრამ როდის ვისროლე, არ მახსოვს“	18
• „ბინა ბამიქურღეს, უსეს არ მაკმარეს – ყოველ ღამით ჩემს ფანჯრებს ქვებს უშენან“	20
ქალბატონი	
რას კარნახობს მაია რჩეულიშვილი ვინა-სვიკერ მეუღლეს	22
ოსტატი	
„კველ“ ღროში პრეგიღენტსას ვუკერავდი, ახლა კოსტიუმებს პარიზიდან უზგაჰენან“	25
კოლეგა	
„ტელენაყვანის ვარ, კინოშის მიღებან და, მოსალეობისას, სამეცნიერო მუშაობასან ვენევი“	28
ფსიქოლოგიური თაბაუი	
სიცილის მანერა და ხასიათი	31
საყარო	
კუნძულ გორნეოს უკანასკნელი კერევი	32
წმინდანები	
წმინდა მონაგე ვვღემოზ კათოლიკოსი	34

21960

„ასეთი იყო გიორგი...“



პაგარა სანდრო და ხათუნა იმ ბინაში არიან, სადაც დასვენებული იყო გიორგის ნეშტი. ახლა იქ მისი სურათებია და უსაშველო სევედა, ოჯახის თითოეული წევრის სახეზე რომ აღბეჭდილა. გიორგის მკვლელობის შემდეგ ეს პირველი ვრცელი ინტერვიუა, რომელიც ხათუნამ მასმედიას მისცა.

4


„ტელენაყვანის ვარ, კინოშის მიღებან და, მოსალეობისას, სამეცნიერო მუშაობასან ვენევი“

მიუხედავად იმისა, რომ კორეებმა ძალიან შემაწუხა, ჩემს მკერდზე ხელს მაინც ვერავის მოვაკიდებინებ და ვინც მაინც ვერ მოისვენებს, სრული ინფორმაციის მისაღებად ჩემს მეუღლეს მიმართოს...



28

„პისტოლეტი ამოვიღე, მაგრამ როდის ვისროლე, არ მახსოვს“




იარაღი რომ ამოვიღე, სწორედ მაშინ, მსხვერვის ხმა გავიგონე, რაღაც მაგარი მომხვდა თავში. როცა გონს მოვედი, საავადმყოფოში, რეანიმაციის ვიწვექი. იმავე დღეს, პოლიციის განყოფილებაში მიმიყვანეს. სწორედ იქ მითხრეს – კაცია მკვდარი, შენ მოკალიო!

18

„არ მრცხვენია, რომ ბისექსუალი ვარ“

მამა ქართველი მყავს, დედა – რუსი ებრაელი. გვარად სომხიშვილი ვარ. ჩემმა მეუღლემ იცის, რომ ჰომოსექსუალისგი ვარ, მაგრამ მისთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს და არც მე ვარ წინააღმდეგი, მან რომ სხვა მამაკაცთან ან ქალთან იმეგობროს...



6



საბანკური

ერთი ნუმიზმატის სიგმარმა
მშვენიერი სერაფიტას
ნაკვალევთან მიზვიყვანა... 35

ფაქრიტვი

მიხეილ შუბახერი -
„ფორმულა-1-ის კეღე“ 36

მუხნობელი

გზა, რომელსაც დასასრული
არა აქვს ანუ მოგზაურობა
დაუსრულებელ სამყაროში 40

პარაკლავი

ნატალი პორტმანი -
მსახიობი, რომელიც
არასოდეს გაუიშვლებულა 42

შეაფრთხეთ თქვენი წოდება

ტესტი ერუდიციაზე 44

რომანი

თინა ღალაქიშვილი,
ღალღ ნაპირელი. გვარაპი 45

აქტიური - იქითური

48-49

ავტო

50

ჯანმრთელობა

• ქრონიკული პიელონეფრიტი 52

• თაფლი - წყულოვანი
დაავადების მკურნალობა 53

• ღიასახლისის კუთხე 54

• სამკურნალო მინერალური
წყლები 54

• კითხვა-პასუხი 55

ტრაკადია

საიდუმლოებით მოცული
დანაშაული, რომელიც
ბოლომდე გაუსხნელი ღარჩა 56

ტესტი

ერთგული მკითხველი 59

უმნობი ნაწნობი

„მერი“ 60

სამიწყო დაპალება

კუდიანი ვარსკვლავი 60

სქანოვრდი

61

პროსოკოვი

კვირის (8-14 ოქტომბერი)
ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

რამდენად კეთილგონიერი
აღამიანი ხართ? 63

კალიდოსკოვი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი შურაღლიანს კოლაჟი

საზოგადოებრივ-კოლტიკური შურაღლი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთი „კვირის კალიტრის“ დამატება
შურაღლი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
შურაღლი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

გზა, რომელსაც დასასრული არა აქვს




ზოგიერთი მშობიარე, კლინიკური სიყვდილის მდგომარეობაში მყოფი აღამიანის მსგავსად, თავის სხეულს შორიდან ხედავს. ამ დროს სამშობიარო გვიგელები ქრება. ბევრი ქალის გონებაში, იმ მომენტში, მთელმა განვლილმა ცხოვრებამ გაიქროლა.

40

„მგრინაპი მაიკლი“ NBA-ში გრუნდება

26 სექტემბერს ლევენდარულმა კალათბურთელმა, მაიკლ ჯორდანმა დიდ სპორტში თავისი დაბრუნების შესახებ ამცნო სამყაროს. დიდ კალათბურთში ეს უკვე მისი მესამე დაბრუნებაა.



39

ნატალი პორტმანი - მსახიობი, რომლის არასოდეს გაუიშვლებულა



42

ნატალის ყველა ნაცნობი აღნიშნავს, რომ ის სხვა მსახიობებისგან მაღალი ინტელექტით განსხვავდება: პორტმანი ბავშვობიდან იყო გატაცებული ბალეტით, მუსიკით, წიგნის კითხვითა და ციგურებზე სრიალით.


მეზრავი

- ახალგაზრდა ხარ. ხომ იცი, ამ დროს მოდის სიყვარული... ქალებს კი საჩუქრები უყვართ. მათ მარტო ვაქცაობით ვერ მოხიბლავ - ფული ატყვევებთ, ფული! ლამაზი სახლი, მაგარი მანქანა, ძვირფასი სამკაულები, „შმოტკეები“... მშობლებსაც დაეხმარები... ხომ გყავს დელ-მამა, ა?



44

„მხე ნუ შიში“ – ანუ სპირიტის ახალი სახეობა



„ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“ – ხალხს უთქვამს, ხალხი კი ბრძენია. ბრძენია ჩვენი პრეზიდენტიც და სულაც არ ფიქრობს ჩრდილოეთისკენ მიმავალი „ძველი გზისა“ და „ძველი მეგობრების“ დაკარგვას. არც თავისი „ასტრონომიის მასწავლებელი“ ავიწყდება, რომელმაც ციური სხეულების განლაგების ყველა კანონის საწინააღმდეგოდ, „მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო“ – ასწავლა...

არც ისეა საქმე, თითქოს ამ ერთი ანდაზისა თუ ხალხური სიბრძნის გარდა, არაფერი იცოდეს, სხვებიც ათვისებული აქვს და მშვენივრადაც იყენებს: „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო (დასავლეთთან)“, „ხალხი ბრბოაო (ქართველობასთან)“, „ღორის ტილი, ფეხზე რომ დაისვა, თავზე ავაცოცდებო (ახალგაზრდა „მოქალაქეებთან)“, „გველსა სვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარო (ბათუმთან)“ და ა.შ.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მაინც კონკრეტული დროისა და მომენტისას სახელმძღვანელო „დებულებები“ მთავარი და უცვლელი მაინც „ძველი გზისა და მეგობრის“, აგრეთვე „ჩრდილოეთიდან ამომავალი მზის“ თეორიებია და თუ ვინმეს, დასავლეთთან კეკლუცობასა და საქართველოში ნატოს ჯარების შემოსვლაზე ოცნებით გართულს, დაავიწყდება ხოლმე, იმას თრახს! – თავში და მაშინვე აზრზე მოიყვანს. დაახლოებით ასე დაემართათ ზოგიერთებს ამ ბოლო დროს და „თრახ და აზრზე მოყვანამაც“, არ დააყოვნა – მამამ და მარჩენალმა სახელმწიფო მინისტრსა და შინაგან საქმეთა მინისტრს მოსკოვ-ქალაქს წასვლა და „დათვისთვის ბაბას დამახება“ უბრძანა... გენიალური ხალხი ვართ ქართველები და გენიალური მინისტრებიც გვყავს:



თავს მოვიჭრი, თუ რომელიმე ქვეყნის ერთ-ერთ პირველ პირს (ჩვენს სახელმწიფო მინისტრს ვგულისხმობ) ისეთი ორიგინალური რამ ეთქვას, რაც მან უთხრა ერთ-ერთი ტელეარხის კორესპონდენტს (ორიგინალურობა რომ გენიალობის განუყოფელი ნაწილია, ამას არ უნდა ბევრი ლაპარაკი): შეკითხვაზე – მოსკოვში ვის უნდა შეხვდეთო, კაცი – სახელმწიფო მინისტრი, გულუბრყვილოდ (ესეც გენიოსების თვისებაა) პასუხობს: „აბა, მე რავი – ვინც დამხვდება“(!), ე.ი. ოღონდ ვინმე დახვდეს, მთავარია, რუსი იყოს და საგარეო-პოლიტიკური კურსი არ გამრუდდება...

ზემოთ ანდაზები, აფორიზმები და „ფრთიანი გამონათქვამები“ ვახსენეთ – ეს ყველაფერი ხალხის წიაღიდან მოდის და ხალხური სიბრძნის ნაწილი არა მხოლოდ ფოლკლორი და „კეკელა და მაროა“, არამედ ხალხური თამაშებიც – ლელო იქნება ეს, ლახტი, ისინდი თუ ავჭალური, ისინი ისე გაითავისა ერმა, რომ თუმცა ყოველდღე აღარ

ისმის ყოფინა ყაბახზე, მაინც გამორიცხულია, დავიწყებას მიეცეს, რადგან უკვე ხასიათის, ფსიქიკის ნაწილად გვექცა. თუმცა ტრადიციებს არა მარტო განმტკიცება, არამედ შევსება და განახლებაც სჭირდება და აი, დღევანდელმა ხელისუფლებამ ახალი „ეროვნული“ თამაში მოიგონა – „საკუთარი დაფურთხებულის ალოკვა“! როგორია?! ეს უკვე მმართველი ელიტის საყვარელ თამაშად იქცა, ისევე, როგორც გოლფი ამერიკის პრეზიდენტისა და კონგრესმენ-სენატორებისთვის და კრიკეტი ან პოლო – დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახისა თუ ლორდთა პალატის წევრთათვის. რაც მთავარია, ისევ და ისევ ქართველთა ნიჭიერებიდან გამომდინარე, ჩვენი მამა-მარჩენლები ისე დაოსტატდნენ, რომ „ალოკვა“ კი არა, მიწაზე დაცემამდე „იჭერენ“ თავიანთ გადაფურთხებულს...

ახლა რასაც ვიტყვი, შეიძლება ბევრ თქვენგანში ზიზღი გამოიწვიოს, მაგრამ ესეც „ფოლკლორია“: გურიაში ასეთი გამოთქმა არსებობს – „ჟღვინტით გაზრდილი ბაღანა“, ამას ისეთ ბავშვზე იტყვიან, რომელსაც მშობლების ყურადღებაც აკლია – ცხვირის მომხოცავი არავინა ჰყავს და რაც მთავარია – არც თვითონ უქნია ღმერთს! სამაგიეროდ, როგორი „ჩვენებურია“, როგორი „მშობლიური“... თანაც სასმელ-საჭმლის ეკონომიაც კეთდება. ჰოდა, თვითონაც იკვებებიან და ჩვენც მამდრად ვყავართ ჩვენს პატრონებს ამ, ბოდიში და, ნოყიერი საკვებით. თანაც, სპორტის ახალ ეროვნულ სახეობაშიც ვოსტატდებით...

P.S. როგორც თითქმის ყოველთვის, უანეკლოდ აღსვალა არ დავამთავრებ და რახან ზემოთ გურულები ვახსენეთ, ანეკლოტიც მათზე გავიხსენოთ: გურულს დაუნი ბავშვი ჰყავს, ამ ავადმყოფობისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისებით და ამ ამბავს საგულდაგულოდ უმაღლავს ყველას. ერთხელაც, წვეულება აქვს შინ – ასე ოცდაათი-ორმოცი პატივსაცემი სტუმარი უზის სუფრას. შუა ქეიფისას, „ცხრაკლიტულიდან“ როგორღაც გამოპარული ბავშვი შემოდის ოთახში და დეგენერატისთვის დამახასიათებელი მიმიკით უღიმის სტუმრებს. ერთი წამით შემცბარი მამა მაშინვე აზრზე მოდის, ბავშვს აიყვანს და ოთახიდან გაყვანამდე, სტუმრების გასაგონად „დატუქსავს“: „რამდენჯერ უნდა ვითხრა, ნუ შობი, მასე ნუ ხუმრობ-თქვა!“

ჩვენი საქმეც ეგრეა – ეგეთები არიან, მაგრამ „ჩვენები“ არიან და პირიც ჩვენ უნდა მოვხანოთ!
(გურულებს არ ეწყინოთ – მე თვითონ გურული ვარ, მაგრამ ანეკლოტი – ანეკლოტია.)

პროვოკატორი

ოცდაექვს ივლისს, გამთენიისას, საკუთარ ბინაში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილმა ტყვიამ შეინირა „ღამის კურიერს“ წამყვანი, ჟურნალისტი გიორგი სანაია. გიორგის მეუღლე — 27 წლის ადვოკატი სათუნა ჩხაიძე და მათი შვილი სანდრო, ბაკურიანში იყვნენ დასასვენებლად. ტრაგედია სათუნას დედის ერთოთახიან ბინაში დატრიალდა. ამ ბინაში ცხოვრობდა გიორგი, თავის ცოლ-შვილთან ერთად.

გიორგი სანაიას მკვლელობიდან ორ თვეზე მეტი გავიდა. მკვლელობა ჯერ ისევ გაუხსნელია. გიორგის მეუღლე ადვოკატის აყვანას არ აპირებს, — ის თავად იბრძოლებს სიმართლის დასადგენად.

პატარა სანდრო და სათუნა იმ ბინაში არიან, სადაც დასვენებული იყო გიორგის ნეშტი. ახლა იქ მისი სურათებია და უსაშველო სვედა, ოჯახის თითოეული წევრის სახეზე რომ აღბეჭდილა. გიორგის მკვლელობის შემდეგ ეს პირველი წრცელი ინტერვიუა, რომელიც სათუნამ მასმედიას მისცა.



ასათი იყო გიორგი...

გიორგი სანიას გულის პირველი პრეტალი ინტერვიუ



ლელა ჭანკოტაძე

— სათუნა, რატომ გადაწყვიტეთ არ აგეყვანათ ადვოკატი და თავად დაგეცვათ თქვენი, როგორც დაზარალებულის, უფლებები?

— გიორგის მკვლელობის ფაქტის გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ამ შემთხვევაში, გიორგი იყო დაზარალებული, მაგრამ რადგანაც მკვლელობის მსხვერპლი ვახდა, დაზარალებულის უფლებები მე მომიწია. პროკურატურამ მცნო დაზარალებულად საქმეში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს, აიყვანოს ადვოკატი. მე არ ვიყენებ ამ უფლებას, რადგან თავად გახლავართ ადვოკატი და ამიტომ, თავადვე

განვახორციელებ ჩემს უფლებას, თავად გავუძღვები ამ საქმეს. ჩემზე მეტად, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენით არავინ იქნება დაინტერესებული.

— სათუნა, თუ გაქვთ იმედი, რომ გამოძიება ობიექტურად წარიმართება?

— მე არ მინდა, რომ არ ვიყო ოპტიმისტი, მაგრამ არა მგონია, გამოძიება ობიექტური იყოს, რადგან ჩემი აზრით, მკვლელობა შეკვეთით განხორციელდა. თუმცა ყველაფერს ვაგაკეთებ იმისთვის, რომ დამნაშავე დაისაჯოს. თუნდაც ეს დანაშაული ჯგუფურიც აღმოჩნდეს.

— რამდენად შესაძლებელია, მკვლელობის მოტივი ყოფილიყო რაიმე პირადული?

— მე გამოვიცხავ, რომ ეს მკვლელობა მოხდა პირადული მოტივით, შელაპარაკების ან რაიმე პირადი უსამოწინებლის გამო. გიორგი იყო კონფლიქტური პიროვნება. მას პირადი მტრები არ ჰყავდა. არავის გააღიზიანებდა იმ დონეზე, რომ ის მოსაკლავად გაემეტებინა. ეს გამორიცხებულია. ცხადია, მკვლელობა უკავშირდება რაღაც ინფორმაციას, რომელსაც ის ფლობდა და დარწმუნებული ვარ, ეს სამსახურებრივი იყო. გიორგი ხომ ყოველთვის ძალიან სერიოზულ თემებზე მუშაობდა. ამასთან, საქართველოში ბევრია ისეთი ადამიანი, ვისაც თავის საქმეებში ჟურნალისტის ჩარევა გააღიზიანებდა.

— რამდენად შესაძლებელია,

რომ დათო გელაშვილს მოეგლა გიორგი?

— არ ვიცი, გიორგის მკვლელობაში გარეულია თუ არა გელაშვილი. მე ადვოკატი ვარ და არ დავარღვევ უდანაშაულობის პრეზუმპციას. გული მწყდება, რომ ჩვენს ქვეყანაში უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები, რომ ხელისუფლება უსაფრთხოების გარანტიას ვერ აძლევს თავის მოქალაქეებს. ჩვენ ისეთ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, რომელშიც უამრავი დანაშაულია გაუხსნელი, ადამიანები შიშშილით კვდებიან. ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება უამრავი უპატრონო და მაწანწალა ბავშვი. ადვოკატები ადამიანის უფლებების დარღვევის უამრავ შემთხვევას ვაწყდებით.

— სათუნა, მიაბზეთ თქვენი მშობლების, თქვენი ძმის, თქვენ შესახებ. როგორი ურთიერთობა პქონდათ მათ გიორგისთან?

— მე და გიორგი თანატოლები ვიყავით. მე 1991 წელს დავამთავრე III გიმნაზია ჰუმანიტარული პროფილით, 1996 წელს კი, სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობა რომ დავიწყე, სანდრო ორწლიან-ნახევრის იყო. ჯერ ნაძალადევის რაიონის ადვოკატურაში ვიმუშავე, შემდეგ გადმოვედი კრწანისის რ-ში. პარალელურად ვმუშაობ უნივერსიტეტ „იბერიაში“ — იურიდიულ ფაკულტეტზე კვითხულად ლექციებს „სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში“. სხვა სამსახურისთვის დრო აღარ მრჩება. ბავშვი ბალ-

ში დადის. აპრილში ექვსი წლის გახდება, ამიტომ ჯერ სკოლაში არ შევიყვანე. მამაც იურისტი მყავს, დედა „სახსტანდარტში“ მუშაობს. ჩემი ძმა – გიორგი გერმანიაში სწავლობს, სტუდენტია.

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გიო და გიორგი კარგი მეგობრები იყვნენ?

— დიას. გიორგი სულ ამბობდა: ჩემი სიმამრი მიყვარს ძალიან და ჩემი ცოლისძმაო. ჩემი ძმა ჰალსტუხებს უგზავნიდა ხოლმე გერმანიიდან. გიორგის ოთხმოცდაათამდე ჰალსტუხი მინც ჰქონდა. არ შეიძლებოდა, გიორგი არ გყვარებოდა. ჩემს მშობლებს ღვიძლი შვილივით უყვართ.

— როგორი იყო ოჯახში გიორგი? ისეთივე სიცოცხლით სავსე და ენერგიული, როგორც ეკრანზე ჩანდა?

— პირველ რიგში, იყო ძალიან თბილი და გულკეთილი ადამიანი, შრომისმოყვარე და ენერგიული. შეეძლო ბევრი რამ გაეკეთებინა სამსახურისთვის. პროფესია უყვარდა, შვილი უყვარდა... სიცოცხლე უყვარდა... ჩვენ ექვს წელზე ცოტა მეტი ვიცხოვრეთ ერთად. საერთოდ არ გვიჩხუბია. ჩვენ ირგვლივ ყველამ იცოდა, რომ არ ვჩხუბობდით. ალბათ ამიტომ ვცხოვრობდით უკონფლიქტოდ, რადგან მეგობრები, საუკეთესო მეგობრები ვიყავით. ჩემთან გიორგი არასოდეს იყო მოწყენილი ან გულჩათხრობილი. როცა საზღვარგარეთ უწევდა მივლინებაში წასვლა, ყოველთვის ჩამოჰქონდა ჩემთვის საჩუქრები. იცოდა, რომ პარფიუმერია მიყვარდა და მჩუქნიდა საოცრად ლამაზად შეფუთულ სუნამოს. ძალიან ბედნიერი იყო. თვითონაც უხაროდა, რაიმეს რომ მჩუქებდა და ჩუქებაც საოცარი იცოდა. ბოლოს, იტალიიდან არაჩვეულებრივი ყოლღოსფერი შარფი ჩამომიტანა... სულ დიდინებდა. სმენა არ ჰქონდა, მაგრამ აჩემებდა რომელიმე მელოდისა და მღეროდა...

— ყველა ინტერვიუში გიორგი ამბობდა, რომ ძალიან ლამაზი და ქვეიანი ცოლი მყავს, რომ ყველაზე ბედნიერი დღე მის ცხოვრებაში 1995 წლის 2 ივლისი იყო — როცა თქვენ შეუძლებლა გადაწყვიტეთ და გაიპარეთ...

— პირველად რომ დავინახე გიორგი, ვუთხარი: უილიამ ბოლდუინს ჰგავხარმეთქი: მაშინ გადიოდა ფილმი „ნაფოტი“. ჩაის სახლში დამაპტიყა. საერთოდაც, ჩემს მეგობრებთან ერთად, ჩაის სახლში მპატიყებ-

და ხოლმე. სულ უნდოდა, გამეცდინა ლექციები და ერთად გვესეირნა უნივერსიტეტის ბაღში... მართლაც, ერთად დადიოდით ყველგან.

— თქვენ ჯვაროც უნივერსიტეტის ეკლესიაში დაინერეთ, არა?

— დავით აღმაშენებლის ეკლესია უნივერსიტეტის ეზოში სამი თუ ოთხი დღის გახსნილი იყო, ჩვენ რომ ჯვარი დავიწერეთ. პირველები ჩვენ ვიყავით. ჯვრისწერაზე სულ ხუთნი ვიყავით. ჩემი მეგობარი, ჩემივე თანაკლასელი, ანა ქემელაშვილი გახლდათ. ის გიორგისთან ერთად მუშაობდა გაზეთ „შვიდ დღეში“. ამასთან გიორგის თანაკურსელიც იყო. გიორგი სწორედ ანამ გამაცნო. ანა გახლავთ ჩვენი შვილის ერთი ნათლიაც. სანდრო რომ დაიბადა, ძალიან მტირალა იყო და ამიტომ, ერთი თვის გახდა თუ არა, მოვნათლეთ. ნათლობაც იქ შედგა, სადაც ჯვარი დავიწერეთ. ქორწილი არ გვექონია.

— თქვენ დამოუკიდებლად ცხოვრება ძალიან ახალგაზრდულ ასაკში დაიწყეთ. არ გიჭირდათ?

— გვიჭირდა კიდეც და ალბათ გვიღწინდა კიდეც. ჯერ კიდეც ბავშვები ვიყავით, რომ შევუძღვდით. გაცნობის შემდეგ რამდენიმე თვეში გავიპარეთ. არც გიორგის მშობლებმა იცოდნენ, დაოჯახებას თუ ვაპირებდით და არც ჩემებმა. გიორგი უკვე მუშაობდა გაზეთ „შვიდ დღეში“. ძალიან მოკლე პერიოდში რამდენიმე სამსახური გამოიცვალა. სულ სამსახურებს იცვლიდა და იმის დრო არ რჩებოდა, რომ შეგებულე-ბაში გასულიყო... გიორგის ხელფასი ცოტა ხანს გვეყოფნიდა, ალბათ სულ ათილდე დღე. მშობლებიც გვეხმარებოდნენ. ბაზარში გიო დადიოდა ხოლმე, ბავშვის მოვლაში მუხმარებოდა. ჩვენ შვილს ერთად ვზრდიდით. ბედნიერები ვიყავით... მინდოდა, ჩემს მეორე შვილს გიორგის ცისფერი თვალები ჰქონოდა...

— გიორგი ბევრს შრომობდა. ალბათ, შინ დაღლილი ბრუნდებოდა?

— სულ სამსახურში იყო და ცოტა დრო რჩებოდა ოჯახისთვის. მანც ახერხებდა, სიყვარული და ყურადღება არ მოეკლო ჩვენი. შაბათ-კვირებით ყოველთვის სასეირნოდ მიყავდით. ბოლო სამი წელი ურეკში ვისვენებდით მე და სანდრო. ყოველ შაბათ-კვირას უეჭველად ჩამოვაკითხავდა... ძალიან ბევრს მუშაობდა. შეგებულე-ბაში არ გადიოდა. როცა საზღვარგარეთ მივლინებაში აგზავნიდნენ, ამბობდა: წავალ, ცოტას დავისვენებ და გამოვიძინებო. გან-

საკუთრებით, ამერიკა უყვარდა.

— აფხაზეთში, თავის სახლში დაბრუნებაზე არ ოცნებობდა?

— დაბა გულრიფშში, ზღვის პირას ცხოვრობდნენ თურმე. ჰქონიათ ძალიან ლამაზი, სამსართულიანი სახლი — ასე მიაბობდა გიორგი. არა მარტო გიორგისი — ჩემი ოცნებაც იყო აფხაზეთში დაბრუნება, ჩემი ქმრის ოჯახში ჩასვლა... გიორგი გიჟდებოდა ზღვაზე. ურეკში რომ ჩავდივით, წვიმდა, მაგრამ მაინც იბანავა.

— კიდეც რა ოცნება ჰქონდა გიორგის?

— მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები რომ დაინიშნა, გადავწყვიტეთ, ჩამებარებინა. ვიყიდე უამრავი წიგნი, მოვიტანე სახლში და დღე და ღამე ვკითხულობდი. გიორგი შეწუხდა, მისაყვედურა: უწიგნოდ როდის დავინახავო? ალბათ ჩემგან ყურადღება მოაკლდა. როცა გამოცდები წარმატებით ჩავაბარე, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მის ოცნებად იქცა — როდის შემისრულდებოდა ოცდაათი წელი, რომ მოსამართლედ დამეწყო მუშაობა. ასე ვგულშემამტკივრობდით ერთმანეთს — სხვაგვარად, ვერც წარმოგვედგინა.


— გიორგი ყველას დაგვაკლდა, მაგრამ პირველ რიგში — თავის შვილს...

— ძალიან ენატრება მამა, სულ ახსენებს. გიორგის ჰგავს, მეც მგავს. ცოცხალი, ხალისიანი ბავშვია. ბაღში დადის და თავისი ნანა მასწავლებელი უყვარს. მინდა, სანდრო იურისტი გამოვიდეს. პატარა რომ იყო, სულ ამბობდა: რომ გავიზრდები, მღვდელი გამოვალო. გიოს ამაზე პრეტენზია არ გამოუთქვამს: გიორგი თავად მორწმუნე იყო. მამა ზენონთან დადიოდა. დალუპვამდე ერთი თვით ადრე, მეც გამაცნო თავისი მოძღვარი.

— ხათუნა, გიორგი თუ უყურებდა ტელევიზორს? როგორ გადაცემები მოსწონდა?

— ღამით ტელევიზორს ვუყურებდით ხოლმე. გიორგი ჩართავდა რომელიმე ინგლისურ ფილმს, დავსხდებოდით გვერდიგვერდ და მთელ ფილმს მითარგმნიდა დაუზარებლად. შეეძლო საბავშვო პროგრამებისთვისაც ეყურებინა... ძალიან ბევრ სივარეტს ეწეოდა... თითქმის მთელ ქალაქს იცნობდა: ქუჩაში თუ გავიდიოდით, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნაცნობს ნახულობდა. ესალმებოდა... ასეთი იყო გიორგი...

ასეთი გვიყვარდა გიორგი.



ამ ბოლო დროს თბილისის ქუჩებში ახალი სარეკლამო პლანატი გაჩნდა, რომლიდანაც ახალგაზრდა მომხიბლავი მამაკაცი გვიმზერს, წარწერა კი გვაუწყებს – სტილისტი საშა. ვინ არის ის? ხელოვანი? ვარცხნილობის სტილისტი? ერთი უბრალო, თბილისელი ბიჭი, თუ რაღაც განსაკუთრებული თვისებებით დაჯილდოებული ჰეროვნება? რით არის აღსანიშნავი მისი ჯერ კიდევ ხანმოკლე ბიოგრაფია? ყველა კითხვაზე თავად გვპასუხობს – როგორც მოგვეჩვენა, საკმაოდ გულწრფელად...

ახ მხცვენია, ხომ გდსმქსშაღღ შან

მარი ჯაფარიძე

– დავიბადე 1975 წელს, თბილისში. მამა ქართველი მყავს, დედა – რუსი ებრაელი. გვარად სომხიშვილი ვარ. გარკვეული პერიოდი მოსკოვში ვცხოვრობდი, სადაც მუსიკალური აკადემია დავამთავრე. პროფესიით მომღერალი ვარ, მაგრამ ახლა სტილისტად ვმუშაობ „ლედი დი“-ში.

მამაჩემი მართლმადიდებელი ქრისტიანია, დედა – სინაგოგაში დადის სალოცავად. ოჯახში ყოველთვის კამათი იყო – ბავშვებს რომელი სარწმუნოება უნდა მიგველო. მეც ავდექი და კათოლიკედ მოვინათლე: არც დედას დავწყვიტე გული და არც მამას. მყავს მუდღე და 4 წლის შვილი – დანი. ისინი მოსკოვში ცხოვრობენ. მეუღლე ექიმია და მუშაობს. ამიტომ ჩემთან ერთად ვერ წამოვიდა საქართველოში. მე კი ხშირად დავდივარ ცოლ-შვილის სანახავად.

– როგორც მომღერალმა, შოუბიზნესში რატომ არ სცადე ბედი?

– მოსკოვში ეს ძალიან დიდ

თანხებთან არის დაკავშირებული. აქ კი, მე ვთვლი, რომ შოუბიზნესი არ არსებობს. თითქმის ერთსა და იმავე ტექსტზე აგებული ოდნავ სახე-მეცვლილი მელოდიაა: „მიყვარხარ“, „მოდო ჩემთან“ და „აიწიე კაბა“-ს მეტი არაფერი ისმის.


– საკმაოდ ცნობილი სტილისტი ხარ. ისევე, როგორც ყველა პოპულარულ ადამიანზე, შენზეც ჭორაობენ: ამბობენ, რომ გვი ხარ.

– არ ჭორაობენ – მე არც ვმალავ ჩემს სექსუალურ ორიენტაციას. საერთოდ, სიყვარულის ნებისმიერ ფორმას ვაღიარებ. მომწონს ქალებიც და მამაკაცებიც. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ვთვლი, რომ ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს. ძალიან მიყვარს „პროტესტები“. ჩემი ცხოვრების ეს სტილიც, შესაძლოა, საზოგადოების მიმართ პროტესტის გამოხატვის ერთგვარი ფორმაა. საშინელებაა, როცა შენ გარშემო ამდენი ერთგვაროვანი ადამიანი დადის. მე კი მინდა, რაღაცით ყველასგან განსხვავებული ვიყო. ვგრძნობ, რომ სწორედ ასეც არის.

– როდის აღმოაჩინე, რომ

მამაკაცები უფრო მოგწონდა?

– პატარა ვიყავი, როცა ბიძაჩემმა რაღაც კასეტები მოიტანა. სახლში მარტო დარჩენილმა ამ კასეტების ნახვა გადავწყვიტე. აღმოჩნდა, რომ ეს იყო წმინდა წყლის „პორნო“. ჩემი თავი იმაში დავიჭირე, რომ ფილმის ყურებისას მამაკაცების ქცევა, აღნაგობა და ხმა უფრო აღმაგზნებდა. გავიდა ხანი. უკვე 16 წლის ვიყავი. აპრილის ერთ თბილ და მზიან დღეს (მახსოვს, 27 აპრილი იყო, რუსეთში რეფერენდუმი ტარდებოდა) დამირეკა ქართველმა მეგობარმა – თბილისიდან ამანათი მომივიდა და გამოდი, დავლიოთო. რომ მივედი, იქ სხვებიც დამხვდნენ. ვიქციფეთ, დავთვერი და... მერე აღარაფერი მახსოვს. აზრზე დილით მოვედი. ყველაფერი აღვიღვინე მესიერებაში, იმ სახლიდან გამოვიპარე, დათრგუნვილი და განადგურებული მოვდიოდი: „ნუთუ მეც „მათ“ სიაში ჩავეწერე?“ – ვფიქრობდი და სიცოცხლე აღარ მინდოდა. კარგა ხანს დეპრესიაში ვიყავი... მერე ჩავაბარე მუსიკალურ აკადემიაში. მოგეხსენებათ, ხელოვანი ხალხის ცხოვრება როგორია. მივიხედ-მოვიხედე და აღმოვაჩინე, რომ ჩემ გარშემო ჩემნაირი ბლომადაა, ჩვეულებრივად ცხოვრობენ და საშიშიც არაფერია. მე ყველაფერს შევივუე და ჩემს სურვილებს გასაქანი მივეცი. ოჯახი, რათქმა უნდა, ყველაფერს ხვდება, მაგრამ არაფერს მეკითხებიან. როცა მამასთან სტუმრად მივდიოდი (დედა და მამა გაყრილები არიან), ვცდილობდი, თმა შემეკრა და მუქი ტანსაცმელი ჩამეცვა, მაგრამ მერე ეს ყველაფერი მომბეზრდა. ჩემმა მეუღლემ იცის, რომ ჰომოსექსუალისტი ვარ, მაგრამ მისთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს და არც მე ვარ წინააღმდეგი, მან რომ სხვა მამაკაცთან ან ქალთან იმეგობროს...





— შენმა შვილმა, დანამ შენ-
ნაირი ცხოვრების წესი რომ
აირჩიოს?

— არა, ეს არ უნდა მოხდეს. მე
ამის წინააღმდეგი ვარ, თუმცა, თუ
ერთ მშვენიერ დღეს განმიცხადებს,
რომ მას მამაკაცები მოსწონს, ცემა-
ტყეპას არ ღაუჭუნებ, რადგან ყვე-
ლა ადამიანს უფლება აქვს იცხო-
ვროს ისე, როგორც სურს. თუმცა,
კიდევ ვიმეორებ, მე არ მინდა, რომ
ჩემმა შვილმა ჩემნაირი ცხოვრე-
ბით იცხოვროს.

— თუ გყავს მუდმივი მე-
გობარი ქალი ან მამაკაცი?

— არა, რატომღაც ჩემი ცხოვრე-
ბა ისე ვერ აეწყო, რომ საყვარელი
ადამიანი მეპოვა. ერთხელ შემეყ-
ვარდა ქალი და ის ჩემი ცოლი
გახდა. ისე, მყავს ერთჯერადი პარტ-
ნიორები, მაგრამ რატომღაც, მეო-
რედ აღარ მირეკავენ. სიმართლე
გითხრა, ამაზე დიდად არც ვნერვი-
ულობ.

— მამაკაცებს შენ თვითონ
„აბამ“ თუ?..

— არა, ინიციატივას თვითონ
იჩენენ, — დამირეკავენ და მეც მივდი-
ვარ. თავად დრო არ მაქვს, რომ
ვინმეს „შეხვევა“ ღაუჭუნო.

— როგორი მამაკაცები მოგ-
წონს?

— იცი, რა, ჩემში იმდენად სჭარ-
ბობს ქალური ჩვევები და სინაზე,
რომ იმ სიძლიერის შესავსებად, რაც
მაკლია, უფრო ღონიერ და ვაჟკა-
ცურ მამაკაცებს ვამჯობინებ. მალა-
ლი, ვაჟკაცური ტიპები მომწონს —
სწორი ფეხებით, ლამაზი საჯდომი-
თა და კონტა თედებით.

— ხომ არ ფიქრობ, რომ
ქალად უნდა დაბადებულიყავი?

— არა, მე მომწონს, რომ მამაკა-
ცი ვარ. წარმოდგინე, ადამიანთა
უმეტესობას რომ შეხედავ, ქალი —
ქალია, კაცი — კაცი. მე კი ორივე
ვარ: გამოდის, რომ ჩემში, ერთ სხე-
ულში ორი პიროვნება ცხოვრობს.
ჩემნაირ ადამიანებს განსხვავებული
ხედავ აქვთ, ამიტომ არის, რომ შოუ-
ბიზნესი იქნება ეს თუ სხვა სფერო,
ასეთი ადამიანები ყოველთვის გაც-
ილებით დიდ წარმატებებს აღწევენ
და გაცილებით მეტს ქმნიან.

— ჩვენს პოპულარულ ვარ-
სკვლავებზეც ამიტომ ხომ არ
ჭორაობენ — თითქოს მათი
უმეტესობა გეია?

— კი, გამიგია, მაგალითად, აჩი-
კო მუფარიძეზე. მე მას არ ვიცნობ,
არ ვიცი, ჭორია ეს თუ სიმართლე,
მაგრამ აჩიკო არ მომწონს — ის
უკვე ბებერია. ახლა ჩვენი დროა
და არა აჩიკოსი...

— რას შეცვლიდი შენს ცხო-
ვრებაში, ამის შანსი რომ
გქონდეს?

— არაფერს. მე ვთვლი, რომ სწო-
რად ვცხოვრობ. სიმწარეც ბევრი
ვწახე 26 წლის მანძილზე და სიტ-
კობც. შემეძლია ორივე ერთმანეთს
შევადარო და დასკვნები გაეაკეთო.
აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ
ყველაფრით. მე ვთვლი, რომ ბევრს
მივალწიე და ყველაფერი ჯერ კიდევ
წინ მაქვს.

— როგორ ახერხებთ, თი-
თოეული ადამიანისთვის ვარცხ-
ნილობის სტილის შერჩევას?

— ხან როგორ, ხან როგორ. ერთხ-
ელ სალონში მოვიდა გრძელთმიანი
გოგონა. ვარცხნილობის შეცვლა უნ-
დოდა, მაგრამ თმის სიგრძე არ უნდა
მომეკლო. ფიქრში გავერთე და ერთ
მხარეს თმა თითქმის ძირში მოვაჭ-
ერი. გოგონამ შეჰკივლა, აზრზე მხ-
ოლოდ მაშინ მოვედი, მაგრამ გაფუ-
ჭებულ საქმეს ველარაფერს ვუშვე-
ლიდი. არ დავიბენი — ახლა ასეა
მოღაში-მეთქი, ვუთხარი და ვარცხ-
ნილობას საბოლოო სახე მივეცი.
გოგონა კმაყოფილი წავიდა. და
აღბათ დღესაც ასე დადის. დარწ-
მუნებულია, რომ უკანასკნელი მო-
დის ვარცხნილობა აქვს გაკეთებუ-
ლი.

— რაზე ოცნებობ?


— მინდა, თბილისში ჩამოვყალ-
ბო გეი-კლუბი, რომელსაც „საშას
კლუბი“ ერქმევა და ნებისმიერ ად-
ამიანს, მათ შორის ჩვეულებრივ, ჰეტ-
ეროსექსუალებსაც შეეძლებათ მოს-
ვლა. ამას დიდი თანხა და ძლიერი
„კრიშა“ სჭირდება.

— მერე საიდან?

— სულ ახლახან ისრაელიდან
ჩამომივიდა მეგობარი, რომელსაც
ბევრი ფული აქვს. „კრიშის“ მო-
ძებნა კი არ გამიჭირდება — საკ-
მაოდ ბევრი გავლენიანი ახლობე-
ლი მყავს. ეს ერთგვარი ბიზნესიც
იქნება. თანაც, გეების უმრავლესო-
ბა ქუჩაში ყრია, ცირკთან ღვას და
მოუწესრიგებელ ცხოვრებას ეწევა.
ამ კლუბში კი მათ საშუალება
ექნებათ, ერთმანეთს დაეკონტაქტონ
და ნორმალურად გაატარონ დრო.
მე ბევრ მათგანს ვიცნობ და, ასე
ვთქვათ, მათი „პაპულიჩკა“ ვარ.
როგორც შემეძლია, სიტუაციას ისე
ვარეგულირებ. მერე კი ყველაფერი
უფრო ადვილი იქნება.

— წარსულიდან აუხდენელ
ოცნებად რა დაგრჩა?

— სიმღერა. ძალიან მინდა,
სცენაზე ვიყო და ვმღეროდე. გამო-
მუშავება საკმაოდ სოლიდური მაქვს.
ყოველთვიურად 2000-დან 3000
ლარამდე ვშოულობ, მაგრამ ეს არ
არის საკმარისი იმისათვის, რომ
რუსეთში შოუბიზნესი ღაუჭუნო, აქ
კი არ ღირს.





ოდესაც ქართული ენციკლოპედიის რედაქციის მუშაობას ეცნობი, ხვდები, რა დიდი შრომა აქ გაწეული, რადგან ყოველ სიტყვას, ყოველ განსაზღვრებას გამოწვლილივით, ზუსტად სჭირდება დადგენა, ხოლო ყოველ მოცემულ ფაქტობრივ მასალას, ობიექტურად ჩამოყალიბება და განსაზღვრულ, მკაცრ ჩარჩოში მოქცევა. რედაქციის მუშაკთა ყოველდღიური, სკრუპულოზური, მოღვაწეობა ფართო საზოგადოებისათვის უცნობია და ამდენად, დაუფასებელიც. მართლაც, თითქოს რა მოხდა, რომ გვაქვს „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“, თერთმეტტომეული, დამატებით ერთი მომცრო ტომი – „საქართველოს სსრ“, რომელიც 80 ათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა და ადრე, მხოლოდ გამოწერით თუ მოიპოვებდით. ეს მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში, რუსულ ენაზე უამრავი პროფილური ენციკლოპედია იყო გამოშვებული. რაც შეეხება უნივერსალურს – სანამ მკითხველი ქართულ გამოცემას იხილავდა, მრავალმილიონიანი ტირაჟით დიდი და მცირე საბჭოთა ენციკლოპედიების მრავალტომეულთა რამდენიმე გამოცემა უკვე ამძიმებდა ბიბლიოთეკების თაროებს.

ახლა აღარც გვახსოვს, რომ დიდ საბჭოეთში ენციკლოპედიის გამოცემა პოლიტიკური აქტი იყო. 1965 წელს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დიდი

გავრცეა არც იხის, რომ პარსეზობი

ანუ რას აკეთებს ქართული ენციკლოპედიის რედაქცია

მანანა იაშვილი



მცდელობის შედეგად, რესპუბლიკის კომპარტიის ცეკამ მიიღო დადგენილება ქართულ ენაზე ენციკლოპედიის ათტომეულის გამოცემის შესახებ. შეიძლება ითქვას, „დაგვაფასეს და გვერდვენ“... იმავე ცეკას დადგენილებით, გადაწყდა რედაქციის შექმნა, რომლის მთავარ რედაქტორად ცეკას იდეოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელს დევი სტურუას ნიშნავდნენ, მაგრამ მან უარი თქვა და არჩევანი ბატონ ირაკლი აბაშიძეზე შეჩერდა.

დღეს უცნაურად ჟღერს, რომ ჩვენს სასიქაღლო პოეტს, საზოგადო მოღვაწეს და აკადემიკოსს უზარმაზარი ძალისხმევა დასჭირდა არა სპეციალისტების მოსაზიდად, არამედ ნორმალური სამუშაო პირობების შესაქმნელად.

ქართული ენციკლოპედიის ძირძველი თანამშრომელი, სამეცნიერო კონტროლის რედაქციის ხელმძღვანელი ნოდარ გიოვილი გვიამბობს:

– თუკი ვინმე გამოცდილი რედაქტორი იყო საქართველოში მეცნიერებიდან, ინსტიტუტებიდან, გამოცემლობებიდან, ჩვენთან მოიწვიეს სამუშაოდ. ბატონი ირაკლის ხათრით, მწერალთა კავშირის სხვენი გაარემონტეს და იქ დაფუძნდით.

1970 წელს ვაკის პარკის მოპირდაპირე ქუჩაზე, გიორგი წერეთლის №1 გასასვლელში აშენდა ხუთსართულიანი, ნათელი შენობა ენციკლოპედიისათვის. მის მშენებლობას სამი წელი დასჭირდა.

– ჩვენთან გამორჩეული ადამიანები შეიკრიბნენ – განავრძობს თხრობას ბატონი ნოდარი და წერვილობს, რომ ვინმე არ გამორჩეს, ვინმეს ღვაწლი არ დაუკარგოს: – ახლა ბევრი აღარაა ჩვენ გვერ-

დით: ბატონი ირაკლი, თენგიზ ხოშტარია, გოგი ჟორჟოლიანი... მის ზურგზე გადაიარა მოსამზადებელმა სამუშაოებმა... ამ ახალი შენობის მშენებლობაზეც ბატონი გოგი დარბოდა... ბრწყინვალე ტექსტოლოგი გვყავდა – ბატონი ლადო აბაშიძე, შოთა ცირეკიძე ახლაც ისტორიის დარგის ბურჯია. გეოგრაფიის განყოფილების რედაქტორი კოტე ჯავრიშვილი... ახლა ქალბატონი ეთერ ლოლუა... მელიტა ბაქრაძე, – იდეების დაუცხრომელი ფიერვერკი პედაგოგიკაში... სამეცნიერო კონტროლის განყოფილებაში ლეო ბოლქვაძე... სწავლული მდივანი იაგო ვარდოსანიძე... ბუხნიკაშვილი... ფიზიკმათემატიკის დარგში იყო და არის ზურაბ ჭველიძე. ერთად ვიდექით ხოლმე სტამბაში. ბევრჯერ თავზეც დაგვთენებია. მაშინ ტექსტის ჩასწორება ძალიან ძნელი იყო. ტყვიით ჩამოსხმულ სიტყვებს ნემსით ვიღებდით ფორმიდან და ვცდილობდით, გვერდი არ დანგრეულიყო. როდესაც ამ ხერხით გასწორება ვერ ხერხდებოდა, მაშინ თითოეულ ასოს ცალ-ცალკე, მიკროსკოპული სიზუსტით ხატავდა მხატვარი.

30-იანი წლების დასაწყისში, მოსკოვში, პროკაპუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაზე დაყრდნობით „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ პირველი გამოცემა დაიწყო (66 ტომი). ცოტა მოგვიანებით, საქართველოშიც გამოვიდა დადგენილება „დიდი ქართული ენციკლოპედიის“ შექმნის შესახებ. ეს იდეა ჩვენმა მეცნიერებმა სიხარულით აიტაცეს და შეიქმნა ჯგუფი ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ყაუხჩიშვილის, ივანე ბერიტაშვილის, კორნელი კეკელიძის, სიმონ ჯანაშიას, გერონ-



ტი ქიქოძის მონაწილეობით, რომლებმაც სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად, იტვირთეს ეს ეროვნული საქმე. „ენციკლოპედისტთა“ ჯგუფი საჯარო ბიბლიოთეკაში იკრიბებოდა, სადაც მას მინიმალური საშუალო პირობები ჰქონდა შექმნილი. 1933 წელს უკვე მზად იყო გამოცემის სიტყვანი, ხოლო 1934 წელს – პირველი ტომი, რომელიც არ დაიბეჭდა. ეტყობა, ქართველმა მეცნიერებმა ვერ გაამართლეს კომუნისტური დიქტატურის იდეოლოგია ნდობა, რაც მოძღვროს წლების რეპრესიებამაც დაადასტურა, ხოლო მსოფლიო ომმა და მის შემდეგ წამოწყებული კამპანიამ „ერთიანი საბჭოთა ერის“ შექმნის შესახებ კარგა ხნით გადაწია ქართული ენციკლოპედიის გამოცემა. მაგრამ არქივი გადარჩა და 60-იანი წლების „ენციკლოპედისტებმა“ იგი სრულად გამოიყენეს.

კომუნისტური იდეოლოგიის ჩარჩოებს ვერც 60-იანელები ასცდნენ, თუმცა უკვე დროც სხვა იყო და მოთხოვნებიც შეიცვალა.

— რატომ დაგჭირდათ პირველი ტომის გამოცემამდე, მოსამზადებლად 10 წელი?

— მეთოდიკის შემუშავება იყო საჭირო. რუსებს მეთოდური მითითებები ჩვენთვის არ მოუწვდიათ, ისინი რაღაც ინსტრუქციებს გვიგზავნიდნენ. მოგვიხდა რუსული და უცხოური ენციკლოპედიების შესწავლა-დამუშავება. ვეცნობოდით მათ სიტყვანებს, მოცულობას, სტატიის აგების სქემებს, სტილს. პირველ ხანებში გვაჩქარებდნენ, რომ ერთ წელიწადში დაგვემთავრებინა მოსამზადებელი სამუშაოები, მაგრამ ვერ მოესწრო. მთავარი სარედაქციო საბჭოს გარდა, შეიქმნა დარგობრივი რედაქციები მეცნიერებათა განხრების მიხედვით, სადაც სტატიების დამუშავება ხდებოდა. შეიქმნა ფუნქციური რედაქციები: სიტყვანის რედაქცია, სამეცნიერო კონტროლი, ბიბლიოგრაფია, მთარგმნელობითი და სხვა. ჩვენმა მუშაობამ უდიდესი როლი შეასრულა ქართული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში. როდესაც საჭირო გახდა, ტერმინოლოგიის განყოფილებაც გაიხსნა, სადაც იღვწოდნენ ვანო გვიგინიშვილი, მიხეილ ჭაბაშვილი, შუქია აფრიდონიძე. მუდმივი კონტაქტები გვქონდა ენათმეცნიერების, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტებთან, უნივერსიტეტთან. „მითითებათა სისტემისთვის“ ახალი ჯგუფი შეიქმნა, რათა თავიდან აგვეცილებინა კურიოზები. მეც-

ნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი მოლიანად იყო ჩართული ჩვენს საქმიანობაში და ყველა სამეცნიერო დაწესებულებას დავალებული ჰქონდა, დაგვხმარებოდა. სტატიები, რომელსაც მეცნიერები ჩვენთან აგზავნიდნენ, სამეცნიერო ნაშრომში ეთვლებოდათ.

— როგორ მოხერხდა დამატებითი ტომების გამოცემა?

— ეს ბატონი ირაკლისა და ბატონი როინ მეტრეველის დამსახურებაა. 10 ტომში უნდა ჩავტეულიყავით. კიდევ ერთი „ემშაკობა“ ჩავიდინეთ: 1967 წელს შრიფტების ოსტატმა ანტონ ღუმბაძემ სპეციალურად ენციკლოპედიისთვის შეიმუშავა შრიფტი, რომელმაც საშუალება მოგვცა ორჯერ მეტი ინფორმაცია ჩაგვეტია გამოცემაში.

— რას ნიშნავს „სამეცნიერო კონტროლი“?

— ადრე ამ განყოფილებას ბატონი ლეო ბოლქვაძე უძღვებოდა, შესანიშნავი სპეციალისტი იყო. რაც შეეხება კონტროლს, ეს მთლად ის არაა, რაც თქვენ გგონიათ. ჩვენ უზუსტობას ვნახულობთ და რედაქტორებთან თანამშრომლობით, ვასწორებთ ტექსტს. ზოგჯერ წერტილიც კი ცვლის აზრს და ტექსტის დახვეწის დროს, გაათკეცებული ყურადღებაა საჭირო. ჩვენ გამოვირიცხავთ ფაქტებს შორის სხვაობას; სახელებსა და გვარებში ვიცავთ მიღებულ ტრანსკრიფციას; ვახდენთ უნიფიცირებას და ვიცავთ მეთოდიკით შემუშავებულ მოცულობასა და სტრუქტურას.

ენციკლოპედიის რედაქციაში ბატონი ირაკლი აბაშიძის ხსოვნას ძალზედ სათუთად ეპყრობიან. მისი საშუალო ოთახი მემორიალურ კაბინეტად არის გადაკეთებული, სადაც ბატონი ირაკლის მოღვაწეობის ამსახველი ფოტოსურათებია გამოფენილი, ხოლო მისი საშუალო მაგიდის კუთხეში ჩანთა და ქუდი დევს... მემორიალური კაბინეტის პირდაპირ დღევანდელი მთავარი რედაქტორის – ბატონ ავთანდილ საყვარელიძის კაბინეტია, სადაც შემოქმედებითი ქაოსი სუფევს: თაროებზე,

სქელტანიანი გამოცემები, მხოლოდ იქ მომუშავე ადამიანისთვის გასაგები თანმიმდევრობით არის დაწყობილი. საშუალო მაგიდაზე უამრავი ქალაქი და წიგნია გაშლილი. მაგიდის ორივე მხარეს ახალი წიგნებისა და მზა მაკეტების სვეტებია აღმართული. იქვე ახალი ჟურნალ-გაზეთებისთვისაც არის ადგილი მიჩენილი, მაგრამ ეს ქაოსი მხოლოდ უცხო თვალს აცბუნებს – ბატონი ავთანდილი აქ არა მხოლოდ მუშაობას, არამედ ტელეფონით საუბარსა და ყავის დალევასაც ახერხებს.

ენციკლოპედიის რედაქციამ ქალაქის მერიის დაკვეთით ერთტომეულ „თბილისზე“ მუშაობა უკვე დაამთავრა და მის დასაბეჭდად ტენდერია გამოცხადებული. ადრე დაგვემძილი ნუთოტომეული „საქართველოს“ I ტომი უკვე გამოვიდა და შესაძლოა, მასზე მუშაობა ისევ გაგრძელდეს. მუშაობის პროცესშია სამეცნიერო (ქართულ-რუსულ-ინგლისური) „საქართველო“, რომელიც გრანტით დაფინანსდა.

ისევე, როგორც ყველა, ენციკლოპედიის რედაქციაც ფინანსურ გაჭირვებას განიცდის. თანამშრომლები წლების განმავლობაში ერთუზიანზე მუშაობენ და იმ სიმბოლურ ხელფასს, რომელსაც მათ აკადემია აძლევს (საშუალოდ 35-45 ლარი), ყოველთვის დროზე ვერ იღებენ. ბატონი **ავთანდილ საყვარელიძე** ოცნებობს:

— წელიწადში 50 ათასი ლარი რომ გვქონდეს, ადარაფერი გაგვიჭირდებოდა. „საქართველოს“ I ტომი შემოწირულობებით დაგებულდეთ. მაშინ ჯერ კიდევ მოიძებნა ხალხი, რომელსაც წიგნი უყვარდა და საშუალებაც ჰქონდა, დაგვხმარებოდა. ეტყობა, ახლა ამ ადამიანებსაც გაუჭირდათ, ხოლო ვისაც აქვს, მას წიგნი არ

ავთანდილ საყვარელიძე



ანტერესებს.

— „თბილისს“ ხომ აფინანსებენ?

— დიას, მაგრამ მინიმალური მოგება რომ გვქონდეს, 30-35 ლარად მაინც უნდა გაიყიდოს. წიგნის მოყვარულ ადამიანს კი ხშირად უჭირს ასეთი თანხის გადახდა.

— ბიუჯეტიდან დროულად თუ იღებთ თანხებს?

— აკადემიაზე აუგს ვერ ვიტყვი, მაგრამ ახლა სეკვესტრზეა ლაპარაკი და როგორი იქნება დაფინანსება, ვერ მოგახსენებთ.

— თანამშრომელთა შემცირებას ხომ არ აპირებთ?

— შემცირება უკვე მოხდა: ზოგი თვითონ წავიდა, სხვა სამსახური იშოვა. ზოგიც პენსიაზე გავიდა. ჩვენი ყველა თანამშრომელი თავისი სფეროს მცოდნე და გამორჩეული სპეციალისტია. თითქმის უხელფასოდ, ერთუზიანზე მუშაობენ, ღამეებს ათენებენ და ასრულებენ იმ დიდ საქმეს, რასაც ქართული ენციკლოპედიის შექმნა ჰქვია. მათთვის გაუგებარია, რომ ქართველებს არ სჭირდებათ წიგნი და სურთ, ვთქვათ... რესტორანი.

— ახალგაზრდა თაობა თუ მოდის თქვენთან სამუშაოდ?

— რა თქმა უნდა. ახალგაზრდა სპეციალისტები მივიღეთ. თავისთავად მოხდა მათი ადაპტირება ძველ სპეციალისტებთან, რაც სასიხარულოა.

— სხვა კიდეც რა არის ახალი?

— ბოლოს და ბოლოს, შევქმენით კომპიუტერული ცენტრი და ახლა დაკ-

აბდონების პრობლემა აღარ გვაქვს. იმედი გვაქვს, რომ მომავალში დამატებით კიდევ მივიღებთ უახლეს ტექნიკას. ასევე, სტამბაზეც ვფიქრობთ: ჩვენ რომ საკუთარი სტამბა გვქონდეს, ძალიან ბევრი პრობლემა გადაწყდებოდა, მათ შორის ფინანსურიც.

— თქვენ აკადემიკოსი ბრძანებით თუ წევრ-კორესპონდენტი?

— ხარისხის საკითხი არასოდეს მაინტერესებდა. უცნაურად წარიმართა ჩემი ცხოვრება. პოლიტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობით. ვმუშაობდი მეცნიერებისა და ტექნიკის რესპუბლიკურ კომიტეტში. შემდეგ სახელმწიფო და პარტიულ თანამდებობებზე მომიწია საქმიანობამ. როდესაც ბატონი ელუარდ შევარდნაძე ცეკას პირველი მდივანი გახდა, მან აფხაზეთში წასვლა დამავალა, სადაც 1973-79 წლებში საოლქო კომიტეტის მდივნად ვმუშაობდი. შემდეგ თბილისში, ჯერ კალინინის რაიკომის მდივანი ვიყავი, მერე კი ცეკას მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე. იქიდან მოეხვედრი ენციკლოპედიაში მთავარი რედაქტორის მოადგილე. აკადემიის სისტემაში სამუშაოდ დოქტორის ხარისხი იყო საჭირო, მაგრამ ახლა ბევრი რამ შეიცვალა...

რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ენციკლოპედიის რედაქციის სხვა თანამშრომლებიც ნაკლებად ფიქრობენ მეცნიერულ ხარისხებზე. მათ ეამაყებათ, რომ „საქართველოს“ მასალის 80% ქართული წყაროებიდან არის დამუშავებული

და მხოლოდ 20%-ია უნივერსალური მასალა.

ბატონ ნოდარ გიომილთან „სიტყვანის“ რედაქტორი ბატონი შოთა ვადაჭკორია გავიცანი. მათი ჯგუფი კონსულტანტ ნოდარ ებრაღიმესთან ერთად რედაქციებში დადის „სიტყვანის“ შესამოწმებლად. ბატონ შოთას, სხვებთან ერთად, ენციკლოპედიის თორმეტტომეულის გამოცემისათვის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. იგი 1965 წლიდან მუშაობს ენციკლოპედიის რედაქციაში.

— ბატონო შოთა, რას ნიშნავს „სიტყვანის რედაქცია“?

— ჩვენ ახლა „თბილისის“ გამოცემაზე ვმუშაობთ და საბოლოოდ, კიდევ ერთხელ, ვამოწმებთ „სიტყვანს“. ჩვენი რედაქცია სხვადასხვა რედაქციიდან შემოსულ სიტყვანებს ამთლიანებს და საბოლოო სახეს აძლევს. მოკლედ რომ ავიხსნათ, „სიტყვანი“ — ეს ლექსიკონში მოცემული და ახსნილი სიტყვებია, რომლითაც მკითხველი სარგებლობს. მაგრამ სანამ მკითხველამდე ენციკლოპედია მივა, ურთულესი სამუშაოა ჩასატარებელი და აქ ჩვენს რედაქციას დიდი დატვირთვა აქვს.

— ცენზურას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კორექტირებას ვინ აკეთებს?

— ცენზურა წინათ იყო. ჩვენ მაინც მოვანერხეთ, ბატონი ირაკლი აბაშიძისა და ბატონი როინ მეტრეველის წყალობით, და შევქმენით მართლაც კარგი, ეროვნული ენციკლოპედია. მეტს მაშინ ვერ გავაკეთებდით — ცენზურა არ დაბეჭდავდა. ახლა ცენზორი არ გვყავს, ჩვენ თვითონ ვართ ცენზორები. სტატიებს თვითონ მეცნიერები უწევენ კორექტირებას. მონდომებულები ვართ, რომ ახლებურად გავაკეთოთ ყველაფერი — ისე, რომ ძველის გადამღერება არ მოხდეს... ერთი რამ მაკვირვებს: რატომ იფიქრა თქვენმა უურნალმა ჩვენ შესახებ სტატიის დაწერა? ხალხზე რა უნდა ვთქვა — ბევრმა რედაქციამ არც კი იცის, რომ ვარსებობთ. ეს რა არისო? — კითხულობენ.

ბატონი შოთას კითხვამ, რომელიც პასუხს არ თხოულობდა, მძიმე გუნებაზე დამაყენა. ეს ადამიანები ათწლეულობით იყვნენ შეჭიდებულნი დიდ საქმეს; იღვწოდნენ და ცდილობდნენ, შეექმნათ სულიერი საგანძური, ცოდნის ძვირფასი „სალარო“ და, ახლა, 36 წლის შემდეგ უჩნდებათ კითხვა — ვის სჭირდება ეს?



ლელა ჭანკოტაძე

— მაია, თავდასხმა ნამდვილად მოხდა?

— მე არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი, ვისაც ეს დაემართა. ცული მხოლოდ ის არის, რომ ქუჩაში დაუცველი ხარ. თან, ხალხი შეშინებულია და ერთიმეორისთვის დახმარების გაწევას ვერ ბედავს. რა თქმა უნდა, საწყენია, მაგრამ მე ამაზე საუბარი არ მსურს: არ მსიამოვნებს. გამოცვივდნენ ორნი, თავზე „ჩულქები“ თუ ტრუსები ჰქონდათ ჩამოცმული და ჩანთა წამართვეს.

— საერთოდ, ესტრადის ვარსკვლავები თავადვე ავრცელებენ სოლმე ქორებს საკუთარ თავზე. ასეთია შოუბიზნესის „შიდა სამზარეულო“. თქვენ ქორებზე რა აზრის ხართ?

— მე ერთი რამ ვიცი: პრესაში ის უნდა დაიწეროს, რასაც ჟურნალისტებს ვეუბნები. ვერსიები და ვარაუდები ჩემზე ცუდად მოქმედებს და როგორც კი პროვოკაციულ შეკითხვას მისვამენ, ინტერვიუს ვწყვეტ სოლმე.

— მაშინ, დაფიგნოთ ქორი და მითხარით — რეალურად, რა იყო მოსკოვში თქვენი ნასვლის მიზეზი?

— სამი წელი ვცხოვრობდი მოსკოვში, რადგან ვთვლიდი, რომ ჩემი საკეთიბელი აქ აღარაფერი იყო. იქ მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის მოადგილემ ქალბატონმა ლუდმილა შლიცოვამ მიმიწვია: მან რომანსების საღამოზე მომიმინა, ვახსოვლი ანსამბლ „მზიურიდანაც“. შემდეგ მეც გამახსენა თავი. სწორედ მისი ინიციატივა იყო, რომ მოსკოვში მემუშავა. რუსულ შოუბიზნესში ასტრონომიული თანხები ტრიალებს და შექმნილია ერთგვარი ფაბრიკა, რომელშიც ვარსკვლავებს ქმნიან. ქართველი იმიტომ არ იკარგება რუსულ ესტრადაზე, რომ მისი ნიჭიერება თვალში საცემია. სცენაზე რომ დგახარ, იმით უნდა აკეთო შენი საქმე, ეს კი ქართველს არ ეშლება... კონცერტის შემდეგ „ბრძოლა“ ისევ გრძელდება, რადგან ვისაც ფული აქვს, ის უწევს თავის სიმღერებს რეკლამას... ვერასოდეს წარმოვიდგენი, თუ თბილისის გარდა, სადმე სხვაგან შევძლებდი ცხოვრებას.

— მოსკოვში მუშაობამ რა მოგცაო? არც პროფესიონალიზმი გაკლდათ და პოპულარულიც იყავით საქართველოში.

რამდენიმე დღის წინ ვაკეში, თავს დაესხნენ მაია ჯაბუას. თურმე ორ ნიღბოსანს მაია ნაუტყევია და მისთვის ჩანთა ნაურთმეფია. ამ ფაქტის დასაზუსტებლად, მომღერალს შინ ვესტუმრე. მისი თავყანისმცემლები შემიძლია ვანუგეშო: მაია საუცხოოდ გამოიყურება და თავდასხმის კვალი არ ატყვია.



მაია ჯაბუა: შეყვარებული? ქარბი პარ... ძალიან ქარბი!..

— ჩემს თავს ვუთხარი: დაივიწყე, რომ მაია ჯაბუა ხარ, მრავალი წელი გიმღერია და დაიწყე თავიდან... დავრწმუნდი, რომ მაია ჯაბუა ვარ...

— ქართულ ესტრადაზე ახალი სახეები გამოჩნდნენ, ახალი ვარსკვლავები ბრწყინავენ, არ გაგტირდებათ?

— თქვენ როგორ გგონიათ — მიჭირს რამე? მე კონკურსგარეშე ვარ. მე არ ვარ „მოდის მომღერალი“. დავდექი თუ არა, ცხრა წლის ასაკში სცენაზე, იმ დღიდან ვმღერი და ახალმა ვარსკვლავებმაც მშვენივრად იციან, სად არის ჩემი ადგილი და სად — მათი. როცა ზომიერების გრძნობა არ გაქვს, რამდენადაც სწრაფად ხდები პოპულარული, იმდენად სწრაფად ქრები... ზომიერების გრძნობა ნებისმიერ ადამიანს სჭირდება, მით უმეტეს — ხელოვანს. არ არის აუცილებელი, ყველა კონცერტზე გამოხვიდე და ყოველ გადაცემაში გამოჩნდე. მთავარია, კარგად აკეთო შენი საქმე — იმ ხარისხით, რომელიც შენ გჩვევია. მე ოცდაათი წელია, სცენაზე ვდგავარ და არასოდეს უთქვამთ: ჯაბუამ თავი მოგვაბეზრა, გააწყალა გულიო... მე მგონი, სჯობს ენატრებოდე მსმენელს, ვიდრე მობეზრებული ჰყავდე.

— შთამბეჭქდავი გამოვიდა

თქვენი ახალი კლიბი. გისდებათ წითელი კაბა. მეორე კლიბიც კარგია. რა გეგმები გაქვთ უახლოესი პერიოდისთვის?

— ზაზა ოსიშვილი რომ უნდა ყოფილიყო ჩემი რეჟისორი, ეს გადაწყვეტილი მქონდა, რადგან ძალიან ვაფასებ მის ნიჭს და ვთვლი, რომ ჩემმა ინტუიციამ გაამართლა: მართლა კარგი კლიპები გამოვიდა. პარალელურად, გამოდის ჩემი ალბომი, რომელსაც „სანო-სტუდია“ უშვებს. მასში შევა ის სიმღერები, რომელიც ჩემს სოლოკონცერტზე შევასრულე.

— მაია, სპონსორი გყავთ თუ თავად იხდით კლიპებისთვის საჭირო თანხებს?

— როცა თანხები არ მქონდა და კლიპებს ვერ ვიღებდი, არავის არ უკითხავს: მაია, რამე ზომ არ გჭირდებაო? არავინ არასდროს შემიწუხებია და ამიტომ, ახლაც ნურავინ შემიწუხებს თავს იმის გარკვევით, საიდან მომაქვს თანხა...

— თქვენზე ამბობენ, რთული ხასიათის ადამიანიაო...

— მართალია. როცა ცუდ გუნებაზე ვარ, ვერავინ დამელაპარაკება: ჩაკეტავ ჩემი ოთახის კარს და ხმას არ ვიღებ... ეს ჩემი მშობლების სახლია, სადაც ჩვენ — სამი და გავიზარდეთ და საიდანაც გავთხოვდით. მამა, ერთი წელია, რაც

გარდამეცვალა. მყავს 13 წლის თორნიკე და 3 წლის ლიზა. შვილებთან ერთად, მშობლების ბინაში ვცხოვრობ. მე და თორნიკე კარგი მეგობრები ვართ. ლიზა ჯერ პატარაა, მაგრამ უკვე კარგ ხასიათს ამჟღავნებს. მე მგონი, მეგობრული დედა ვარ და ზომიერად მკაცრიც.

— თორნიკეს უკვე რთული ასაკი აქვს. არ გიჭირთ მასთან ურთიერთობა?

— ყოველთვის ვიცოდი, რომ მეყოლებოდა ვაჟი და ამისთვის მზად ვიყავი. ბავშვობიდან ბიჭებთან ვმეგობრობდი: მათთან უფრო მეადვილებოდა ურთიერთობა, ყოველთვის ვთვლიდი, რომ გოგონებზე კარგი მეგობრობა იცოდნენ. არც თორნიკესთან მიჭირს საერთო ენის გამონახვა. ჯერჯერობით ვახერხებ ყოველ მის კითხვაზე პასუხის გაცემას. არასოდეს მომიტყუებია. ამიტომ არც თვითონ მატყუებს ხოლმე. მოსკოვში რომ ვცხოვრობდით, კონცერტზე წასვლისას, სულ რამდენიმე თვის ლიზას თორნიკეს ვუტოვებდი ხოლმე და ამის გამო, საერთოდ არ ვლელავდი: ვიცოდი, რომ თორნიკე შესანიშნავად მოუვლიდა დას.

— თორნიკეს მამასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ? როგორი ხართ, როგორც ყოფილი ცოლი?

— თორნიკეს მამა — ლევან ბერიკაშვილი რუსთაველის თეატრის მსახიობი გახლავთ. ნიჭიერი, საოცრად წესიერი, კეთილი და განათლებული ადამიანია. თორნიკეს ზმირად ვუბნები: ის კარგი თვისებები, რაც მამაშენს აქვს, მინდა, შენც

გქონდეს-მეთქი. ჩვენ აბსოლუტურად ცივილიზებული ურთიერთობა გვაქვს. ვერ გეტყვით, რომ ვმეგობრობთ, მაგრამ როცა ერთმანეთს ვხვდებით, თბილად ვსაუბრობთ ხოლმე... ლევანი დაოჯახებულია. მას პატარა ბიჭი ჰყავს. თორნიკეს ძმის სურათი აქვს და როცა ბავშვი წამოიზრდება, რა თქმა უნდა, დამეგობრდებიან. თორნიკე მამის სპექტაკლებზე დადის ხოლმე. ლევანის დედა ზმირად მოდის ხოლმე ჩვენთან. ჩვენც ძალიან გვიყვარს ეს ადამიანი და მასაც ვუყვარვართ.

— თორნიკეს ალბათ უყვარს ფილმი „მზიური“ და საერთოდ, თქვენნი სიმღერები.

— ძალიან უყვარს ეს ფილმი. მასს-ოვს, ჰქონდა ისეთი პერიოდი, როცა დღეში რამდენჯერმე უყურებდა და თითქმის ზეპირად იცოდა: შეიძლება, ის მოსწონდა, რომ ძალიან მგაგდა ბავშვობაში: მეც ბუთხუზა ვიყავი და მასავით, ორი კბილი მაკლდა. თორნიკეც, პატარაობისას, ასეთი იყო. ახლა ეს მსგავსება შესამჩნევი აღარ არის. ახლა ლიზა უფრო მგავს. მას ცეკვა უყვარს. თორნიკეს ჯერჯერობით სიმღერა არ უნდა, თუმცა კარგი სმენა და სასიამოვნო ხმის ტემბრი აქვს.

— ლიზას მამასთანაც თუ გაქვთ ისეთივე თბილი ურთიერთდამოკიდებულება, როგორც თორნიკეს მამასთან?

— ლიზას მამა აჩიკო ყენია გახლავთ. მას ტელესარეჟისორო აქვს დამთავრებული, მაგრამ თავისი პროფესიით არ მუშაობს. მასთან, შედარებით ოფიციალური ურთიერთობა მაქვს. ლიზა მიჰყავს

ხოლმე სასეირნოდ — ეს არის და ეს.

— ორჯერ სცადეთ და ორჯერვე დაგენგრათ ოჯახი. საკუთარ თავში არ გიძებნიათ ამის მიზეზი? იქნებ, დამნაშავე თავად იყავით?

— მე ვიცი, რატომ მოხდა ორჯერვე ასე, მაგრამ ამას არ გეტყვით. ერთი რამ ცხადია: ვთვლი, რომ თავად განსაზღვრება — „ოჯახის დანგრევა“ არასწორია. უბრალოდ, ბევრი ოჯახი ცხოვრობს „ნანგრევებში“. თუ ურთიერთობა ჯანსაღი არ არის, ის უნდა დამთავრდეს. შვილებს არ უნდა დაანახვო არანორმალური ურთიერთობა, რათა მათი ფსიქიკა არ დაზიანდეს. ზმირად გამიგია: ოჯახი არ დანგრევი და შვილებს მამა შეეუწარჩუნეო. არა მგონია, ასეთი მიდგომა სწორი იყოს. თორნიკეს და ლიზას უყვართ თავიანთი მამები, ბავშვებს მხოლოდ კარგ ამბებს ვუყვები ჩვენს საოჯახო ცხოვრებაზე, იმაზე ველაპარაკები, თუ რის გამო მიყვარდა მათი მამები. განშორების მიზეზი მათ არ უნდა იცოდნენ. მე არ მეშინია იმის, რომ მარტო, უმამოდ ვზრდი ჩემს შვილებს.

— მომავალი როგორ წარმოგიდგენიათ? მესამედ გათხოვებას ხომ არ აპირებთ?

— ამის განჭვრეტა წინასწარ არავის შეუძლია. მე მჯერა ბედისწერის, ამიტომ ვერ გეტყვით, რა მოხდება. რაზეც ვამბობდი — არ გავაკეთებ-მეთქი და ვიცოდი, რომ მართლა არ გავაკეთებდი, მერე ძალიან ზმირად გამიკეთებია. ვამბობდი: არ გავშორდები ქმარს! — გავშორდი. შემდეგ სულ ვიძახდი: ნეტავ იმ ქალების თავში ჩამახედა, ვინც ერთხელ გასცილდება ქმარს და მეორედაც გათხოვდება-მეთქი... მეც გავთხოვდი მეორედ და ისევ გავცილდი. ერთი რამ კი დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: დღემდე მაინც მე ვუყვარვარ ყველას და ისინი კარგი ბიჭები არიან!

— თვლით, რომ ნამდვილი სიყვარული ჯერ არ გნვევიათ?

— მე ვთვლი, რომ ყველას სიყვარული მიყვარს და მიყვარს ჩემი განვლილი ცხოვრება. ძალიან საინტერესოდ ვიცხოვრე, რადგან მთელი ცხოვრების მანძილზე ვუყვარდი და მიყვარდა.

— თუ გიმღერიათ რომელიმე მამაკაცისთვის? თუ იყო თქვენს ცხოვრებაში ისეთი მამაკაცი, რომლისთვისაც სიმღ-

შვილებთან ერთად





ერა მიგიძღვნიათ?

— როცა სცენაზე ვდგავარ, მთელი დარბაზისთვის და ამ დარბაზში მჯდომი თითოეული მსმენელისთვის, ცალ-ცალკე, ვმღერი. უკვე ოცდაათი წელია, მიყვარს ჩემი მსმენელი და საერთოდ არ ვიცი, ვინ სად ზის დარბაზში. ეკა კახიანიის საფინანსო სიმღერაში ასეთი სიტყვებია: „როცა მესმის მეგობრების ხმა. როცა გხედავ ამ დარბაზში შენ, მიყვარხარ... მიყვარხარ... და დღეს შენთვის ვმღერი მე...“

— როგორი შეფვარებული ხარ?

— კარგი ვარ... ძალიან კარგი...
— **თქვენი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი პერიოდი ალბათ მაინც „მზიურში“ გატარებული წლებია. ძალიან პატარა განდით პოპულარული. ალბათ ამან შეგმატათ თავდაჯერებულობა და ერთგვარი თავისუფლებაც...**

— „მზიურის“ წლები, რა თქმა უნდა, უკვალოდ არ გამქრალა. ან როგორ შეიძლება გაქრეს იმდენი წლის ჯაფა?! ჩვენ ხომ ძალიან დიდი შრომის ფასად დაგვიჯდა ის, რომ მოვიარეთ მთელი ქვეყანა. ჩვენი შრომა არანაირ რეჟიმს არ ექვემდებარებოდა: როდის მოგვიწევდა ჭამა, დაძინება, წინასწარ არასოდეს ვიცოდით. ხშირად, გვშიოდა, გვეძინებოდა, მაგრამ მაინც ვმღეროდით. თითქოს პროფესიონალიზმი სისხლში შეგვიყვანეს და ბავშვობიდან გაგვიჩინეს პასუხისმგებლობის გრძნობა. პასუხისმგებლობა კი აუცილებელია, რად-

გან ის განსაზღვრავს ხარისხს. თანაც, „მზიურმა“ მოგვცა უზარმაზარი გამოცდილება და, რაღა თქმა უნდა, თავდაჯერებულობაც შეგვიძინა.

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ ძალზე პატარა ასაკიდან მღეროდით, ამიტომ „მზიურში“ არ უნდა გატარებოდით...

— სხვათა შორის, მე ძალიან რთული ბავშვი ვიყავი — ვერასოდეს ივებდნენ, რა მიხაროდა, რა მწყინდა, არავის ვიკარებდი სიანხლოვეს და საკმაოდ ჩაკეტილი ვიყავი საკუთარ თავში. მასსოვს, ძალიან ბევრს ვფიქრობდი. ჩავიხედავდი სარკეში და ვგრძნობდი — საკუთარი გარეგნობა არ მომწონდა. მაგრამ ერთ დღეს ჩემს თავს ვუთხარი: „გავიზრდები და ლამაზი გავხდები“ — და პრობლემა ბავშვობაშივე გადავწყვიტე... მქონდა ჩაკეტილი სამყარო. ბაღში არავის ვეთამაშებოდი. დედამ მიაშობო ასეთი რამ: „ერთხელ შენს დებს სათამაშოები ვუყიდეთ და შემდეგ შენ გკითხეთ: რა გიყვით? რა მოგწონს? ეს თოჯინა არ მოგწონს?“ — მომწონს, მაგრამ არ არის საჭირო-მეთქი — ვუპასუხე თურმე მე... სამაგიეროდ, სულ ვმღეროდი. მეზობელ ეზოებში დავდიოდი „ვასტროლებზე“, საკუთარ ეზოშიც ვატარებდი კონცერტებს. „მზიურში“ რომ მიმიყვანეს, არ მომეწონა, ბევრი გოგო რომ დამხვდა. კატეგორიული უარი განვაცხადე. იმ პირობით დამითანხმეს, რომ მხოლოდ ერთ კონცერტზე ვიმღერებდი. მაგრამ შემდეგ მომეწონა ყველა. დაემეგობრდით. „მზიურში“ გავიხსენი. აღმოჩნდა, რომ კარგი იუმორის გრძნობაც მქონია და კარგი მეგობრობაც შემძლებია... „მზიურის“ გოგონები უკვე დაწვანდნენ: ერთმანეთის შვილები გვყავს მონათლული.

— მაია, ბავშვებზე ზრუნვას ალბათ დიდი დრო მიაქვს?

— მე არ ვთვლი, რომ მათზე ზრუნვა დროს მართმევს: ორივე შვილი ძიძების გარეშე გავზარდე. არ ვთვლი, რომ ბავშვი პრობლემებს ქმნის, პირიქით — მიმაჩნია, რომ ბავშვი ყველა პრობლემას ხსნის. ჩემს შვილებს ყველაფერს მე თვითონ ვუკეთებ. სხვანაირად ვერც წარმომიდგენია. მართალია, არანაირი ხელსაქმე არ მეხერხება — არც კერვა ვიცი, არც ქსოვა, — მაგრამ შემიძლია კარგი მოდელი შევქმნა, ჩემი შვილებისთვის კარგი მეგობარი ვიყო...

რეაქციები



ნუ დამშვიდლები წარმატებაში, ძნელბედობაში ნუ კარგავ იმედს.
ლუციუს ანეუს სენეკა უმცროსი

ყოველი საგანი, რასაც ზამთარში თოვლი ფარავდა, გაზაფხულზე გამოჩნდება. ასევე, სიცრუე არ დაიფარება.
ლეონარდო და ვინჩი

ადამიანმა უნდა გამოთქვას თავისი აზრები. ეს, უფლება კი არა, მოვალეობაა.
პერსი ბიში შელი

სიკეთე რჩება, სისხლი რომ შრება — თესე სიკეთე გარეთ თუ შინა: თუნდაც შენს შვილებს არ მისცე შვება, შენს შვილიშვილებს დახვდებათ წინა.
იოჰან ვოლფგანგ გოეთე

მხოლოდ თავისთავზე ფიქრი და თავისთვის ცხოვრება ადამიანს აუბედურებს.
ბლუზ პასკალი

კაცმან საქმე მოაგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს.
შოთა რუსთაველი

ბრძენმა იცის, რომ მან იცის, შტერს ჰგონია, რომ მან იცის.
ესპანური ანდაზა

წესიერი ადამიანი დროთა მანძილზე სულ უფრო გულგრილად ისმენს თავის ქებასა და დიდებას.
ჯაკომო ლეოპარდი

თუმცა იცვალა გველმა პერანგი — გველადვე დარჩა გულით ვერაგი.
ივან კრილოვი



11 სექტემბერს კაცობრიობას სილა გააწნეს, ცივილიზაცია თითქოს შეტორტიმანდა. ადამიანებმა სხვანაირად დაიწყეს რეალობის აღქმაც და მომავალზე ფიქრიც. უეჭველია, არსებულიდან ბევრი რამ გადაფასდება, ბევრი რამ შეიცვლება და, შესაბამისად, სამყაროც სხვაგვარი გახდება. იმის შესახებ, თუ რამ მიიყვანა კაცობრიობა ამ ახალ ათვლის წერტილამდე და რა პერსპექტივა ისახება მისგან გამომდინარე, დიპლომატიური აკადემიის რექტორს, პროფესორ სოსო ცინცაძეს ვესაუბრეთ.

ამერიკა ბინ ლადენზე ჰაბერულ შეტევისას ამზადებს

მურალ გარნაძე

— რა პოლიტიკური, ეკონომიკური და თუნდაც ფსიქოლოგიური წანამძღვრები უსწრებდა წინ ამ სისხლიან თავრილს?

— ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ყველაფერი, რაც იმ ავადსახსენებელ დღეს მოხდა, უნიკალური იყო თავისი ფორმითა და ხასიათით. რა პერიოდს მოიცავდა, ვინ და როგორ ამზადებდა ამ ტერაქტებს — ამას დღეს აშშ-ის სპეცსამსახურები იკვლევენ. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი მონაცემები მათ ჯერჯერობით არ გააჩნიათ, არავის ეპარება ეჭვი, რომ 11 სექტემბერი ბინ ლადენის მოწყობილია, რაც სავსებით ლოგიკურია. როგორც ცნობილია, უსამა ბინ ლადენი საუდის არაბეთის სამეფო კართან დაახლოებული ოჯახიდან არის. მამამისმა — მუჰამედ ბინ ლადენმა, თავისი კარიერა მშენებლობაზე რიგითი მუშიდან დაიწყო, საბოლოოდ კი, თავის ქვეყანაში ერთ-ერთი უმდიდრესი ოჯახის უფროსი გახდა, რამაც სამეფო კართან მისი დაახლოება განაპირობა. მუჰამედი რომ გარდაიცვალა, უსამა ცამეტი წლისა იყო... როდესაც საბჭოთა ჯარები ავღანეთში შეიჭრნენ, იგი იქ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ფრთის ქვეშ აღმოჩნდა: მას ევალეობდა ისლამური სამყაროს დარაზმვა საბჭოთა აგრესიის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც წითელმა არმიამ ავღანეთის ტერიტორია დატოვა, ბინ ლადენი პატარ-პატარა ტერორისტული ორგანიზაციების შექმნას იწყებს და აშშ-ს უპირისპირდება.

ცნობილია, რომ ბოლო წლებში მას აშშ-ის წინააღმდეგ ეჭვი თუ შვიდი ძლიერი ტერაქტი აქვს განხორციელებული.

რამდენიმე წლის წინ აშშ-ის ზეწოლის შედეგად საუდის არაბეთის ხელისუფლებამ ბინ ლადენს მოქალაქეობა ჩამოართვა, რის შემდეგაც თავშესაფარი სუდანის ხელისუფლებამ მისცა, სადაც უსამას რამდენიმე დიდი ქარხანა და ფაბრიკა აქვს. მისი შემოსავალი, სხვადასხვა წყაროს მონაცემებით, წელიწადში 5 მლრდ დოლარს აღწევს. თალიბების მტკიცება, თითქოს ბინ ლადენმა ავღანეთის ტერიტორია დატოვა, ნაკლებად დასაჯერებელია, თუნდაც იმიტომ, რომ თალიბები პუშტუნები არიან, — მათ კი სტუმარმასპინძლობის მეტად თავისებური ტრადიცია აქვთ: ისინი სტუმარს ასე იოლად არ იმეტებენ, მით უმეტეს, ამ დონის სტუმარს. თანაც, ნუ დაგვაიწყდება, რომ საქმე ოჯახურ-ნათესაურ კავშირებთან გვაქვს: ბინ ლადენის ქალიშვილი რამდენიმე ხნის წინ პუშტუნთა ლიდერმა მოლა უმარმა ითხოვა, ხოლო ვაჟიშვილი მუჰამედი — ასევე პუშტუნთა ერთ-ერთი ლიდერის სიძეა...

— ბევრ ჩვენს თანამემამულეს ბუნდოვანი წარმოდგენა

აქვს ისლამური ფუნდამენტალიზმისა და იმ ფაქტორების შესახებ, რაც მისი ხასიათის განსაკუთრებულ აგრესიულობას განაპირობებს...

— ეს ძალზე მწვავე საკითხია, რადგან კაცობრიობა ღვას მეტისმეტად საშიში პრობლემის წინაშე. — არ დაიწყოს ისლამოფობია. გამორიცხული არ არის, რომ უსამა ბინ ლადენსაც მსგავსი რამ ჰქონდეს ჩაფიქრებული. თუ კი მსოფლიოს ორი უდიდესი რელიგია ერთმანეთს მწვავედ დაუპირისპირდა, ეს დამღუპველი აღმოჩნდება კაცობრიობისათვის. როგორც ცნობილია, თვით ისლამში არსებული ვაჰაბიზმის მიმდინარეობა ურწმუნოდ აცხადებს ყველა მუსულმანს, რომელიც არ იცავს და არ მისდევს ვაჰაბიტების მიერ აღქმულ და ინტერპრეტირებულ ყურანს. წარმოიდგინეთ — თვით დიდ ბრიტანეთში, რომ არაფერი ვთქვათ რუსეთზე, ვაჰაბიტებს ძლიერი პოზიციები აქვთ. ისინი, ძირითადად მოსახლეობის ღარიბი ფენების ფსიქიკაზე თამაშობენ — უცხადებენ, რომ ისლამის დღევანდელი სასულიერო



ლიდერები ძალზე გამდიდრდნენ და დაივიწყეს ღარიბი ხალხის პრობლემები, რის გამოც საჭიროა, წმინდა ისლამს დავუბრუნდეთ... დღეს დიდი ბრიტანეთის 16 ქალაქის თავი – მერი – მუსულმანია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ქალაქებში მოსახლეობის უმრავლესობაც მუსულმანია. დასავლეთის მასმედია აღნიშნავს, რომ დიდ ბრიტანეთში არსებობს სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც თავის მხრივ, ავღანეთში ომის დროს მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციების მემკვიდრეა. წინათ მათ ახალისებდა დასავლეთი – საბჭოთა არმიასთან საბრძოლველად, დღეს კი, როდესაც აღარც საბჭოთა კავშირი არსებობს და აღარც წითელი არმია, ისინი აშშ-ს უპირისპირდებიან და ბინ ლადენის დიდ ტერორისტულ არმიას ავსებენ.



არსებობს ინფორმაცია, რომ ბინ ლადენს თავისი ბაზები მსოფლიოს სამოც ქვეყანაში აქვს! ეს კარგად ორგანიზებული უდიდესი ქსელი, კომპიუტერიზებული და, საერთოდ, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საშიში და ანგარიშგასაწევი ძალაა.

— **11 სექტემბრის შემდეგ ახალ სიბრტყეზე გადავიდა აშშ-ის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობანი ჩინეთთან, რუსეთთან და მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან. როგორ ფიქრობთ, ურთიერთობათა ასეთ მკვეთრ ცვლილებებს ბიძგი ტერაქტებმა მისცა, თუ ეს მაინც მოსალოდნელი იყო?**

— ადრე თუ გვიან, ეს მაინც მოხდებოდა. 11 სექტემბრის ტერაქტებმა, უბრალოდ, კატალიზატორის როლი შეასრულა. ამ ტერაქტებმა ამერიკა ღრმად დაარწმუნა, რომ იგი თვითონაა დაუცველი: მას ხომ საკუთარი სიმბოლო, ეროვნული სიამაყე – ცათამბჯენები სულ რამდენიმე წუთში დაუნგრის. ასე რომ, ღირებულებათა გადაფასება და ახალ ურთიერთობათა ჩამოყალიბება აუცილებლად მოხდებოდა, რადგანაც იგი დროის მიერ არის ნაკარნახევი.

— **მაგრამ, რუსეთის, უზბეკეთისა და თვით პაკისტანის მხრიდან აშშ-ის მხარდაჭერა ხომ გარკვეულ მერკანტილურ ხასიათსაც ატარებს?**

— ეს სავსებით ბუნებრივია: „ლამაზი

თვალისთვის“ ამერიკას თავის ტერიტორიებს, საჰაერო სივრცესა და სამხედრო ბაზებს არავინ დაუთმობდა. შუა აზიის რესპუბლიკები დღეისათვის ყველაზე მძიმე დღეში არიან. თალიბთა და, საერთოდ, ისლამისტ ფუნდამენტალისტთა მთავარ სამიზნეს ეს რესპუბლიკები წარმოადგენს, რადგანაც აქედან ისინი თავისუფლად შეძლებენ რუსეთის ტერიტორიაზე „შეჭრას“. მათ რიცხვს თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ ჩეჩნეთიც, რომელიც რუსეთისათვის მოურჩენელ იარაღ იქცა... ავიღოთ თუნდაც პაკისტანის ლიდერი გენერალი მუშარაფი: ეს უკანასკნელი ამერიკისგან მოითხოვს პაკისტანური ოპოზიციის აღაგმვას, ან, სულ ცოტა, ფლორიდის შტატიდან, გაძევებას მაინც, სადაც ის ამჟამად ბინადრობს. გერმანიის კანცლერ შრედერის განცხადება – რომ გერმანია ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებს მომავალში სხვა ჭრილში განიხილავს – რუსეთისათვის უდიდესი საჩუქარია: წარმოგიდგენიათ? – რუსული პოლიტიკის გატარება ჩეჩნეთში განხილული იქნება, როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ მიმდინარე სამხედრო ქმედებანი... ასე რომ, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები თამაშის წესების შეცვლის გზას დაადგენ.

— **ამბობენ, რუსეთმა და აშშ-მა არაბული ქვეყნები ქალაქებზე უკვე გადაინანილეს კიდევო...**

— ასეთი რამ დღეს მხოლოდ ფან-

ტაზიის დონეზე თუ შეიძლება განვიხილოთ. ტერაქტების პირველ დღეებში ამერიკას დასჭირდა პროგრესულ ძალთა მხარდაჭერა, მაგრამ აშშ-ს საკმაო ძალები აქვს საიმი-სოდ, რომ თავისი პრობლემები თვითონ მოაგვაროს. დღეს ვაშინგტონში ძალიან ფართომასშტაბიანი გეგმა მუშავდება ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბინ ლადენის ხელში ჩაგდება არც ისე იოლია: იგი გამოქვაბულებს აფარებს თავს. მაგრამ იოლია მისი ავუარების ბლოკირება – ე.ი. ფინანსური და ეკონომიკური დარტყმების განხორციელება. ამერიკაში მუშავდება სპეციალური გეგმა, რომელიც ბინ ლადენის ანგარიშებზე ჰაკერული შეტევების განხორციელებას ითვალისწინებს. ამგვარად, ამერიკელებს სურთ, აურ-დაურიონ ფინანსური წყაროები და თუ ეს წარმატებით დასრულდა, იგი უსასხროდ დარჩება. აქედან გამომდინარე, ტერორისტთა მოსამზადებელი ბაზები, ბანაკები და კამიკაძეები მოულოდნელად თავზე დაემხოთა.

— **ნუთუ მსოფლიო ისევ ერთპოლუსიანი დარჩება? ამერიკას ხომ კიდევ ერთხელ მიეცა საშუალება, მსოფლიოს დანაახვოს საკუთარი სიძლიერე. მიგაჩნიათ თუ არა, რომ აშშ ერთადერთი შესახელმწიფოს პოზიციებს შეინარჩუნებს?**

— რასაკვირველია! აშშ-ის ლიდერობა – ახალ ტექნოლოგიებში, ფინანსურ და ეკონომიკურ სფეროებში – შეურყეველია. საგულისხმოა, რომ 11 სექტემბრის შემდეგ, ამერიკელი ხალხი ერთ მუშტად შეიკრა. ალბათ, ნახეთ, რამხელა რიგები იდგა საავადმყოფოებთან და სისხლის ჩასაბარებელ პუნქტებთან. გავიხსენოთ, რომ აფხაზეთთან ომის დროს ქართველი ექიმები ტელეეკრანებიდან იხვეწებოდნენ – სისხლით დაგვეხმარეთო და სისხლს მხოლოდ თითო-ოროლა კაცი თუ აბარებდა... ამერიკელმა ხალხმა დაამტკიცა, რომ გასაჭირში კი არ იბნევა, არამედ ფსიქოლოგიურად და სულიერად ძლიერდება და თავისი ხელისუფლების გარშემო ირახმება. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ამერიკა 11 სექტემბრის შემდეგ „ერთპარტიული“ გახდა...

ინფორმაციულ-მეცნიერული კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. პეტრე ჩაიკოსკი პომოსეკსუალისტი იყო.
2. „დიპ ბლუ“ – ასე ერქვა კომპიუტერს, რომელსაც გარი კასპაროვი ეთამაშა და ... წააგო.



3. გვიპტელი ქურუმები თმას სხეულის ყველა ადგილიდან იცლიდნენ. ამ პროცედურას ისინი დღეში ოთხჯერ ატარებდნენ.
4. ვერაზე მდებარე რესტორან „გემოს“ კედლები ლადო გუდიაშვილის მოხატული იყო.
5. აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს პიტლერი არაადამიანებსა (უნტერმენშენს) და სიცოცხლისთვის უღირსებს ეძახდა.
6. გაიუს ცილინოუს მეცენატი საიმპერატორო კარის დაახლოებული პირი და რომის იმპერატორ ავგუსტუსის მეგობარი იყო. მან სახელი როგორც მეცნიერების, ხელოვნების მფარველმა და ქომაგმა გაითქვა. P.S. „ენეიდა“ ვერგილიუსმა სწორედ მისი შეგონებით დაწერა.
7. დიოგენე სინოპელი დღისით-მზისით ანთებულ ფარნით დადიოდა. როდესაც ეკითხებოდნენ, ფარანი რად გინდაო, ადამიანს ვეძებო, – პასუხობდა.
8. ქალების დეფიციტი საკუთარ ქვეყანაში რომულუსმა მეტად მარტივად გადაჭრა – მან 800-მდე ქალი მოიტაცა და თანამემამულეთაგან ღირსეულებს დაურიგა. ერთ-ერთი მათგანი თავისთვის დაიტოვა და ცოლად შეირთო. P.S. რომაელთა უპირველეს „პირველ ლედის“ სახელად პერსილია ერქვა.
9. ვეშაპის კანს ესკიმოები უმად მიირთმევენ. ამ დელიკატესს მაქტაკი ეწოდება.
10. ზოოფილია ხანდახან იძულებითი ნაბიჯია. ძველად სპარსელი ჯარისკაცები ჯარის თანმხლებ, ვენერიულ დაავადებათა ბუდედ ქცეულ მებაეებს სამარხილე პირუტყვს ამჯობინებდნენ.
11. კათოლიკური ეკლესია სასტიკი პროტესტით შეხვდა ვაკუუმის აღმოჩენას, რადგან სწამდა, რომ ღმერთი ყველგან და ყველგან იყო.
12. მარტორქა ძალზე ცუდად ხედავს, მაგრამ, თუ მის წინას გათვალისწინებთ, ეს მის გარემომცვეთ უფრო უქნის პრობლემებს.

აზიზა და ძეგველი ეონა

მახტანგ ხონელი

სევდიან ფიქრს რა გამოლევს ციხის საკანში, მაგრამ ხანდახან, დარდის გასაქარვებლად ათას ოინს იგონებენ სოლმე პატიმრები. ყველანაირი ოხუნჯობის ავანჩავანი კი იქ ძეგველი ჟორა გახლდათ.

ერთხელაც, როცა ციხის ეზოში გაყვანილმა პატიმრებმა პატარა ეზოს წრიულად შემოვლა დაიწყეს, ჟორა ახალბედა მარნეულელ „ნაღზორს“, ჯან-ღონით სავსე შავ აზიზას აედევნა.

– რა გინდა? – შეუდრინა აზიზამ.
 – შენი კარგად ყოფნა, აზიზ-ჯან. აჰა, შენ 10 მანეთი, „პოლ ლიტრა“ არაყს და ცოტა „ზაკუსკას“ თუ მომიტან, მალარიჩი ჩემზე!

პატიმრებმა ნაბიჯი შეანელებს, რაკი დაინახეს, რომ ყურუმსალი ჟორა აზიზას ელაპარაკებოდა. ისინი უკვე მიხვდნენ, რომ ძეგველი თათარს მახეს უგებდა.

– მაინც რა მალარიჩს მპირდები? – თვალები ცბიერად მოწკურა აზიზამ.
 – ამას მერე ნახავ!
 – მაინც როდის? „მიმინოში“ სომეხს რომ ეუბნება ის ღურაკი რუსი – Помогу – через пять лет-ო, შენც ასე მპირდები არა მალარიჩს – აქედან 10 წლის მერე რომ გახვალ?

– იჰ, რა ურწმუნო თომა ხარ... დამოჯერე, რა! შენ არაფი და პატარა „ზაკუსკა“ გამიჩალიჩე და ბედსა გწვევ-მეთქი.

აზიზამ ეჭვით გააქნა ბომბორა თავი, მაგრამ ათი მანეთი მაინც გამოართვა, რადგან „ნაღზორად“ ორი თვის მისულს პატიმრებთანაც კარგი ურთიერთობის დამყარება სურდა. ორი საათის შემდეგ ჟორას და მის თანასაკნელებს არაყიც შეუგზავნა, იაფფასიანი 2 ძეხვიცა და 3-3 კილო კიტრი და პომიდორიც. გახალისდნენ პატიმრები. ჟორამ სულ „იაღში“ თათარი ეძახა „ნაღზორს“.

„ზაკუსკის“ მერე ძეგველმა აზიზა გვერდზე გაიყვანა, ტუჩების ცმაცუნით და ხელების ფშენებით „გამოლუტყა“ აზიზას:



– აზიზ-ჯან, ორი თვეა გაკვირდები და დავრწმუნდი, რომ ალალი კაცი ხარ. ერთი საიდუმლო მინდა გაგიმხილო. ბინის გასაჩხრეკად და ჩემს წასაყვანად რომ მოვიდნენ, მოვასწარი და ცელოფანის პარკში გახვეული 50.000 მანეთი ჩემმაში ჩავაგდე. ცოტა კი მრცხვენია, მარა ტუალეტს თუ ამოწმებ, იმ ცელოფანსაც ადვილად იპოვი. იქიდან 10 ათასი შენი იყოს, გაწყობს?

აზიზას თვალები გაფართოებოდა და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა. თავისთვის ფიქრობდა: „ვერ უყურებ ამ ყურუმსად ჟორას, რა „კრუპნი“ ფულის პატრონი ყოფილა?! იმიტომაც დაიჭირეს, რომ ხალხს ფულს „აწერდა“... ისე, გამიგია, მაგარი „ბლატნი“ ტიპი ყოფილა! არა, ამასთან ცუდი ურთიერთობა არ მაწყობს! თანაც, რაც ამ ადგილში გადავიხადე, იმასაც ამოვიღებ და ორი ათასიც დამრჩება“.

– მერე დედაშენი ან სოფლის ხალხი რას იტყვის?! – ძლივს ამოლერდა აზიზამ.

– შენ ეგ ნუ გადარდებს! დედაჩემს წერილს მივწერ, რომ ჩემი ძმაკაცი ხარ, სოფლის ხალხს კი სულაც არ გაუკვირდება ჩემგან გაგზავნილი კაცების დანახვა, რადგან იმ საცოდავ ქალთან ბევრი მიღის დასახმარებლად. ოღონდ, იცოდე, „გადაგდება“ არ იყოს, თორემ ყველგან „ქსივას“ დავაგზავნი და მიწაშიც რომ ჩაძვრი, იქაც გიპოვნიან.

– რას ამბობ, ჟორა, მასეთ კაცად მიცნობ? მე და ლალატი?! – ხელები გაასავსავა აზიზამ.

ჟორამ წერილი დაწერა და „ნაღ-

ზორს“ გადასცა. აზიზა კი მეორე დღესვე, დილაუთენია „გაფრინდა“ ძეგვში.

კითხვა-კითხვით მიაგონ ჟორას სახლს. შინიდან მოხუცი ქალი გამოეგება.

– მე ვარ, შვილო, ჟორას დედა. არ მითხრა, ცუდი ამბავიაო, თორემ თავსაც მოვიკლავ, მაგის მეტი პატრონი მე აღარა მყავს და... – ცოტაც და ტირილს დაიწყებდა ქალი.

– არა, დედი-ჯან, კარგად არის შენი ჟორა. ავე, წერილი გამომატანა და წაიკითხე. მე კი მისი ძმაცაა ვარ და მოსახმარებლად მოვედი.

ქალმა ბარათი გასწავა.

„დედი, ეს თათარი ჩემი ახლობელია. არ ვიცი, აქ რამდენ ხანს მომიწევს ყოფნა, ამიტომ ყველაფერში გამოიყენე, ისევე დაავალე, როგორც მე მაგალებდი ხოლმე. ყველაფერს ულაპარაკოდ შეგისრულებს. არ შეგეხატოს, ჩემსაც გაასუფთავებინე, მაგისი სპეციალისტია. ჩემზე არ იდარდო. გამოვალ და სულ სხვანაირად ავაწყობ ცხოვრებას. შენი დაჩაგრული შვილი ჟორა!“

– რას ამბობ, ქაა!.. სტუმარს როგორ ვაკადრო „იმეებში“ ქექქა! – ლოყაზე შემოირტყა ხელი, მაგრამ აზიზა ხალისიანად გაეპასუხა – რა მოხდა? სამუშაო არ უნდა ითაკილოო... ჯერ შემადანერხა და დააპო, მერე ეხო-ბაღჩა გაათავისუფლა სარეველასგან, ცოტაც წაიხემსა. ბოლოსთვის შემოინახა ჩემის გაწმენდა. პირი აიკრა, ხელთათმანებიც ამოიცვა და მართლა „სპეციალისტით“ შეუდგა საქმეს. ნახევარი მეტრი რომ ამოასუფთავა და ვერაფერი იპოვა, ცოტა კი დაეჭვდა; ჟორას დედას ჰკითხა კიდევ, ჩემამდე ვინმემ ხომ არ დაცალა ჩემიო? ქალმა კი მიუგო: მაგის დარდი ნეტავ, ვის ექნებოდაო. აზიზა დამშვიდდა და მუშაობა განაგრძო. დიდხანს იმუშავა, სუნი კი ანრჩობდა, მაგრამ არ ეპუებოდა. შებინდებისას ტუალეტებიდან ფურთხება-ფურთხებითა და გინებით გამოვიდა. ჟორას დედას თვალი რომ მოჰკრა, გაჩუმდა, მაგრამ ვაი, ამ გაჩუმებას.

– მოდი, შვილო, ხელ-პირი დაიბანე, ვანშიამი მოგიშავდე! – დაუძახა ქალმა.

– არა, არა! ახლა ვერაფერს შევჭამ! – ძლივს ამოღერდა გაცეცხლებულმა აზიზამ და აქოთებული ტანსაცმელი (ჟორას ნაქონი) სასწრაფოდ გაიხადა, ხელ-პირი დაიბანა, მაგრამ ის ამაზრუნენი სუნი ვერა და ვერ მოიშორა.

თბილისში ჩასულმა, მაშინვე ორთაჭა-

ლის ციხეს მიაშურა.

– ბიჯო, ეს რა მიქენი?! – ჟორას დანახვისთანავე შეჭყვირა აზიზამ.

– მომიტანე ჩემი წილი? – კითხვაზე კითხვა მიაგება ჟორამ.

– რა წილი, რის წილი? კინაღამ თავდაყირა ჩავეშვი, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე.

– აბა, აბა... აზიზ-ჯან, ეგეთები არ იყოს! ჩემთვის ფული არავის „შეუწერია“, იქით „ვაწერი“ ხოლმე! – ხმის ტონში მუქარა გაერია ჟორას.

– რა ფული, „ყარდაშ“, იქ სიმყრალის მეტი არაფერი იყო, ჩემმა მზემ! – უკან დაიხია აზიზამ.

– მაშ, კარგი. რახან ასეა, ახლა მე ციხის უფროსის სახელზე საჩივარს დავწერ და ყველაფერს ჩაუკაკლავ შენზე. მოწმეებიც მყვანან – დედაჩემი და მე-ზობლები! აი, მერე მიყარე კაკალი! – მუშტი მოუღერა ჟორამ.

ამ საუბარში ჟორას თანასაკნელი და მეგობარი – შოთაც ჩაერია, აზიზას ხელკავი გამოსდო და გვერდზე გაიყვანა:

– აზიზ, ჟორასთან საქმის გაფუჭებას არ გირჩევ, ხომ იცი, რა ტიპიც არის?!

– ვა, აბა, რა ექნა? – შეშფოთდა „ნაღზორი“.

– ყური მიგდე. მე მჯერა, რომ იქ არაფერი დაგზვდა, ჩემდა თავად, ამას ჟორასაც ვეტყვი, ხომ იცი, ძეგველი პურმარილიანი კაცია. ცოტა გული მოუღბე, კაი სუფრა გაუწალიჩე. მაგ საქმეს კი ჩვენ მივხედავთ და გავარკვევთ, ვინ გაიგო ფულის ამბავი. მიწიდან ამოვთხრით!..

– მერე მაგას პურმარილი ეყოფა?.. – თვალეებში იმედის ნაპერწკალი აუკიანდა აზიზას. – ვერა ხედავ, ცოფიანივით მიყურებს...

– შენ გაჩალიჩდი და ეგ საქმე მე მომანდე – მხარზე ხელი დაჰკრა შოთამ.

აზიზა შურდულივით გავარდა და სადამოს იმდენი ხორავი მიუზიდა პატიმრებს, რომ მთელი კვირა ცხოვრობდნენ გაღალატებულნი.

ბრიყვი აზიზას გაცურებაზე კი, გათავისუფლებული პატიმარყოფილები დღემდე ხორხოცებენ...

მერე იმასაც ამბობდნენ – აზიზამ ფული გადაიხადა, სხვა სამსახურში რომ გადაეყვანათ. ახლა კი წითელი ხიდისკენ მიმავალ ტრასაზე სასტვენითა და ინსპექტორის ჯოხით ხელში დგასო...

ინფორმაციულ-მედიცინითი კოლაჟი

ეორა დვალის უბის წიგნაკედან:




13. მდინარე ამპონში პირანის ოცდაათ სახეობამდე ბინადრობს, მათგან მხოლოდ 2-3 არის სახიფათო.

14. მარსელი, რომი, ბენგაზი, კაირო და თეირანი – ამ გზის გავლით დაბრუნდა საქართველოში ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გადარჩენილი ქართული განძი.

15. ქალაქ ხიროსიმაში, იმ სასაფლაოს შესასვლელში, სადაც ატომური ბომბის ჩამოვლების შედეგად დაღუპული ადამიანები არიან დაკრძალულნი, კედელზე ამოკვეთილია სიტყვები: „იძინეთ მშვიდად, ეს აღარ განმეორდება“. ამავე სიტყვებს იაპონელები ფიცის სახით იმეორებენ ხოლმე.

16. ნიკოლოზ გოგოლი 1852 წელს ხატების წინ ნახეს მკვლარი. იგი გულმხურვალე ლოცვის დროს გარდაიცვალა.



17. ვლადიმერ ვინსოცკის რომანს, რომლის დამთავრებაც მან ვერ მოასწრო, „მავი სანთელი“ ერქვა.

18. ტერმიტების დედა დღე-ღამეში 30.000 კვერცხს დებს.

19. ინდოეთის ქალაქებში ხშირად შეხვედებით ფაკირებს, რომლებიც სტვირზე უკრავენ და მათ წინ კი ტომრიდან სანახევროდ ამომძვრალი და კაპოუმონგამლილი კობრა ირწყვება. იღუზია იქმნება, თითქოს გველი მუსკის ხმაზე ცეკვავს, სინამდვილეში კი იგი აბსოლუტურად ყრუა. გველი სტვირის ნახვრეტს მისმტერებია და მხოლოდ მის მოძრაობაზე ირხვეა.

20. მსოფლიო პირველობის ერთი მატჩი მოჭადრაკეს ორი წლის სიცოცხლეს ართმევს, – ამბობდა მიხეილ ბოტვინიკი.

21. ერთხელ ჰიტლერს ასეთი ფრაზა წამოსცდა: „წარმოიდგინეთ ცთამბეჭენები და ბომბები... რა სილამაზეა!“ ამ ფრაზაში იგი ნიუ-იორკის შესაძლო დაბომბვას გულისხმობდა. P.S. დღეს რომ ვინმეს შეეძლოს მისი გაცოცხლება, რას დატკებოდა სანახაობით!

22. ომი საკმაოდ სერიოზული საქმეა იმისათვის, რომ ის გენერლებს მივანდოთ – ამბობდა ბისმარკი.

23. „ჩვენ ბარბაროსი შემოუფუშეთ ვეროპამი“, – ამბობდა ჩერჩილი სტალინის შესახებ.

24. ერთხელ მწერალთა კავშირში მისულმა გალაკტიონ ტაბიძემ ერთ-ერთი ოთახის კარი შეაღო და იქ თავშეყრილებს ღიმილით ჰკითხა: „კრება გაქვთ პოეტებს, ძამიკო?!“

უზენაეს სასამართლოში 2001 წლის ივლისში დაწყებული სასამართლო პროცესი, რომელზეც პოლიციელის მკვლელობაში ბრალდებული კახა მკერვალიშვილის სისხლის სამართლის საქმეს იხილავენ, დღემდე გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ პროცესის დასაწყისში საქმის განხილვაში უშუალოდ მონაწილე ზოგიერთი პირი აცხადებდა — სასამართლო სხდომა მალე დასრულდებაო, ეს მაინც არ მოხდა. ამის მიზეზად სასამართლოს თანამშრომლები მხარეების მიერ წარმოდგენილ არაერთ შუამდგომლობასა და დასაკითხად გამოძახებულ მონშეთა გამოუცხადებლობას ასახელებენ. თუმცა, დაზარალებულნი — მოკლული პოლიციელის ოჯახის წევრები ასე არ ფიქრობენ. ისინი ეჭვობენ, რომ სასამართლო პროცესი განგებ ქიანურდება (დაზარალებულთა, ასევე განსასჯელის ინტერესების დამცველი ადვოკატის პოზიცია ვრცლად „გზის“ №27-ში იხილეთ).



„კოსტოლეგი აკოვილე, კაკრაე როლის ვისროლე, არ მანსოვს“ დაზარალებულთა მტკიცებით, მკვლელი თავს მამა კახაბერად ასაღებდა

მეტი სანახა

34 წლის კახა მკერვალიშვილის პოლიციის თანამშრომლის — დავით გიგაურის, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის გარდა, კიდევ რამდენიმე დანაშაულში ედება ბრალი. პროკურატურის ინფორმაციით, მან არაერთი ბანდიტიზმი და ძარცვა-ყაჩაღობა ჩაიდინა. ერთ-ერთი ბანკის ძარცვისას კი, ამავე ბანკის თანამშრომლის განზრახ მკვლელობის მცდელობა ჩაედინა. სამართალდამცავთა თქმით, იგი შეიარაღებულ, ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფთან ერთად მოქმედებდა, უკანონოდ ატარებდა ცეცხლსასროლ იარაღს.

1996 წელს პოლიციამ ყაჩაღური დავგუფების წევრები დააკავა. რაც შეეხება მკერვალიშვილს, სამართალდამცავთა თქმით, მან გაქცევა და მიმალვა მოახერხა. იმავე დღეს მასზე ძებნა გამოაცხადეს.

პოლიციელებმა კახა მკერვალიშვილის დაკავება მხოლოდ 2000 წლის 6 აპრილს შეძლეს. მათივე განცხადებით, იმ დღეს მან ახალი დანაშაული, აზვერად განზრახ მკვლელობა ჩაიდინა. სამართალდამცავებმა იგი თბილისში ფაქტზე აიყვანეს. კახა მკერვალიშვილმა საკუთარი ცეცხლსასროლი იარაღით, მუცელში სასიკვდილოდ დაჭრა პოლიციის თანამშრომელი დავით გიგაური, რომელიც საავადმყოფოში, შემთხვევიდან ორ საათში გარდაიცვალა. გამოძიების თანახმად, მკერვალიშვილმა სხეულის დაზიანება მეორე პოლიციელს — ნიკა კახიძესაც მიყენა: ეს უკანასკნელი მან დანიტ (რომელიც ასევე თან ჰქონდა) ხელში დაჭრა.

გამოძიების მასალების მიხედვით, მკვლელობა 6 აპრილს, დაახლოებით ღამის სამ საათზე მოხდა. დავით გიგაური და ნიკა კახიძე სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ და ქვეთარაძის ქუჩაზე ე.წ. „ღამის შემოვ-

ლას“ აწარმოებდნენ. ამ დროს მათ ერთი ჯიხურის მხრიდან ჩიჩქოლი მოესმათ. როცა იმ ადგილს მოუახლოვდნენ, ნახეს, რომ ვიღაც უცნობი, წვერმოშვებული მამაკაცი, რომელსაც ტანით მღვდლის მოკლე ანაფორა ეცვა, ხოლო გულზე დიდი ხის ჯვარი ეკიდა და თმაც უკან შეკრული ჰქონდა, ჯიხურის გამყიდველს ეჩხუბებოდა. იგი მას არაყს, შოკოლადსა და სხვა ტუბილეულობას სძალავდა. როცა პოლიციელებმა, ვითარების გარკვევის მიზნით, იკითხეს — რა ხდება, რა ამბავიაო? — უცნობმა, რომელიც კახა მკერვალიშვილი აღმოჩნდა, მათ უთხრა: თავი დამანებეთ, ჭკუას ნუ მასწავლით, მე მამაო კახაბერი ვარო. რაგი მან ახალმოსულთაგან წინააღმდეგობა იგრძნო, დანის აქეთ-იქით ჭევა დაიწყო, ამ დროს მას ნიკა კახიძე სწვდა ხელში. შედეგად კახიძე მსუბუქად დაიჭრა კიდევ. მოულოდნელად მკერვალიშვილმა ცეცხლსასროლი იარაღიც ამოიღო და დავით გიგაურის მიმართულებით ისროლა. შემთხვევის ადგილას ხალხი მოგროვდა, ატყდა წივილ-კივილი. ვიღაცამ მკერვალიშვილს მკერივი სუგანი, სვარაუოდ, ბოთლი ესროლა. იგი მას თავში მოხვდა და მაშინვე გინება დაკარგა. გონს მოსულ მკერვალიშვილს გაქცევის საშუალება ხალხმა არ მისცა, მათ პოლიციელებს უთხრეს, რომ დაჭრილს სწორედ მან ესროლა.

პროკურატურის ამ ინფორმაციას თავად კახა მკერვალიშვილი და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი — ნოდარ ფიქრიშვილი არ ადასტურებენ. თუმცა, ისინი მკვლელობის ბრალდებას საგსებით არ უარყოფენ. „გიგაური განზრახ არ მომიკლავს, პისტოლეტი მართლაც ამოვიღე, მაგრამ გასროლის მომენტი არ მასწავს“, — ამბობს განსასჯელი. იგი ძიების დასაწყისიდანვე დუმილის უფლებით სარგებლობდა, ჩვენება არც წინასწარი გამოძიებისთვის და წინა სხდო-

მამდე არც სასამართლოსთვის მოუცია. თუმცა, პროკურორმა პროცესზე აღნიშნა მკერვალიშვილის მიერ დაწერილი დანაშაულის აღიარების შესახებ, რაზეც განსასჯელმა განაცხადა, რომ იგი მას პროკურატურის თანამშრომლებმა ადვოკატის გარეშე ძალით, ცემისა და წამების შედეგად დააწერინეს.

დაპატიმრებული მკერვალიშვილი 2001 წლის 28 მაისს ორთაჭალის ციხიდან გაიქცა. ციხის თანამშრომელთა თქმით, იგი ძლიერი ფიზიკური მონაცემებით გამოირჩეოდა. ალბათ სწორედ ამიტომ, მკერვალიშვილს ადვილად მოუხერხებია ციხის გაღწევაზე გადასვლა. ბაღრაგის თანამშრომლებმა იგი მაშინვე შეაჩინეს, უკან დაეღვენენ და ციხიდან ერთი კილომეტრის მოშორებით დააკავეს. გაქცევის ფაქტის გამო, პროკურატურა მკერვალიშვილის შესაბამისი მუხლით დასჯას მოითხოვს.

წინა სასამართლო სხდომაზე კახა მკერვალიშვილმა მოსამართლეს ჩვენება მისცა:

„პროკურატურა ძარცვა-ყაჩაღობასა და ბანდიტიზმში უსაფუძვლოდ და უკანონოდ მდანაშაულებს. მე არც ერთ იმ დანაშაულში მონაწილეობა არ მიმიღია. არც რაიმე ურთიერთობა მქონია იმ პირებთან, რომლებიც იგივე ბრალდებით არიან დაპატიმრებულნი, ხოლო როცა ბანკზე მოხდა თავდასხმა, მე მაშინ თბილისში საერთოდ არ ვიყავი. დაკავებულ დანაშაულთაგან ერთადერთი ადამიანი, რომელსაც კარგად ვიცნობდი — ქორიძეა. იგი ჩემი ბავშვობის მეგობარია, მაგრამ მასთან ერთად მე დანაშაული არ ჩამიდენია.

1996 წლიდან მოსკოვში ვცხოვრობდი. იქ სხვადასხვა საქმიანობით ვახლდით დაკავებული, ძირითადად ვხატავდი. სწორედ მოსკოვში შევიტყვე, რომ თბილისში პოლიცია მეძებდა. თბილისიდან დამირეკეს და ტელეფონში მითხრეს — „ვიდეოპატრულის“ გადასცეს — ქორიძე და კიდევ სხვა რამდენიმე პირი

მარცვა-ყარაღობისთვის დააკავეს, შენი სახელი და გვარიც გამოაცხადეს, დანაშაულში შენც ვლებენ ბრალს და ვეძებენო.

ვერ ვხვდები, რისთვის მეძებდა პოლიცია და რატომ მეძებდა ბრალს ამ დანაშაულში? ეს ამბავი რომ გავიგე, თბილისში დაბრუნება არც მიფიქრია. მოსკოვში ჩვეულებრივი ცხოვრება განვაგრძე. რამდენიმე წლის შემდეგ კი გადავეწყვიტე, თბილისში ჩამოვსულიყავი და ოჯახის წევრები მენახა. აქ 2000 წლის 5 აპრილს ჩამოვედი. მოსკოვიდან როსტოვამდე ავტობუსით ვიგზავრე, როსტოვიდან კი თბილისში მიკროავტობუსს ჩამოვეყვი. საღამოს 10 საათზე უკვე ქალაქში ვიყავი. ტაქსიში ჩავჯექი, მაგრამ მძღოლს თავი სახლამდე არ მივაყვანინე, მეზობელ ქუჩაზე გაგაჩერებინე მანქანა და გადმოვედი. იქვე ხეივანი იყო, ბაღის სკამზე დავჯექი, სივარუტი მოეწიე, მერე კი ნელ-ნელა ქვეთარაძის ქუჩისკენ გავწიე. მენატრებოდა სიერნობა, თბილისში დიდი ხანი არ ვყოფილვარ, თანაც ვფიქრობდი – არ ვიცოდი, სახლში როგორ მივსულიყავი და სიარულით დრო გამყავდა. ამასობაში ქვეთარაძის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ჯიხურთან მოვხვდი. შინ ხელცარიელი მისვლა არ მინდოდა და გადავეწყვიტე, ჯიხურში რამე მეყიდა. როცა იმ ადგილს მივუახლოვდი, ერთი ნაცნობი – დათო ლავაზაშვილი დავინახე. ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. დათოსთან არ ვმსაქობდი, მაგრამ კარგად ვიცნობდი. როგორც ჩანდა, იგი ჯიხურში გამოიდგელს იცნობდა, რადგან მას ჩემი თავი გააცნო. შევინთ ორი გოგო იჯდა (ერთს ალბათ ახლაც ვიცნობ სახეზე, მეორეს კი – ვერა). ერთი ბოთლი კონიაკი ვიყიდე. მაშინ დათომ მითხრა – მოდი, ჩვენი შეხვედრა აღვნიშნოთ და თითო ჭიქა დავლითო. ვიკონებმა ფავის ჭიქა გამოვევიწოდეს. ორი ჭიქა დავლიეთ, დათო თავიდანვე ნასვამი იყო, მე – არა. მეტი კონიაკი არ დავვლივთ, სურვილიც არ გვქონია, მხოლოდ ლუდი ვიყიდე და ისიც დავაყოლე. ჯიხურში მსხლმ გოგონებთან არ გვისაუბრია, მათგან სივარუტი და შოკოლადიც შევიძინე, ფულიც გადავიხადე, მერე ყველას გამოვემშვიდობე, დარჩენილი ლუდი და კონიაკი იქვე დავტოვე და წავიდი. ჯიხურთან სულ 10-15 წუთი ვაჩერდი.



მოკლული დავით გიგაური

მაგრამ მალე, ჩემდა უნებურად, იქ აღმოვჩნდი. არ მახსოვს, ზუსტად სახლიდან კვლავ ქვეთარაძემდე და იმ ჯიხურამდე მისვლას რამდენი ხანი მოვანდომე – შეიძლება, 1 საათი ან იქნებ, 4 საათიც – დროს არ ვაკონტროლებდი, არ ვეკვირდებოდი, რადგან ფიქრებში ვიყავი გართული და ჩემთვის დავსვირნობდი.

ჯიხურს რომ მივუახლოვდი, დათო ლავაზაშვილის ხმა მომესმა, როგორც ჩანდა, იქიდან არც წასულა, კამათობდა, რადგან ხმაძალი ლაპარაკი ისმოდა. ვიფიქრე, ალბათ ვიღაცასთან საქმეს არჩევს-მეთქი, იქითკენ წავიდი და ჯიხურს რომ მივუახლოვდი, კუთხეში უცნობები შევნიშნე. მერე ჯიხურში შევიხვედი – იქ სამი გოგო და ერთი ახალგაზრდა მამაკაცი დავინახე. სახეები არ მახსოვს. სუფრა იყო გაშლილი. კარი ღია ჰქონდათ და იქიდან ქუჩაში სინათლე გამოდიოდა. უცნობი, რომელიც დათოს ეკამათებოდა, ტანად ამ უკანასკნელზე ვაცილებით დიდი და მოსული იყო. ისეთი შობაგვდილება დამჩნა, რომ დათო იჩივებოდა და გადავეწყვიტე, მას მივშველებოდი. არ ვიცი, რის გამო ჩხუბობდნენ, მიზეზს არც ასწენებდნენ, ერთმანეთს მხოლოდ უშვერი სიტყვებით მიმართავდნენ. ვერ ვიტყვი, მუშტი-კრივი ჰქონდათ-მეთქი გამართული, დარტყმას რომელიმე მთავანის მხრიდან ადგობი არ ჰქონია. უბრალოდ, ერთმანეთისკენ იწეოდნენ და ერთიმეორეს საყვილებში ეჯავჯავურებოდნენ. მე მათ შორის, შუაში ჩავდექი, დათოს მივმართე – გაჩერდი, რა ხდება-მეთქი? დათომ მაშინვე დამიჯერა და გვერდზე გავიდა. უცნობმა კი, რომელიც სახით კარგად ვერ დავიმახსოვრე, მაგრამ მახსოვს, რომ ჩემზე დაბალი იყო, ახლა უხეშად მე მომმართა – შენ ვინა ხარ, დაგაგლეჯე მაგ წვეროსო. რა თქმა უნდა, ასეთ მომართვაზე მისთვის, „შენ გენაცვალე“ არ მითქვამს, თუმცა არც გინებაზე გადავსულიყავი. ვცდილობდი, უსიამოვნება დამთავრებულიყო. სწორედ ამ დროს, ჯიხურიდან მეორე ახალგაზრდა გამოვიდა. იმწუთს მათ სახეებზე არ დავეკვირვებოვარ, არც მიფიქრია ისინი მეთვალყურეობინა. დარწმუნებული არა ვარ, მაგრამ, როგორც შემდეგ მეხსიერებაში აღვიდებინე, მეორე ახალგაზრდა, რომელიც ჯიხურიდან მოგვანებთ გამოვიდა, ნიკა კახიძე უნდა ყოფილიყო. ის კი, ვინც დათოს ეჩხუბებოდა – დავით გიგაური. გიგაურის სახე თავიდანვე არ მახსოვდა, მისი სურათი პირველად გაზეთში ვნახე.

ორივემ მე დამიწყო ჩხუბი. არ დამიფიქსირებია, რომელმაც სად მომარტყა ხელი, მაგრამ მახსოვს, რომ ორივე მტემდა. წავიქეცი, ძალიან ველავადი და გაღიზიანებული ვიყავი, ძირს დაცემულსაც მტემდნენ, ხელებს და ფეხებს მირტყამდნენ. რაღაც მომენტში,

წამოდგომა მოვახერხე და ჯიბიდან დანა ამოვიღე. ე.წ. „ბაბოჩკა“ იყო, ქურთუკის ჯიბეში მდებოდა. დანა მოსაგერიებლად ამოვიღე და აქეთ-იქით ვიქნევიდი, მათი დამინების მიზნით, რათა არ მომკარებოდნენ. სწორედ მაშინ გავიგონე კივილის ხმა, დანა გადავავლე, მინდოდა იქაურობას გავეცლოდი და უკვე მივდიოდი კიდეც, როცა იმ ორიდან ერთ-ერთმა იარაღი ამოიღო და ჩემი მისამართით გაისროლა, თან დაიყვირა – სად მიდიხარ, შენო!.. მე მისგან დაახლოებით 5-6 მეტრის დაშორებით ვიდექი. ვერ ვიტყვი, რომ მკლავდა და ამ მიზნით ისროლა, მაგრამ პისტოლეტი აშკარად ჩემკენ იყო მომართული. იარაღი მაკაროვის სისტემის გახლდათ. თუ არ ვცდები, ის, ვინც ისროლა დავით გიგაური იყო.

იარაღი – ნავანის სისტემის პისტოლეტი, მეც მქონდა, ქაძარში, ცხვირსახოცში გახვეული მდებოდა. ვახუნებით სავსე იყო. იარაღი რომ ამოვიღე, მახსოვს. სწორედ მაშინ, მსხვერვის ხმა გავიგონე, რაღაც მაგარი მომხვდა თავში, ალბათ ბოთლი იყო ან, შესაძლოა, სხვა რამეც. სამინელი ტკივილი ვიგრძენი და მაშინვე გონება დავკარგე. გავისროლე თუ არა იმ მომენტში – არ მახსოვს, შესაძლოა, ვისროლე კიდეც... ეს ყველაფერი სულ რაღაც ორ წამში მოხდა. როცა გონს მოვედი, საავადმყოფოში, რენანიციამ ვიწვეო. იმავე დღეს, საავადმყოფოდან პოლიციის განყოფილებაში მიმიყვანეს. სწორედ იქ მითხრეს – კაცია მკვდარი, შენ მოკალიო!


კახა მკერვალიშვილი თავს ნაწილობრივ ცნობს დანაშაულზე. იგი დაქინებით აცხადებს, რომ მას დავით გიგაურის მკვლელობა განზრახ არ ჩაუდენია. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლომ განსასჯელის მიერ მიცემული ჩვენება არ გაიზიარა და იგი მის მიერ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით მოგინიღად ჩათვალა, სხვა ბრალდებებთან ერთად (თუ ისინიც დადასტურდა), კანონის მიხედვით, კახა მკერვალიშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა – სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

განსასჯელი იმასაც უარყოფს, რომ მას ტანთ მღვდლის ანაფორა ეცვა, თავს მამა კახაბერად ასალებდა და სამართალდამცავებს ასე ემალებოდა. მისი მტკიცებით, შემთხვევის დღეს მას შავი ნაჭრის, წარწერებიანი ქურთუკი ეცვა.

რაც შეეხება მკერვალიშვილის მიერ დასახელებულ დათო ლავაზაშვილს, თავის დროზე ბრალდებამ იგი, როგორც მოწმე, საქმიდან მოხსნა. სასამართლოში ლავაზაშვილის დაკითხვის საკითხი არაერთხელ დადგა, თუმცა გამოძახების მიუხედავად ის პროცესზე არ გამოცხადდა. განსასჯელის ადვოკატის, ნოდარ ფეიქიშვილის თქმით, დათო ლავაზაშვილის სასამართლოში მოყვანა პროკურატურას არ აძლევს ხელს..

„ბინა გაიჭურღეს, ესაუ არ გაქარეს — ყოველ ღამით ჩემს ფანჯრებს ქვეს უშენენ“

დაზარალებულის თქმით, პოლიციას დამნაშავეთა დაჭერა არ სურს



რამდენიმე დღის წინ თბილისში მომხდარი ერთი ბინის ქურდობის შესახებ შევიტყვეთ. თავად ფაქტი ნამდვილად არ გაგვევირვებია, რადგან სამწუხაროდ, ბოლო წლებში მსგავსი დანაშაული ყოველდღე ხდება. ამას არსებული სტატისტიკური მონაცემებიც მოწმობს, რომლის მიხედვითაც, ქვეყნის მასშტაბით ერთ დღეში ქურდობისა და ძარცვა-ყაჩაღობის რამდენიმე ფაქტი ფიქსირდება. ჩვენი აღუფოთება მსგავსი დანაშაულის მიმართ, ქართველ სამართალდამცავთა გულგრილობამ და უინტერესობამ გამოიწვია. თუმცა, რაღა უინტერესობამ? როგორც ფაქტები მოწმობს, პოლიციელები სწორედაც რომ დიდ ინტერესს იჩენენ ხოლმე ამ სახის დანაშაულის მიმართ — ოღონდ არა მისი გახსნის, არამედ საკუთარი ჯიბეების გასქელების მიზნით. ალბათ ამიტომაც არის, რომ ყველაზე ხშირად, გაუხსნელიც სწორედ ბინის ქურდობა რჩება ხოლმე.

მეზო სანავა

2001 წლის 2 ივლისს მუხიანის დასახლებაში მცხოვრები ნანა ქავთარაძის ბინა გაჭურღეს. როგორც დაზარალებული ოჯახის წევრები აღნიშნავენ, დამნაშავე, მეზობლად მცხოვრები ახალგაზრდა გახლავთ (ბრალეულობის შესაძლო დაუდასტურებლობის შემთხვევისთვის, ამ პიროვნების ვინაობის დასახელებისგან თავს ვიკავებთ). მათივე თქმით, მის შესახებ პოლიციის განყოფილებაშიც იცინან. უფრო მეტიც, მათ ეჭვმიტანილი პირველ დღეს დააკავეს კიდევ, თუმცა რამდენიმე საათში გაათავისუფლეს. ამჟამად, ჩადენილი დანაშაულისთვის, ეჭვმიტანილის სახით დაკავებული არავინ არის.

დაზარალებულის — ნანა ქავთარაძის თქმით, პოლიციელები, ისევე, როგორც ეჭვმიტანილის მშობლები, მას ნივთების დაბრუნებას დაჰპირდნენ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი ჩივილს შეწყვეტდა. მეზობლებმა სიტყვა არ შეასრულეს, მიზეზი, დაზარალებულის მტკიცებით, ის გახლავთ, რომ ისინი პოლიციას პერიოდულად სოლიდურ თანხას უხდიან.

ნანა ქავთარაძე, დაზარალებული:

„რამდენიმე თვის წინ შვილი — 4 წლის პატარა გოგონა დამეღუპა: სრული-

ად მოულოდნელად, თავის ბებიას გულის წამლები — პატარა აბები მოჰპარა და დალია... ამ საშინელი სტრესიდან დღემდე ვერ გამოვედი. იმ პერიოდშიც, როცა ჩვენი ბინის ქურდობა მოხდა, ძალიან ცუდად ვიყავი. 2 ივლისის საღამოს თავი საშინლად ვიგრძენი, ჩემი მეუღლე ღამიდან მოშორდა და მამინაც სამსახურში იყო წასული, შინ მხოლოდ მე და ჩემი უფროსი, 8 წლის ვაჟი გახლდით. ბავშვს ვთხოვე — ძალიან ცუდად ვარ, წამოდი, ცოტა ხნით გარეთ გავიდეთ, იქნებ, გრილმა ჰაერმა ოდნავ მაინც მიშველოს-მეთქი. თანაც, გარეთ გასვლა სიბნელის გამოც გავებდე: მეზობლების მერიდებოდა, ვიფიქრე — არ დამინახონ და არ თქვან — ნეტავ, ამ უბედურების შემდეგ, რა ესეირნებო... როგორც ჩანს, მაინც შეგვნიშნეს... ყოველ შემთხვევაში, ვისაც ძალიან აინტერესებდა შინიდან ჩემი გასვლა, მათ ეს მომენტი მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ... ცოტა ხანში მე და ჩემი შვილი უკან დავებრუნდით. სადარბაზოში რომ შევედით, ჩვენი ბინის კართან (პირველ სართულზე ვცხოვრობთ) ორი ბიჭი შევნიშნე. ერთი ვიცანი — ჩემი მეზობელი იყო, მეორე კი ზურგით იდგა და მისი სახე ვერ ვავარჩიე. სადარბაზოში ბნელოდა, მაგრამ მათი დანახვა არ გამჭირვებია. მომეჩვენა, თითქოს ის უცნო-

ბი ბიჭი ჩემი კარის საკეტში რაღაცას უყრიდა, მეზობელი კი, თავისი ტანით ეფარებოდა. შიშის გრძნობა დამეფულა. ალბათ ამიტომაც, თავს ჩავაკონე, რომ ყველაფერი მეჩვენებოდა. არაფერი მითქვამს, ისე გავაგრძელე შვილთან ერთად გზა და კიბეს აუყუყვი. როგორც ჩანს, მათაც მიცნეს: მეზობელი ჩემ წინ დადგა, თითქოს გზა გადამიღობა და კარისკენ წასვლის საშუალებას არ მძლევედა. მაშინ კი დავერწმუნდი, რომ არაფერი მომჩვენებია და ბინის კარის გაღებას მართლაც ცდილობდნენ. რამდენიმე წამში ის უცნობიც მოშორდა კარს და ორივე წავიდა. შიშისგან ხმა არ ამომიღია, არც ის მიკითხავს — რა იყო, რა ხდება? რა გინდოდათ-მეთქი? აკანკალებული შევედი შინ.

ეს ბინა რამდენიმე თვის ნაყიდი გვაქვს, ახალი გადასულები ვართ საცხოვრებლად, ამიტომაც ყველა მეზობელთან დაახლოებული ვერ არ ვარ. ერთ-ერთს ვიცნობდი ყველაზე კარგად, ვცადე, მასთან დამერეკა და მეთქვა მომხდარი შესახებ. უკვე ეძინა, მომერიდა და ჩემი პრობლემის გამო, აღარ გავაღვიძე. როცა შინ ჩემი მეუღლე დაბრუნდა, არც მისთვის მითქვამს რაიმე. ვიფიქრე, ისედაც განერვიულებულია, დადლილი მოვიდა და ამაღამ ამ საფიქრალსაც არ გავუჩინე-მეთქი. არ მოველოდი, თუ იმავე

ლამეს მოხდებოდა რაიმე საშინელება...

არასოდეს ისე ღრმად არ გვიძინებია, როგორც იმ ღამეს. დილით ადრე უნდა ავმდგარიყავით და ბავშვის სასაფლაოზე წავსულიყავით. ჩვენ კი დილის II საათამდე არ გავკვლიყავით. იმ დილით მივხვდით, რომ ბინა გაქურდული იყო: ერთ-ერთ საძინებელ ოთახში, სადაც არავის ეძინა, ფანჯრიდან მინის ნაწილი გამოვლიათ. როგორც ჩანს, იქიდან ხელი შემოყვას და ფანჯარაც გააღეს. ბინაში ასე შემოსულან. ყველაფერი წაუღიათ იმ ოთახიდან, სადაც არავინ იყო. ცხადია, ქურდმა იცოდა, ვინ სად იძინებდა ხოლმე ჩვენს სახლში, ისიც იცოდა, რომ ჩემი ქმარი მუსიკოსი გახლდათ, ძვირფასი ინსტრუმენტები ჰქონდა, და ისიც, თუ სად აწყობდა მათ. იმ დილის შემდეგ, ჩემს შვილს მუდმივი თავის ტკივილი და ღებინება აქვს. ვერაფერი გავუკეთ. ვფიქრობ, ქურდებმა რაღაც ვაზი გაუშვეს და ბავშვი მოიწამლა. ღებინება ჩემს ქმარსაც აქვს, მე კი მანამდე ცუდად ვიყავი და ამიტომ, რაიმე განსაკუთრებულ ცვლილებას ვერ ვამჩნევ...

როცა ბინა გაქურდული აღმოვაჩინეთ, მაშინვე თვალწინ დამიდგა ის სურათი, რაც წინა საღამოს დავინახე. მაშინვე მეზობელი ბიჭის მამასთან ავედი. ერთ სადარბაზოში ვცხოვრობთ, ახლო ურთიერთობა არ გვქონია, მაგრამ ჩვეულებრივად ვესალმებოდით ერთმანეთს. ვუთხარი: ჩემი ნივთები დამიბრუნეთ და არანაირი პრეტენზია არ მექნება, ამ ამბავს არ გავაზნაურებ-მეთქი... საშინელი სკანდალი ამიტეხეს, ყველაფერს უარყოფდნენ. მე მაშინვე პოლიციისკენ გავემართე. იქ ახსნა-განმარტება დამაწვინინეს და ეჭვმიტანილი მეზობელიც გამოიძახეს. რამდენიმესაათიანი საუბრისა და დაკითხვის შემდეგ, პოლიციის სამძებრო განყოფილების თანამშრომელმა – უბნის ინსპექტორმა სოსო ჭუმბურიძემ გამომიცხადა – შენ ამ ბიჭის დაჭერა რაში გაწყობს?! შეწ-

დამარაღებული ნანა ქავთარაძე



ყვიტე ჩივილი და ესენი ნივთებს უკლებლივ დაგიბრუნებნო. იმ ბიჭის მშობლებმაც დამიდასტურეს – შენ ოღონდ გაჩუქდი და ყველაფერს მოგიტანთო. მეც გაჩუქდი. გავიდა დრო, მაგრამ არავინ არაფერს მიბრუნებდა. განსაკუთრებით, ჩემი შვილის ოქროს სამკაულზე მწყდებოდა გული. მითხრეს – ის უკვე გაყიდულიაო... ისევ პოლიციას მივმართე. იქ უკვე ნორმალური პასუხის ღირსადაც არ მთვლიდნენ. ვეკითხებოდი – რატომ არ აკავებთ იმ ადამიანს, ქურდობა ხომ თქვენ წინაშეც აღიარა-მეთქი? პოლიციის უფროსის მოადგილემ (ფეხები მაგიდაზე ჰქონდა შეწყობილი, შავოსანი ქალი შევედი ოთახში და არც ჩამოუღია ძირს) უხეშად მიპასუხა – შენი ბინის ქურდობისთვის ახლა კიდევ ხალხი მაჭერინეო...

ამის შემდეგ პოლიციაში სიარულიც შევწყვეტი. ვხედავდი, რომ მეზობელი ოჯახი თანდათან ყველაფერს ყიდდა, მალე უცხოური მარკის ავტომანქანაც გაყიდეს, მეზობლები მეუბნებოდნენ – სახლიდან თითქმის ყველაფერი გაიტანეს, ეს პოლიციელები პირდაპირ ყელეფენო...“

დაზარალებული აცხადებს, რომ პოლიციის არც ერთი თანამშრომელი მის ბინაში არ მისულა – არც შემთხვევის ადგილი დაუთვალიერებიათ და არც თითის ანაბეჭდები აუღიათ.

ნანა ქავთარაძე:

„სამწუხაროდ, მე ამ საგამოძიებო მოქმედებებში ვერ ვერკვივდი. მეც დამკითხეს, ჩვენებაც დავწერე, მაგრამ ეჭვმიტანილს რა დააწვინინეს, არ ვიცი. არც ერთი ოქმი თვალთ არ მინახავს.“

ოქმებამდე არც ჩვენ მიგვიშვეს. იმ მიზნით, რომ დაზარალებულის მიერ მოწოდებული ინფორმაცია გადაეკუმოწმებინა, გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის სამმართველოს მივაკითხეთ. სამწუხაროდ, პოლიციაში იმაზეც კი ვერ მივიღეთ პასუხი, თუ როდის აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მომხდარ ფაქტზე. შეკითხვაზე – ჩატარდა თუ არა რაიმე საგამოძიებო მოქმედება ქურდობასთან დაკავშირებით? – პოლიციის უფროსის მოადგილემ პაატა პაპიაშვილმა მოკლედ გვიპასუხა: „არ მახსოვს, ჩატარდა თუ არა შემთხვევის ადგილის დათვალიერება ან თითის ანაბეჭდების აღება. შეიძლება, არც ჩატარებულა, რადგან ამას ალბათ დაზარალებულმა შეუშალა ხელი“.

ნანა ქავთარაძე:

„რა ხელის შეშლაზეა ლაპარაკი, როცა პოლიციელებს ყოველდღე ვემუდარებოდი – გამარკვით, რა ხდება-მეთქი. არავინ პასუხს რომ არ მცემდა, მეც შევწყვეტიე იქ სიარული. თავად კი, ერთხელაც არ დაინტერესებულან.“

ამას წინათ სამძებროს თანამშრომელი – სოსო ჭუმბურიძე, რომელსაც ჩემი ბინის ქურდობის საქმე თავიდანვე ჰქონდა დავალებული, მეტროს სადგურში შემხვდა. შემიკითხა – სად ხართ, აძღენი ხანი პოლიციაში რატომ არ გამონდითო? მე აღარ ვუთხარი, რომ გაბრაზებული ვიყავი და პროტესტის ნიშნად, მაგათ არაფერს ვეკითხებოდი, და უცებ, რაც მომაგონდა, ის ვუთხარი: ავად ვიყავი, საავადმყოფოში ვიწვექი-მეთქი. სოსო ჭუმბურიძემ კი, იცით, რა მიპასუხა? – ჰო, მე ოცჯერ მაინც ვიყავი თქვენთან სახლში მოსული, კარს არავინ მიღებდა, მერე მეზობლებთან ვიკითხე და მითხრეს – საავადმყოფოში წვესო...“

დაზარალებულის მიერ ეჭვმიტანილი პიროვნება და მისი ოჯახის წევრები დანაშაულს კატეგორიულად უარყოფენ. სამართალდამცავთა თქმით, მათ მისთვის ბრალის წაყენების საფუძველი არ გააჩნდათ. თუმცა, როდესაც უბნის ინსპექტორს – სოსო ჭუმბურიძეს ნანა ქავთარაძესთან ნივთების დაბრუნების თაობაზე მოლაპარაკება შეევახსენეთ, გვითხრა: „მე სპეციალურად, შინაურულად ვესაუბრებოდი დაზარალებულსაც და იმ პიროვნებასაც, რომელსაც ქავთარაძე ადებდა ხელს. ეს ოპერატიული მუშაობის ერთ-ერთი ხერხია“. თუმცა, ამ „ხერხის“ მიზანი ჭუმბურიძემ ვერ აგვიხსნა. პოლიციის უფროსობა კი, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სრულყოფილი და გადამოწმებული ინფორმაციის მოწოდებას მომავალი კვირისთვის დაგვიპირდა.

ნანა ქავთარაძე:

„ვიდრე ძალა მეყოფა, ვივლი პოლიციასა და პროკურატურაში და დამნაშავის კანონიერად დასჯას მოვითხოვ. ჩემს შეურაცხყოფას არავის შევარჩენ. ბინა გამიქურდეს და ესეც არ მაკმარეს – ყოველ ღამეს ჩვენს ფანჯრებს ქვებს უშენენ...“

თუ პოლიციამ დაპირებული ინფორმაცია მართლაც მოგვაწოდა, ამ საქმეს დაუბრუნდებით და გამოძიების შედეგებსაც ვაგაცნობთ.

ცნობილი პოლიტიკოსების არანაკლებ ცნობილი ცოლები საზოგადოების მუდმივ ინტერესს იწვევენ. გამონაკლისს, არც სოციალისტ ვახტანგ რჩეულიშვილის მეუღლე, მაია რჩეულიშვილი წარმოადგენს, რომელიც ინტერვიუზე კარგა ხნის „დევენა-შევიწროების“ შემდეგ დავითანხმე...



ჩვენს ქალბატონს მაია რჩეულიშვილი ვიცა-სვიკან პაუჩეს რუსულან ლებანიძე

— ქალბატონო მაია, ამჯერად ჩვენი მკითხველის წინაშე როგორ წარგადგინოთ: როგორც პოლიტიკოს ვახტანგ რჩეულიშვილის მეუღლე თუ წარმატებული ბიზნესმენი ქალი?

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, როგორც ვახტანგის მეუღლე და მხოლოდ ამის შემდეგ — როგორც ბიზნესმენი.

— გამოდის, რომ თქვენი და ბატონი ვახტანგის გზები ამ ინტერვიუშიც სწორად გადაიკვეთება, თანაც — როგორც პოლიტიკაში, ისე ბიზნესშიც. მოდით, ბიზნესით დავიწყოთ...

— ჩემი ბიზნესი 1992 წელს დაიწყო, როცა ჩემმა მულმა მოსკოვში ავიაკომპანია „მშვიდობა“ ანუ „ლიდია“ გახსნა, მე კი თბილისში სააგენტოების ქსელი შევქმენი. დღეს ეს საკმაოდ დიდი და მრავალდარგოვანი კომპანიაა, რომელსაც მარტო თბილისში 17 სააგენტო აქვს. სხვათა შორის, შემდგომში სწორედ ამ ბიზნესმა მასწავლა, თუ როგორ უნდა გაგვეკეთებინა ორგანიზაცია პარტიული სტრუქტურისათვის, რა იყო მთავარი და რა — მეორეხარისხოვანი.

— იმ პერიოდში ბატონი ვახტანგი სადღა იყო?

— ვახტანგი იმ დროს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, საკმაოდ გავლენიანი ფიგურა იყო. თუმცა, თანამდებობა ჩემი ბიზნესის წინ წასაწვევად, ნამდვილად არ გამოუყენებია.

— არადა, ამბობენ, მამათქვენმაც, დღეს მის გამგებლობაში მყოფი ჰესები, სიძის ვიცე-სპიკერობის წყალობით, ხელში ჩაღის ფასად ჩაიგდო...

— მამაჩემს ამ ჰესების პრივატიზება მართოს არ მოუხდენია. მას ჰყავდა და ჰყავს სერიოზული პარტნიორები, რომლებმაც თავის დროზე სერიოზული თანხები, თანაც — ყველა წესისა და კანონის დაცვით გაიღეს და ჰესები სწორედ ასეთი გზით შეიძინეს. კი, ვახოს შეეძლო თანამდებობის გამოყენება



და ხელის წაშვებება, მაგრამ ეს მას ნამდვილად არ გაუკვირებია. მეტიც, სწორედ ვახო იყო პირველი, ვინც კორუფციის წინააღმდეგ გამოვიდა და ხმამაღლა განაცხადა — ლამის ყველა თანამდებობის პირი კორუმპირებულიაო. ამის გამო სისხლის სამართლის საქმეც კი აღვიძრეს და შალვა ბიძია — ვახოს მამა იყო ამ პროცესზე ჩვენი დამცველი...

— მამათილს ბიძიას ეძახდით?

— დიახ. იმიტომ, რომ სანამ რჩეულიშვილების რბალი გავხდებოდი, კარგა ხანს ვახოს დის — ლალის ამხანაგი ვიყავი და მის ოჯახშიც ყველას კარგად ვიცნობდი...

— თქვენი სამშენებლო ბიზნესიც „ლიდიასავით“ მომგებიანი აღმოჩნდა?

— იცით, ეს ბიზნესი სრულიად შემთხვევით წამოვიწყეთ. ეს მაშინ მოხდა, როცა შევარდნაძის უახლოესი გარემოცვის გულმოდგინე გარჯის შემდეგ მე და ვახო ლამის ქვეყნის პირველ მტრებად გამოგვაცხადეს და წყნეთიდან გამოგვაძევეს — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მაშინ მამაჩემმა დაგვაშვიდა: ნუ გეშინიათ, უსახლკაროდ არ დაგტოვებთ, ის კი არა და, ისეთ სახლს

ავიშენებთ, დიღსა და პატარას თვალი ზედ დარჩესო...

— ყბადაღებულ არმაზის სახლზე ხომ არ არის საუბარი?

— დიახ. სწორედ მასზეა და მინდა, ერთხელ და სამუდამოდ, ყველას გასაგონად გამოვაცხადო, რომ ამ სახლის მშენებლობასთან ვახტანგ რჩეულიშვილს არანაირი კავშირი არა აქვს. ის მამაჩემმა ჩემს დისშვილს — ნინო დარასელსა და ჩემს შვილს — გუკას, ე.ი. ბაბუამ თავის ორ შვილიშვილს აუშენა! თუმცა, არმაზის სახლი აქ სულ სხვა მიზნით ვახსენე. საქმე ის არის, რომ როცა მისი მშენებლობა დასრულდა, მოვიდნენ ჩვენთან ვიღაც-ვიღაცები და გვკითხეს — ხომ არ გაყიდითო? თანაც, ლამის სამმაგი თანხაც შემოგვთავაზეს. ცხადია, გაყიდვით არ გავყვივოდი, მაგრამ იმას კი მაშინვე მივხვდი, რომ ეს საქმე არაჩვეულებრივად მომგებიანი უნდა ყოფილიყო. ასე დაიწყო ჩვენი სამშენებლო ბიზნესი. ჩვენ თბილისის ძველი უბნების გეგმაზომიერ განაშენიანებაზე ვმუშაობთ: ჩვენ ვართ შუალედური რგოლი — ვენმარებით მსურველებს ამხანაგობის შექმნაში, ვირჩევთ სამშენებლო კომპანიებს და არქიტექტურულ სახელოსნოებს, ვდგებით გარანტიად... შედეგად, ძველი, ავარიული სახლების ადგილზე ისეთი ახალი სახლები შენდება, რომ იმ კონკრეტულ უბნებსაც უხდება და აღამიანებსაც საცხოვრებელი პირობები საგრძნობლად უუმჯობესდებათ.

— კონკრეტულად, რომელ სახლზეა საუბარი?

— მაგალითად, გმირთა მოედანზე, ე.წ. „მილიანი“ სახლის გვერდით აშენებულ ახალ სახლზე, რომელიც უკვე დასრულდა და იმ გარემოშიც ნამდვილად ორგანულად „ჩაეწყრა“. ორი სახლი — ვერის ბაღში და ფიქრის გორაზე — ჯერ მშენებარეა და ორივე საკმაოდ ლამაზი და ორიგინალურია. გარდა ამისა, სახლებს ვაშენებთ დარიალის და ბარნოვის ქუჩების კუთხეში, აბაშიძის, ჭავჭავაძის ქუჩებზე და ასე შემდეგ. და ყველგან ყველაფერი ყველა წესისა და ნორმის დაცვით კეთდება.

— ანუ, ფორმა სახელს უფროსილდება...

— რა თქმა უნდა. ჩვენს სახელს არაფერისთვის, არანაირი მოგებისთვის არ დავცემთ ძირს. სხვათა შორის, ჩვენ მარტო სახლების მშენებლობაში კი არ ვმონაწილეობთ — მათი მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობაზეც ვზრუნავთ. პირველი ფანჯარტური, ბოცვაძის ქუჩაზე, ჩვენი საცხოვრებელი სახლის ეზოში მოვაწვევე. მთელ ეზოში ულამაზესი ყვავილები დაფარავკვინე. ბავშვებისთვის საქანელა დაფარავკვინე... ადენი ბავშვის სიხარულს რომელი ძვირფასი ნივთი შეედრება?! აბა, რა დამავიწყებს ჩემი ზაზუკას, ჩემი დისწულის — ნინო დარასელის ბიჭის ანთებულ თვალებს: იცი, მაია, ჩვენთან რა ლამაზ ბაღს აშენებენო? — არ

იცოდა, რომ მე ვაშენებდი...

— და მაინც, ამდენი სიკეთის მიუხედავად, თქვენი ბიზნესი, ჯერ-ჯერობით, მაინც მხოლოდ მდიდრებისთვისაა. განა ბევრის ჯიბე გასწვდება ასეთი სახლის აშენებას?

— დიას, ყველაფერს, ცხადია, ვერც ჩვენ ვწვდებით. თანაც, ამ ბიზნესს, ისევე, როგორც ბევრ სხვა კარგ საქმეს საქართველოში, უამრავი ხელის შემშლელიც ჰყავს. მე დღეს თბილისში არაერთი სამშენებლო ფირმა ვიცი, რომელსაც სხვადასხვა სტრუქტურა უბრალოდ ამოსუნთქვის საშუალებასაც კი არ აძლევს.

— მაინც რომელ სტრუქტურებზეა საუბარი?

— ახლა არა, მაგრამ დადგება დრო და ყველას სათითაოდ ჩამოვთვლი. დღეს კი მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩვენ, საბედნიეროდ, ისინი არ გვაწუხებენ.

— რატომ? ბატონი ვახტანგის ხომ არ ეშინიათ?

— ეტყობა...

— რა იქნებოდა, ყველა ბიზნესმენს პარლამენტში თითო ასეთი „ვახო“ რომ მისცა?! თუმცა, მოვეშვათ უტოპიას და ისევ რეალობას დავუბრუნდეთ: ამბობენ, ვახტანგ რჩეულიშვილს მისი ბიზნესმენი ცოლი, პოლიტიკაშიც ბევრ რამეს კარნახობს...

— ჯერ ერთი, თავდაც ვახოს პარტიის წევრი და მისი სარევიზიო კომიტეტის თავმჯდომარეც ვარ. და მეორეც: კარნახით, ნამდვილად არაფერს ვკარნახობ. საბედნიეროდ თუ საუბერლოდ, რჩეულიშვილები საკმაოდ ნიჭიერი ხალხია. არადა, არ უნდათ იმის აღიარება, რომ ვახოს, ბევრისგან განსხვავებით, მოვლენების წინასწარ განჭვრეტა და შეფასება შეუძლია და ყველაფერს მათ კარნახობსო, ამიტომაც დაუჩემებიათ. სად მე და სად ვახო? რა უნდა ვუკარნახო?!

— როგორ? სულ, სულ არაფერს კარნახობთ?

— როგორ არა? ვკარნახობ, რომ არ იყოს ფიცხი; იმსახიობოს; რომ ყველაფერი გულთან ასე ახლოს არ მიიტანოს; ვკარნახობ, რომ ერთდროულად, ბევრი სიმართლის თქმა არ შეიძლება: ბევრი სიმართლე ზოგჯერ საზიანოც კია... განა თავის დროზე, სწორედ ამ სიმართლისთვის არ მოგვიძულა და გავგრიყა პრეზიდენტის უახლოესმა გარემოცვამაც?

— მაგრამ ერთხანს ხომ თავადაც ამ გარემოცვის ორგანული ნაწილი იყავით და, ამდენად, პრეზიდენტზე ზემოქმედების გარკვეულ ბერკეტებსაც ფლობდით. განა თქვენ კი არავინ მოგაძულებიათ და გაგინირავეთ?

— არა! პიროვნულად, არც მაშინ და არც მერე არავისთვის არაფერი გავგიფუჭებია... ადრეც მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმ-

კორებ: შალვა და ვახო რომ არ ჰყოლოდა საქართველოს, უნდა გამოეგონათ! ვახოს წივილი-კივილი კი არ უნდა აუტეხო — უნდა მოუსმინო, რას ამბობს. ასე რომ მოქცეულიყვნენ, საქმე აქამდე ნამდვილად არ მივიდოდა: ქვეყანას კორუფცია აგრერიგად აღარ შეჭამდა და უპატიოსნო გზით ნაშოვნო ამდენი ქონებაც არავის ექნებოდა...

— უქონელობას არც თავად უნდა უჩიოდეთ. ის კი არა და, ამბობენ, რჩეულიშვილებმა, მარტო არმაზის სახლი რომ გაყიდონ, მთელი ცხოვრება ფეხი-ფეხზე გადადებული იცხოვრებნო...

— არმაზის სახლზე უკვე მოგახსენეთ, ვისიცაა. საერთოდ, ჩვენს ქონებას რაც შეეხება, ნამდვილად ყოველთვის შეძლებულად ვცხოვრობდით.

— საიდან მოდიოდა ეს შეძლება? ქონება მამა-პაპამ დაგიტოვათ თუ თავად იშოვეთ?

— შალვა ბიძიას მთელი ცხოვრება წარმოუდგენლად დიდი ჰონორარები ჰქონდა, იმიტომ, რომ წარმოუდგენელ საქმეებს იგებდა...

— კომუნისტების ეპოქისთვის, როცა ბატონი შალვა ადვოკატობდა, ეს „წარმოუდგენლად დიდი შემოსავალი“ ცოტა უჩვეულოდ ხომ არ ჟღერს?

— კომუნისტების დროს ის შემოსავალი, ცხადია, ხელფასის სახით არ ფიქსირდებოდა...

— ანუ ეს იყო „ჩრდილოვანი“ შემოსავალი, რომლის ლეგალიზებაც ახლა ავლაპარაკდით — ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მავანსა და მავანს ძალიან დასჭირდა? ნეტავ, იმას როდისღა ვიტყვი, დღეს ფულს სინამდვილეში ვინ და რა გზით შოულობს და ვინ რამდენ ქრთამს იღებს?

— იცით, რა?... ქრთამი რომ აიღო, ზემოქმედების ბერკეტები უნდა გქონდეს. დღეს ვახოს ზემოქმედების არანაირი ბერკეტი არ გააჩნია: ის ხომ „ოპოზიციის ვიცე-სპიკერია“ და არა რომელიმე მოქმედი მინისტრი...

— ერთი სიტყვით, მთელი თქვენი ქონება მხოლოდ თქვენი მშობლების დამსახურებაა?

— ძირითადად ასეა. მეც და ვახტანგიც, მშობლებს ყოველთვის გაფუფუნებულები ვყავდით. შალვა ბიძიას მამა-ბიძას, მაგალითად, მის გარდა, მემკვიდრე არ ჰყავდა და მთელი უძრავ-მოდრავი ქონებაც მას დაუტოვეს. ვახტანგიც, პრაქტიკულად, ერთადერთი მემკვიდრეა. შალვა ბიძიამ ლალის — ვახოს დას, მოსკ-

ოვში არაჩვეულებრივი ბინა უყიდა. ჩვენი ბინებიცა და ოფისებიც მისი ნაყიდა. ის კი არა და, ერთხელ, ერთი ბინა მუხიანშიც კი გვიყიდა. კი, მაგრამ, შალვა ბიძია, მუხიანში ბინა რაღად გენდა-მეთქი? — გამიკვირდა. მოგვიანებით კი ის ჩვენს დღევანდელ ბათუმის ბინაში გადაცვალეთ. ასე რომ, ის ბინაც შალიკოს ნაყიდა... ერთი სიტყვით, ჯერ შალვა გვაფუფუნებდა, 90-იანი წლებიდან კი თავად ვახოსაც საკმაოდ წარმატებული ბიზნესი ჰქონდა, საიდანაც პარლამენტარობისთვის წამოვიდა...

— იმასაც ამბობენ, ბატონმა შალვამ თავის ვაჟს პარლამენტაროს სკამიც საკმაოდ ძვირად უყიდაო...

— აი, ეს კი ნამდვილი ცილისწამებაა. ჩვენ არასდროს არაფერს ვყიდულობთ — პირიქით, რითიც შეგვიძლია, სხვებს ვხმარებთ.

— თქვენს ქველმოქმედებაზე მართლაც ბევრს ლაპარაკობენ. ამ მხრივ ცალკეულ ჟურნალისტებსაც ძალიან სწავლობთ — ცხადია, მათ შემოქმედებით ნინსვლას ვგულისხმობ. ზოგადად მასმედიასთან კი არცთუ ისე მარტივი ურთიერთობა უნდა გქონდეთ...

— თუ „რუსთავი-2“-თან ურთიერთობას გულისხმობთ, ეს მისი ტენდენციურობის, უფრო ზუსტად — მისი ცალკეული ჟურნალისტების ტენდენციურობის ბრალია.

— უფრო კონკრეტულად?

— კი, ბატონო, უფრო კონკრეტულად ვიტყვი: „დარღუბალაში“ ხომ იღებენ პრეზიდენტს და, თანაც ეს იმდენად კარგიც ჰგონიათ, რომ მთელ საქართველოს აჩვენებენ. მაშინ, იქნებ, ერთხელ, ერთი სერია მაინც, სააკაშვილზეც

ვახტანგ რჩეულიშვილი (მუაში) და შალვა რჩეულიშვილი (მარჯვნივ) მეგობართან ერთად



გადაელოთ.

— სხვათა შორის, „დარდუბალას“ ერთ-ერთ ბოლო სერიაში სააკაშვილ-მაც გაიუღვა.

— არ ვიცი. ეტყობა, მაგ სერიისთვის არ მიყურებია.

— მასსოვს, თავის დროზე, მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, — საქართველოში ათიდან ცხრა ჟურნალისტი ნაყიდაო, თქვენც დაეთანხმეთ.

— ჰო, მასსოვს... იყო მსგავსი რაღაც...

— მაშინ „მყიდველთა“ შორის, ცხადია, ნამყვანი პარტიებიც იგულისხმებოდა...

— ჩვენს პარტიას არასოდეს არც ერთი ჟურნალისტი არ უყიდა.

— რატომ? ფული არ გყოფნით?

— გყოფნის კი არა, მეტიც გვაქვს! საერთოდ კი უზნებობაა, როცა პოლიტიკოსი თუ სახელმწიფო მოხელე, პირველ რიგში თავად ყიდულობს ჟურნალისტებს და შემდეგ ამას სხვებს უკიჟინებს. მე და ვახოს კი ეს არასოდეს გაგვიკეთებია. ყოფილა, ზოგჯერ უსაზღვრო პატივიც კი მიცია, მაგრამ ჟურნალისტისთვის წერილი არასოდეს შემიკეთავს...

— როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანეთ, პრეზიდენტის უარყოფით რაკურსში ჩვენება მხოლოდ იმ გაზეთის ან ტელევიზიის ჟურნალისტს შეუძლია, რომლის უკანაც ძალივან სტრუქტურებზე დაყრდნობილი უმაღლესი ხელისუფალი დგასო...

— დიახ. და დღესაც ამავე აზრისა ვარ.

— მაშინ, მართალი გითხრათ, ცოტა ვერ გავიგე: პრეზიდენტი ხომ თავად არის უმაღლესი ხელისუფალი, რომელიც, პირველ რიგში, სწორედ ძალივან სტრუქტურებს ეყრდნობა...

— ჩემს ნათქვამში ყველაფერი ძალზე ზუსტად და გასაგებად იყო ჩამოყალიბებული. მე მხედველობაში პრეზიდენტი კი არა, პარლამენტის უზენაესი ხელისუფალი და მისი უახლოესი გარემოცვა მყავდა. იცით, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე პარლამენტში ერთი კაციც არ მინახავს, რომელიც გამოვიდოდა და გულთ დაიცავდა პრეზიდენტს...

— მიგაჩნიათ, რომ დღეს შევარდნაძე ვინმემ უნდა დაიცვას და თანაც — გულით?

— არა, დღეს აღარ! იმიტომ, რომ მაგან ჩაგვავლო ამ მდგომარეობაში. მაგან მოიყვანა ეს ხალხი... პარლამენტის თავმჯდომარედ ზურაბ ჟვანიას მოყვანა იქნებოდა?! მაგრამ ხანდახან მეჩვენება, რომ პრეზიდენტი ბარიერებს თავადვე იქმნის, რომ მერე გადასტყეს.

— ქალბატონო მაია, აი, ახლა

გისმენთ და ვფიქრობ: ვახტანგ რჩეულიშვილის ჩრდილქვეშ ყოფნა რატომ არ მოგბეზრდათ. იქნებ, პოლიტიკაში ბედი დამოუკიდებლადაც გეცადათ?

— რა გითხრათ... ამაზე ნამდვილად არ მიფიქრია... შეიძლება, ასე უფრო წყნარად ვარ და იმიტომ. თანაც, აქ, ბიზნესში, ყოველი შენი ნაბიჯის შედეგს თვალნათლივ ხედავ: მოგებაც სახეზეა და წაგებაც. პოლიტიკაში კი... პოლიტიკაში შედეგს ხანდახან მთელი ცხოვრებაც უნდა ელოდო... ასე რომ, ჩემთვის ამ მხრივ ვახტანგის წინსვლაც სავსებით საკმარისია.

— თანაც, პოლიტიკაში სხვისი, თუნდაც საცვარელი მეუღლის სახელით ლაპარაკი ბევრად უფრო ადვილიცაა, არა?

— დიახ, დიახ! და ეს განსაკუთრებითაც დააფიქსირეთ, თორემ შეიძლება, ჩემი აზრებისთვის კიდევ მიჩვილო. ასე რომ, სჯობს, ისინი რაც შეიძლება ხშირად მიაწერონ დეპუტატ ვახტანგ რჩეულიშვილს.

— ბატონი ვახტანგის „ოქროს თევზს“ რატომ გეძახიან?

— რა ვიცი, ეს სახელი თავად ვახოსმ შემარქვა. ალბათ იმიტომ, რომ ძილად ჩვეულებრივი ცოლი არა ვარ. ალბათ მე მას რაღაც სხვა, განსაკუთრებული იღბალი მოუტანე. ისე, ახლახან, აჭარაში ყოფნისას ასეთი რამ მითხრეს: შენ თუ „ოქროს თევზი“ ხარ, მაშინ ვახტანგი „ოქროს ზვიგენიაო“. მე ეს უფრო მომიყვინა.



— აჭარაში თქვენი ყოველი ჩასვლა ბატონ ასლან აბაშიძესთან ასოცირდება. მართლა ასე ხშირად გამოძვრავთ ხოლმე?

— მე არ მასსოვს, ასლან აბაშიძეს ერთხელ მაინც დაერეკოს და ეთქვას, ასე და ასე მოიქცეთო. ის სულ სხვანაირი, გამორჩეული ადამიანია. და, ალბათ, ამიტომაცაა ერთნაირად საინტერესო, როგორც მამაკაცებისთვის, ისე ქალებისთვის. მამაკაცებისთვის — როგორც უზალო პოლიტიკოსი, ქალებისთვის კი — როგორც ძალზე უცნაური ადამიანი. მას ხომ გამორჩეულად დახვეწილი მანერები აქვს... ბატონი ასლანი სილაბაზის, ერთგულების დამნახავი და თავდაც ძალიან ერთგული ადამიანია...

— თუ ასეა, მაშინ რაღა მაინცდამაინც შევარდნაძეს გაუორგულდა?

— გადახედეთ ყველაფერს და ისე განსაკვეთ, ორგულია თუ ერთგული...

— ...ან იქნებ, ბატონი ასლანიც ის ხელოვნური ბარიერია, რომელსაც შევარდნაძე, როცა უნდა, მაშინ გადაასტემა?

— არა და არა! ასლან აბაშიძეს და ელუარდ შევარდნაძეს საკმაოდ კარგი პარტნიორული ურთიერთობა აქვთ.

— მაშინ გამოდის, რომ მხოლოდ ჩვენ — უბრალო მოკვდავთ — გვაბნევენ და, ხანდახან, გულებსაც გვისთევავენ... მაგრამ მოვეშვათ ძლიერთა ამა ქვეყნისათა ჩახლართულ ურთიერთობებს... ქალბატონო მაია, ბატონი ვახტანგ რჩეულიშვილი (გვარიც ხელს უწყობს) მართლა თქვენი რჩეულია თუ, როგორც ქმარი — ის „გარდაუვალი აუცილებლობა“, რომელიც, გინდა თუ არ გინდა, მაინც ცაში უნდა აიყვანო?

— არა, არა — ნამდვილად რჩეულია.

— ამბობენ, თქვენამდე სხვა ცოლიც ჰყავდაო...

— არა. მე ვახტანგის პირველი და ერთადერთი მეუღლე ვარ.

— მაშ, ეს ქორი საიდანღა მოდის?

— არ ვიცი... ალბათ, იქიდან, რომ ახალგაზრდობაში ბევრი გატაცება ჰქონდა...

— როგორც ჩანს, აპატიეთ. ისე, მაინც, როგორი ადამიანი უფრო ხართ: მკაცრი თუ მიმტევებელი?

— ძალიან მკაცრი ვარ.

— ჩვენს ჟურნალს ამდენ ხანს რატომ ემალებოდით?

— არა, კი არ ვემალებოდი — უბრალოდ, დრო, უფრო სწორად — უდროობა იყო მიზეზი. აი, ახლაც, ჩანთები გამზადებული მაქვს, ყოველ წუთს შეიძლება დავერიეკონ და ისევ აჭარაში წავიდეთ...

6060 ხარაგიშვილი

ბატონი რომან კინმარიშვილი თერძია. მისი მოდების ატელიე „რომანი“ კი ვაგზლის მოედანზე, ვგონებ, ერთადერთი ობიექტია, სარეკლამო აბრიდანვე რომ არ „ყვირის“ და ავ თვალს, მართლაც, რომ არ ენახებოდა.

„ძველ“ დროში პრეზიდენტსაც ვუხერხვდი, ასეა


კოსტიუმებს პარიზიდან უზაჰნიან

— ბატონო რომან, რატომ ასე თავმდაბლურად? თქვენი წარსული კონტაქტების პატრონს ალბათ, ცოტა უკეთესადაც უნდა აგნებოდათ ბიზნესი...

— როგორ გითხრათ, მძიმე წლები გამოვიარეთ. ვინ არ დაგვარბია. შენიშნავდით, ფასადი მთლიანად რკინის გალიაში გვაქვს ჩასმული. ამ ბოლო წლებში კლიენტმა დაიკლო, თორემ თოფიანი კაცის ყურადღებამ, იცოცხლე, იმატა. თქვენ ძველი კონტაქტები გამახსენეთ... რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ მაშინ შემემლო მომავლის უზრუნველყოფა. ცოდვას ვერ ვიტყვი, არაერთხელ შემოუთავაზებიათ მაშინდელ ხელისუფალთ, შენ ოღონდ ხელი დაგვიდე, სადაც გინდა, იქ მოგიწყობთ ყველაფერსო. მაგრამ მე პლენარული კაცი ვარ, სხვა კაცურ მორალზე გაზრდილი.

— მაგრამ, დღევანდელივით, როცა არაპროფესიონალიზმის ბუმი, თავი პროფესიონალმაც ხომ უნდა გამოიჩინოს?

— სამწუხაროდ, ჯერჯერობით თავს ვერ ვერევი. საკუთარი პერსონის რეკლამა არ მიყვარს. დღესაც თავს ვერ ვიწონებ. იმ შემთხვევითმა ხალხმა შეიქოს თავი, კაცმა რომ არ იცის, რა საქმიდან მოსულან და დღეს რომ შემოდელეობას იბრალებენ. ამ ოცდაათიოდე წლის წინ ერთი ქართველი კაცი მოღვაწეობდა პარიზში, ასათიანი. არაჩვეულებრივი სპეციალისტი, სამი სოლიდური პარიზული ატელიეს მფლობელი. მათგან ერთი, მართო მილიონერებს ემსახურებოდა თურმე. აქედან ჩასულ ჩემს პრესტიჟულ კლიენტებს უთხოვიათ, რაიმე შეგვიკერეთო. იმას უთქვამს, იშვიათი ქსოვილებს გაგატანთ, მთელი თოფობით და იმას მიუტანეთ,



ვისი შეკერილებიც გაცვიათო. მერე თბილისში ჩამოვიდა ის კაცი. მასთან შეხვედრაც მოვახერხე.

— უცხოეთში მომუშავე სხვა ქართველ ოსტატებსაც შეხვედრიხართ?

— ლონდონში საქმიანობდა სამამულო ომის დროს იქ მოხვედრილი ერთი ჩვენებური კაცი, ვინმე მოდრეკელიძე. დღესაც ცოცხალი უნდა იყოს. შესანიშნავი ხელოსანია. მასაც შეხვედრივარ. მის ნიჭიერებაზე რა არ გამოგია. საერთოდ, ქართველები ნიჭიერი ხალხი ვართ, სამწუხაროდ, არა მარტო კარგში.

— მასწავლებელი ვინ გყავდათ?

— მაქსიმ ავერბახი. იყო ერთი ასეთი იშვიათი ხელოსანი. ერთხელ მეგობარს

მივეყვი მასთან, რაღაცას აკერიებდა. რომ ჩააზომა და დაატრიალა, არ დავიმორცხვე და ორიოდე შენიშვნა მეც ვუთხარი, — ასე ხომ არ სჯობს-მეთქი?! ყოჩაღო, — მომიტრიალდა — ტალანტი გაქვს, კარგი ოსტატი დადგება შენგანო. ამან უფრო გამათამამა და იქვე, ფურცელზე დაუუხატე ის ჩემი შენიშნული დეტალი. აღფრთოვანდა.

— სხვა ოსტატებთანაც შეგიძლიათ?

— ბიძაჩემი ცხოვრობდა ბელინსკის ქუჩაზე, დედის ძმა. მისი სახლიდან ვერ მაგლებდნენ. უფრო იმიტომ, რომ ზედ ვერის ბაზართან პატარა ატელიე იყო და ერთი იქაური ხელოსანი ძალიან მიზიდავდა. გამოიჭრელი იყო, ჭანიშვილი, გვარად, დაბალი კაცი, ულამაზესი სახის. მისი სიტბო არ მავიწყდება. რა გაინტერესებს, ბაბუ, რა გინდა ისწავლო? სულ გვერდით ვედექი. სწორედ მისგან შევისწავლე ამ ხელობის მთელი ტექნოლოგია.

— არ გესამუშეობდათ ბიჭს ნემსი და კერვა?

— არავითარ შემთხვევაში, მაგრამ მე ბიჭობიდანვე მოდელის შექმნა, დეტალების მოფიქრება, მათი მხატვრული დამუშავება, საკუთარი გემოვნების გამოხატვა უფრო მომწონდა. სატვა მიყვარდა — სულ კოსტიუმების ესკიზებს ვაკეთებდი. თავიდან ჩემს უბანში, პლენარულზე დავიწყე მუშაობა, გამოიჭრულად. მალე გამოიჭრელიცა და გამეცე მე ვიყავი, მაშინ, კომუნისტების დროს, გვემის შესრულება იყო მთავარი. აღმოჩნდა, რომ ჩემი მისვლით ატელიეს კლიენტურა მოემატა. სულ ნარჩევი ხელოსნები მოვიზიდე, მოწაფეები გავიჩინე. იქაურობა ძალიან მიყვარდა. განსაკუთრებით, ძველი გამეცე — ამბროს იაშვილი. იშვიათი სახ-

სოვარი დამიტოვა — წითელი ხისჩარ-
ჩოიანი ანტიკვარული სარკე, მგონი, XII
საუკუნის ნაკეთობაა.

— რატომ არ დაკიდებთ? მშვე-
ნიერი, ძლიერი საკიდრები აქვს...

— ცრუმორწმუნე ვარ და იმიტომ. იქ,
პლენხანოვზე უკვე ჩემს გამგობაში, იყო
ასეთი შემთხვევა: მივედი სამსახურში
დილით და სარკის ნამსხვრევებს ფეხი
დავადგი. ცუდად მენიშნა და უფრო იმ-
იტომ ვიჩქარე იქიდან გადმოსვლა. თანაც
მაშინ უკვე ალაპარაკდნენ — პლენხანოვი
დაინგრევა, მთლიანად ამორტიზებულიაო.

— გამოდის, რომ საკუთარ უბანს
გამოეყვით?

— ასე გამოდის. მაშინ ქუჩის სწორედ
იმ მონაკვეთის რეკონსტრუქციასაც
აპირებდნენ. მეტრო „რუსთაველიდან“
გამომცდლობა „სამშობლომდე“ რომ არის,
შენობებში ისეთი ქუჩა-გვირაბი უნდოდათ,
გაეტარებინათ. ბატონმა ოთარ ჩერქეზიამ
მითხრა (მინისტრთა საბჭოს მაშინდელმა
თავმჯდომარემ, ჩემი კლიენტი იყო), —
სადაც გინდა გადაგიყვანო. სხვისი ადგ-
ილი არ ვინდომე, არავისი ცოდვა არ
მინდოდა, დამელო. სწორედ თბილისის
რკინიგზის ახალ ვაგზალს აშენებდნენ...

— ეს რომელი წელია?

— 1988. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ
ეს მოედანი ასე გაპარტახდებოდა. მარ-
ტო ღმერთმა იცის, დღეს აქ თავს რა
ჯურის კაცი არ აფარებს. ახლა იქით
გაიხედეთ, ტრანსპორტი ლამის ატელიე-
ში შემოგვივარდეს!

— იმ ძველ ატელიეს რაღა
ბედი ეწია?

— დაიხურა, დაქუცმაცდა... ერთი სი-
ტყვით, ისეთივე ბედი ეწია, როგორც მის
სხვა თბილისურ „თანამომძებებს“: სახინ-
კლედ გადააკეთეს.

— რატომ მაინცდამაინც სახინ-
კლედ?

— რატომაც არა? თქვენ გგონიათ,
ატელიეების მაშინდელ გამგეებს შორი-
საც ბევრი იყო პროფესიონალი და ჩვენი
ხელობის გულშემატკივარი? რისგანაც
ფული შემოუვიდათ, ის გახსნეს. შედე-
გად კი, დაიღუპა უზარმაზარი სისტემა.
მაშინ ინდკერვაში 4000-მდე კაცი იყო
დასაქმებული. დღეს 100-საც ვერ დაითვ-
ლი.

— ცოტა ზემოთ თქვით, მოდ-
ელების შექმნა უფრო მომწონსო.
თუ გიცდიათ თქვენი მოდელების
გამოფენა?

— ეს სიკეთეც იმ წლებში დავტოვე.
მოსკოვის სახალხო მეურნეობის მიღწე-
ვათა გამოფენაზე მქონია მოდელების —

ტანსაცმლის ნიმუშების საკმაოდ ხმაუ-
რიანი ჩვენება. პირველი ადგილი ავიღე.
შედეგად — ხელფასი 80 მანეთით გამეზარ-
და. პირველი კლასის ოსტატის წოდე-
ბაც მომანიჭეს.

— ცენტრალური კომიტეტის ატე-
ლიეების სისტემაში არ გიმუშავი-
ათ? აკი, მთელ მაშინდელ პარტი-
ულ ელიტას აცმევდით?

— ბევრჯერ შემოთავაზეს იქ გაც-
ილებით პრესტიჟული სამუშაო, მაგრამ
მე თავისუფალი კაცი ვარ, ადამიანებთან
მიყვარს ურთიერთობა. თამაში არ გამომ-
დის. უფრო მეტიც: ვერც ვიტან და სხვე-
ბსაც ვერ ვაპატიებ. ასე რომ, დღემდე
შემრჩა „თავისუფლება“. რაც შეეხება
ჩემს კლიენტურას, აქ ასეთი თავმდაბალი,
ნამდვილად ვერ ვიქნები... ჩემთან იკერავ-
და კოსტიუმებს ცენტრალური კომიტე-
ტის მთელი „მდივნობა“, მინისტრთა სა-
ბჭოს მთელი შემადგენლობა, დედაქალა-
ქის მთელი პარტიული ხელმძღვანელო-
ბა. ბატონები ვასილ მჭავანაძე, ედუარდ
შეკარდნაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, გივი
ჯავახიშვილი, ვალერიან ვადაჭკორია,
ზურაბ პატარიძე, მამია მეგრელიშვილი,
გურამ გაბუნია. ახლა, ასე უცებ, ყველა
მათგანი არც მასხენდება... საწყალმა ზურაბ
პატარიძემ დამამახსოვრა განსაკუთრებუ-
ლად თავი. ზუსტად დაღუპვის წინა დღეს
შემიკვეთა ორი კოსტიუმი. ორივე მისი
დასაფლავების მერე გაიტანეს. ძალიან
თბილი და ყურადღებიანი კაცი იყო. სულ
რადაკით უნდოდა, გაეხარებინე. ბოლოს,
მანქანაც შემომთავაზა... უარი რომ შეეკა-
დრე, გამეზუმრა ვიღაცების გასაგონად, —
მოდით, ამას „არ მინდა“ დავარქვათო.

— ბატონი ედუარდი როგორია,
როგორც კლიენტი?

— გასაოცრად უპრეტენზიო. ყვე-

მეგობართან ერთად ბორჯომში დას-
ვენებისას (მარცხნივ). 60-იანი წლები



ლაფერში შენს პროფესიონალიზმს მიენ-
დობა. ქსოვილის ფაქტურისა და ფერის
შერჩევაში, მოდელში, ნაკერის სისუფთავე-
ში. უჩვეულოდ თბილი ადამიანია, თუ
მოეწონე, გაგიმინაურებს. მასსოვს, ცეკას
პირველი მდივანი რომ გახდა, მეორე თუ
მესამე დღესვე ცეკაში დამიბარა შეკვე-
თის მისაღებად. მანქანა გამომიგზავნა.
პალტო შევუკერე. კაბინეტში შესვ-
ლისთანავე, მომიბოდიშა — ატელიეში
ვეღარ მოვედი, ხალხს მოვერიდე, ალბათ
გამიგებთო. ეს არ იყო თამაში. ასეთებს
ვერავინ გამომაპარებს.

— ბატონო რომან, ცეკას ერთი
მაშინდელი პასუხისმგებელი მუშაკის
ცოლს ვიცნობდი ძალიან ახლოს.
ერთხელ მეუბნება: ჩემი ქმრის გა-
დაცვეთილი ფესხაცმელი რომ შეამ-
ჩნია, ბატონმა ედუარდმა შეაქო,
აფერუმ, შენს პატიოსნებასო... ასე
იქნებოდა?

— ჩემო კარგო, კარგ მოქმელს ყველა
დროში უნდოდა კარგი გამგონი. მე რა
აგისნათ, თავადაც შენიშნავდით... ედუ-
არდ შევარდნაძის იუმორი საყოველთაოდ
ცნობილია... ამის პასუხად ერთი ასეთი
ამბავი შემიძლია მოგიყვეთ: ერთხელ, მას-
თან ჩემი მორიგი ვიზიტისას, ბატონი
ედუარდი გამეზუმრა — ჩემთან მუდამ
სიძველისგან გადაპრიალებული პიჯაკე-
ბით რომ შემოდიან, ამ ხალხს შენი ხე-
ლობა ცოტა ენერგიულად შეახსენეთო.

— ეს — რატომ? ახალი კო-
სტიუმების შეკერვაზე უარს ამ-
ბობდნენ?

— არა, რა თქმა უნდა, იკერავდნენ,
მაგრამ ჩანს, მათ ჩაცმაზე თავს იკავებდ-
ნენ: ეტყობა, ეშინოდათ, მეტისმეტად
ფულაინები არ გამოეჩნდეთო. რას იზამთ,
დრო იყო ასეთი...

— საბჭოთა წლებში, რესპუბ-
ლიკების ცენტრალურ კომიტეტებში
როგორც წესი, რუსი მდივნებიც
მოღვაწეობდნენ. ისინი სარგებლობდნენ
თქვენი მომსახურებით?

— რა თქმა უნდა. მე კოლბინისა და
ნიკოლესისგანაც მიმიღია შეკვეთა. კოლ-
ბინი ცოტა ჩანჩურა კაცად მასსოვს.
ლარსის ქუჩაზე ცხოვრობდა. პირველად
რომ ვესტუმრე შინ, ზოლიანი პიჟამათი
გამომეგება. ცალ ფეხზე, ვკონებ, არც ეცვა
ჩუსტი. პალტოს პრობლემა მაქვსო. უჩვეუ-
ლოდ ფართომხრებიანი, ბამბებით გამო-
ტენილი, რუსულად შეკერილი, რაღაც
უსახური პალტო გამომიტანა. Можно
переделать? — მეკითხება. რა თქმა
უნდა, შეძლებით ყველაფერი შეიძლება,
მაგრამ ახალს, უკეთესს შეგიკერავთ-მეთ-



შვილიშვილთან ერთად

ქი. ასეც მოვიქეცი. ისე კი, საკმაოდ თბილი კაცი იყო. მასსოვს, პირველივე მისვლაზე, ცოლი არ მოასვენა – სუფრა გააშლევინა.

— ნიკოლსკის თუ მოსწონდა თქვენი მოდულები?

— მასთან უფრო ნაკლებად მომიხდა ურთიერთობა. ქედმაღალი კაცი იყო. ზემოდან გადმოხედვა იცოდა. ამას ვერ ვიტან – ვინც გინდა იყოს...

— აბა, როგორ იქცევით ხოლმე ასეთ სიტუაციებში?

— არც როგორ. უბრალოდ, თავიდანვე ვაგრძნობინებ, რომ როგორც პიროვნება და პროფესიონალი, მოვითხოვ სათანადო პატივისცემას. თუმცა მეც არ ვარ ნაკლები. კლიენტს ვერ ვაპატიებ უგემოვნებობას, ვერც იმას, ჩემს პროფესიონალიზმს თუ არ ენდობა და დილექტანტიზმს მომახვევს თავს.

— ასეთებიც გყავთ ხოლმე?

— შიგადაშიგ. მაგრამ წესად მაქვს – ერთხელ თუ მოხდა, მეორედ აღარ ვავიკარებ. ვფიქრობ, ეს თავად ხელოსნიდან მოდის ხოლმე, საკუთარ თავსა და პროფესიონალიზმში მისი დაურწმუნებლობიდან. ვლიზიანდები, ზოგი კლიენტს რომ ეკითხება, მკლავი როგორ გამიგიჟებინათ ან ჯიბე სად დაგიკეროთო.

— ესე იგი, კლიენტის სურვილს ოდნავაც არ ითვალისწინებთ?

— როგორ არა. ტანსაცმელი ტანზე ხომ მას უნდა მოადგეს, მის ხასიათში ჩაჯდეს, რომ დისკომფორტი არ შეუქმნას, მაგრამ მიყვარს, როცა კლიენტი მძღვეს ჩემი ჩანაფიქრის მხატვრული ზორცშესხმის, ტექნიკური გააზრების საშუალებას.

— საკონცერტო კოსტიუმებზე თუ გიმუშავიათ, ხელოვანი ხალხი ხომ თავისი პრეტენზიულობითაა ცნობილი...

— მე ასეთი პრეტენზიულობა არც ერთი ხელოვანისგან არ მასსოვს. ზურაბ ანჯაფარიძე მიკვეთავდა ზმირად საკონცერტო ტანსაცმელს. უთქვამს – შენმა კოსტიუმმა მსოფლიოში გამომაჩინაო. საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის წინ პაატა ბურჭულაძეც მომიყვანა, მასაც საკონცერტო კოსტიუმი შეუკურე. ბატონი ჯანო კახიძე დღემდე ჩემი კლიენტია. საკონცერტო კოსტიუმი ამას წინათაც შემაკერინა და ძალიან კმაყოფილი დარჩა.

— ესე იგი, არაპარტიული ელტიაც გწყალობდათ?

— ძალიან. ამით განსაკუთრებით ბედნიერი ვიყავი. ჩემი მუდმივი კლიენტები იყვნენ ეროსი მანჯგალაძე, დოდო აბაშიძე,

აკაკი ვასაძე. ბატონმა აკაკიმ დიდი ამბით იცოდა ხოლმე თქმა, მეც თერძის შვილი ვარო. ცნობილი სპორტსმენები მანებიურებდნენ ძალიან. ბატონი ბორია პაიჭაძე, შოთა იამანიძე, მიშა მესხი, სლავა მეტრეველი; მოჭიდავეები: გივი კარტოზია, ანზორ კიკნაძე, გურამ საღარაძე. ცნობილი მწერლებიც ზმირად შემომივლიდნენ ხოლმე: ირაკლი აბაშიძე, იოსებ გრიშაშვილი, ნოდარ ღუმბაძე, გოგლა ლეონიძე... მასსოვს,

უკრაინაში რომ გავემზავრე, ბატონმა გოგლამ მიკოლა ბაჟანთან წერილი გამატანა – ჩემი მეგობარია, ვიპატრონებსო. იმანაც იქ უზარმაზარი პატივი მცა. მეც შევეცადე, ვალში არ დავჩხენოდი – ვვინებ, მისთვის ცუდი პალტო არ შემიკერია.

— ცეკას მდივნებიდან გემოვნებით ვინ დაგამასსოვრათ თავი, იქნებ — მუჟანანაძემ?

— ეს ცოტა ძნელი სათქმელია. ბატონი ვასილის შემთხვევა განსაკუთრებული იყო. ამ საქმეში, როგორც სხვა ყველაფერში, „პარადი“ მის მეუღლეს მიჰყავდა. ისე, გემოვნებაზე თუ ვილაპარაკებთ, ცეკას მდივნებისა რა ვითხრათ და რეზო თაბუკაშვილი მიყვარდა ძალიან. ყოველმხრივ ულამაზესი კაცი, მისი სილამაზე და გემოვნება სადღაც შეგინდნენ მოდიოდა. ასეთებს, როგორც წესი, მთელი ცხოვრების მანძილზე იხსენებ...

— უცხოური ნაწარმის გადაკეთებაც გისდებდათ?

— უცხოური რას მიქვია? გუშინაც მქონდა ასეთი შემთხვევა: ერთ ჩვენს მუსიკოსს, კაიროს რომელიღაც ატელიეში სმოკინგი შეუკერინებია, რა თქმა უნდა, საკონცერტოდ. ჩვენთან მოიტანა. ფაქტობრივად, ტანზე ხელახლა მოსარგები იყო.

— ეს ის შემთხვევაა, როცა შინაურ მღვდელს შეუნდობენ ხოლმე?

— ასეც შეიძლება ითქვას.

— ამ ახალ დროში თუ შეგიკერავთ რაიმე პრეზიდენტისთვის?

— ახლა სადღა სცალია ბატონ ელუარდს კოსტიუმების მოსაზომებლად?! მისი ზომებიცა და მისთვის მისაღები, ფაქტობრივად, ერთადერთი მოდელიც, დღეს პარიზში დევს. იქ კერავენ მისთვის კოსტიუმებს და უგზავნიან.

— „ახალი ქართველები“ და

პარლამენტარები თუ გწყალობენ? თქვენ კომკავშირის ცეკასაც ემსახურებოდით. ამ ახალთა შორის ხომ ძველი კომკავშირელებიც საკმაოდ არიან?

— არა, მათთვის ავტორიტეტს აღარ წარმოვადგენ. „პიერ კარდენის“ მზა კოსტიუმებს ამჯობინებენ. ვაჟა ლორთქიფანიძეს ვუკერავდი „ძველ“ დროში. „ახალში“ – აღარ დავჭირებებოვარ.

— ბატონო რომან, როგორ ფიქრობთ, პენენიკობა მამაკაცური თვისებაა?

— რატომაც არა. მე თავად ვარ ასეთი. ბავშვობიდან ასეთი ვიყავი. შარვალს რომ გამოუთობდნენ, ათჯერ მაინც უნდა შემეთვალყურებინა თავი სარკეში და ბოლოს, ჩემებურად გამეუთობინა!

— რა ჯდება თქვენთან მამაკაცის კოსტიუმის შეკერვა?

— დაახლოებით 300-400 ლარი. დამერწმუნეთ, იმათ არაფრით ჩამოუყარდება, 1.500 რომ უჯდებათ „ფირმა“ მაღაზიებში.

— ქალებისთვისაც კერავთ რაიმეს?

— როგორ არა, პიჯაკებს, შარვლებს, პალტოებს... რასაც ისურვებთ. ქალებთან ჩვენი საუკეთესო ოსტატი რეზო გიორგაძე მუშაობს. მობრძანდით, იმსახურეთ...

— რაკი ქალები გავისხენეთ, „იმ“ დროს ცნობილი ფუნქციონერი ქალებიდან, როგორც თერძი, ვინმეს თუ სწყალობდით?

— ვიღაც-ვიღაცებისთვის რაღაცები ნამდვილად გამიკეთებია. ახლა აღარ მახსენდება. ისე, ვიქტორია სირაძე მომწონდა ყოველთვის, როგორც ქალი. მის მეუღლეს ვუკერავდი, მას კი არ მოვმსახურებოვარ. მაგრამ ეს ისე, ჩემთვის...



„მე-9 არხის“ სატელევიზიო ეთერში ქართული „ერალაშის“ — „მაცაცერას“ გასვლის შემდეგ, ბოროტმა ენებმა არც მშვენიერი ლალი მოროშკინა დაინდევს: თავს რომ ძალიან იწონებს და კაცებს თავგზას უბნევს, მოროშკინას მკერდი ნამდვილი არ გეგონოთ: პამელა ანდერსონით, სილიკონით აქვს დაბერილი და როგორ ზომიზუცუნდა, ისეთზე დაიყენებო — სისინებენ ვასასებნი... ლალისთან საუბარში კი მამაკაცებისთვის სასიამოვნო ბევრი ინფორმაცია შევაგროვე. უპირველესად ის, რომ ტელეეარსკვლავი საერთოდ არ აპირებს პლასტიკური ოპერაციის გაკეთებას.

ბელენამყვანიც ვარ, ზინოშიც მიღებენ და, მოსკოლოზისას,

სამეცნიერო მუშაოზასს ვინევი


ეკა ლომიძე

— საერთოდ, ჩემი გარეგნობის შესახებ, ყველაზე კარგად ჩემს ვიზაჟისტს შეუძლია ისაუბროს. ის დაგარწმუნებთ, რომ პლასტიკური ოპერაციისა და სხეულის კორექციის მიმართ უარყოფითად ვარ განწყობილი. ტელეგადაღებებისთვის მაკიაჟის გაკეთება რომ დავიწყებ, ვიზაჟისტმა მითხრა — ძალიან დაწვრილებული წარბები გაქვს და სანამ არ მოიზრდება, სხვანაირ ფორმას ვერ მიცემო, მე კი წარბებიც და სხვა ყველაფერიც ბუნებრივი მაქვს.

— ე.ი. სილიკონთან საქმე არ გქონიათ?

— ძალიან მიყვარს სილამაზის ცქერა, სხეულის ლამაზი ფორმები, ჩემიც და სხვისიც, სიამოვნებას მანიჭებს და თუ მართლა რაღაცნაირად შესაძლებელია და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში — აუცილებელი, სხეულის უშნო ნაწილი უნდა შეიცვალოს. რაც შეეხება ჩემს მკერდს — სილიკონი მართლაც არაფერ შუაშია. საერთოდ, ორგანულად ვერ ვიტან ამ ნივთიერებას. სხვათა შორის, მისი მავნებლობაც დამტკიცებულია და ისიც, რომ ადამიანის სიკვდილის შემდეგ არ იშლება. მე ღრმად მორწმუნე ქრისტიანი ვარ და მინდა, მიწის ქვეშაც ბუნებრივი დარჩეს ჩემი სხეული... მიუხედავად იმისა, რომ ჭორებმა

ძალიან შემაწუხა, ჩემს მკერდზე ხელს მაინც ვერავის მოვაკიდებინებ და ვინც მაინც ვერ მოისვენებს, სრული ინფორმაციის მისაღებად ჩემს მეუღლეს მიმართოს... ზედმეტად ცნობისმოყვარეებს იმასაც ვეტყვი, რომ „შეიძლება“, ფეხების დასამოკლებელი ოპერაცია გავიკეთო, — შარვალი რომ უკეთ მომერგოს და დაუსრულებლად მისი დაგრძელება აღარ დამჭირდეს. ამ ყველაფერთან ერთად, იმასაც დავძენ, რომ მასმედიით პლასტიკური ოპერაციების პოპ-



ულარიზაციაც არ მიმაჩნია გამართლებულად.

— კონკრეტულად რას გულისხმობ?

— იმას, რომ, ჩვენ, ტელეწამყვანები, გარკვეულწილად ვილაიცისთვის იდეალს თუ არა, მიბაძვის ობიექტს წარმოვადგენთ. ამიტომ, პატარა გოგონებისათვის სახიფათოა, ამა თუ იმ პოპულარულ პიროვნებაზე რომ ვრცელდება ინფორმაცია — თავი ხელოვნურად გაილამაზაო: მეშინია, საოპერაციო მაგიდებზე ძალიან პატარა გოგონებიც არ აღმოჩნდნენ.

— ნელან ვიზაჟისტი ახსენე. როგორც გავიგე, შენ ფრანგი ვიზაჟისტიც გიკეთებს მაკიაჟს, მასზე რას გვეტყვი?

— ამ ცოტა ხნის წინ საქართველოში ჩამოსული იყო „კრისტიან დიორის“ წარმომადგენელი, რომელმაც თავისი საქმიანი გამოცდილება გაუზიარა აქაურ კოლეგებს იმ მაღაზიაში, რომლის პროდუქციის მუდმივი მომხმარებელიც გახლავართ. ფრანგმა ფილიპ ვუიშმაც, როგორც მაღაზიის მუდმივი სტუმარი, სარეკლამოდ „დამხატა“ და ორი დღე თავს ვიწონებდი, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ვიზაჟისტის ნახელავით.

მეუღლესთან ერთად

— ლალი, შენ ორი შვილის დედა ხარ და უკვე მეორე ქმარი გყავს. ბევრს კი, საერთოდ, გასათხოვარი ჰგონიხარ. გვიამბე შენ ოჯახის შესახებ.

— ჩემი პირველი გათხოვება კურიოზულად მოხდა: 15 წლის ვიყავი და ჩემმა მომავალმა მეუღლემ სკოლის ფორმაში ჩაცმული, ქობულეთში გამიტაცა. სანამ იქიდან დაგბრუნდებოდი, თურმე დედაჩემს ჩემი თაყვანისმცემლების ერთი ჯგუფი აფრთხილებდა — თუ შინ მშვიდობით დაგბრუნდა, ჩვენ მაინც წავიყვანთო. შეშინებულმა დედაჩემმა შემომითვალა — შენ სკოლას მაინც ვერ დაამთავრებ და მირჩევნია, ისევ მაგასთან დარჩეო... მოეწონა სასიძო. არაჩვეულებრივი შვილი — სანდრო შეგვეძინა, რომელიც ახლა 14 წლისაა. მაგრამ მე და მამამისი სხვადასხვანაირი ხასიათისა და ცხოვრებისეული მისწრაფებების გამო, დავცილდით ერთმანეთს, თუმცა დღემდე მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან. ის ჩემი შვილის მამაა და მასთან ცხოვრების საკმაოდ ხანგრძლივი მონაკვეთი გავატარე. დღეს მასაც საკუთარი ოჯახი აქვს, რაც სრულებით არ მიშლის ხელს, მის ღიღებულ და შესანიშნავ მშობლებთან ურთიერთობაში.

— როგორც ვიცი, არც მეორე ქორწინება აღმოჩნდა კურიოზები-სგან დაზღვეული.

— მეორედ გათხოვება აღარც კი მინდოდა: იმდენად დამოუკიდებელი პიროვნება ვარ, რომ მეშინოდა, ოჯახურ მარწუხებს არ შევებოჯე. მინდა, სულ დაუბრკოლებლად ვაკეთებდე ჩემს საქმეს, დავდიოდე იქ, სადაც მომწონს და სასიამოვნოდ ვატარებდე დროს. ჩემი მეორე მეუღლის — მიშეიკოს წყალობით, ყველა ამ სიამოვნებას ვიღებ. ჩვენ სამი წელი ვმეგობრობდით. ვეუბნებოდი: ასე — „ბოიფრენდალ“ და „გერლფრენდალ“ დავრჩეთ-მეთქი, მაგრამ ჩვენი ურთიერთობის მეოთხე წელი რომ დაიწყო და ჩემი ოჯახის წევრებსაც საოცრად შეუყვარდათ მიშეიკო, გამომიცხადა — უნდა დაქორწინდეთო. დეკემბერი იღვა. სახლში მარტონი ვიყავით, თბილ ჯემპრებსა და ჯინსებში ჩაცმულები, ტელევიზორს ვუყურებდით. მიშეიკომ კიდევ ერთხელ მითხრა დაქორწინების შესახებ. შაბათი დღე იყო. წამოვვარდით, მამჩის ბიუროში გავიქეცი და დავავიკრივინეთ ეს საქმე. მერე დედაჩემთან დავრეკე და ჩემს ძმას

ირაკლის ვუთხარი, გავთხოვდი-მეთქი. მანაც თურმე განაცხადა — ჩვენი ლალი, როგორც ჩანს, მეორედ გაიპარაო.

— ბავშვების გაზრდაში ვინ გეხმარება?

— ძიძა, დედამთილი და დედა, ბებიაც და საერთოდ, ქალთა დიდი არმია. თუმცა, რატომ მარტო ქალთა? — მამამთილი და მაზლიც აქტიურად მეხმარებიან, მეტი თავისუფალი დრო რომ მქონდეს.

— როგორც ვიცი, შენ მარტო ტელევიზიაში არ მუშაობ...


— „მეორე არხიდან“ „პირველზე“ გადავინაცვლე და ახლა „ეკსტენიის“ წამყვანი ვარ. უნივერსიტეტში ვასწავლი რუსულ ენას. მოცალოების ჟამს, სამეცნიერო მუშაობასაც ვეწევი — დისერტაციას ვწერ. გარდა ამისა, ხშირად კონცერტების წაყვანასაც მთხოვენ ხოლმე. რეკლამებსა და ფილმებშიც მიღებენ. ასეთ შემთავაზებებზე უარს არ ვამბობ: მუდამ ახალგაზრდა და კარგ ფორმაში ხომ არ ვიქნები. ისე კი, ჩემს მატერიალურ კეთილდღეობას ძირითადად, ჩემი მეუღლე უზრუნველყოფს, თუმცა ფინანსური ჩავარდნების დროს, მეუღლეს მეც ვაჟაკურად ვუდგავარ ხოლმე მხარში: მიშეიკოსაც თავისი ბიზნესი აქვს.

— საჩუქრებით თუ განებივრებს ხოლმე?

— მიშეიკოს საჩუქრების კეთების ფანტასტიკური უნარი აქვს. საერთოდ, მისი მსგავსი მამაკაცი იშვიათობაა: მან შესანიშნავად იცის, რომ ლამაზი „შეფუთვის“ გარეშე საჩუქარს ლაზათი ეკარგება. ერთხელ მაღაზიაში შევედით ერთად და ძალიან მომეწონა იშვიათი სილამაზის მარგალიტის მძივი. ხმა არ ამომიღია, მაგრამ ეტყობა, მიმიხვდა: ორი დღის შემდეგ საჩუქრად მომართვა. იმდენად ბედნიერი ვიყავი, რომ მინდოდა ყველას გაეგო ეს ამბავი. იმ მაღაზიაში მივედი და ვიკითხე — ასეთი მძივი ხომ არა გაქვთ, ჩემს დას უნდა-მეთქი. არა, უკვე გავყიდეთ — ვიდაც ბიჭმა თავის შეყვარებულს წაუღო, მითხრეს. ის შეყვარებული მე ვარ-მეთქი, ვუთხარი გაბრწყინებულმა...

— ამბობენ, ეჭვიანი ხარ.

— კი, ეგ ჩემი სენია. ბუნებით, მე-საკუთრე ვარ. მიშეიკო — ჩემია, ჩემი



მეუღლესთან ერთად პარიზში

ვაჟები — ჩემები არიან და ა.შ. არ შეიძლება ვინმემ ჩემს საკუთრებაზე თავში რაიმე ფიქრადაც კი გაიფლოს... საბედნიეროდ, ჩემს საშინელ ეჭვიანობას, მიშეიკოს განსხვავებული ხასიათი ანეიტრალებს. ის უსაზღვროდ ერთგული ადამიანია, არა მარტო ჩემი და ჩვენი საკუთარი ორი წლის ბიჭის, არამედ ჩემი შვილის — სანდროსიც და მიხარია, რომ მას ძალიან კარგი მამის გარდა, მიშეიკოს სახით, კარგი მეგობარიც ჰყავს: სანდრო მისგან ძალიან ბევრ კარგ რამეს სწავლობს.

— ვიცი, იუმორის საუცსლო უნართაც ხარ დაჯილდოებული...

— ვფიქრობ, რომ ნებისმიერ სიტუაციაში უნდა შეინარჩუნო იუმორის გრძნობა. შარშან, მარიამობას, დედაჩემთან სახლში ქურდი შევიდა. გასაკვირი ის არის, რომ უბრალოდ გაიარა და წავიდა. ამ დროს, ოთახში, ტახტზე, სრულიად შიშველი, ჩემი ძმა ირაკლი იწვა, თავთან კი ხანჯალი ელო. ქურდი რომ დაინახა, წამოხტა და ხანჯლით გაეკიდა. მგონი, ის ქურდი მიშისგან აორთქლდა... წელს, ისევ მარიამობას, დედაჩემი მარტო იყო სახლში. ქურდმა ისევ „გამოგვიარა“, მაგრამ ამჯერადაც არაფერი წაუღია. დედაჩემი — მანანა ნერვიულობდა, მე კი დავამშვიდე: დედა, ქურდებს ან მარიამობა აქვთ კარგად დაცლილი, ან კიდევ, ისევ შიშველი ირაკლის ნახვა უნდოდათ-მეთქი...

— მემორიალურ დაფასთან დაკავშირებული ამბავიც ძალიან საინტერესოა...

— მე თალეს შონიას ხელში გავიზარდე. ეს ღიღებუი ადამიანი, დედაჩემის მეორე ქმარი და ჩემი ძმის, ირაკლის მამა იყო. ახლახან მის სახლზე მემორიალური დაფა გავაკეთეთ. ამ საქ-



ისე კი – ცოტა ალკოჰოლი და ხმამაღალი, ცოცხალი მუსიკა კარგ განწყობაზე მაყენებს.

— და „ბოშურსაც“ სიამოვნებით ცეკვავ, არა?

— ძირითადად, ვიწრო წრეში ვცეკვავ. თუმცა, რესტორანშიც ვიცეკვებ, თუ „ბოშური“ დაუკრეს და ეს მიშიკომაციცის. სხვათა შორის, თვითონ სუხიშვილების ანსამბლის ყოფილი მოცეკვავეა, რაც მე ძალიან გვიან გავიგე. ჩვენი მეგობრის ქორწილში რომ ვნახე, რა მოხდენილად ცეკვავდა, გავოცდი: მანამდე, თუ სადმე ტაშ-ფანდური იყო, სულ მე ვცეკვავდი ხოლმე, მიშიკო კი წყნარად იჯდა.

— „ვესტნიკში“ შენი გადასვლა როგორ მოხდა, რატომ მანამდე არ აგიყვანეს რუსული საინფორმაციოს ნამყვანად?

— ერთ-ერთ საახალწლო გადაცემაში მე და მარკ რივეკინს, სხვებთან ერთად, სატელევიზიო ჰიმნი უნდა გვემღერა. მაშინ დავუახლოვდი მარკს. მერე, როცა ის ტელეპროგრამა ეთერში გავიდა, ვნახე, რომ „ამოჭრილი“ ვიყავი. აღარ ჩავეძიე, თუმცა, როგორც ჩანს, ამ საქმეში ბოროტი ადამიანის ხელი ერია. მაშინ ვუთხარი მარკს, სიამოვნებით ვითანამშრომლებდი თქვენთან-მეთქი, მაგრამ ამის საშუალება არ იყო. მოგვიშვილებთან ერთად

მის მოგვარებაში ძალიან გვეხმარებოდა მამაჩემი, რომელსაც ასევე მეორე ოჯახი აქვს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ჩვენს მეგობრულ ურთიერთობას. მამა ეუბნება დედაჩემს – მანანა, მეც ხომ ვცხოვრობდი ამ სახლში, ჰოდა, მეც მინდა მემორიალური დაფაო. არადა, თალესის მემორიალურ დაფასთან დაკავშირებით, იმდენი სირბილი და ბიუროკრატიული ბარიერის გადალახვა მომიხდა, რომ უცებ წარმოვიდგინე – რა დღეში ჩავვარდებოდი, ეს რომ მართლა დამჭირვებოდა... მანანას ვუთხარი: ახალგაზრდა ქალი ხარ, ყველაფერი კიდევ წინ გაქვს და მესამედ თუ გათხოვდები, შენს ქმარს უთხარი, მემორიალური დაფა თვითონ მოიტანოს-მეთქი...

ერთ მაგარ კურიოზსაც მოგიყვებით. სოჭში ბიძაშვილის ქორწილიდან ღამით წამოვედი ბორნით, რომლითაც მგ ზავრობას 14 საათი სჭირდება. უკვე ზღვაში შესულმა აღმოვაჩინე, რომ ერთად ვმგზავრობდით: მე, მეგრელი და გურული ვაჭრები და მაგადანიდან გამოშვებული პატიმრები. მომიახლოვდა ერთი და მეუბნება – წამოდი, „პარომის“ კიჩოზე გაგიყვანთ: იქ რომ ხელები გაშალოთ, „ტიტანიკის“ ახალ კადრს გადავიღებთო... ძლივს მოვიშორე ის კაცი, თანაც სულ დიდი მადლობები ვუხადე და ვეხვეწებოდი – თავი დამანებე, „ტიტანიკიში“ რომ გააკეთეს ეგეთი „ილეტი“, ცუდად დამთავრდა და მეშინია, მეც იგივე არ მომივიდეს-მეთქი.

— როგორ ისვენებ ხოლმე?


— ძირითადად, არ ვისვენებ: ჩემი ტვინი არ ითიშება, სულ მუშაობს.


ანებით თვითონ დამირეკა და მალე „ვესტნიკის“ წამყვანი გავხდი.

— ლალი, არ შემიძლია იმ დამწყები „შულერის“ შესახებ არ გკითხო, რომელიც თქვენს სახლში ცხოვრობს...

— ჩემი სანდრო მართლა დამწყები „შულერია“: მე-3 კლასში იყო, როცა თავისებური ლატარია მოიგონა: სკოლაში 20 თეთრად ყიდა ბილეთებს, რომლითაც ბავშვები „ქინდრის“ კვერცხს, ერთ მუჭა მზესუმზირას, კანფეტს და ა.შ. იგებდნენ. ისე კარგად აკეთებდა ამას თურმე, რომ მასწავლებელმაც კი შეიძინა მისი ლატარიის ბილეთი, თან მე დამიბარა სკოლაში და გამაფრთხილა – სანდროს ყურადღება მიაქცეო. ამ ამბიდან მეორე დღეს სანდრო ბებიასთან იყო, მე კი მანქანა მყავდა მიყვანილი სარემონტოდ. მობილურით დავურეკე და ვთხოვე – სანდრო, ბილეთები არ გაყიდა და ფულზე არ ითამაშო-მეთქი. ხელისანი გაგიყვანა, — კი, მაგრამ, რამხელა შვილი გყავთ, ასე რომ ელაპარაკებითო?... სულ ბიზნესით არის დაკავებული — ყიდის და ყიდულობს ველოსიპედებს, კომპიუტერებს და ა.შ. ერთხელ ტელევიზორში მორბენალ სტრიქონს ვუყურებ და ვკითხულობ: „ყიდი კომპიუტერს, დამიკავშირდი“ — და მითითებულია ჩვენი ტელეფონი და სანდროს სახელი. ავვარდი მესამე სართულზე (მანსარდა მთლიანად მას აქვს დაკავებული)... გულგახეთქილები ვიყავით: მეგობარს მოიყვანდა თუ არა, სულ გვეშინოდა — ვაითუ, სახლს აქირავებს ან ყიდის ჩვენს დაუკითხავად და გარეთ გაყრას გვიპირებს-თქო... მოკლედ, სანდროს დამოუკიდებელი ბიზნესი აქვს და მჯერა, რომ ცხოვრებაში არ დაიკარგება.

P.S. ამ ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ, ერთი ახლობელი მესტუმრა და ლალი მოროშკინაზე ისეთი ამბის მოყოლა დაიწყო, რომ ჯერ მოულოდნელობისგან დავმუნჯდი, მერე კი მივხვდი — „ახალგამომცხვარ“ ჭლორთან მქონდა საქმე და მოთმინებით, ბოლომდე მოვუსმინე. თურმე რა ყოფილა: გასულ შაბათს ანჩისხატის ეკლესიაში ლალი მოროშკინასა და გიორგი გვახარიას დაუწერიათ ჯვარი!.. ლალი თავისი „მორიგი გათხოვების“ ამბავს ჩვენი ჟურნალიდან შეიტყობს და, იმედია, ამ ცნობას მისთვის ჩვეული იუმორით შეხვდება...





სიცილის მანერა და ხასიათი



ადამიანის ხასიათის გამოცნობა თურმე არა მხოლოდ ქცევითა და ლაპარაკით, არამედ სიცილის მანერითაც შეიძლება. თითოეულ ჩვენგანს აქვს დამახასიათებელი ფესტიკულაცია და მოძრაობა, რომელსაც არც კი ვუფიქრებდით. ჩაებით თამაშში, გააცინეთ თქვენი მეგობარი ან ახლობელი, დააკვირდით მას, შემდეგ ჩვენი თამაშის შედეგებს გაეცანით — თქვენ მისი ხასიათის იდუმალ შტრიხებს აღმოაჩენთ და მიხვდებით, ღირს თუ არა ამ ადამიანთან თქვენი ცხოვრების ან ცხოვრების ნაწილის დაკავშირება.

1) თუ თქვენი მეგობარი სიცილის დროს ნეკა თითოთ ტუჩებს ეხება, ე.ი. მას „კარგი ქცევის“ შესახებ საკუთარი აზრი აქვს და თავის შეხედულებებს ყველგან და ყოველთვის მკაცრად იცავს. მას ძალიან უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა.

2) თუ ის სიცილის დროს პირზე ხელს იფარებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მორცხვი ადამიანია და საკუთარ თავშიც საკმარისად არ არის დარწმუნებული. უმეტესად ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს და გულისნადების ბოლომდე გამხელა არ უყვარს.

3) თუ სიცილის დროს თავის უკან გადავდება სჩვევია, ის მიმნობი პიროვნებაა, ადამიანებს აღ-

ვილად უჯერებს, ამავე დროს ძალიან მდიდარი სულიერი სამყაროთი გამოირჩევა, ხანდახან მოუფიქრებელი საქციელიც სჩვევია, რომელიც მხოლოდ გრძნობებზეა დამყარებული.

4) სიცილის დროს ხელით თავს ან სახეს ეხება? თუ ასეა, ე.ი. მეოცნებე, ფანტაზიორ ადამიანთან გაქვთ საქმე. ურჩიეთ, მეტისმეტად ნუ გაიტაცებს ოცნებები, უმჯობესია, ცხოვრებისეულ პრობლემებს უფრო რეალურად და მტკიცედ მიუდგეს.

5) თუ სიცილის დროს ცხვირს იჭმუნის, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი გრძნობები და შეხედულებები სწრაფად იცვლება, ემოციური და ჭირვეული ადამიანია, შეუძლია

ყოველწუთიერად შეიცვალოს გუნება-განწყობა. ეს კი საკმაოდ დიდ სირთულეებს უქმნის როგორც მას, ასევე მის გარშემომყოფებსაც.

6) თუ ხმამაღლა, ფართოდ დაღებული პირით იცინის, ე.ი. თქვენი ნაცნობი კარგი მოსაუბრე, ტემპერამენტული, მოძრავი ადამიანია და ამავე დროს კარგი მსმენელის როლშიც ხშირად უწევს ხოლმე ყოფნა.

7) თუ თავს დაბლა ხრის და ჩუმად იცინის, ე.ი. კეთილ, პატიოსან ადამიანთან გაქვთ საქმე, რომელიც კარგად ეგუება ახალ გარემოს და ახალ ადამიანებს. თავის გრძნობებსა და ქცევებს ყოველთვის აკონტროლებს, ცდილობს, მუდამ ტაქტიანი იყოს და არავის აწყენინოს.

8) თუ სიცილის დროს ხელით ნიკაპის დაჭერა უყვარს, ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ ასაკში, ახალგაზრდული სულის შენარჩუნების უნარი აქვს. სწორედ ამის ბრალია გაუაზრებელი ქმედება, რომელსაც დროდადრო სჩადის ხოლმე.

9) თუ სიცილის დროს თვალებს ჭუტავს, ეს იმას მოწმობს, რომ თქვენ წინაშე გაწონასწორებული, საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანია, საკმაოდ სხარტი გონებით გამოირჩევა და ისეთ სამუშაოს ანიჭებს უპირატესობას, რომელიც შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს.

10) იმ შემთხვევაში, თუ თქვენს ახლობელს სიცილის რაიმე განსაკუთრებული მანერა არ გააჩნია, ე.ი. ის გამოკვეთილი ინდივიდუალობის მქონე ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება. ყველა საქციელში პირველ რიგში, საკუთარი შეხედულებებით ხელმძღვანელობს, ამის გამო კი სხვათა აზრების უგულვებელყოფაც ხშირად უწევს და ეს გარშემომყოფთა უმეტესობას არ მოსწონს.

მ აღიან ცოტა თუ მოიძებნება ევროპელთაგან, ვინც დაიკების ქვეყანაში მოგზაურობას გაბედავს. ბევრი იმითთაგანი, ვინც იქ გამგზავრებას გადაწყვეტს, შინ ვეღარ ბრუნდება.

კუნძულს, რომელზეც ადამიანის თავებზე მონადირენი ცხოვრობენ, ეკატორი ორი ნაწილად ჰყოფს. ჩრდილოეთ ნაწილი მაღალიზიასა და ბრუნეის ეკუთვნის და ბორნეოდ იწოდება, სამხრეთი კი ინდონეზიას მიეკუთვნება და კალიმანტანი ჰქვია. რაც „ძვირფასი ქვების მდინარეს“ ნიშნავს.

მკვიდრი მოსახლეობა – დაიაკები კუნძულის შუაგულში, მღვრიე მდინარის სათავეებთან ბინადრობენ, იქ არსებობა მხოლოდ გარეულ ნადირსა და ქვის ხანის ადამიანს შეუძლია. დაიაკებისთვის ბორნეო იგივეა, რაც ინდიელისთვის – ამერიკა. ორასი ტომი სხვადასხვა ენაზე საუბრობს და თავის თავს ზოგი ორანგ-ულუს, ზოგი კი – ორანგ-სუნგეის უწოდებს, სხვების მიერ შერქმეულ სახელს – დაიაკებს ისინი არ ცნობენ. დაიაკებს წარმოდგენა არა აქვთ, რომელ საუკუნეში და რომელ ქვეყანაში ცხოვრობენ, თავისუფლად გადადიან ინდონეზიიდან მაღალიზიაში და პირიქით.

ამბობენ, რომ დაიაკები ბორნეოზე ხუთი ათასი წელია ბინადრობენ.

აბორიგენებმა თავიანთი ყოფა უცვლელად იმიტომ შეინარჩუნეს, რომ უხსოვარი დროიდან, მათთვის უცნობ ხალხს თავებს აჭრიდნენ მანამდე, სანამ საცოდავები რაიმეს თქმას მოასწრებდნენ. გამონაკლისი არც მისიონერები ყოფილან.

ეს მკაცრი ჩვეულება დღეს მაღალიზიაშიც არის აკრძალული და ინდონეზიაშიც, მაგრამ დაიაკებს, რომლებიც ამ ქვეყნებს შორის საზღვრის ორივე მხარეს ბინადრობენ, ამ აკრძალვის შესახებ წარმოდგენაც არ აქვთ: გაზეთებსა და ჟურნალებს ისინი არ კითხულობენ, სტუმრებს კი ძველებურად, ხმის ამოღებამდე აჭრიან თავებს.

აბორიგენები ადამიანების თავებზე ბოროტების ან აგრესიულობის გამო არ ნადირობენ: მათ უბრალოდ, ასეთი ტრადიცია აქვთ. დაიაკების რწმენით, სწორედ თავშია კონცენტრირებული სასიცოცხლო ძალა – სემანგატი.

ეს ძალა მთელ ტომს გადაეცემა და მას სულიერი და მატერიალური კეთილ-

ბორნეოს კუნძულ

კუნძული ბორნეო ცუდი სახელით არის ცნობილი. მის დაბურულ ჯუნგლებთან ბევრი ლეგენდა და საშიში ამბავია დაკავშირებული, რომელშიც სიმართლე და გამონაგონი ლიანებივით არის ერთმანეთში გადახლართული. კუნძულის სიღრმეში, გაუვალ ტყეებში, რუკაზე აღუნიშნავი მდინარეების ნაპირებზე, დაუპატიუებელ სტუმრებს შიშველი, ტატუირებით დაფარული, ადამიანის თავებზე მონადირე დაიაკები ელიან.



დლებით უზრუნველყოფს. რაც მეტ თავს მონადირეებენ – მით უკეთესად იცხოვრებს აბორიგენთა სოფელი.

თავები დაიაკებს ოჯახური ცხოვრების მოსაწესრიგებლადც ესაჭიროებათ. ვერც ერთი საქმრო, მათ შორის ყველაზე სასურველიც კი, ბელადის ქალიშვილთან მიახლოებას ვერ გაბედავს, სანამ რამდენიმე თავს არ მიუტანს. სახლის აშენების დროს კი ახალი თავის ქალა უბრალოდ, აუცილებელია: ადგილობრივი არქიტექტურული ტრადიციის მიხედვით, მტრის თავის ქალა ქვაკუთხედს ცვლის – მას იმ ადგილას ფლავენ, სადაც სახლის შესასვლელი უნდა იყოს.

დაიაკებს გრძელი, 180 მეტრიანი სახლები აქვთ და თითოეული მთელ სოფელს უტოლდება: ერთი გრძელი სახურავის ქვეშ

დაახლოებით 50 ოჯახი ცხოვრობს. სახლებს ხიმიანებზე აშენებენ და ლამინს უწოდებენ. რუკაზე მოხვედრილ სახლსოფლებს თავიანთი სახელებიც აქვთ: გრძელი ირაბი, გრძელი ბანგუნი, გრძელი პახანგაი.

როცა მთელი ტომი ერთ ქონში ბინადრობს, უფრო უადვილდება მომაბეზრებელი მეზობლებისგან თავის დაცვა: სოფლის განაპირას, განცალკევებით მღვარი ერთი სახლიდან გაცილებით ადვილი იქნებოდა კოლექტივის რომელიმე ღირებული წევრის გატაცება.

სხვადასხვა ტომის აბორიგენებს სახლები სხვადასხვაგვარად აქვთ მოწყობილი. ზოგს სახლი გადაუტიხრავი აქვს და მხოლოდ ბელადის სადგომი აქვს დანარჩენებისგან გამოყოფილი.

აშშ-ის შტატი	ძველი რომის იმპერატორის ტიტული	სახელმწიფო ევროპაში	წინასწარ თანხა	ძველად: ხალი. სადაც ფულს ჭრიდნენ	ადგილი, სადაც თითქმის ქარიძებმა ილოცეს („კაცია-ადამიანი“)	სა
მ	ი	ნ	ი	ს	ი	ხ
კვრდის ოპერა	სპორტული თამაში ცინკლაზე	„ეფესოსეაოხანი“. გარიელის მამის სახელი	ქართ. მხატვრული ფილმი	თევზის ძეგლი	...მხოლოდ	მოდერნიზაციის შესახებ

კანასკნელი ქორეკები



აბორიგენებს ტამარიც აქვთ მოწყობილი: წმინდა ადგილას ტომის მფარველი კერპების ხისა და ქვის მოზრდილი ქანდაკებებია განთავსებული. სამზარეულოს ზოგი ტომი ტერასაზე აწყობს, ზოგიც – ცალკე მდგომ პატარა ქოხში.

სხვათა შორის, ტერასა დაიაკების სახლის განუყოფელი ნაწილია. იგი ერთდროულად ქონების შესანახი ადგილიც არის და სოფლის მოედანიც. კედელზე დიდი კალათები ჰკიდია, რომელშიც ზაფხულები, ისრები, სამონადირეო მილები, ბადეები და სხვა ნივთები ინახება.

დაიაკები საკმაოდ კარგი მხატვრული გემოვნებით გამოირჩევიან: კალათებსა და ხალიჩებს ისინი ხელოვნების ნამდვილ ნიმუშებად აქცევენ, ნიჩბებს ამოკვეთილი ნახატებითა და ფრთებით რთავენ, მძივისგან ულამაზეს ყელსაბამებს წნავენ, პალმის ბოჭკოსგან კი ტანსაცმელს ამზადებენ. მეომრები იმ მარტორქა-ჩიტის შავი ბუმბულით ირთვებიან, რომელიც ბორნეოზე წმინდა ფრინველად ითვლება. მაგრამ დაიაკების სახლის მთავარი მოსართავი თავის ქალებით „დამშვენებული“ ლატანია.


სანაპიროსთან შორიანხლოს მცხოვრები დაიაკები უფრო კეთილები და აუღუბრყვილონი არიან. მათი გრძელი სახლის წინ ჭოკებზე წამოცმული თავის ქალები კი ან შემკვიდრობით ერგოთ, ან მათ გარდაცვლილ ნათესავებს ეკუთვნით. როცა დაიაკებს თავის ქალის ყოფილი მფლობელის სულის კეთილგანწყობის მოპოვება სურთ, რელიკვიების გვერდით სხვადასხვა საჩუქარს ათავსებენ.

ინდონეზიელები დაიაკებს დასცინიან და შტერებად თვლიან. ალბათ ამიტომაც სწყინთ მათ სახელი „დაიაკი“ და საკუთარ თავს მხოლოდ ტომის დასახელებით მოიხსენიებენ. „მე დაიაკი კი არა, კენია ვარ!“ კენია – უწყინარი დაიაკია, თუმცა მისი გარეგნობის მიხედვით, ამას ვერ იტყვი: ის თავიდან ფეხებამდე ნადირის კბილებით არის მორთული და სამონადირეო, გრძელ



მილაკებს წუთითაც არ იშორებს, რომლითაც, სხვათა შორის, მოწამლულ ისრებს მხოლოდ ცხოველებს ესვრის.

მეზობელ მალაიზიაში ყველაფერი პირიქით ხდება. იქ ადამიანების თავებზე მონადირეებს მოკრძალებით უწოდებენ ტომის სახელებს: ნგაჯუ, კლემანტანი, იბანი, ბიდაიუნი, დუსუტი. სარეკლამო ბუკლეტში კი ამაყად წერენ: „ჩვენი სასტუმრო იმ ადგილას მდებარეობს, სადაც ადამიანის თავებზე კუნძულის საუკეთესო მონადირეები ბინადრობენ“. მოგზაურებს სასტუმროს გარეთ დროის საუკეთესო გატარებას ჰპირდებიან. ზოგიერთი განსაკუთრებით მამაცი ტურისტის დამეს გრძელ სახლებში ათევს. ამისათვის საკმარისია ტომის უხუცესებს რაც შეიძლება მეტი საჩუქარი – ორცხოზობილა, ჩაი და თამბაქო მიართვან. ამ შემთხვევაში უცხოელებს ტომის წარმომადგენელთა შორის ორიოდ დღის გატარების უფლებასაც აძლევენ. დიდი იმპოზანტობით გამოირჩევიან აბორიგენი ქალები. მათი მორთულობის მთავარი დეტალები ლითონის სალტეებია, რომლითაც ისინი მხრებს, თეძოებს, მაჯიდან იდაყვამდე ხელებს და კოჭიდან მუხლებამდე



ფეხებს იფარავენ. სხეულის დანარჩენი ნაწილები სხვადასხვა ფერის მძივებით დაწნული ლენტებით აქვთ მორთული. ყველაფერ ამას, შლეიფიანი ბალიშის მსგავსი თავსამკაული ავირგვინებს. ყურებში აბორიგენ ქალებს ლითონის დისკები აქვთ გაყრილი და საშუალო ზომის გირებიც ჰკიდიათ, რის გამოც ყურის ბიბილოები მხრებამდე სწვდებათ.

ბორნეოზე ეს ძალიან მიმზიდველ და მოხდენილ აღკაზმულობად ითვლება, მაგრამ ტურისტებს ურჩევენ, არ გაიტაცოს ადგილობრივი ლამაზმანების ცქერამ, რადგან ამ დროს თავი შეიძლება დაკარგონ – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით...

უბელი ლახა	ფულის ერთეული	მხატვრის სახელოსნო	ჯასაგაგინად დაწერილი ტექსტი	მებრძოლი აზნაუ- რი შუა სექციონებ- ის ევროპაში	ქართველი პრინციპალერისა ნინო...
მ	ლ	ს	ი	ა	
ციებ-ცხელება	შილერის დრამა „ვილჰელმ...“	მწირო, უნაყოფო მიწა	პოეტის მთავარების სიმბოლო	პარისონ უორდის კინოგმირი ... ჯონსა	... გრემინ- სკია
					ნაშეივი მოგვლად

ქართლიდან თეიმურაზ მეფის განდევნის შემდგომ, მრისხანე შაჰ-აბასმა ქართლ-კახეთის მმართველობა გამაჰმადიანებულ ხოსრო-მირზას ჩააბარა. მანამდე, შაჰის ტახტის გარდა, ყოველი სხვა „უმაღლესი ტახტი“ დაეპყრო ირანში ხოსრო-მირზას, მაგრამ ქართლის სამეფო ტახტის დაუფლების სურვილი, მაინც არასდროს განელებია. ხოსრო-მირზა ირანის შაჰის – შაჰ-სეფის უსაყვარლეს გურჯად ითვლებოდა და გმირობისათვის შაჰ-სეფიმ მას სპარსული სიტყვიერების ყველაზე დიდი გმირის – როსტომის სახელი ანუ როსტომ-ხანი უწოდა. ამასთანავე, როსტომს ეწოდა „ვალი“ ანუ მოადგილე. „ჩემი ძმა ქართლის ვალი როსტომ-ხანი“ – ასე უწოდებდა ყოველ საქმიან თუ შინაურულ მიმოწერაში შაჰ-სეფი როსტომს. ქართველებმა მას როსტომ მეფე უწოდეს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ შაჰ-სეფიმ 67 წლის როსტომ-ხანს, ქართლის გამგებლობასთან ერთად, ძველი თანამდებობებიც დაუტოვა. როსტომი ქართლის მეფეც იყო, ირანის ყულა-რადასიც და ისპაჰანის ტარულაც. გამაჰმადიანებული როსტომ-ხანი თითქოს შაჰის პოლიტიკას ატარებდა საქართველოში და ქართველობდა კიდევ. მეფე „დაუტკბა“ სამღვდლოებას და ჯამაგირიც კი დაუნიშნა. აშენებდა ეკლესიებსაც, მაგრამ სწორედ მისი მეფობის დროს „იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება. გამრავლდა სიძვა და არაწმინდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრევა...“ „შემოვიდა ზოგ-ზოგან ტყვის სყიდვანი თავადებისგან“, აღზევდნენ „მეძავნი და ბილწების მოქმედნი“. მეფის ფუფუნებისა და ცოდვის მოყვარეობა თანდათანობით გადაეღო ერს, „თვით სამღვდლონიცა და მღვდელმთავარნიცა მიდრკეს კეთილისაგან და აღერივნეს ერთა თანა... მოუძღურდა სჯული და განირყუნა წესი ეკლესიისა, რამეთუ არღარა ეძიებდნენ სულიერსა საქმესა, არამედ ხორცისთვის ზრუნვიდნენ ყოველნივე“, „სიმართლის მოქმედნი და



წმინდა მოწამე ევდემოზ კათოლიკოსი

წრფელნი გულითა და ცოდვის მორიდაღნი“, უპატიოქმნილნი სასოებით იტანდნენ ყოველგვარ გასაჭირს. ამ დროს საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი იყო წმინდა ევდემოზ-კათოლიკოსი. ერის სულიერ მოძღვარს არ შეეძლო შეჰკუებოდა ქართველთა დაცემას და მოქმედება კიდევ მწყემსმთავრისათვის შესაფერისი უშიშარობითა და თავდადებით. დაუნდობლად ამხელდა ქართველთა მიდრეკილებას ბოროტი საცდურისაკენ და მას გონიერებისაკენ მოუწოდებდა. მან რამდენჯერმე შეკრიბა ქართლის წარჩინებული ვაჟკაცები სპარსელებთან საბრძოლველად. მისი ზეგავლენით ცალკეული მთავრები არ ემორჩილებოდნენ როსტომ-ხანის პოლიტიკას და თავიანთ სამთავროებს იცავდნენ მუსულმანური ტრადიციების ზეგავლენისაგან. კათოლიკოსი ევდემოზი წინ აღუდგა ბაგრატიონთა და სხვა დიდებულ გვარის შვილთა სიყრმიდანვე ყაენის კარზე აღზრდის იმდროინდელ ჩვეულებას. ევდემოზი არც მეფის პირისპირ

მხილებას ერიდებოდა – სადაც კი შეხვდებოდა როსტომ-ხანს, ყველგან ეუბნებოდა: მაჰმადიანების მამა ხარ და ქრისტიანთა მამინაცვალიო.

კათოლიკოს ევდემოზის სულიერი შვილი იყო როსტომ-ხანის მეუღლე – მანუჩარ დადიანის ასული და ლევან დადიანის და მარიამი, ქალი, ცნობილი სილამაზით, სათნოებითა და კდემამოსილებით. კათოლიკოს ევდემოზის მოღვაწეობითა და დედოფალ მარიამის თანადგომით, ქვეყანაში ისევ ცოცხლობდა სარწმუნოებრივ-ეროვნული სული, შენდებოდა ეკლესიები, იწერებოდა სასულიერო ხასიათის ლიტერატურა და ნელ-ნელა მადლდებოდა პატრიოტული სულისკვეთება. როსტომ-ხანი კარგად ხედავდა კათოლიკოსის ორიენტაციასა და ავტორიტეტს. ევდემოზი ყველგან ქადაგებდა და კონკრეტულ გემბებსაც ადგენდა ქართლის ტახტზე ქრისტიანი მეფის – თეიმურაზის დასაბრუნებლად.

1642 წელს როსტომ-ხანმა შეიპყრო წმინდანი, მაგრამ ვერაფრით გატეხა ქრისტესა და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული კათოლიკოსი. ევდემოზი კიდევ უფრო მწვავედ გამოხატა მეფის ურჯულოებას და ხალხს მის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა.

როსტომ-ხანმა საპყრობილეში მოაშთობინა წმინდანი, მისი გვამი კი, შეურაცხყოფის მიზნით, ნარიყალას ციხიდან გადაავდებინა აბანოების მხარეს.

ქრისტიანობისთვის წამებული ნეტარხსენებული კათოლიკოს-პატრიარქის გვამი ფარულად წამოიღეს ქრისტიანებმა და ანჩისხატის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში დაკრძალეს. წმინდა მოწამის – ევდემოზის ხსენების დღედ 17 ოქტომბერია დაწესებული.

მღვდელმთავრობის საყდრისა სიმტკიცეო, მოწამეთა თვალო და მნათობო ბრწყინვალეო, წმინდაო ევდემოზ კათოლიკოსო, ქრისტეს ღმერთსა ევედრე მონიჭებად სულთა ჩვენთა დიდი წყალობა!

6067 ტარყამვილი

ერთი ნუმიზმატის სიზმარმა მშვენიერი სერაფიტას ნაქაზადმოიხსენა ფიჭოფიჭონა...



სერაფიტას საფლავის სტელა

ელენე სალარიძე

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში დაკვიდრებულან არმაზისხევში, მცხეთის დასავლეთით, ქართლის მეფის პიტიახშები – ერისთავები.

ამ ადგილებში XIX საუკუნის დამდეგს ექვთიმე თაყაიშვილსაც დაუკრავს არქეოლოგის წერაქტი. ფუნდამენტური კვლევა-ძიებანი კი 1937 წელს დაუწყო ივანე ჯავახიშვილს და თავადვე შეუქმნია „მცხეთა-სამთავროს“ ექსპედიცია, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე (1940 წლის ნოემბრამდე) ხელმძღვანელობდა.

... მცხეთის სამაროვანთაგან თავდაპირველად პირველ სამარხს გაგაცნობთ, რომელშიც დაკრძალულის ვინაობა მისსავე მარჯვენა ხელის თითზე წამოცმული ეწ. საბეჭდავი ბეჭდის სარდლიონის თვალზე ამოკვეთილი წარწერით დადგინდა: ასპარუგ ერისთავი (მოღვაწეობდა II საუკუნის შუა ხანებში). აქვე იყო მისი ვინაობის კიდევ ერთი დამადასტურებელი – საერისთავო სარტყელი, მოოჭვილი ოქროს ბალთებითა და აბზინდებით.

ოქროს ბალთებიდან ერთი გამორჩეულია. ეს ბალთა სიყვარულის უკვდავების სიმბოლოდ შეიძლება აღიქვას.

ბალთა სწორკუთხოვანია, ოქროს მსხვილი მარცვლებით მოჭვილი ბუდეში ჩასმული ალმადინის გემათი. გემაზე ქალვაჯის გამოსახულებაა, მარჯვნივ – მამაკაცის, მარცხნივ ქალის პროფილით.

ლამაზი და მედიდურია ქალის სახე. გრძელი წარბი, თვალის მეტყველი ჭრილი, კავიანი თავსამკაულით დამშვენებული დაწნული თმა, მაღალ ყელზე კარგად მომდგარი სამოსელი...

არანაკლებ დახვეწილია მამაკაცის სახე, მოკლე წვერით, ტალღოვანი თმით, ოდნავ ძირს ჩამოშვებული უღვაშით. სამოსელი მასაც ძვირფასი უნდა სცმოდა... გემაზე გასაოცარი წარწერაა:

„ზევახი – სიცოცხლე ჩემი – კარპაკი“.

საგვერის მდიდრული ქარქაში

სავარაუდოა, რომ ეს ცოლ-ქმრის გამოსახულებაა, ზევახისა და კარპაკისა, და რომ იგი მოყვარული ცოლის დაკვეთით არის შესრულებული ზევახის გარდაცვალების შემდეგ.

უნებლიეთ, გურამ ასათიანის მინიატურა მაგონდება, რომელსაც „უსიყვარულო“ ჰქვია და რომლის მცირე ფრაგმენტაც მინდა შემოგთავაზოთ:

„ინავლება სიყვარულიც...“

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბროწეულის ლორთქო ფესვები კანდიერად გაჰკვეთენ ქვიან ბალავარს და სარკოფაგის ათასწლოვანი სიგრილიდან კვლავ ამოვიგვიზიდება „ვითა ბაზმა გაუქროლებელი“ – ჩვილი, უმწეო, სამარადისო ხმა:

– ზევახ, სიცოცხლე ჩემო!...“

... ვინ იცის, ეგებ ასპარუგი, ზევახის შვილი იყო და სარტყელზე დაკრული ბალთით დღე-მამის სურათი უტარებია თან.

სამაროვანში სხვა ძვირფასი ნივთებიც არის. თუნდაც სატევრის ქარქაშის გარსაკრავი, რომელიც ბოლოვდება ტიხრული მინანქრის მედალიონით. ერთი შეხედვით ასიმეტრიული და ტლანქი ოთხკუთხა თვალბუდეების ფონზე, ეს მედალიონი სინატიფით და დახვეწილობით გამოირჩევა. სამარხში რომელი ოქროს მონეტებიც არის, ვერცხლის სურებიცა და ორფურა ჯამებიც, დანისპირებიც და მინის ჭურჭლის ნატეხებიც, რომლის შესწავლაც ადასტურებს იმ პერიოდისათვის მაღალგანვითარებული ქართული კულტურის არსებობას.

... მეცნიერები იმასაც ფიქრობენ, რომ ასპარუგ პიტიახში სერაფიტას ძმა უნდა ყოფილიყო და ალბათ, არანაკლებ მდიდრული იქნებოდა სერაფიტას საფლავი, სინარბესა და მძარცველთა ხელს რომ გადარჩენოდა...

... ასპარუგის სამარხის ჩრდილოეთით გათხრები ისევ გრძელდებოდა. რამდენიმე „უნაყოფო“ ცდის შემდეგ არქეოლოგებმა გადაწყვიტეს, ამ ადგილისთვის თავი მიენებებინათ და მუშაობა სხვაგან გაეგრძელებინათ... და როგორ ფიქრობთ, ვინ იყვნენ ამ ექსპედიციის წევრები?

– ქართული მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები: გიორგი ლომთათიძე, ალექსანდრე კალანდაძე, გერმანე ვობეჯიშვილი, ანდრია ავაქიძე... მათ შორის ერთი ცნობილი ნუმიზმატიც იყო – დავით კაპანაძე, ყველანი რომ „ურწმუნო თომას“ ეძახდნენ თურმე.

სახელმწიფო მუზეუმის მართლაც რომ კოლორიტული ექსკურსიამბოლოლი, ქალბატონი ნუნუ გეწაძე მიამბობს: „ექსპედიციის მუშაობა დამთავრებულად ჩაუთვლიათ და ვაკუფი მთელი დღეს თბილისს აპირებდა დაბრუნებას. ჩვენს ურწმუნო ნუმიზმატს სიზმარი უნახავს, – სად მიდიხარო, უოქვამს ვილაკას, ადეკი, გადადვი ნაბიჯი (ადგილი მიუნიშნებია) და გათხარეო. ალიონზე დავით კაპანაძე უკვე ველზე ყოფილა. გაუთხრიათ და მართლაც უპოვიათ სამარხი, რომელიც, მართალია, გამარცხელი ყოფილა, მაგრამ სამაროვნის გრძივ კედლებად ჩადგმულმა ორმა სტელამ მსოფლიო ალაპარაკა...“

მართლაც, ვინ იცის, ამ სამარხის ამწენებლები მზამზარეულ გათლილ ფილაქებს რომ არ დახარბებოდნენ, „არმაზის წარწერას“ ისევე წაშლიდა ხანი, როგორც არაერთ საფლავის ქვაზე ამოტვიფრულ ისტორიული მნიშვნელობის წყაროებს.

სამარხის სამხრეთ გრძივ კედლად გამოყენებული სტელა (სიმაღლე 1,93 მ, სიგანე 0,67 მ, სისქე 0,14 მ) დიდგვაროვანი მშვენიერი ასალგაზრდა ქალის საფლავის ქვა ყოფილა. არმაზის ბილინგვის (ორენოვანი წარწერის) ბერძნული და არამეული წარწერები სიმონ ყაუხჩიშვილმა და გიორგი წერეთელმა გაშიფრეს. არამეული წარწერა მეცნიერებმა ადგილობრივ, მცხეთურად მიიჩნიეს და ქართული დამწერლობის ერთ-ერთი წინარე ვარიანტის კლასიფიკაცია მიანიჭეს.

ახლა კი ეს წარწერაც, რომელიც, ვეფიქრობ, ჩვენი მკითხველისთვის უცხო არ უნდა იყოს:

„მე (ვარ) სერაფიტი, ასული ზევახისა, მცირისა პიტიახშისა ფარსმან მეფისა, მეუღლე იოდმანანისა – ძლევა მოსილისა და მრავალი გამარჯვების მოძოვებელი ეზონისმოძურისა ფარსმან მეფისა. ვაება ვეიბისა. ის რაც (ის ვინც) იყო არა დასრულებული (ე.ი. ასალგაზრდა) და იმდენად კეთილი და მშვენიერი იყო, რომ არავინ იყო (მისი) მსგავსი სილამაზით. და გარდაიცვალა 21 წლისა“.

მცხეთის განძი სერაფიტას სტელასთან ერთად სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული...





მიხაელ შუმინსაიჩი

«ფორმულა-1-ის პეღე»

უკვე დიდი ხანია, რაც მიხაელ შუმინსაიჩი ფორმულა-1-ის სამყაროს, ვაჟაცობის, ფსიქოლოგიური ჯონცენტრაციისა და ავტომობილის ფილიგრანული მართვის მაგალითებს უჩვენებს. სულ მცირე დროში მან შეძლო, ჰლანეტის საუკეთესო მრბოლელად ქცეულიყო. დიდი წარმატებები ჯი, ფორმულა-1-ის ტურნირებზე მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის საფრთხეში ჩავდების ფასად მოდის. მიხაელი არასოდეს ჯმაცოფილდება მიღწეულით და ყოველთვის ახალი გამარჯვებებისთვის იბრძვის.

კარტინგებით დაქვროდი. ერთხელ, როდესაც თერთმეტი წლის ვიყავი, არჩევანის წინაშე დავდექი – ძიუდოს შეჯიბრებაზე წავსულიყავი თუ კარტინგების რბოლაზე. მე ძიუდოზე შევჩერდი – და მხოლოდ მესამე ადგილზე გავედი. ეს არასწორი არჩევანი იყო, რადგან წავაგე“, – იხსენებს მიხაელ შუმინსაიჩი.

დოსიი:

დაბადების თარიღი: 1969 წლის 3 იანვარი
დაბადების ადგილი: პერტ-პირმუტჰაიმი (გერმანია)
გუნდები: JORDAN (1991), BENETON (1991-95), FERRARI (1996 წლიდან)
მსოფლიო ჩემპონი: 1994, 1995, 2000 და 2001 (ვადაზე ადრე) წლებში

კარტინგის საჭესთან ოთხი წლის ასაკში

მიხაელ შუმინსაიჩმა ბავშვობა კერპენში გაატარა. მისი მშობლები, როლფ და ელიზაბეტ შუმინსაიჩები ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, თუმცა ამას პატარა მიხაელისთვის ხელი არ შეუშლია, სპორტით ყოფილიყო დაკავებული. „მამაჩემი კალატოზი იყო, ჩვენ საკმაოდ ღარიბები ვიყავით. მე საკმაოდ ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა, ისეთივე, როგორც ყველა ბიჭუნას. ძალიან მიყვარდა მეგობრებთან ერთად ფეხბურთის თამაში, ძიუდოშიც ვვარჯიშობდი და

როლფ შუმინსაიჩი სერიოზულად იყო გატაცებული ავტოსპორტით. სწორედ მან მოახდინა გადამწყვეტი გავლენა მიხაელის სპორტულ არჩევანზე.

ერთხელ როლფმა ჩვეულებრივი გაზონის სათიბი მანქანის ძრავის გამოყენებით კარტინგი გააკეთა, რომლის საჭესთანაც პირველად დაჯდა ოთხი წლის მიხაელი და თვითნაკეთი მანქანა რამდენიმე მეტრის მანძილზე გაატარა კიდეც. რა თქმა უნდა, მაშინ მასზე ბედნიერი არავინ იყო. მოგვიანებით კი, მამამისმა კარტინგის საკუთარი ცენტრი დააარსა, სადაც მიხაელი ყველაზე ახალგაზრდა ავტომრბოლელი იყო.

მიხაელის მშობლები



როლფმა გადაწყვიტა, რომ მისი კარტინგისთვის ძველი მოტოციკლეტის ძრავა დაეყენებინა. უფრო სწრაფ მანქანას მიხაელი ალტაცებით დააქროლებდა, მაგრამ ეს ყველაფერი ერთი უსიამოვნო ფაქტით

დამთავრდა – პატარა ავტოპილოტი სინათლის ბომს შეეჯახა. ალბათ მაშინ 4 წლის მიხაელ შუმახერმა, რივიანად ვერც კი გააცნობიერა, თუ რა ფაქტორებით სავსე და სიცოცხლისათვის სახიფათო სპორტის სახეობაში დგამდა პირველ ნაბიჯებს.

5 წლის მიხაელმა ბავშვთა ტურნირში პირველად მოიგო თასი. მაშინ ის უკვე ფლობდა ნამდვილ კარტინგს, რომელიც ასევე მამამ აუწყო, თუმცა მის მანქანას ბევრად სჯობდა შეჯიბრების სხვა მონაწილეთა სპორტული ავტომობილები. მიუხედავად ამისა, შუმახერმა ავტომობილის დიდი ნიჭი გამოავლინა და ასაკით თავისზე უფროსები უკან ჩამოიჭო. ექვსი წლის ასაკში კი, კარტინგ-კლუბის ჩემპიონი გახდა. მიხაელს ამჯერადაც თავისზე უფროს ავტოპილოტებთან უწევდა რბოლა.

ცოტა ხანში მიხაელს უმცროსმა ძმამ, რალოფმაც მიჰბაძა და თავისი ცხოვრება ავტოსპორტს დაუკავშირა. შუმახერების ოჯახში უკვე ორი მოზარდი იყო, რომელიც ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მეტად სახიფათო სპორტის სახეობას მისდევდა. თუმცა როლფი და ელიზაბეტი ყოველთვის მტკიცედ და ოპტიმისტურად ადევნებდნენ თვალს ვაჟიშვილების წინსვლას. „შშობლებს არ უყვართ ეს ბრბო, რომელიც გარს გვახვევია, – ამბობს დღეს უკვე ცნობილი ავტოპილოტი, რალოფ შუმახერი, – ისინი უკეთ გვიცნობენ ჩვენ, ვიდრე ვინმე სხვა“.

კარტინგისტა ოფიციალურ ტურნირებზე მონაწილეობის ლიცენზია მიხაელ შუმახერმა 1983 წელს მიიღო (14 წლის ასაკამდე ლიცენზიას არ იძლეოდნენ). მანამდე ახალგაზრდა ავტოპილოტი მხოლოდ სტუმრის სტატუსით გამოდიოდა, თუმცა მთელ გერმანიაში უკვე ცნობილი იყო, როგორც ნიჭიერი და პერსპექტიული კარტინგისტი. ლიცენზიის მიღების შემდეგ მიხაელმა არაერთი შეჯიბრება მოიგო. „ავტობოლა ჩემი ჰობი იყო. მოგვიანებითაც, როდესაც ამ საქმიანობაში სერიოზულად ჩავერთე, არასოდეს მიოცნებია ფორმულა-1-ზე. მხოლოდ ოცი წლისამ გავიფიქრე: „ვენახოთ, იქნებ გამომივიღეს“, იხსენებს მიხ-

აელ შუმახერი, რომელმაც სკოლის დამთავრების შემდეგ ავტომექანიკოსობას მოჰკიდა ხელი და 1986 წელს კერპენში, ერთ-ერთ ავტოსარემონტო სახელოსნოშიც მუშაობდა. „რკინეულთან ფუს-ფუსი არასოდეს მიტაცებდა. ეს სამუშაო რბოლის მექანიკური მხარის შეცნობაში დამეხმარა. თუმცა, მე ყოველთვის საკუთრივ რბოლას ვამჯობინებდი“, – ამბობს შუმახერი.

FORMULA-1

მიხაელ შუმახერის დებიუტი ფორმულა-1-ში 1991 წლის 25 აგვისტოს, ბელგიის გრან-პრიზე შედგა. ახალგაზრდა ავტომობილელმა ყველა განაცვიფრა, როდესაც კვალფიკაციის შედეგებით მე-7 აღმოჩნდა. დასაწყისისთვის ეს უკვე დიდი მიღწევა იყო. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შუმახერმა Benetton-ის შემადგენლობაში 1994 და 1995 წლებში მოიპოვა. ამ დიდ წარმატებებს წინ უსწრებდა ავტობოლების სხვადასხვა ეტაპზე გერმანელი პილოტის გარშემო ატეხილი სკანდალები. შუმახერი რამდენჯერმე იყო დისკვალიფიცირებული: ხან მოწინააღმდეგესთან განგებ შეჯახებაში ადანაშაულებდნენ, ხან კი იმაში სდებდნენ ბრალს, რომ მისი მანქანის საწვავი არ შეესაბამებოდა ფორმულა-1-ის რბოლებისათვის მიღებულ სტანდარტს.

1997 წელს ხერესში გამართულმა ავტობოლამ შუმახერის სპორტულ ბიოგრაფიას კიდევ ერთი შავი ლაქა დააჩნია. მაშინ გერმანელი პილოტი უკვე Ferrari-ს შემადგენლობაში გამოდიოდა. მიხაელმა საკვალიფიკაციო რბოლაში შეგნებულად შეაჯახა თავისი წითელი „ფერარი“ ვილნევის მანქანას, რათა ამ უკანასკნელს მისთვის არ გაესწრო. „მე დარწმუნებული ვიყავი, რომ გავიმარჯვებდი. ამ დროს კი, მოულოდნელად, წამოწეული ვილნევი შევნიშნე. ჩემი შემდგომი ქმედ-



ბა ინსტინქტური იყო“, – ასეთი განმარტება გააკეთა იმ ფაქტის შესახებ მიხაელ შუმახერმა. საკუთარი კერპის ამგვარმა ქმედებამ ისე გაანაწყენა იტალიელი ტიფოზები, რომ ზოგიერთი მათგანი „ფერარიდან“ მიხაელის გაგდებასაც მოითხოვდა.

შუმახერი თავს არ ზოგავდა, რათა „ფერარითაც“ მოეპოვებინა მსოფლიო ჩემპიონობა. გრძელდებოდა მისი კონფლიქტები კონკურენტებთან. 1998 წელს არგენტინაში ჩატარებული რბოლა შუმახერისა და კულტპარდის ავტომობილების შეჯახებით დამთავრდა. ამის გამო მიხაელი McLaren-ის ბოქსში შევარდა და აყვირა: „შენ ჩემი მოკვლა გინდოდა!“ არავინ იცის, როგორ დამთავრდებოდა კონფლიქტი, „ფერარის“ მექანიკოსებს რომ არ შეეჩერებინათ შუმახერი. კულტპარდმა კი რბოლა განაგრძო.

2000 წლის მიწურულს მიხაელ შუმახერმა „ფერარის“ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაუბრუნა. იტალიელები ამ გამარჯვებას 21 წელი ელოდნენ. გუნდი, ტიფოზები და თავად შუმახერი ბედნიერების მწვერვალზე იყვნენ. გერმანიის კონკურენტი პილოტები კი, ერთხმად



შუმი ყოველთვის რისკავს და შედეგის... კვარცხლბეკზეა...

აღიარებდნენ, რომ მიხაელი საუკეთესო იყო და მსოფლიო ჩემპიონობა ნამდვილად დაიმსახურა.

ავარია

„ეს ჩემი კარიერის მანძილზე ყველაზე ცუდი მომენტი იყო. უბრალოდ მინდოდა, ბოქსში შევბრუნებულიყავი და რბოლა აღარ გამეგრძელებინა“, – აღნიშნა შუმახერმა 1994 წლის მაისში მომხდარი საზარელი ავტოკატასტროფის შესახებ, როდესაც ავტორბოლის დროს დიდი ბრაზილიელი პილოტი, აირტონ სენა დაიღუპა. 1999 წელს კი, ფორმულა-1-ის გერმანელი ვარსკვლავი თავად აღმოჩნდა მძიმე ავტოკატასტროფის მსხვერპლი. სილვერსტონში გამართული რბოლის უკვე 30-ე წამზე მიხაელს თავისი „ფერარის“ მუხრუჭმა უმტყუნა და დიდი სისწრაფით ბორბლებიან კედელს შეასკდა. მარცხით გაოგნებული შუმახერი გაჭირვებით ამოიყვანეს ავტომობილიდან და საკაცეზე დააწვინეს. შუმახერმა ძალა მოიკრიბა და თავიანისმცემლებს ხელიც კი დაუქნია იმის ნიშნად, რომ ყველაფერი რიგზე იყო... თუმცა, მას მარჯვენა ფეხის ორმაგი მოტენილობა ჰქონდა. „იცით,

ის სამი თვე ავარიის შემდეგ, როდესაც ჩამოცილებული ვიყავი რბოლებს, არც ისე ცუდი აღმოჩნდა ჩემს ცხოვრებაში. ეს დრო ოჯახთან გავატარე. როდესაც ფეხი მიჩნებოდა, ქალიშვილთან ბევრს ვთამაშობდი, ვუყურებდი ტელევიზორს, ძაღლს ვასეირნებდი... არ მინდა, რომ ჩემი შვილები ფოტორეპორტიორთა ნადირობის ობიექტად იქცნენ. ჩემს ოჯახს აქვს ნორმალური ცხოვრების უფლება. მე სხვა სიტუაციაში ვიმყოფები, მაგრამ სერიოზულად ვიგრძენი, რომ პირველ რიგში, მეუღლე და მამა ვარ და მხოლოდ ამის შემ-


დეგ – მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე“, – ამბობს „ფერარის“ ლეგენდარული ავტოპილოტი.

როცა ის ფორმულა-1-ის გრასაბე არ იმყოფება...

მიხაელ შუმახერმა 1995 წლის პირველ აგვისტოს იქორწინა, თუმცა თავის მომავალ მეუღლესთან, კორინასთან, ჯერ კიდევ რამდენიმე წლით ადრე ჰქონდა ურთიერთობა. ამ ფაქტის გამო გავრცელდა ხმები, რომ კორინა მან ჰაინც-ჰაროლდ ფერნტცენს „წაართვა, თუმცა შემდეგ გამოირკვა, რომ კორინა და ჰაროლდი ჯერ კიდევ შუმახერის გამოჩენამდე დაშორდნენ. ათ წელზე მეტია გასული, რაც მიხაელმა და კორინამ ერთმანეთი გაიცნეს. მას შემდეგ ისინი ერთად არიან და ორ შვილსაც ზრდიან.

მიხაელ შუმახერისთვის, რომელიც თავისი პროფესიის გამო წელიწადის უმეტეს დროს პლანეტის სხვადასხვა კუთხეში ატარებს, შინ ყოფნა მართლაც უდიდესი ბედნიერებაა. რეზიდენციაში, რომელიც შვეიცარიაში მდებარეობს, მიხაელს „ფერარები“, „მერსედესები“ და სპეც-შეკვეთით აწყობილი „ჰარლეი-დევიდსონი“ უყვია. სახლში ყოფნისას მას ყველაზე მეტად ის მოსწონს, რომ ფოტორეპორტიორები და ფანები არ აწუხებენ. ერთხელ, როდესაც მიხაელი შტუტგარტის საპარიკმახეროში იმყოფებოდა, გარედან ვიტრინას 150-ზე მეტი გულშემატკივარი მიადგა. მათ თავიანთი კერპის პირადად გაცნობის სურვილი ჰქონდათ, თუმცა ფორმულა-1-ის სუპერვარსკვლავი ყოველთვის გაურბის ასეთ შემთხვევებს. მიუხედავად ამისა, თავიანისმცემლებს მაინც

შეცლომა მოგჯერ მიხაელსაც მოსდის...






სჯერათ მიხაელისა და უყვართ იგი, ალბათ იმიტომაც, რომ ის მათგან არ განსხვავდება. „მე მხოლოდ ადამიანი ვარ და მეტი არაფერი“, – ამბობს შუმასერი.

ბავშვობის გატაცებას – ფეხბურთს, მიხაელ შუმასერის ცხოვრებაში დღესაც საპატიო ადგილი უკავია. „მე „კიოლინისა“ და გერმანიის ნაკრების მეკარის, ტონი შუმასერის ნამდვილი ფანი ვიყავი. მთელ სკოლას სჯეროდა, რომ ის ბიძაჩემი იყო. როდესაც ეს კლასელებს გაუუმხილე, ჩემი ავტორიტეტი ძალიან გაიზარდა. ჩვენ სინამდვილეში არანაირი ნათესავეები არა ვართ. ის მხოლოდ მატჩებზე მყავს ნანახი. მაგრამ რამდენიმე წლის წინ, ტონისთან ერთად თამაშის საშუალება მომეცა. დიახ, ის ჩემთვის გმირი იყო, მსურდა, მას დავემსგავსებოდი. მაგრამ ყოველთვის ვიცოდი: მეტისმეტად ცუდად ვთამაშობდი ფეხბურთს იმისთვის, რომ ჩემი ეს ნატვრა ასრულებულიყო. ამიტომ რჩებოდა ავტორბოლა, სადაც, რა დასამაღია, ჩემი საქმე ცოტათი უკეთ მიდიოდა“, – ამბობს მიხაელი, რომელიც ფეხბურთს ახლაც სიამოვნებით თამაშობს ხოლმე და ხშირად ცნობილ ადამიანებთან ერთად საქველმოქმედო მატჩებშიც მონაწილეობს. ამავე დროს შვეიცარიაში ყოფნისას არ ივიწყებს სამოყვარულო კლუბსაც, სადაც მის გვერდით ბანკის მოხელე, ექიმი, მტვრითაივცა და მეფხოვეც კი თამაშობენ. შემთხვევითი არ არის, რომ მიხაელ შუმასერს „ფერარის“ პატრიარქმა, ჯანი ანელიმ „ფორმულა-1-ის პელებ“ უწოდა.

რუბრიკა მოამზადა
ალექსი რეხვიამვილია

„მფრინავი მაიკლი“ NBA-ში ჩაუნდება

26 სექტემბერს ლეგენდარულმა კალათბურთელმა, მაიკლ ჯორდანმა დიდ სპორტში თავისი დაბრუნების შესახებ ამცნო სამყაროს. „ვბრუნდები იმიტომ, რომ კალათბურთის თამაში ყველაზე მეტად მიყვარს“, – განაცხადა 38 წლის ჯორდანმა, რომლის NBA-ში დაბრუნების შესახებ ხმები უკვე რამდენიმე თვეა დადიოდა, თუმცა გარკვეული ფორმალური საკითხების მოუგვარებლობის გამო, იგი ოფიციალური განცხადებისაგან თავს იკავებდა. „მფრინავი მაიკლი“ მომავალი საკალათბურთო სეზონიდან კლუბ „ვაშინგტონ ვიზარდის“ ღირსებას დაიცავს. აღსანიშნავია, რომ 80-90-იან წლებში NBA-ს ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავმა „ჩიკაგო ბულზის“ შემადგენლობაში 13 სეზონი გაატარა და დიდ კალათბურთში ეს უკვე მისი მესამე დაბრუნებაა. ■



PLAYBOY-მ კურსიკოვა უიუველი ფოტოგადაღებისთვის მიიწვია

ამერიკული ჟურნალის – PLAYBOY-ს მესვეურებმა ცნობილ ჩოგბურთელთან ანა კურნიკოვასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს და რუსი ლამაზმანი ფოტოსურათების შიშვლად გადასაღებად მიიწვიეს. კურნიკოვა მათ წინადადებას ჯერჯერობით არ გამოხმაურებია. ზოგიერთ ამერიკულ

გამოცემაში გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ „ფლეიბოი“ მას საკმაოდ სოლიდური თანხა შესთავაზა. „ჩვენ ანას ისეთი თანხა შევთავაზეთ, რომელზეც უარის თქმა მატერიალურად სრულიად უზრუნველყოფილ გოგონასაც კი გაუჭირდება“, – განაცხადა ჟურნალის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. დათანხმდება თუ არა მცოდურ წინადადებას მომხიბლავი ჩოგბურთელი, ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხისგან თავს იკავებს ანას მამა – სერგეი კურნიკოვიც, რომელსაც მიაჩნია, რომ აღნიშნული ფაქტის კომენტირებას აზრი არა აქვს.

ჟურნალ PLAYBOY-ს რუსული გამოცემის მთავარი რედაქტორის, მაქსიმ მასლიაკოვის ინფორმაციით, ამერიკელებს ჩოგბურთის ყველაზე სექსუალური ქალბატონი ფოტოგადაღებებში მონაწილეობისთვის ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მიუწვევიათ. მაშინ მათ უარყოფითი პასუხი არ მიუღიათ. უფრო მეტიც – ამ წინადადებით ანასთან ერთად, დედამისიც დაინტერესებულა, რომელსაც თავის ვარსკვლავ შვილზე დიდი გავლენა აქვს. ამავე დროს, მასლიაკოვმა კურნიკოვასთან „ფლეიბოის“ „შვიდწლიანი“ კონტრაქტის რეალურობა ეჭვქვეშ დააყენა: „ვერ დავიჯერებ, რომ ამერიკელებმა 10 მილიონი დოლარი შესთავაზეს – ეს ათჯერ უფრო მეტია იმ სტანდარტულ ჰონორარზე, რომელსაც სუპერვარსკვლავებს სურათების შიშვლად გადაღებებში სთავაზობენ. არა მგონია, კურნიკოვა ამდენი ღირდეს“... ■



გზა. რომელსაც დასასრული არა აქვს ანუ

mogzauroba dausrulebel

samyaroSi

ღვთისმყოფელ ძილში ჩაძინებულ ადამიანს ხელთ ხეყვას ციფრებს. ის დახვდება მას და იმეორებს ხატვას. ღვთისმყოფელს, რომელიც მისი მოვლას იმეორებს ხატვით ხინ ყბაყბებს სიყვითლის მრედივად გზას. მას ყიდვად აქვს მანისი ყბაყბა ხეყვით დახვდება. ღვთისმყოფელ ძილში ხატვით ადამიანს „ღვთისმყოფელს“ ანუ „იმ ღვთისმყოფელს“ ყბაყბებს.

გიბეგური რელიგიური წარმოდგენა



წინა დათმობა

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანის სიკვდილის მომენტში ხდება ე.წ. ნეკრობიოტული გამოსხივების აფეთქება, რომელსაც აქვს იდუმალი და ძლიერმოქმედი შემადგენლობა. სწორედ ეს უკანასკნელი ფაქტორი იწვევს ხილვებსა და ჰალუცინაციებს მომავლად ადამიანში. ჩნდება ეჭვი იმისა, არსებობს თუ არა გადაულახავი უფსკრული რეალურსა და ირეალურს შორის!

ცნობილი ფრანგი მოგზაურის და მკვლევარის ალექსანდრა დევიდ-ნოელის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „მე ვნახე ქალი, რომელიც მთელი კვირა უსულოდ იწვა. მან მიაბო, რა სასი-

მოვნო შეგრძნება იყო და როგორ გააცა ახალი „გარსის“ სიმსუბუქემ, რომელიც უჩვეულო სისწრაფით მოძრაობდა. საკმარისი იყო, სადმე გადასვლა მოესურვებინა, რომ წამში იქ გაჩნდებოდა! მას შეეძლო ფეხით მდინარეების გადალახვა, კედლებში შეღწევა. მხოლოდ ერთი რამ არ გამოსდიოდა – თითქმის შეუგრძნობელი მატერიალური ძაფის გაწყვეტა, რომელიც სულს საწოლზე გამშლართულ სხეულთან აერთებდა. ეს ძაფი მანამ არსებობს, სანამ ფიზიკური სხეული სიცოცხლის ნიშნებს ამჟღავნებს“.

თანამედროვე სამყაროს ზოგიერთი უცნაურობა დაუხვერებელია, მაგრამ ფაქტია. მოვლენები, რომელიც დღემდე აოცებს ადამიანის გონებას, მარ-

თლაც არსებობს და იძლევა რწმენას, რომ ჩვენი სამყარო ერთადერთი არ არის პლანეტაზე: არსებობს კიდევ ერთი დასახლებული გარემო, სადაც ჩვენ სიკვდილის შემდეგ მივდივართ.

1918 წლის ივლისში, ამერიკის სანიტარული კორპუსის ოცი წლის ოფიცერი, მომავალი მწერალი ერნესტ ჰემინგუეი, ნალმის ნამსხვრევით დაიჭრა. მისი სხეული განგმირა საშინელმა ტკივილმა და გაუჩნდა არნახული სიმსუბუქისა და ფრენის შეგრძნება. ათი წლის შემდეგ, ეს შეგრძნება მან აღწერა რომანში „მშვიდობით, იარაღით!“. „მე ვცდილობდი ჩამესუნთქა, მაგრამ სუნთქვა არ მქონდა. ვიგრძენი, რომ ჩემი სხეულიდან ამოვედი და მივფრინავ, მივფრინავ, მივფრინავ ქარიშხლით ატაცებული! სწრაფად გავფრინდი და ვიცოდი, რომ მკვდარი ვარ, რომ ტყუილად ფიქრობენ, თითქოს კვდები და მორჩა! შემდეგ, თითქოს ჰაერში გავცურე, მაგრამ იმის მაგივრად, რომ წინ წავსულიყავი, უკან მივსრიალებდი. ამოვისუნთქე და მივხვდი, რომ კვლავ დავბრუნდი ჩემს სხეულში“.

ადამიანის სიკვდილის შემდეგ, სხეულს გამოეყოფა რაღაც სუბსტანცია, რომელიც გარემოს აღქმას განაგრძობს. ეს ფენომენი მართლაც არსებობს და არ შეიძლება მისი ჰალუცინაციად ან სიზმრად მიჩნევა. აღმოჩნდა, რომ მშობიარე ქალის სხეულიდან დროებით გამოსული სუბსტანცია ზოგჯერ ხილვადია და მას მედიკო-



სებიც ამჩნევენ.

„მე ზემოდან ვხედავდი ჩემს სხეულს. მეზიზღებოდა იგი, გაწეწილი თმითა და ნატანჯი სახით“ – ასეთი რამ მოჰყვა ერთმა ქალმა მშობიარობის შემდგომ. თუმცა ვერ ახსნა, რამ გამოიწვია ეს მდგომარეობა.

ზოგიერთი მშობიარე, კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში მყოფი ადამიანის მსგავსად, თავის სხეულს შორიდან ხედავს. ამ დროს სამშობიარო ტევილები ქრება. ბევრი ქალის გონებაში, იმ მომენტში, მთელმა განვლილმა ცხოვრებამ გაიქროლა.

ადამიანები, რომლებმაც განიცადეს „გადასვლის ფენომენი“, ფიზიკური გარსიდან ამოსულ სუბსტანციას აღწერენ, როგორც ეთერულ წარმონაქმნს, რომელიც ადამიანის სხეულის ფორმას იმეორებს.

ია ებრალიძე, ჟურნალისტი: „14 წლის ვიყავი, კლინიკური სიკვდილი რომ მქონდა. დავიძინე და ვიხილე გვირაბი, სადაც არაბუნებრივი სისწრაფით მივქროდი, ნათელი შუქი მოჩანდა. შუქში რომ შევედი, არამიწიერი ბედნიერების გრძობა დამეუფლა. მფარველი ანგელოზის ხმა მესმოდა – შეილო, შენ სამოთხეში ხარ, უნდა იხილო ამქვეყნიური სილამაზე და უკან დაბრუნდეთ. მინდოდა, ფერებში დამეხატა, რაც იქ ვნახე, მაგრამ მხატვრობის ნიჭმა მილაღატა. იმქვეყნიურ სასუფეველში ვიხილე სილამაზე, ფერთა ჰარმონია და ანგელოზი ბავშვები. ჩემს მალა შევამჩნიე ოქროსფერი, მბზინავი ენერჯია. ისეთი გამოსხივება ჰქონდა, თვალს ვერ ვუსწორებდი. ვიკითხე, რა არის-მეთქი? ღმერთო – მიპასუხა ჩემმა „გიდმა“ ანგელოზმა. სამოთხის ხილვა არაჩვეულებრივი შეგრძნებაა. არ მინდოდა წამოსვლა, ანგელოზმა მაიძულა – შენი მისია დედამიწაზე ჯერ არ დასრულებულა“.

1992 წლის გაზაფხულზე, ამერიკელ შვირ დეილს, 5 წლის ქალიშვილი ეშლი და 5 თვის დანიელი, აღდგომის დღესასწაულზე მანქანით მიჰყავდა. გზაში ავარია მოუხდა. ყველანი დაიდუპუნენ, მხოლოდ ეშლი გადარჩა ცოცხალი. ორკვირიანი კომიდან გამოს-



ვლის შემდეგ, გოგონამ გაახილა თუ არა თვალი, ყველას წვერიან კაცზე უამბობდა, რომელსაც იგი „დრმა ძილის“ დროს შეხვდა: „დედა და დანიელი სამოთხეში წავიდნენ, დედა ბედნიერი იყო. მე დარჩენა მინდოდა, მაგრამ იმ კაცმა მითხრა, რომ უკან უნდა დავბრუნებულიყავი, რომ ჩემი დრო ჯერ არ დამდგარა“.

მამა გრიგოლი, ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესიის მოძღვარი: „ჩემთან მოდიოდნენ ადამიანები, რომლებმაც კლინიკური სიკვდილი გადაიტანეს. ერთნაირად აღწერდნენ გვირაბს და დიდ შუქში გასვლას. კლინიკური სიკვდილი კითხვის ნიშნის ქვეშ მწამს და აქედან გამომდინარე, მათი საუბარიც მთლიანად ვერ ვიწამე. მონაყოლის თითქოს მჯერა, მაგრამ მე არ განმიცდია და მხოლოდ მათგან ვისმენ. მასხვავს, მეტეხის ეკლესიის მოძღვარმა მამა აკაკიმ მიაშობო: გარკვეული სიმაღლიდან ჩამოვვარდი და მოვკვდი. დავინახე, ჩემმა სულმა როგორ მიიღო ჩიტი ფორმა, ხეზე აფრინდა, დაჯდა და იქიდან უყურებდა მიწაზე დაგდებულ ტომარასავით უსულო სხეულს. შემდეგ ისევ ჩამოფრინდა და შეუერთდა ხორცსო... სხვადასხვა მონათხრობიდან გამომდინარე ვიცი, რომ სულმა შეიძლება სხეული დატოვოს და შემდეგ ისევ დაუბრუნდეს. ქრისტიანული რელიგია არ უარყოფს ასეთ ფაქტებს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ – მე არ განმიცდია და ცოტა არ იყოს, მიჭირს დაჯერება“.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მეხსიერება ინახავს წაკითხულიდან თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო ფრაზასაც. ხელსაწყოების ჩვენებით დადასტურდა, რომ საიქიოში მოგზაურობა შესაძლებელია იმ მომენტში, როცა ტვინს აღარ შეუძლია ნორმალურად ფუნქციონირება. თავის ტვინის მეცნიერულმა შესწავლამ ზოგიერთი მკვლევარი-ფსიქოლოგი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მას აქვს უნარი, შეინახოს ყველა ინფორმაცია, რასაც ადამიანი სიცოცხლის მანძილზე იღებს. აქედან გამომდინარე, უნდა გვახსოვდეს ისიც, როგორ გამოვიარეთ დედის სხ-



ეული დაბადების პროცესში და გამოვედით დიდ სინათლეში. ეს გზა კი ჩვენთვის ერთგვარ გვირაბს წარმოადგენს. იბადება ეჭვი: ხომ არ ხდება იმ უჯრედის დროებით გააქტიურება, რომელიც ტვინის კუნჭულშია მიმაღული?!

ყველა „დროებით გარდაცვლილი“ აცხადებს, რომ საიქიოში შესანიშნავად გრძობდა თავს, თუმცა, ახლობლები უკან დაბრუნებას ურჩევდნენ, რადგან მისი მიწიერი გზა ჯერ დასრულებული არ იყო. ასეთი შეხვედრები წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა – მათ სავსებით ეცვლებოდათ წარმოდგენა სიკვდილსა და სიცოცხლეზე, უქრებოდათ სიკვდილის შიში (რამეთუ საკუთარი გამოცდილებიდან იცოდნენ, რომ ეს იყო გადასვლა უფრო ბედნიერ და მშვიდ ცხოვრებაში), კომპლექსები, დაავადებები (საიქიოში, განსაკუთრებულ წამლებს ასწავლიდნენ) და უყალიბდებოდათ ცხოვრების ახლებური, ოპტიმისტური აღქმა. მარტივად რომ ვთქვათ, იღებდნენ და განიცდიდნენ კლინიკური სიკვდილის დროს მიღებულ სამკურნალო ეფექტს.

მათ, ვისაც ასტრალში მოგზაურობა არგუნა ბედმა, იციან: ზონას, სადაც ისინი მოხვდნენ, აქვს მკაფიო საზღვრები, რომლის გადალახვის შემთხვევაში, ადამიანი საბოლოოდ კვდება. ყველა გზას აქვს დასასრული, გარდა ერთისა: ეს ერთი – სიცოცხლეა. ჩვენ ხომ იმქვეყნადაც სიცოცხლე გველის!..



ნატალი ჰორსგანი

მსახიობი, არასოდეს გაუიზვლავლა

„პუბლიკის უსაყვარლესი კინონიმფის“ ადგილი რეგულარულად თავისუფლდება, მაგრამ ცარიელი დიდხანს არ რჩება: 70-იან წლებში ის ჯოდი ფოსტერს ეკუთვნოდა, 80-იანში – დრიუ ბერიმორს, ხოლო 90-იან წლებში ნატალი პორტმანის ჯერი დადგა.

ჯოდი ფოსტერისგან (მან გადაღება სამი წლის ასაკიდან დაიწყო და „ტაქსის მძღოლი“ მისთვის მეთორმეტე თუ მეცამეტე ფილმი იყო) და დრიუ ბერიმორისგან (რომელმაც „უცხო პლანეტელამდე“ სხვა ფილმებში ისახელა თავი) განსხვავებით, „ლეონი“, რომელმაც ნატალი პორტმანს სახელი მოუხვეჭა, მისთვის პირველი იყო.

ყველაფერი კი ძალიან უცნაურად დაიწყო: ათი წლის ნატალის ნიუ-იორკის პიცერიაში უცნობი მამაკაცი (როგორც შემდგომ გაირკვა – სამოდელიო სააგენტოს წარმომადგენელი) გამოელაპარაკა და „რეკლონის“ ფირმის რეკლამაში მოდელად მუშაობა შესთავაზა. გოგონა არ დაიბნა და მტკიცედ უპასუხა, რომ მოდელიობა კი არა, მსახიობობა სურდა. ალბათ ცოტა თუ მოი-

მაყურებლთა უმრავლესობას ძალიან უყვარს მსახიობი ქალები, რომლებიც დიდხანს ინარჩუნებენ სინორჩეს და ამიტომაც, ფილმებში მოხარდი გოგონების როლებს ასრულებენ. ამის გათვალისწინებით, კინემატოგრაფისტები მუდამ ცდილობდნენ, ამგვარი გარეგნობისა და ბუნების ტიპაჟები არ მოეკლოთ კინოკარანტისათვის. ერთ-ერთი ვარსკვლავი, რომელიც ამ თვისებით გამოირჩეოდა, მერი ჰიუფორდი იყო: ის თითქმის 30 წლამდე კუთულებიან მოხარდი გოგონებს განასახიერებდა.

იქნებოდა“.

ის მართლაც არ შემცდარა – ორი ათასი გოგონადან ლიუკ ბესონმა „ლეონში“ მთავარი როლის შესასრულებლად სწორედ ნატალი ამოირჩია. რეჟისორმა მისი იერი ოდნავ შეცვალა და ხელში პისტოლეტი დააკავებინა – და უმაღლესი მატყლად სახე გამოიკვეთა...


დებიუტის შემდეგ პორტმანი ვარსკვლავად იქცა. მასთან ინტერვიუები ყველაზე მრავალტირაჟიან ჟურნალებში იბეჭდებოდა, სარეკლამო სააგენტოებმა კი წინადადებებით აავსეს.

მატილდას სახე თითქოს სპეციალურად შეიქმნა, რათა სახელი მოეტანა ახალგაზრდა მსახიობისთვის. ფილმში ყველაფერია: მატილდას ასაკის ხაზგასმა (ეპიზოდი, როცა ის ლეონის კარის წინ ტირის), ბავშვური სისასტიკისა და სენტიმენტალობის ნაზავი და, რაც მთავარია, სექსუალურობა, რომელსაც გოგონას უმწიკვლობა უსვამს ხაზს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნატალი პორტმანის დაჟინებული მოთხოვნით, ბესონმა ფილმიდან ორი ეპიზოდი ამოიღო, სადაც სექსი და ძალადობა მძლავრობს. მან უარი თქვა გაშიშვლებაზე და არ ისურვა, რომ მის პერსონაჟს ვინმე მოეკლა. მისი არგუმენტაცია საკმაოდ ლოგიკური იყო:

ძებნება ამ ასაკის გოგონებს შორის, ვინც ასე ზუსტად იცის, რას სურს მიაღწიოს ცხოვრებაში. კაცმა ნატალი მსახიობთა სააგენტოში გააგზავნა, სადაც პორტმანმა გასაუბრება გაიარა და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. ერთი წლის შემდეგ კი იგი უცნობი ფრანგი რეჟისორის ფილმის სინჯებზე მიიწვიეს.

„თავდაპირველად უარი ისე მითხრეს, რომ არც კი მომისმინეს, – იხსენებს პორტმანი: – მითხრეს, რომ გოგონა უფრო ასაკოვანი უნდა ყოფილიყო. მე არ დავლონებულვარ: არ გამოვდგები და ნუ გამოვდგები – რა გაეწყობა?! მაგრამ ერთი კვირის შემდეგ, მათ თვითონ დამირეკეს და დამიბარეს. სახელში დაბრუნებისას უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ როლი ჩემი





„მაშინაც კი, როცა ტანსაცმელს ჩემი დუბლიორი იხდის, მაყურებელი იფიქრებს, რომ ეს მე ვარ, ჩემი ყველა ნაცნობი კი ჩათვლის, რომ შიშველი მნახა“. და კიდევ: „მამაჩემი მუდამ მარიგებდა – ნუ გააკეთებ კინოში იმას, რასაც ცხოვრებაში არასოდეს ჩაიდენო“.

ნატალის ყველა ნაცნობი აღნიშნავს, რომ ის სხვა მსახიობებისგან მაღალი ინტელექტით განსხვავდება: პორტმანი ბავშვობიდან იყო გატაცებული ბალეტით, მუსიკით, წიგნის კითხვითა და ციგურებზე სრიალით. მსახიობი კარგად ფლობს ინგლისურ და ებრაულ ენებს, იცის ცოტა ფრანგული და იაპონური. მან სკოლა მხოლოდ ფრიადებზე დაამთავრა, კოლეჯში მისაღებ გამოცდებზე კი, მაქსიმალური 1500-დან 1400 ქულის დაგროვება შეძლო. „განათლებას მსახიობის პროფესიაზე მაღლა ვაყენებ“, – ამბობს ნატალი.

ნატალი პორტმანი 1981 წლის 9 ივნისს ისრაელში, ქალაქ იერუსალიმში დაიბადა. როცა გოგონა 3 წლის გახდა, მისი ოჯახი

საცხოვრებლად აშშ-ში – ვაშინგტონში გადავიდა, შემდეგ კონექტიკუტის შტატში, ხოლო როცა ნატალი 9 წლის გახდა, ისინი საცხოვრებლად ნიუ-იორკში გაემგზავრნენ.

ფილმ „ლეონის“ წარმატების შემდეგ გოგონას კარიერა პრაქტიკულად გარანტირებული ჰქონდა. პორტმანს საშუალება მიეცა, საგულდაგულოდ აერჩია ის პროექტები, რომელშიც მონაწილეობა ღირდა: მაიკლ მანის „შეტაკებაში“ ის ალ პაჩინოსა და რობერტ დე ნიროსთან ერთად გადაიღეს, ტიმ ბერტონის ფილმში „მარსი უტევს“ ნატალიმ თავის ვარსკვლავ პარტნიორთა სიას ჯექ ნი-

კოლსონისა და პირს ბროსნანის სახელები შემატა, ვუდი ალენის ფილმში – „ყველა ამბობს, რომ მე შენ მიყვარხარ“ ნატალისთან ერთად, დრიუ ბერიმორი, ჯულია რობერტსი, ტიმ როტი და თავად ვუდი ალენი მონაწილეობდნენ. მის მიერ შესრულებულ როლებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია თედ დემეს „ლამაზ გოგონებში“ განსახიერებულ მარტას, რომელიც, მსახიობის თქმით, ყველაზე ახლობელია მისთვის.

არანაკლებ სოლიდურია იმ ფილმების ჩამონათვალიც, რომელშიც მონაწილეობაზეც პორტმანმა უარი განაცხადა. მათ შორის ყველაზე გამორჩეულია ენგ ლის „ყინულოვანი შტორმი“ და ედრიან ლანინის „ლოლიტა“ (მართლაც ძნელი წარმოსადგენია რეჟისორი, რომელიც ლოლიტას როლზე სწორედ ნატალი პორტმანს არ მიიწვევდა). ეს წინადადებები მსახიობმა უარყო, რადგან ჩათვალა, რომ ამ ფილმებში მისი სექსუალური ექსპლუატაცია მოხდებოდა.

ნატალი პორტმანი ყოველთვის

ცდილობს, ხაზი გაუსვას თავის ასაკს, ამბობს, რომ უყვარს მოძღვრული ბიორკი და უყურებს სერიალს „ელენი და მისი მეგობრები“. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ კი, როცა სხვა მსახიობები დასასვენებლად ან დასალევად მიიჩქარიან, ნატალი გაკვეთილებს უბრუნდება: ის ჩვეულებრივ კოლეჯში სწავლობს და ამაცობს, რომ სამწლიანი გადაღებების პერიოდში მხოლოდ ორი თვის მეცადინეობები გააცდინა. ის ჟურნალისტებს რეგულარულად აგდებს შოკში, როცა აცხადებს, რომ ბოლომდე მსახიობობას არ აპირებს. „მსახიობობაზე ბევრად საინტერესო უამრავი სხვა საქმიანობა არსებობს“, – ამბობს ნატალი და ჟურნალისტებს უცხადებს, რომ მომავალში ვეტერინარობას ან ასტრონავტობას აპირებს და საერთოდ – როცა გაიზრდება, სურს ბიორკს დაემსგავსოს, რადგან მისი აზრით, ბიორკი მარადიულ მოზარდ გოგონად დარჩა. ნატალი საერთოდ არ ჭამს ზორცს, გემო არ გაუსინჯავს ნარკოტიკისთვის და ვერ ხვდება, როგორ შეიძლება ადამიანმა იცინოს „კრიმინალური საკითხავის“ ტიპის ფილმის ყურებისას, სადაც ვიდაცას ესვრიან და სასტიკად კლავენ.

ინტუიციურად, პორტმანმა ოპტიმალური გამოსავალი იპოვა: ის უარს ამბობს ოდიოზურ პროექტებზე, ცდილობს მაყურებლებს ეკრანზე თავი არ მოაბუზროს, მუდმივად ინარჩუნებს ინტერესს საკუთარი პერსონისა და თავის მიერ შესრულებული როლების მიმართ.

1998 წელს ნატალიმ საკუთარი ძალები თეატრალური მსახიობის ამპლუაში მოსინჯა: ბროდვეის სპექტაკლში „ანა ფრანკის დღიური“ ანას როლი შეასრულა. ამის პარალელურად კი, „ვარსკვლავური ომების“ ახალ სერიასში – „ეპიზოდი პირველი, ფარული მუქარა“ – დედოფალ ამიდალის – ლიუკ სკაიუოკერის მომავალი დედისა და პრინცესა ლეას როლი შეასრულა. ნატალი გამოტყდა, რომ „ვარსკვლავური ომების“ წინა სერიები ნანახი არ

ტესტი ერუდიციისაზე

1. რისი მინისტრი გახდა დიდი ჩინელი მოაზროვნე და ფილოსოფოსი კონფუციუსი, რომელიც თავდაპირველად მენახირა იყო?




- ა) სამართლის;
- ბ) სოფლის მეურნეობის;
- გ) ფოსტის.

2. არავითარ შემთხვევაში არ შელოტდებიან:



- ა) საჭურისები;
- ბ) კანიბალები;
- გ) კოსმონავტები.

3. რის აღიარებამდე მივიღა ალბარტ აინშტაინი თავისი შარდოვანი თაობის თეორიით?



- ა) კოსმოსის უსასრულობის;
- ბ) ადამიანის გენიალობის;
- გ) ღმერთის.

4. რას ნიშნავს ესაანურად — „მერსედესი“?



- ა) „მოდრაობას“; „სისწრაფეს“;
- ბ) „სილამაზეს“; „აღმაფრენას“;
- გ) „ილბალს“; „წარმატებას“.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



ქან რენოსთან ერთად ფილმში „ლეონი“

ჰქონდა და ფილმში მონაწილეობაზე დათანხმებამდე რეჟისორ ჯორჯ ლუკასს მკაცრი პირობები წაუყენა.

ამას მოჰყვა ფილმის — „სადაც გინდა, ოღონდ არა აქ“ — გადაღებები, სადაც ნატალისთან ერთად სიუზენ სარანდონიც მონაწილეობდა. გადაღებების შემდეგ სიუზენმა ნატალის შესახებ თქვა: „ის თანდაყოლილი გრაციით გამოირჩევა, რომელიც მხოლოდ მის თაობას ახასიათებს. ამით პორტმანი თავის წარმატებას უზრუნველყოფს“.


2000 წელი მსახიობისთვის ფილმით — „იქ, სადაც გულია“ — გამოსვლით აღინიშნა. ამ სურათში ნატალი მოულოდნელად დაორსულებულ გოგონას ასახიერებს, რომელიც სუპერმარკეტში იმალება. ეს პირველი ფილმი იყო, რომელშიც ნატალი კოცნის სცენაში გადაღებაზე დათანხმდა. „ეს საზიზღრობა იყო, — იხსენებს იგი, — ყველას თვალწინ... რას იტყოდა ჩემი მეგობარი ბიჭი... იმ შემთხვევაში, რომ მყოლოდა...“

ცივი და მკაცრი ხასიათის გამო, ნატალის მეგობრები ფაქტობრივად არ ჰყავს, კოლეჯელ თანაკურსელებს კი მეტი სიმეტად მოსაწყენ და პრიმიტიულ ახალგაზრდებად თვლის...

რა ბედი ელის ნატალი პორტმანს? ჯერჯერობით „ლეონში“

შესრულებული როლი მის საუკეთესო ნამუშევრად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობის კარიერის გაგრძელებას ნატალი დიდხანს არ აპირებს, მაყურებლები მისგან ახალ ფილმებს და შესანიშნავად შესრულებულ როლებს ელიან.

ამერიკულ კინოში მოზარდი გოგონების ბედი არცთუ ისე სახარბიელოა: ბევრი მათგანი ზრდასთან ერთად, მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებელ მსახიობად იქცევა ხოლმე. სხვები, მერი პიკფორდის მსგავსად, წლობით ინარჩუნებენ მოზარდი გოგონების სახეს. თუმცა ელიზაბეტ ტეილორისა და ჯოდი ფოსტერის მაგალითი მოწმობს, რომ პატარა გოგონა შეიძლება ზრდასრულ დიდ ვარსკვლავადაც გადაიქცეს.



დასაწყისი იხ. გზა №38-39

იგორი სტვენა-სტვენით მოუყვებოდა ტროტუარს, თან აქეთ-იქით იყურებოდა. მისი ყურადღება მაღაზიის ვიტრინამ მიიქცია, საიდანაც შავ, მოკლედ შეჭრილთმიანი, უაზროდ მოღიმარი მანეკენი იმზირებოდა. მას ტანზე მომდგარი, გვერდზე ჩასხნილი საზაფხულო კაბა ეცვა.

„როგორ მოუხდება იას!.. მისი ზომისაა“, – გაიფიქრა იგორმა. მაღაზიას მოუახლოვდა, კიდევ ერთხელ შეხედა მანეკენს. „სიმაღლეც ერთნაირი აქვთ, – თვალთ აწონაზომა, – სიგანეც...“ ამ კაბაში ჩაცმული ია წარმოიდგინა, გაშლილი თმით. „აუცილებლად ვუყვიდი. როგორ გაუხარდება!“

იმის გაფიქრებაზე, თუ როგორი სიხარულით შეხვდებოდა ამ საჩუქარს მისი და, გულმა ბაგაბუგი დაუწყაო.

იგორი მაღაზიის კარს მოუახლოვდა და ფრთხილად შეაღო. მაღლა დაკიდულმა პატარა ოქროსფერმა ზანზალაკმა მხიარულად დაიწკარუნა და გაუჩინარებულ პატრონს მყიდველის შემოსვლა ამცნო.

„ჰმ“, – ჩაეცინა იგორს და კიდევ ერთხელ გამოალო კარი. მინ-მინ – დაიწკარიალა ზანზალაკმა. იგორს პატარა ბავშვით, გულუბრყვილო ღიმილი გადაეფინა სახეზე.

უცებ ყურთან ხმა ჩაესმა:

– რა გნებავთ? – გვერდით მაღალი, ჩასუქებული, ლიპებიან გრძელ კაბაში გამოწყობილი ქალი იდგა და ქედმაღლურად უყურებდა. მან აუჩქარებლად აათვალიერ-ჩათვალიერა იგორი. ბიჭი უხერხულობისგან შეიშმუშნა:

– კ...კაბა რრა ღ...ღირს? – დაება ენა.
– რომელი? – ირონიულად ჩაიცინა ქალმა, – აქ ბევრი კაბაა, თანაც, – კიდევ ერთხელ შეათვალიერა გახეხილ ჯინსსა და პეწდაკარგულ, გახუნებულ მაისურში გამოწყობილი კლიენტტი, – ძალიან ძვირია...

– აი, ეს... – თითი მანეკენზე ჩამოცმული კაბისკენ გაიშვირა, – რა ღირს?

– ოთხას ოცი ლარი, – დამარცვლით თქვა ქალმა და დამცინავად მოწკაპურა თვალები.

– ძ...ძალიან ვთხოვთ... არ გ...გაყიდოთ, – ენის ბორძიკით შესთხოვა იგორმა.

– როგორ? – ვერ მიხვდა გამყიდველი, რისი თქმა სურდა ნურვიულობისაგან ოფლმომსკდარ ბიჭს.



თინა ღალაქიშვილი
ლადო ნაპირელი

შვანყვი

– ს...საღამოდე მ...მაცადეთ... ნუ გაყიდეთ, – თვალბში შეხედა ქალს და აფორი-აქებულმა, თითების წვალება დაიწყო.

– ვეცდები... თუ მანამდე სხვამ არ იყიდა...

– მალე მოვალ... – სწრაფად მიტრიალდა და კარისკენ წავიდა.

იგორი ტროტუარზე ცოტა ხნით შეჩერდა, ვიტრინისკენ შებრუნდა და კიდევ ერთხელ შეათვალიერა წითელი კაბა.

ვერა გლუშკოვას და მის შვილებს კარგა ხანს მოუწიათ ლოდინმა. გრძელ, თეთრად შეღებილ დერეფანში კედლის გასწვრივ ფიცრით გადაბმული ვიწრო სკამები იდგა. მოპირდაპირე მხარეს რამდენიმე მძიმე, მოჩუქურთმებული ხის კარი მოჩანდა. ვერას ერთ-ერთზე ჰქონდა მიპყრობილი მზერა და ელოდა, როდის გაიღებოდა და დაუძახებდნენ. იგორი აქეთ-იქით იცქირებოდა, დერეფანს ათვალიერებდა. იაღედისგან მოშორებით იჯდა. სახეზე სიბრაზის და სირცხვილის გრძობის ნარევი აღბეჭდვოდა. მოუსვენრად წრიალებდა სკამზე.

როგორც იქნა, კარი გაიღო და უბნის ინსპექტორმა გამოყო თავი.

– ვერა გლუშკოვა, შემოდით, – დაიძ-

ხა და კვლავ გაუჩინარდა. დიდ, ნაცრისფერად შეღებილ ოთახში კედელთან გრძელი მაგიდა იდგა. კედლის გასწვრივ მაგიდასთან რამდენიმე მილიციელი იჯდა.

– შემოდით, შემოდით. აი, აქ დაბრძანდით, – პირდაპირ ჩამწკრივებულ სკამებზე მიუთითა მაგიდის შუაში მჯდარმა ბოროლსფერთმიანმა ქალმა.

– გმადლობთ, – წაიბუტბუტა ვერამ და სკამზე ჩამოჯდა. ბავშვებიც გვერდით მოისვა.

– მამ ასე, ამხანაგო ვერა, – დაიწყო მაგიდასთან მჯდარმა ჭალარა მამაკაცმა, – უბნის ინსპექტორის მოხსენებაში ნათქვამია, რომ თქვენ... – ჩაახველა, ბავშვებს გადასხედა და განაგრძო: ეწვეით ამორალურ ცხოვრებას. თქვენი მეუღლეც, აწ გარდაცვლილი... –

სათვალე ცხვირზე მორიგო და საქალაქლეში ჩაიხედა, – ივანე სტრელცოვიც...

– რა შუაშია ჩემი მეორე ქმარი! – წამოიყვირა ვერამ, – ის მკვდარია!

– გასაგებია. ამით ის მინდა ვთქვა, რომ თქვენ მცირე-

წლოვან შვილებს არც ერთი მხრიდან კარგი მაგალითის მიძეკეში არ ჰყოლიათ. ღიან, – კვლავ საქალაქლეში ჩაიხედა, – ენვერ კაპანაძემ მიგატოვათ, ივანე სტრელცოვი კი თქვენი მეორე ქმარი იყო, არა? – პასუხს არ დაუცადა და განაგრძო: ოჯახზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ოჯახი პატარა სახელმწიფოა, მტკიცე ოჯახი ძლიერი სახელმწიფოს საწინდარია. ჩვენი ქვეყანა თითოეულ ადამიანზე ზრუნავს!.. თქვენთან კი რა ზღება? არაჯანსაღი ცხოვრების წესის მქონე მშობლების ზრუნვას მოკლებული ბავშვები, დღეს თუ ხვალ, შეიძლება, ცუდ გზას დაადგინენ, მიხვლავი კი, როგორც ჩანს, არავენ ჰყავთ! – წარმოთქმული სიტყვით კმაყოფილმა მილიციელმა გარშემომყოფთ შეავლო თვალი.

– რამდენჯერმე გაგაფრთხილეთ, გაპატოეთ, დრო მოგეცით – განაგრძო კაცმა, – მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. მორჩა! თქვენი გამოსწორება არ იქნება! ესენი ბავშვთა სახლში უნდა გადავიყვანოთ.

ამ სიტყვების გავრებაზე ვერა წამოხტა, მერე მუხლებზე დაეცა და ატირდა.

– Пошадите, не делайте этого! ნუ წამართმევთ შვილებს! ერთხელაც მომეცით შანსი... გემუდარებით გამოვსწორდები... ერთბაშად ძნელია, სასმელს შეელო.

ნელ-ნელა ვამცირებ ღოზას... — ვერა წამოდგა, ბავშვები ხელში აიყვანა და შეჰყვირა: ნუ გამაუბედურებთ, ჩემს შვილებს ნუ მომაცილებთ!

ბავშვებმა ტირილი დაიწყეს. იგორმა დედას მკლავები შემოხვია და აზღუქუნდა.

უნის ინსპექტორმა ხელები გაშალა და კითხვით სავსე თვალები ჭადარა მამაკაცს მიაპყრო. ის გვერდით მსხდომ ქალებს მიუბრუნდა. კარგა ხანს ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს.

— კარგი, ვერა გლუშკოვა, — მიმართა ბოლოს აქტიუნიზებულ ქალს, — აბა, გაჩუმდით, ნუ ტირით.

ვერამ თვალები ხელით მოიწმინდა. მერე ჯიბიდან დაკუჭული ცხვირსახოცი ამოიღო და იგორს ცხვირი მოხოცა.

— მობრძანდით აქეთ, — დაუძახა ბორლოსფერთმიანმა ქალმა. მაგიდაზე ფურცელი და კალამი დადო. ვერამ ბავშვები სკამზე ჩამოსვა და ქალს მიუახლოვდა.

— დაწერეთ, რომ პირობას დებთ — აღარ გაეკარებით ალკოჰოლურ სასმელებს და დაიწყებთ ნორმალურ ცხოვრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, დედობის უფლება ჩამოგერთმევათ და ბავშვების აღზრდაზე სახელმწიფო იზრუნებს.

გლუშკოვამ ძლივს მოახერხა ნაკარნახევი ტექსტის ქართულად დაწერა. მერე წამოდგა, მადლობა გადაუხადა ყველას, ბავშვებს ხელი ჩაჰკიდა და ოთახი სწრაფად დატოვა.

ის იყო, იგორმა ერთ შუახნის ქალს ჩანთა „ვაუსუფთავა“ და ბაზრობის სიღრმისაკენ გაეშურა ფულის დასათვლელად, რომ მოულოდნელად მამაკაცი მიუახლოვდა.

— ერთი წუთით, ყურადღება დამითმეთ, — თავაზიანად მიმართა ბიჭს.

გაკვირვებული იგორის წინ, მაღალი, წარმოსადეგი მამაკაცი იდგა.

— შენთან მაქვს საქმე, — მიმოიხედა და ჩაილაპარაკა: — აქ ცოტა უხერხულია საუბარი. მანქანით ვარ. სადმე, დავსხდეთ და ვილაპარაკოთ.

— რაზე? — დაინტერესდა ბიჭი.

— იქ გაივებ. წავედით, — მხარზე ხელი გადახვია, უარის თქმაც არ აცალა ისე გაიყოლა იგორი.

— შენი სახელი? — შეეკითხა მანქანაში ჩაჯდომისას.

— იგორი.

— მე ანზორი მქვია, — თავი გააცნო და მანქანის წინა კარისკენ მიუთითა.

იგორს ხმა არ ამოუღია. მთელი გზა ჩუმად იჯდა და გზას აყოლებდა თვალს.

— ავლაბარში მივდივართ. ერთი კარგი რესტორანი მეგულება, — თქვა ანზორმა, რომელიც ხვდებოდა, რომ ბიჭის გონებაში უამრავი ეჭვი ირეოდა.

მთელი გზა ანზორი მადრიდის „რეალის“ და მიუნხენის „ბაიერნის“ მატჩის შესახებ ლაპარაკობდა. რამდენიმე მწვავე ეპიზოდი გაარჩია და მერე ჰკითხა:

— გიყვარს ფეხბურთი?

— არა, — მოკლედ გამოცრა იგორმა.

— სპორტის რომელი სახეობა მოგწონს?

— აღმოსავლური ბრძოლები. მინდოდა მესწავლა... ახლა უკვე გვიანაა.

— რამდენი წლის ხარ?

— თექვსმეტის, — ერთი წელი მოუმატა თავის წლოვანებას.

— სულაც არ არის გვიან. ხომ გაგიგონია: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, ა? ძმაკაცი მყავს — კარატეში ამეცადინებს. მიგიყვან. მერე შეგიძლია აღმოსავლური ბრძოლის სხვა სახეობებსაც დაუფლო. მანდაც ბევრი ნაცნობი მყავს...

იგორი ყურადღებით უსმენდა. ერთი რამ ვერ გაეგო — რა უნდოდა ამ კაცს მისგან.

მანქანამ შეუხვია და მკვეთრად დაამუხრუჭა. პირდაპირ დიდმინებიანი შენობა გამოჩნდა, რომელიც მრავალფეროვანი, მანათობელი ნათურით იყო გაბრწყინებული.

ანზორი მანქანიდან გადმოვიდა და იგორს ხელი დაუქნია, — მომეყვიო.

— მოვედით, გადმოდი.

იგორი ხმაამოუღებელივით გადმოვიდა. ანზორი გაჩახჩახებული რესტორნის კარისაკენ გაემართა და „ძალით დაპატიჟებული“ გაიყოლია.

ანზორის დანახვაზე ოფიციალტები დაფაცურდნენ.

— სად ინებებთ, ანზორ ბატონო, რომელი მაგიდა გაემზადოთ? — შეეკითხა ბრილიანით გადავლესილთმიანი ოფიციალტი, რომელსაც სახეზე მამებლური დიმილი ჰქონდა გადაფენილი.

— კუპე მომიმზადეთ, მე რომ მიყვარს, ის.

— ახლავე, ბატონო! — თავი მოწიწებით დაუკრა და მორე ოფიციალტს თვალთ მიანიშნა, საქმეს მიხედეთ.

— ო, ანზორს ვახლავარ! — შემოუერთდა რესტორნის პატრონი, — გული სიამით მეკვება, აქ რომ გხვდავთ. რატომ დაგვივიწყეთ? თითქმის სამი თვეა არ მინახისართ.

— საქმეები, საქმეები, ხომ იცით, რა რთული დროა — ასი თვალი და ასი ყური უნდა — ხელები გაშალა ანზორმა — ჰქონდეს კაცს.

— წამობრძანდით. ყველაფერი მზადაა,

— მიუახლოვდა მორე ოფიციალტი.

— ჰმ, — გაიცინა ანზორმა და იგორს შეხედა. — ზეპირად იცინა უკვე, რა მიყვარს... თუ სხვა რამე მოგინდება, უთხარი, არ მოგერიდოს, — თვალთ მიანიშნა ანზორმა ოფიციალტზე.

იგორი უკან მისდევდა. ისე იყო დაბნეული, რომ ფეხებს ძლივს ადგამდა. „რა უნდა ამ კაცს ჩემგან, ნეტავ ვინ არის?“

ამ ფიქრებში იყო, კუპეს რომ მიუახლოვდნენ. ანზორი მთელი სიძმიძით ჩაემვა რბილ სავარძელში. იგორს ხელით ანიშნა, დაეჯექო.

იგორი ნელა — თითქოს ემინოდა, არ ჩავარდნილიყო — ან არ დაესვარა, ჩამოვდა ხვერდგადაკრული სავარძლის ნაპირზე. ოფიციალტები ბრძანების მოძლოდინე ჯარისკაცებივით გაჭიმულები იდგნენ და ანზორს თვალებში შესცივინებდნენ.

— ოჰო, ჰო, — სუფრას თვალი მოავლო ანზორმა, მერე ბრილიანიანს ახედა:

— თავისუფლები ხართ, თუ დამჭირდებით, დავიძახებთ.

ოფიციალტები გავიდნენ. ანზორმა იგორს შეხედა, რომელიც ოთახს ათვალიერებდა.

კედელზე შვინდისფერი შპალერი იყო გაკრული. კაკლის ხის კარნიშებზე მძიმე ფარდები ეკიდა. იატაკი წითელი ხის ორნამენტებიანი პარკეტით იყო მოპირკეთებული. იგორი მოუსვენრად იჯდა, აქურობას ვერ ეგუებოდა. მას უფრო ერჩინა, სადმე მოლზე, ბუნებაში ყოფილიყო და ყველი და პური ჰქონოდა...

— რა იყო, არ მოგწონს აქაურობა? — ანზორის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია ბიჭის აფორიაქება.

— არა, უცხოა ჩემთვის...

— შეეჩვევი, — გაიცინა ანზორმა და დიდი თეთრი კბილები გამოაჩინა, — ბევრი ფული რომ გექნება, ხშირად ივლი რესტორნებში და მიეჩვევი.

იგორმა გაკვირვებული მხერა მიაპყრო.

— მიირთვი, ნუ გერიდება. ეს საფერავია, — ჭიქებში ჩამოასხა მუქი იისფერი ღვინო, — კარგია, მაღაზე მოგიყვანს.

ანზორმა ძალით გადააღებინა ნიგვზის საწებელში ჩაწყობილი ზუთხი.

— არა, აქ რომ ნიგვზიან ზუთხს აკეთებენ, ტყუილია — არსად მიჭამია ასეთი გემრიელი. ჭამე, ჭამე.

— გემრიელია, — ჩუმად დაუდასტურა იგორმა და მორე ნაჭერიც გადაიღო.

— მერე ეს გოჭის ნაჭერი გადაიღე. ჰო, ჰო, რა არომატს აძლევს ყველში გადარეული პიტნა და ტარზუნა! — თითები შეატყუა და აკოცა, — უნახავს გაგხდის.

— აქ რატომ მომიყვანეთ? — იკითხა მოულოდნელად და თვალებში ჩააშტერდა მოსაუბრეს იგორი.

— მოიცა. ვერ კუჭის პრობლემა მოვაგვაროთ, მერე ვილაპარაკოთ ამ საკითხზე, — კიჭრი გადაიღო, ხელით გადატეხა და მადიანად მოკბინა, — მაგრამ რახან მოსვენებას არ გაძლევს ეს კითხვა, გეტყვი. მინდა საქმეზე, სერიოზულ საქმეზე გავიშვა... — როდესაც იგორის გაკვირვებულ მზარეს წააწყდა, გააგრძელა: — კარგა ხანია მე და ჩემი ბიჭები თვალყურს გადავუდევით. მეც შეგასწარი თვალი „საქმეში“. დიდად გამაკვირვე: შენი ხელის სისწრაფემ და სიმსუბუქემ გამოაცხა... გინდა, ნამდვილი ქურდი გახდე? ფულიც მეტი გექნება და სახელიც. იცოდე — არ ინანებ.

იგორმა ჭამას თავი დაანება და თითებს დააჩერდა.

— ახალგაზრდა ხარ. ხომ იცი, ამ დროს მოდის სიყვარული... ქალებს კი საჩუქრები უყვართ. მათ მარტო ვაჟკაცობით ვერ მოხიბლავ — ფული ატყვევებთ, ფული! ლამაზი სახლი, მაგარი მანქანა, ძვირფასი სამკაულები, „შმოტკები“... მშობლებსაც დაეხმარები... ხომ გყავს დღემამა, ა?

— არრა... — ენა დაება იგორს.
 — თბოლი ხარ, ბიჭო? დედამამიშვილი თუ გყავს?
 — და მყავს.
 — ა, ძმაო! დაზე ხომ უნდა იზრუნო? რამდენი წლისაა?
 — თვრამეტის...
 — თუ თანახმა იქნები, რამდენიმე დღეში შევხვდეთ და დანარჩენს მერე გეტყვი. დაფიქრდი, ნუ იჩქარებ — დრო გვაქვს.

იგორმა ლიმონათი დაისხა. ნელ-ნელა, ყლუპ-ყლუპად სვამდა. თან დაძაბულად ფიქრობდა: „ფული მჭირდება... ძალიან მჭირდება. ცხოვრება ხომ გვინდა. საჭმელზე და ბინის ქირაზე ძლივს გვეყოფნის ჩემი ნაშოვნის. იას ჩაცმა უნდა. რატომ უნდა ჩამორჩეს თავის ტოლებს?! უკანდასახევი გზა არ მაქვს. რისკი აუცილებელია ცხოვრებაში...“

ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა და ანზორს უთხრა:

— თანახმა ვარ!
 — კარგია. ვერ პატარა საქმეზე გაგავზავნი — გამოცდილ „ნაპარნიკთან“ ერთად. ჩემი მარჯვენა ხელი — მიხო გასწავლის ყველაფერს... ახლა საქმეს მივხედოთ, — კიდევ ჩამოასხა ღვინო — სიმართლე გითხრა, ძალიან მოშივებული ვარ... ჰო, არ დამავიწყდეს: მანქანაში შენივის მობილური მაქვს. ადვილად დაუკავშირდ-



ებით ერთმანეთს. აი, ეს პატარა საჩუქარიც ჩემგან.

ანზორმა ჯიბიდან ყავისფერი ტყავის საფულე ამოიღო:

— აქ ფულია. გამოგადგება... მე თვითონ დაგიკავშირდები ხოლმე. გული მიგრძნობს, შენგან მაგარი კაცი დადგება... ამ ჭიქით ჩვენს ვაცნობას გაუმარჯოს! — ღვინოთ სავსე ჭიქა მალლა ასწია და იგორის სასმისს მიუჭახუნა, მერე ნელ-ნელა გამოაცხა. ჭიქა პირქვე გადმოატრიალა:

— ასე მტერი დაგვეცალოს!

იგორი სიხარულისგან ფრთაშესხმული მიამიჯებდა ქუჩაში. ასე არასდროს გამართლებია ცხოვრებაში, როგორ სჭირდებოდა ფული, ეშინოდა, რომ ვერ მოაგროვებდა და... ანზორიც გამოჩნდა. ოცნებაშიც ვერ ინატრებდა მობილურს. ალბათ ძალიან რომ უნდოდა დისათვის კაბის ყიდვა, იმიტომ დაეხმარა განგება და ანზორის ხელით, სამი ტკიცინა ასდლოარიანი გამოუგზავნა.

„ფესსაცემელსაც ვუყვიდი. ორ კვირაში იას მისაღები გამოცდები ეწყება. ერთი ხელი ნორმალური ტანსაცმელი არ აქვს“.

გზისპირზე, ბორდიურთან შეჩერდა. გზაზე ბევრი მანქანა მოძრაობდა. ტაქსიც გამოჩნდა. ხელი აუწია.

ტაქსიმ მკვეთრად დაამუხრუჭა. იგორი მანქანაში ჩავსდა და მძღოლს უთხრა:

— ვაკეში, — ჯიბეში ხელი ჩააცურა და საფულე მოსინჯა.

ღია ფანჯრიდან შემოჭრილი ნიავი იგორს ქერა თმას უწეწდა, სახეზე სასიამოვნოდ ელამუნებოდა. თვალები დახუჭა. კარგა ხანს იჯდა ასე გარინდებული.

უცებ მძღოლმა მანქანა დაამუხრუჭა და კინაღამ წინ მიმავალ მანქანას შეასკდა. იგორი შეკრთა.

— არა, ძმაო, ვერ ისწავლა ამ ხალხმა მანქანის ტარება! როგორც უნდათ, ისე დადიან... — ხელებს ასავსავებდა მძღოლი.

— გააჩერეთ, — გააწყვეტინა იგორმა, — მოველით.

ხელი ჯიბისაკენ წაიღო და საფულე ამოიღო. ხუთლარიანი მონახა, მძღოლს გაუწოდა:

— ეყოფა?
 — კი...

იგორი მანქანიდან გადავიდა და ნაცნობ მალაზიას მიაშურა. პატარა ოქროსფერმა ზანზალაკმა ისევ მხიარულად დაიწკრილა. გამყიდველი იგორისკენ წამოვიდა.

— ვყიდულობთ? — გაუღიმა.
 — ვყიდულობთ! — თამამად უთხრა იგორმა.

ქალი მალაზიის სიღრმეში გაუჩინარდა. მალე ხელზე გადაკიდებული წითელი კაბით დაბრუნდა.

— იგივე ზომაა. ახლავე ცელოფანში ჩავდებ და მოგართმევთ.

ჭრელი, ლამაზი ქალის გამოსახულებიანი ცელოფანის ჩანთა აიღო და კაბა შიგ მოათავსა.

იგორმა საფულიდან სამი ტკიცინა ასდლოარიანი ამოიღო და გამყიდველს გაუწოდა.

— ერთი წუთით, ხურდას ახლავე მოგართმევთ, — ქალი სალაროსთან მივიდა, ჩეკი ამოებჭდა და უჯრიდან რამდენიმე კუპიურა ამოიღო.

— ინებეთ. მშვიდობაში! — ფული და ცელოფანის ჩანთა გაუწოდა თვალებგაბრწყინებულ ბიჭს.


— გმადლობთ. ჩემს დას ვუყვიდი! — სიხარულს ვერ მალავდა იგორი.

— სხვა რამის ყიდვასაც ხომ არ ისურვებდით? ახალი ჩამოტანილი საქონელი მაქვს...

— ახლა არა. ჩემს დას მოვიყვან და თვითონ ამოირჩევს.

— როგორც გენებოთ.

იგორი კარისკენ წავიდა. ზანზალაკი წკრილა ხმით „დაემშვიდობა“.



მუხამ სეთაშვილი იუბილუმი იმღერებს

ყველა ასაკის მსმენელთათვის საყვარელმა მომღერალმა მერაბ სეთაშვილმა წლებიანდელ ზაფხულში ნამდვილად ვარსკვლავური საჩუქარი მიუძღვნა საკუთარ თავს: ერთი კვირა ისრაელში, მკვდარი ზღვის სანაპიროზე, მეგობართან ერთად, ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ჰაიათში“ განცხრომით დაუსვენია. როგორც თვითონ აღნიშნა, ეს საკმაოდ წყნარი ელიტური სავანა, სადაც მსოფლიოს ბომონდის წარმომადგენლები საკმაოდ ხშირად იყრიან თავს. იქ გატარებულ ყოველ დღეს ნამდვილ დასვენებას უწოდებს, ხოლო ხმაურიანი გართობის მოყვარულთ მეზობელი ქალაქების დათვალიერებას ურჩევს.


მერაბ სეთაშვილმა აგრეთვე გვითხრა, რომ სასტუმრო „ჰაიათში“, არსებული ყველა სიკეთით სარგებლობდა, მაგრამ ძირითადად, მაინც აბაზანაში ნებივრობას, შვედურ და ტაილანდურ მასაჟებს ამჯობინებდა.

დასვენება-გართობისას არც პროფესია დავიწყია და ახალი სიმღერაც ჩაუწერია თელ-ავივის ხმის ჩამწერ სტუდიაში.

ისრაელში ახალგაზრდობილ ადამიანებს შორის ამერიკელი ვარსკვლავი – შლომი შაბათი გამოყო, რომელსაც ღამის კლუბში შეხვდა. კოლეგები დამეგობრდნენ და გადაწყვიტეს ქართულ-ებრაული ღვეტიის ჩაწერა, რომელსაც მერაბი – ივრითზე, ხოლო შლომი ქართულ ენაზე შეასრულებს.

ახლა თბილისში დაბრუნებული მერაბ სეთაშვილი ინტენსიურად ემზადება ოქტომბრის ბოლოსთვის დაგეგმილი შოუკონცერტისათვის და დროის დიდ ნაწილს თემურ ნიკოლაშვილის სტუდიაში ატარებს.

გთჩა კაპანაძეს საგათხულო მთაქედრილობათა მლოიტი მთქყუმა



ზაფხულის თვეები რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ ენერჯის დაგროვებას მოახმარა და ბევრი მთაბეჭდილებაც დაუგროვდა. ქობულეთში, სტუდენტებთან ერთად, ის ბათუმის თითების თეატრის მიერ გამართულ ფესტივალს ეწვია, შემდეგ, მეგობართან ერთად, ბათუმი და სარფი მონახულა, სადაც ქართული მუსიკალური ბომონდის წარმომადგენლებს შეუერთდა. დიდი ვარსკვლავთცვენის შემდეგ მოსკოველი დიჯეების მიერ გამართულ შოუდისკოთეკას ესტუმრა, რომლის 200 დოლარიანი ბილეთი მეგობარმა აჩუქა. აღნიშნული დისკოთეკა „ბუნგალოში“ ჩატარდა, საიდანაც ნიჭიერი რეჟისორი გამთენიისას – დილის 6 საათზე ნასვამი და ცეკვისაგან გადაღლილი დაბრუნდა. როგორც თვითონ აღნიშნა, ინგლისელი მეგობრების რჩევა გაითვალისწინა და მხოლოდ ვისკის მიერთმევედა, რასაც ცეკვის საუკეთესო სტიმულატორად თვლის.

თბილისში დაბრუნებულმა სპექტაკლ „მედეას“ ორიგინალური ვერსიის პრემიერა გამართა და „ბურატინოს თავგადასავალზე“ დაიწყო მუშაობა, რომელსაც ბავშვებთან ერთად, ოქტომბრის დამლევითვის დადგამს. უახლოეს მომავალში დაგეგმილი აქვს ლონდონში, ფესტივალ GIFT-ის („საჩუქრის“) ეგიდით გამართულ ქართული კულტურის დღეებზე გამგზავრება, სადაც „რივერსაით თეატრში“ რეჟისორ რობერტ სტურუას „ჰამლეტი“ შეასრულებს მთავარ როლს.

თამთა გთგუაძე ცუვის შემდეგ თუხემის ცუვილს უჩივის



ახალი სიმღერებისა და ამ სიმღერებზე შექმნილი კლიპების „უხვი მოსავლის“ შემდეგაც, თამთა გოგუაძემ დასვენების ნაცვლად, ზაფხულის ძირითადი ნაწილი რადიო „ფორტუნას“ მიერ მოწყობილ აქციებში მონაწილეობას დაუთმო: საქართველოს სხვადასხვა რაიონში გამართულ კონცერტებში მონაწილეობდა. თუმცა დროის მცირე მონაკვეთი დასთან ერთად, ბორჯომშიც გაატარა.

თბილისში დაბრუნების შემდეგ თამთამ ისევ ხმის ჩამწერ სტუდიას მიაშურა და ახალ რეპერტუარზე დაიწყო მუშაობა. ხუთი ახალი სიმღერის მომზადებისთანავე ის ალბომის გამოშვებას გეგმავს. ახალი სიმღერები, კარგად ნაცნობი ქართული სიმღერების რემიქსები იქნება, რომელიც ცნობილი ქართული ჯგუფის „სახის“ სოლისტს დათო ფორჩხიძეს ეკუთვნის. სხვა მომღერლების მსგავსად, თამთაც უმზადებს თაყვანისმცემლებს სიურპრიზს. ეს იქნება ღვეტი ცნობილ ქართველ მომღერალთან, რომლის ვინაობასაც ჯერ არ ამხელს. თამთას თქმით, ჯერ ინკოგნიტო მომღერალი მისი დიდი მეგობარია ამ სიტყვის პირდაპირი – „ძველი“ მნიშვნელობით. რაც შეეხება სიყვარულს – თამთამ ამაყად აღნიშნა, რომ ძალიან წუნიია და ამის გამო გულის სწორი არ ჰყავს.

საზაფხულო სეზონთან დაკავშირებული ტკბილი მოგონებების შესახებ კი გვითხრა: საკმაოდ დამიგროვდა, მაგრამ განსაკუთრებით, ბოლოს, სპორტის სასახლეში გამართული შოუკონცერტის შემდეგ, რესტორანში გატარებული საათები ჩამრჩაო: „იმდენი ვიცეკვე, რომ ფეხსაცმელებზე თასმები წამდაუწუმ მეხსნებოდა, გამთენიისას კი, სახლში დაბრუნებულს საშინლად მტკიოდა ფეხები“, – დასძინა მომღერალმა.

მონაგვარა რეჟო კაბანიშვილი

კლაუდია შიფერი თხუთმეტი

ტოპ-მოდელმა კლაუდია შიფერმა გათხოვება გადაწყვიტა. ქერთიანი ლამაზმანის რჩეული გახდა მეთუ ვონი. ბედნიერი საქმრო მადონას ქმართან – გაი რიჩისთან თანამშრომლობს. მათ ერთად იმუშავენ ფილმებზე: „დიდი ფონი“ და „ბანქო, ფული და ორი ლულა“.



წველის მეგობრების გამოცემით, მეთუ და კლაუდიამ ნიშნობის შესახებ განცხადება უკვე გააკეთეს. ქორწილი კი დეკემბერში, შობამდე რამდენიმე დღით ადრე უნდა შედგეს. მეთუ ვონმა გადაწყვიტა, მეგობარს – გაი რიჩის მიბაძოს, რომელმაც გასული წლის დეკემბერში ცნობილ მომღერალზე – მადონაზე იქორწინა.

კლაუდია შიფერი თავის საქმროს გასული წლის ნოემბრიდან ხვდება, ნათესავები მათ შესანიშნავ წვეილად თვლიან. როგორც ცნობილია, მეთუ ვონამდე კლაუდია ჯერ სახელგანთქმული ილუზიონისტის დევიდ კოპერფილდის, ხოლო შემდეგ მილიონერ ტიმ ჯეფრისის საცოლედ ითვლებოდა.

სიმატლო ანჯელინა ჯოლის ცუჩრემის შესახებ

მას შემდეგ, რაც კინოს სამყაროში ანჯელინა ჯოლის კაშკაშა ვარსკვლავი აკიფდა, მისი სახის ყველაზე მეტყველი ნაწილის ბუნებრიობის შესახებ მრავალი ჭორი თუ სიმართლე გავრცელდა. ბევრს აინტერესებს, კოლაგენის მეშვეობით ტუჩების ფორმის შეცვლის რამდენი ოპერაცია აქვს გაკეთებული ანჯელინას? თავად მსახიობი ირწმუნება – არც ერთი! ამის მიუხედავად, მის თავყანისმცემელთა უმეტესობა დარწმუნებულია, რომ ტუჩების ესოდენ სექსუალური ფორმის მისაღწევად მსახიობს ხუთი-ექვსი ოპერაცია დასჭირდა. პლასტიკური ქირურგიის კლინიკები კი სახის გალამაზების მსურველ მანდილოსნებს „ანჯელინა ჯოლის ტუჩებს“ სთავაზობენ.

ეჭვით შეპყრობილი გულშემატკივრების აზრის გასაქარწყლებლად ანჯელინა თავისი ბავშვობის დროინდელი ფოტოსურათების დემონსტრირებას ახდენს, რომელზეც ნათლად ჩანს, რომ გოგონას ბავშვობიდანვე საკმაოდ დაბერილი ტუჩები ჰქონდა.



მბიფნი სპიტსს სასამატლო პბტცესი ებრძტბმა

შესაძლოა, ცნობილი მომღერალი ბრიტნი სპირსი თავისი კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილს გამოეთხოვოს. ცოტა ხნის წინ მომღერალს, რომელიც უკვე ნახევარი წელია კომპანია PEPSI-ს სახეა, ფოტო მაშინ გადაუღეს, როცა ხელში Coca-Cola-ს ბოთლი ეკავა.

2001 წლის მარტში „პეპსიმ“ ბრიტნი სპირსთან კომპანიის არსებობის ისტორიაში ყველაზე მსხვილი გარიგება დადო. „პეპსის“ პოპულარიზაციისთვის 19 წლის პოპ-ვარსკვლავს 140 მილიონი დოლარი გადაუხადეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თავის სარეკლამო მოვალეობებს ბრიტნი ძალიან ქარაფშუტულად მოეკიდა.

როგორც ბრიტანეთის პრესა იუწყება, „პეპსისთან“ კონტრაქტის დარღვევა შეიძლება სასამართლო პროცესის მიზეზი გახდეს, რომელ-



შიც ალბათ ახალგაზრდა მომღერალი დამარცხდება, რადგან არსებობს იმის დამადასტურებელი საბუთებიც, რომ კონტრაქტის დროს, შესვენებისას ბრიტნი არაერთხელ უნახავთ „კოკა-კოლას“ ბოთლით ხელში.

თვით კომპანიის თვითდასწავლილი წარმომადგენლები კომენტარისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ. მთარული ხმებით, „პეპსის“ ვერ გადაუწყვეტია, როგორ მოიქცეს: სასამართლოში უჩივლოს ვარსკვლავს თუ ამჯერად მხოლოდ შენიშვნით შემოიფარგლოს: საქმე ის არის, რომ მომღერალთან კავშირის გაწყვეტა „პეპსისსაც“ არ აძლევს ხელს. სხვა გარემოებებთან ერთად, ბრიტნი კომპანიის მთავარი კოზირია „კოკა-კოლასთან“ სარეკლამო ომში, რომელმაც კონტრაქტი ბრიტნი სპირსის „ორეულთან“, მისი ბავშვობის მეგობართან და ამჟამინდელ კონკურენტ კრისტინა ავილერასთან გააფორმა და სპირსთან ურთიერთობის გაწყვეტის შემთხვევაში, „პეპსის“ ავილერასთან პაექრობაში საჭირო სახის მოძებნა ნამდვილად გაუჭირდება.

ROLLS-ROYCE საოცხების მოცოდინშია



თითქმის ყოველდღე, აქა-იქ ჩნდება სხვადასხვაგვარი ცნობა სრულიად ახალი „როლს-როისის“ შესახებ, რომლის შემუშავებაც კომპანია „ბე-ემ-ვე“-ში მიმდინარეობს. შეგახსენებთ, რომ 2003 წლის 1

იანვრიდან ბავარიული კონცერნის გამგებლობაში მთლიანად გადავა უფლებები „როლს-როისის“ მარკაზე. ჯერჯერობით გერმანელებს უფლება არა აქვთ, ამა თუ იმ ფორმით ოფიციალურად გამოხატონ ის, თუ

ვის ეკუთვნის სახელგანთქმული RR. „ბე-ემ-ვე“-მ უკვე შეიმუშავა მომავალი ლიმუზინის რამდენიმე პროტოტიპი, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არ არის, თუ საკუთრივ რომელი მათგანი გავა სერიულ წარმოებაში. მიუხედავად ამისა, მისი ზოგიერთი მონაცემი უკვე ცნობილია: ლიმუზინის სიგრძე 5600 მმ იქნება, რაც ახლანდელ ROLLS-ROYCE SILVER SERAPH-ს აჭარბებს (5390 მმ – სტანდარტული, ხოლო 5646 მმ – დაგრძელებული ბაზით). ახალი „როლს-როისის“ დაგრძელებული ვერსია კი, 6 მეტრსაც გადააჭარბებს. თავად ბავარიელ კონსტრუქტორთა განცხადებით, ასეთ დიდ ავტომობილს არ შექმნიდნენ, რომ არა „მერსედესის“ MAYBACH-ი.

„როლს-როისი“ აღჭურვილი იქნება „ბე-ემ-ვე“-ს ძრავით, რომელშიც უახლეს ტექნოლოგიებს გამოიყენებენ. სავარაუდოა, რომ აგრეგატის მოცულობა 6,8 ლ იქნება, სიმძლავრე კი 450 ცხ.ძ-ს გადააჭარბებს. ■

ახალი AUDI A6-ის ჰიხვედი მონაცემები

ამ ავტომობილის გაყიდვა მხოლოდ 18 თვის შემდეგ დაიწყება, მაგრამ ბრიტანული გამოცემის – AUTOEXPRESS-ისა და გერმანული AUTOBILD-ის ჟურნალისტებმა იმის დადგენა მოახერხეს, თუ როგორ გამოიყურება იგი.

2003 სამოდელიო წლის „აუდი A-6“ მე-5 სერიის „ბე-ემ-ვე“-სა და E კლასის „მერსედესის“ სერიოზულ კონკურენტად წარმოგვიდგება. ავტომობილის გარეგნულ იერსახეში ბევრი ისეთი სტილისტური გადაწყვეტის ხორცშესხმას ვიხილავთ, რასაც მისი დიზაინერები AUDI AVANTISSIMO-ს კონცეპტში იყენებდნენ. ახალი A6-ის ბაზაზე, კლასიკური სედანისა და უნივერსალის გარდა, კუპეს გამოშვებასაც გეგმავენ.

„აუდი A-6“-ისთვის A6 და A8 ბენზინის ძრავების მთელი სპექტრის შემუშავებას აპირებენ, მზადდება აგრეთვე დიზელის ძრავებიც. ყველაზე სუსტ აგრეგატებს (ბენზინის 2,4 ლ V6-სა და 2,0



ლ ტურბოდიზელს) 160 ცხ.ძ. სიმძლავრე ექნება. სამოდელიო რიგის მწვერვალს, 4,2 ლ ტევადობის 300 ცხ. ძალიანი V8 წარმოადგენს. კომპანია ამზადებს აგრეთვე გაძლიერებულ ვერსიას – S6-ს, რომელსაც სრულამძრავიანი ტრანსმისია და V8 ტიპის 400 ცხ. ძალიანი ტურბომძრავა ექნება

(S6-ის ძველი ვერსია 340 ცხ. ძალიანია). ამ მანქანის ახალი მოდელი BMW M5-ის (ასევე 400 ცხ.ძ.) ნამდვილ კონკურენტად მოგვევლინება.

უმარტივესი მოდიფიკაციის ახალი „აუდი A-6“-ის მინიმალური ღირებულება 28.000 დოლარს შეადგენს. ■



GM-ი ავტომობილების დახიგებას აპიხებს

„ჯენერალ მოტორსი“ უპრეცედენტო ზომებს მიმართავს საიმისოდ, რომ შეაჩეროს ბოლო თვეებში მიმდინარე მანქანების რეალიზაციის დაცემის პროცესი. გაყიდვის მკვეთრი შემცირება კიდევ უფრო საგრძნობი, ნიუ-იორკში მომხდარი ტერაქტების შემდეგ გახდა: ამერიკელებმა უბრალოდ, შეწყვიტეს მანქანების ყიდვა. გაზეთ „უოლ სტრიტ ჯორ-

ნალის“ ცნობით, ორიოდე კვირის წინ ავტომობილების რეალიზაცია 23%-ით, რამდენიმე დღეში კი – 38%-ით შემცირდა.

მყიდველობითი მოთხოვნის მკვეთრმა დაცემამ წარმოების სერიოზული შემცირება და მუშა-მოსამსახურეთა მასობრივი დათხოვნა შეიძლება გამოიწვიოს. მაგალითად, „ფორდმა“ უკვე გამოაცხადა თავი-

სი 5 ქარხნის დახურვის შესახებ. სწორედ ამ მოვლენების საპასუხოდ, „ჯენერალ მოტორსმა“ გამოაცხადა, რომ აღარ გამოართმევს თავის კლიენტებს ავტომობილის საყიდლად გაფორმებული სესხების პროცენტებს. კომპანიის მესვეურთა ვარაუდით, შესაძლოა, ამ ნაბიჯმა კვლავ მიიზიდოს მომხმარებლები, რადგან აშშ-ში და საერთოდ, მთელ მსოფლიოში, სწორედ გრძელვადიანი სესხების მეშვეობით ხდება ავტომანქანების უდიდესი ნაწილის რეალიზაცია.

თუმცა, საჯაროდ, „ჯენერალ მოტორსის“ ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ საქმე კარგად აქვთ და ამ შეღავათის შემოღება სრულიად არ არის ნაკარნახევი კლიენტების მოზიდვის სურვილით. და მაინც, ანალიტიკოსები ერთსულოვნად გამოთქამენ ვარაუდს, რომ საავტომობილო მრეწველობაში სერიოზული კრიზისი შეიძლება დაიწყოს. უმუშევრობის ზრდის საფრთხის გამო, რომელმაც ბოლო წლებთან შედარებით, უპრეცედენტო მასშტაბი მიიღო (მან რეკორდულ – 5%-იან მაჩვენებელს მიაღწია), მომხმარებელი თავს იკავებს ავტომობილის მხოლოდ იმ მიზეზით გამოცვლაზე, რომ ის სულ რამდენიმე წლით დაძველდა...

ახალი ავტომანქანები

გერმანულმა კომპანია ZENDER-მა გამოაცხადა, რომ „ბე-ემ-ვე“-ს აგრეგატების საფუძველზე, ორიგინალური კუპეს – STRAIGHT 8-ს გამოშვებას აპირებს. ეს იქნება ახალი ფორმის პირველი მოდელი და, ბუნებრივია, ჯერ არავინ იცის, როგორ შეხვდებიან მომხმარებლები ორიგინალური ავტომობილების ხელით აწყობის მწარმოებელ ახალ კომპანიას. ამბობენ, „ცენდერს“ წარმატების მიღწევის რეალური შანსი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მცირე მასშტაბის ფირმაა და საკუთარი ძრავებისა და შასის შემუშავება-გამოშვების საშუალება არ გააჩნია. ამდენად, იძულებული იქნება, ავტოპროდუქციის ძირითადი ელემენტები შეიძინოს.

ZENDER STRAIGHT-ი „ბე-ემ-ვე“-ს 3,2 ლ ძრავით იქნება აღჭურვილი, რომლის სიმძლავრეც 321 ცხ.ძ-ს შეადგენს. ძარა მინაპლასტიკისგან

არის დამზადებული, რაც მანქანის მცირე მასას უზრუნველყოფს. რაც შეეხება დიზაინს, ბევრ სპეციალისტს ის საკმაოდ მიაჩნია, რადგან ავტომობილის იერი საკმაოდ „მძიმე“ გამოვიდა. მისი ეს თვისება ბევრი მყიდველისთვის მიუღებელი შეიძლება აღმოჩნდეს. მეორე მხრივ, „ცენდერის“ მოუხეშავი ფორმა იმთავითვე ცხადყოფს, რომ საქმე ფრიად „სერიოზულ“ ავტომობილთან გვაქვს, რომლის მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-მდე აღწევს, პირველ „ასეულს“ კი, 5,3



წმ-ში დაფარავს. „ცენდერის“ ღირებულებისა და გაყიდვის სავარაუდო თარიღის შესახებ კომპანიას ჯერჯერობით არაფერი გამოუცხადებია.



ქრონიკული პიელონეფრიტი



რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამასაშვილი

პიელონეფრიტი თირკმლის ანთებაა, რომელიც თირკმლის ქსოვილში სხვადასხვაგვარი ბაქტერიის შეჭრის შედეგია. ქრონიკული პიელონეფრიტი მწვავე ანთების შემდეგ ვითარდება ან თავიდანვე ქრონიკული ფორმით იწყება. დაავადების აღმოცენებას ხელს უწყობს რაიმე დაბრკოლების არსებობა საშარდე გზებში: შარდ-კენჭოვანი დაავადება, პროსტატის ადენომა. პიელონეფრიტი შეიძლება განვითარდეს ფეხმძიმობის დროს შარდ-საწვეთზე საშიგლოსნოს ზეწოლის გამო. არცთუ იშვიათად, დაავადება ფარულად, უსიმპტომოდ იწყება და დიდი ხნის განმავლობაში, წლობით შეუმჩნეველი რჩება.

1. როდესაც წამყვანია მოკლენები თირკმლებისა და საშარდე გზების მხრივ, ავადმყოფს აღენიშნება ყრუ ტკივილი წელის არეში, შარდვის გახშირება და წვა შარდვის დროს. მას შეიძლება ჰქონდეს დაბალი ტემპერატურა. პერიოდულად დაავადება მწვავედება, შემდეგ კი იწყება ხანგრძლივი რემისია სიმპტომების განულებით ან სრული გაქრობით.

2. საყურადღებოა ქრონიკული პიელონეფრიტის ჰიპერტენზიული

ფორმა. არტერიული წნევის მომატება აღინიშნება პიელონეფრიტით დაავადების შემთხვევათა დაახლოებით 50%-ში. ამ დროს შარდის გამომყოფი სისტემის მხრივ, სიმპტომები შეიძლება სუსტად იყოს გამოხატული ან სრულყოფილად არ აწუხებდეს ავადმყოფს. ამიტომ, თუ თქვენ გაქვთ მუდმივი ხასიათის არტერიული ჰიპერტენზია (წნევა), ქვედა ანუ დიასტოლური წნევის უპირატესი მომატებით (მით უმეტეს, ახალგაზრდა ასაკში), ეჭვი უნდა მივიტანოთ პიელონეფრიტის არსებობაზე. პიელონეფრიტის ჰიპერტენზიული ფორმა მრავალი წლის განმავლობაში ისე შეიძლება მიმდინარეობდეს, როგორც ჰიპერტონიული დაავადება. პიელონეფრიტული ჰიპერტენზიისათვის დამახასიათებელია დიასტოლური (ქვედა) წნევის მომატება 110-130 მმ-მდე და მეტად. ამავე დროს, შედარებით კარგია ავადმყოფის საერთო მდგომარეობა, ნაკლებია გართულება გულისა და ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ. ავადმყოფი დაწვრილებითი გამოკითხვისას იხსენებს, რომ წარსულში მას ჰქონდა თირკმლებისა და საშარდე გზების დაავადების მოვლენები.

3. უნდა გამოვყოთ ქრონიკული პიელონეფრიტის ლატენტური (ფარული) ფორმა, რომლის ერთადერთი მაჩვენებელი, მრავალი წლის განმავლობაში, არის მცირედი ალბუმინურია (ცილა შარდში) და ლეიკოციტების რაოდენობის მომატება შარდის ნალექში. პიელონეფრიტი შეუმჩნეველი რჩება, ვიდრე განვითარდება მნიშვნელოვანი ცვლილებები საშარდე სისტემაში, გამწვავდება დაავადება და ამ ფონზე ჩამოყალიბდება დაავადების ჰიპერტენზიული ფორმა. ზოგჯერ ფარული პიელონეფრიტი პირველად ვლინდება მაშინ, როცა საქმე მისულია თირკმლის უკმარისობამდე. სწორედ ამიტომ არის ყველა ადამიანისათვის აუცილებელი, შარდის პროფილაქტიკური გამოკვლევა, წელიწადში ერთხელ მაინც.

პიელონეფრიტის დროს შარდი შეიცავს ცილას, ლეიკოციტებს,

ერთროციტები შედარებით ნაკლები რაოდენობითაა. შარდის გამოკვლევის შედეგებს ყოველთვის არა აქვს ერთნაირი მნიშვნელობა დაავადების სიმძიმის შეფასებისათვის. თირკმლების მძიმე დაზიანების შემთხვევაში, შარდი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ცილის ნიშნებს და ცოტაოდენ ლეიკოციტებს.

პიელონეფრიტი მიმდინარეობს წლობით, პერიოდულად მწვავედება. ავადმყოფის მდგომარეობა კარგი რჩება, ვიდრე განვითარდება რაიმე გართულება გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ. ავადმყოფის მდგომარეობა მკვეთრად უარესდება თირკმლის უკმარისობის სტადიაში.

პიელონეფრიტის პროფილაქტიკა, უპირველეს ყოვლისა, საშარდე სისტემის იმ დაავადებების მკურნალობაა, რომელიც ინფიცირებისა და შარდის შეგუბების პირობებს ქმნის (კენჭოვანი დაავადება, პროსტატის ადენომა, გარეთა სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებები, თანდაყოლილი ანომალიები და სხვა).

ქრონიკული პროცესის გამწვავებისას, საჭიროა ანტიბაქტერიული მკურნალობა ექიმის დანიშნულებით. გამოიყენება 5-ნოკი, ნევიგრამონი, ფურადონინი, ფურაზოლიდონი, ლეკომიციტინი.

ანტიბაქტერიული მკურნალობის გავლენით, ავადმყოფის საერთო მდგომარეობის გამოსწორებასთან ერთად, სისხლის წნევაც მცირდება. უმჯობესია, ერთდროულად ვინმაროტ წნევის დამწვევი საშუალებები (პაპავერინი, ჰიპოთიაზიდი და სხვა).

დიეტის დაცვა თავიდანვე არ არის საჭირო. ავადმყოფი უნდა ერიდოს სანელებლებს – წიწაკას, პილპილს, მღოვს, ძალიან ძაბულ საჭმელს. სხვა მხრივ, კვება ჩვეულებრივია, საკმაო რაოდენობით ცილისა (ზორცის, რძის ნაწარმის) და ვიტამინების შემცველი. სითხე არ იზღუდება. პირიქით, გამწვავების პერიოდში მიზანშეწონილია მომატებული რაოდენობით სითხის მიღება. შარდის მჟავა რეაქციის დროს კარგ შედეგებს იძლევა საირმის, ბორჯომის მინერალური წყლები.

თაფლი

წყლულოვანი დაავადების მკურნალობა

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული არ წარმოადგენს ადგილობრივ პროცესს, არამედ არის მთელი ორგანიზმის დაავადება. მისი რადიკალური თერაპიის პრობლემა მეტად აქტუალურია, რადგან ბოლო დროს შეიმჩნევა დაავადების გახშირება. წყლულის გამომწვევ მიზეზთა შორის, უამრავ ფაქტორს ასახელებენ, მაგრამ უკანასკნელი გამოკვლევებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კუჭ-ნაწლავის ნერვულ-ჰუმორული რეგულაციის დარღვევასა და ბაქტერიულ ფაქტორს.

წყლულოვანი დაავადების სამკურნალოდ, სხვადასხვა მეთოდს იყენებენ: მედიკამენტურს, დიეტოთერაპიულს, ქირურგიულს, ბალნეოლოგიურს, ფიზიოთერაპიულსა და სხვას; დაავადებულ ორგანიზმზე მათი დადებითი გავლენის უარყოფა შეუძლებელია, მაგრამ მაინც არ არსებობს საბოლოო განკურნების გარანტია.

წყლულოვანი დაავადების ფუტკრის თაფლით მკურნალობა უძველეს ხალხურ მეთოდს წარმოადგენს. მკურნალობის მეთოდი მდგომარეობს ორი სუფრის კოვზი თაფლის ყოველდღიურ მიღებაში მშვირ კუჭზე, დღეში ერთხელ, ჩვეულებრივ – გვიან ღამით.

ფარმაკოდინამიკური ელემენტების შემცველობის წყალობით, თაფლი ახდენს კუჭისა და ნაწლავის ფუნქციონირების აღდგენას, აქვს ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება, ამცირებს კუჭის ლორწოვანი გარსის ნერვულ დაბოლოებათა გაღიზიანებას, რაც თავის მხრივ, კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს თავის ტვინის ქერქსა და ქერქქვეშა ნივთიერებაზე.

თაფლი ხელს უწყობს ფერმენტული პროცესების დაქვეითებას კუჭში, ხოლო მასში შემავალი შაქრები (გლუკოზა და საქაროზა) ორგანიზმის მიერ აითვისება ყოველგვარი გარდაქმნის გარეშე.

თაფლის დაბალი რადიოაქტიურობა, მისი ანტიმიკრობული ნივთიერებები და ბიოსტიმულატორები ასტიმულირებს უჯრედთა აღდგენის პროცესებს, რასაც წყლულის შეხორცებაც მოსდევს.

პროფესორი ნ.კ. მიულერი და ზ.დ. არქიპოვა აწარმოებდნენ კლინიკურ



დაკვირვებას თაფლის სამკურნალო მოქმედებაზე, წყლულოვანი დაავადების დროს. მოსკოვის ოსტროუმოვის სახელობის საავადმყოფოში ისინი მკურნალობდნენ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების დიაგნოზით მწოლიარე 145 ავადმყოფს და დაადგინეს, რომ თაფლი აწესრიგებს მჟავიანობას და კუჭის წვენი გამოყოფას. გულმძარვა და ბოყინი შეწყდა. ტკივილი კუჭის არეში 111-დან 101 ავადმყოფს გაუქრა, 8-ს – შეუმცირდა, ხოლო 2-ს – შეუნარჩუნდა. იმ 47 ავადმყოფიდან, რომელსაც წყლულთან ერთად ჰქონდა შეკრულობა, კუჭის მოქმედება მოუწესრიგდა 39-ს. ყველა ავადმყოფმა მოიმატა წონაში.

კურსის სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიულ კლინიკაში თაფლით მკურნალობა ჩატარდა 46 ავადმყოფს. შედეგები აშკარად დადებითია: ყველა ავადმყოფს გაუქრა ტკივილი, გაუუმჯობესდა მადა, მოუწესრიგდა მჟავიანობა და სეკრეცია, ჰემოგლობინმა მოიმატა 6-დან 15 ერთეულამდე, ერთორციტების მაჩვენებლები გაიზარდა საშუალოდ 600 000 კუბ. მმ-მდე, ხოლო წონა – საშუალოდ, 2,8 კგ-ით. ოთხკვირიანი მკურნალობის შემდეგ, 28 ავადმყოფიდან, რომელსაც რენტგენოსკოპიურად დაუდასტურდა წყლულის არსებობა, 20-ს აღარ აღმოაჩნდა წყლულის ნიშნები.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატ-

მა ხოდკინამ თაფლოთერაპია ჩატარდა კუჭის წყლულით დაავადებულ 302 ავადმყოფს, მათ შორის, 253 მამაკაცს და 49 ქალს. ავადმყოფთა 84,2% გამოჯანმრთელდა, ხოლო 5,9%-ს არ აღენიშნებოდა გაუმჯობესება. მკურნალობის დაწყებიდან მე-10–მე-15 დღეს ავადმყოფებს აღენიშნებოდათ მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება: ტკივილი ქრებოდა, აღარ ჰქონდათ სიმძიმის შეგრძნება კუჭის არეში, ნორმალური ხდებოდა საჭმლის მონელება.

მაგალითი: 50 წლის ავადმყოფი მამაკაცი 10 წლის განმავლობაში უჩიოდა ყოველდღიურ ტკივილს კუჭის არეში. ტკივილი ძლიერდებოდა უზმოზე; აღენიშნებოდა აგრეთვე გულმძარვა და ბოყინი. რენტგენოლოგიურად დაუდგინდა თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება. მკურნალობა ჩატარდა მინდვრის ყვავილების თაფლით, რომელსაც 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 2 სთ-ით ადრე იღებდა, თითო სუფრის კოვზის ოდენობით. მკურნალობის დაწყებიდან 20 დღეში გულმძარვა და ბოყინი აღარ აღენიშნებოდა, ხოლო ერთთვიანი კურსის შემდეგ, საერთოდ აღარ ჰქონდა ჩივილები. ავადმყოფი თანდათან გადავიდა კვების ჩვეულებრივ რეჟიმზე. ენდოსკოპიამ წყლულის შეხორცება აჩვენა.

წყლულოვანი დაავადების დროს, თაფლი უნდა მიიღოს ჭამამდე 90-120 წთ-ით ადრე, ან ჭამიდან 3 სთ-ის შემდეგ. ეფექტურია აგრეთვე თბილ წყალში გახსნილი თაფლის მიღება. თაფლის წყალხსნარი ხელს უწყობს კუჭის კედლების ტონუსის შემცირებას. მკურნალობის კურსი უნდა გაგრძელდეს ერთიდან ორ თვემდე. თუ გამოჯანსაღება არასრულია, მკურნალობა უნდა გაგრძელდეს. იმ ავადმყოფებმა, რომლებსაც აქვთ კუჭის დაბალი მჟავიანობა და სეკრეტორული უკმარისობა, თაფლი უნდა მიიღონ უშუალოდ ჭამის წინ.

დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ თაფლი წარმოადგენს საიმედო საშუალებას წყლულოვანი დაავადების სამკურნალოდ. ექიმის დანიშნულებით, შესაძლოა, თაფლით მკურნალობა ჩატარდეს მედიკამენტურ მკურნალობასთან ერთად.



ჩრჩილის პრობლემა ყველა დიასახლისს აწუხებს. ჩრჩილი ზაფხულში თავის მანვე „საშუშაოს“ ასრულებს და ანადგურებს ჩვენს ტანსაცმელს, ნოხებს თუ შალის სხვა ნაწარმს. ამის გარდა, იგი განვინაში მოთავსებულ სურსათშიც კარგად გრძობს თავს.

ჩრჩილის გასანადგურებლად, განვინაში რამდენიმე ადგილზე, ფინჯნით დადგით მძაფრი ძმარი, ან ალაგ-ალაგ დააწყვეთ კაკლის ფოთლები. კაკლის ფოთლები ასევე შეგიძლიათ მოხერხებულად ჩააწყოთ ტანსაცმლის კარადაშიც.

ძალიან კარგია ფორთოხლისა და ლიმონის კანიც, რომელიც მთელი წლის განმავლობაში შეგიძლიათ მოაგროვოთ.

სურსათის შენახვის წესები

მაცივარში თავიდან შენახული ყველი შრება და იფშენება; ასეთი ყველი „გასახლებლად“, ცოტა ხნით მოთავსეთ ცივ რძეში.

მწვანე ლობიოს ხარშვის დროს თუ ჩაგუმბატებთ 1 სუფრის კოვზ შაქრის ფხვნილს, ლობიო არ გაყვითლდება და სასიამოვნო მწვანე ფერს შეინარჩუნებს.

სარეცხის ფხვნილით რეცხვის შედეგად, ხელები უხეშდება და ფრჩხილებთან ზოგჯერ კანი იქერცლება. დღის ბოლოს დადლილი და გაუხეშებული ხელები 5-10 წუთით მოთავსეთ თბილ ზეთში, შემდეგ დაიბანეთ და მკვებავი წაისვით.

რეცეპტები

ყველაფერი ბადრიჯნისაგან

ნებისმიერი სახის ბადრიჯნის კერძის მომზადებამდე, დაჭრილ ბადრიჯანს უნდა მოაყაროთ მარილი, გააჩეროთ 10-15 წუთი და შემდეგ გაწურეთ, რათა შავი, მწკლარტე წვენი გაუვიდეს. შემდეგ მოამზადეთ, რა სახითაც გნებავთ.

ბადრიჯანი ბაჟემი

გრძლად და ბრტყლად დაჭრილი ბადრიჯანი შეწვით ზეთში, გააცვივეთ და მოათავსეთ ჩვეულებრივი წესით მომზადებულ ბაჟეში.

თუ ნივთი არა გაქვთ, დანაყილი ნივრით, ქინძით (სასურველია ყვავილოვანი ქინძი) და მარილით შეაზავეთ არაყანი და გამოიყენეთ ბაჟეს მაგიერ.

„სოკო“

ძალიან წვრილად (პატარა კუბურებით) დაჭრილი 1 კილოგრამი ბადრიჯანი მოშუშეთ ზეთში 300 გრამ წვრილად დაჭრილ ხახვთან ერთად. კარგად რომ მოიშუშება, შეაზავეთ მარილით და ცივს, სუფრაზე მიტანისას, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი.

ბადრიჯანი ბრინჯით

მთელ-მთელ ბადრიჯნებს ამოუსუფთავეთ გული, ამოავსეთ ბრინჯით (ბრინჯი ძალიან არ მოხარშოთ, გადაავლეთ მდუღარე წყალი, გაწურეთ და შეაზავეთ მოშუშული ხახვითა და შავი პილპილით), დაალაგეთ სქელძირიან ტაფაზე, დაასხით ზეთი, დაასურეთ ტაფას ხუფი და დადგით ნელ ცეცხლზე. დროდადრო ბადრიჯანი გადააბრუნეთ. შემწვარი ბადრიჯანი დააწყვეთ გამწვანებულ თევზზე ან შესაფერის ლანგარზე. გააცივეთ, ყველას სათითაოდ გადაუსვით მაიონეზი ან ქინძითა და ნივრით შეზავებული არაყანი და ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი ან კამა.

ბადრიჯანი ყვერცხით

ბრგვლად ან ბრტყლად (თქვანი სურვილის მიხედვით) დაჭრილი ბადრიჯანი ოდნავ შეწვით, შემდეგ ამოავლეთ გათქვეფილ კვერცხში და დაასრულეთ მისი შეწვა. შემწვარი ბადრიჯანი დატოვეთ ტაფაზე, ზემოდან დაასხით ათქვეფილი კვერცხი, შედგით ჰაერლუმელში და გააჩერეთ მანამდე, სანამ კვერცხი ზემოდან შეიბრაწება.

სამკურნალო მინერალური წყლები

საირმე

საირმის ძირითადი ბუნებრივი წყაროს წყალი მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან წყლებს. ჩვეულებრივად, ეს წყლები, ამავე დროს, შეიცავს ნახშირორჟანგს და NaHCO_3 . ამ წყლებს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება აქვს, აძლიერებს შარდვას, ხელს უწყობს ორგანიზმიდან მჟავე ურატების, მჟაუნმჟავასა და ნივთიერებათა ცვლის სხვა პროდუქტების გამოყოფას, ახდენს საშარდე გზების მექანიკურ გამორეცხვას და აძლიერებს ლორწოვანი გარსის აღდგენის უნარს. ამ ჯგუფის წყლებს, მათი შარდმდენი მოქმედების გამო, საშარდე გზების ქრონიკული ანთებითი პროცესებისა და კენჭოვანი დაავადებათა დროს ეძლევა უპირატესობა. აღნიშნული უროლოგიური დაავადებების მკურნალობის მიზნით, საირმე ავადმყოფს ენიშნება დიდი დოზებით – 1-1,5 ჩაის ჭიქა 4-5-ჯერ დღეში.

საირმის გამოყენების ჩვენებაა, აგრეთვე, ყველა ის და-



ვადება, რომლის დროსაც იყენებენ ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან წყლებს, მაგალითად, ბორჯომს. კერძოდ, ეს დაავადებებია: 1) საშარდე გზების ქრონიკული ანთებითი პროცესები – პიელიტი, ცისტეტი, ურეთრიტი; 2) ნივთიერებათა ცვლის დარღვევები – დიაბეტი, პოდაგრა, სიმსუქნე, შარდმჟავა და მჟაუნმჟავა დიათეზები; 3) ქრონიკული გასტრიტი; 4) კუჭის და თორმეტგოჯას წყლულოვანი დაავადება; 5) ქრონიკული კოლიტები და ენტერიტები; 6) ქრონიკული ჰეპატიტი, ქოლეცისტიტი, სანალვლე გზების პათოლოგიები; 7) ჰიპერტონიული დაავადება; 8) ნერვული სისტემის დაავადებები.

საირმის №4 წყაროს წყალი ეკუთვნის ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან წყლებს. საშარდე გზების სამკურნალოდ, უკეთესია, მიირთვათ წყარო №3 და №8-ს წყალი, რომელშიც სჭარბობს კალციუმის კათიონი, ხოლო №4 წყაროს წყალი, უმჯობესი იქნება კუჭნაწლავის დაავადებების დროს.

კითხვა



პასუხი

კითხვა: რამდენიმე წელი მაწუხებს ხველა. ვაბრალდები იმას, რომ ვეწევი სიგარეტს, მაგრამ ბოლო ხანებში ძალიან მომემატა ნახველი, განსაკუთრებით დილაობით. გავლიძობისას ვიღებ ძალიან დიდი რაოდენობით ყვითელ, სუნინან ნახველს. უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში ორჯერ ვიყავი ავად მალაღი სიცხით. პერიოდულად

ვსვამ ამპიცილინს. დალევის დროს ხველა მიმცირდება, მაგრამ როგორც კი წამლის დალევას შევწყვეტ, ისევ მემატება. მითხარით თქვენი აზრით, ჩემი დიაგნოზი?

პასუხი: რა თქმა უნდა, ზუსტი დიაგნოზის დასმა მხოლოდ ჩივილებით შეუძლებელია, მაგრამ პირველი შთაბეჭდილებებით, თქვენ წლების განმავლობაში გქონდათ ქრონიკული ბრონქიტი, რაც მწველთათვის დამახასიათებელი პათოლოგიაა. თქვენ მიერ ნახსენები ბოლოდროინდელი სიმპტომები კი მიგვანიშნებს ბრონქიტის გართულებაზე – ფილტვის დაჩირქებით პროცესზე. ეს შეიძლება იყოს ბრონქოექტაზიური დაავადება ან აბსცესი. ზუსტი დიაგნოზისთვის, თქვენ გესაჭიროებათ რენტგენოგრაფიული გამოკვლევა, ხოლო შემდგომ გამოკვლევათა სქემას და მკურნალობას დაგინიშნავთ პულმონოლოგი. ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომრებში დაწვრილებით მოგიხსნებთ ფილტვის დაჩირქებით პროცესებზე, რადგან უკანასკნელ წლებში მისი გახშირების ტენდენცია შეინიშნება.

კითხვა: მაქვს ანემია. ჰემოგლობინი – 100, ფერადობის მაჩვენებელი – 0,85. რა საკვებს მიირჩევდით?

პასუხი: ანალიზის მიხედვით, აშკარაა რკინადეფიციტური ანემია. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენს ორგანიზმს აკლია რკინა. ამიტომ, თქვენს საკვებს რაციონში უნდა შეიტანოთ ვიტამინების და რკინის შემცველი პროდუქტები: ხილი, ბოსტნეული, მწვანელი. გირჩევდით: ვაშლს დიდი რაოდენობით (ანტონოვკას ჯიშის), ახალ ხახვს, ჭარხალს, ბროწეულს, ალუჩას, ჭინჭარს, ასკილის ნაყენს, შავ მოცხარს, ტყის მარწყვის ფოთლების ნახარშს, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, უნდა გაარკვიოთ ანემიის გამომწვევი მიზეზი და მისი პათოგენეზის შესაბამისად ჩაიტაროთ სათანადო მკურნალობა ექიმის დანიშნულებით.

კითხვა: ჩემს მოხუც მამას აქვს წინამდებარე ჯირკვლის აღენობა. მკურნალობისთვის მას ესაჭიროება კათეტერის ხშირი ჩადგმა, რაც ძალიან მტკივნეულია. მსმენია, რომ კათეტერი ჯერ კიდევ პიპოკრატეს დროს იქნა გამოგონილი. ნუთუ თანამედროვე სამედიცინო მეცნიერებამ არ შექმნა რაიმე ახალი იმისათვის, რომ ამ საკმაოდ გავრცელებული პროცედურის დროს პაციენტებს ტკივილი შეუმსუბუქდეთ?

პასუხი: მართლაც, უროლოგიური მანიპულაციები არასასიამოვნო, ხშირად ძალიან მტკივნეული, მაგრამ აუცილებელია. შარდის ბუშტის კათეტერიზაციისთვის იყენებენ ლითონის, პლასტიკატისა და რეზინის კათეტერებს. ისინი სხვადასხვა დიამეტრისაა, შარდსადენში გავლით აღწევს შარდის ბუშტამდე. კათეტერის ჩადგმა დიაგნოზის დასმის მიზნით, ან შარდის ბუშტის ღრუდან შარდის გამოსატანად ხდება. ხშირად, მას იყენებენ წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიის მქონე ავადმყოფებში და შარდის მწვავე შეკავების დროს, როცა ადამიანს არ შეუძლია დამოუკიდებლად მოშარდვა. მტკივნეულია აგრეთვე პროცედურები, რომლის დროსაც უშუალოდ ურეთრაში (შარდსადენში) და შარდის ბუშტში შეჰყავთ ხელსაწყო. ასეთი პროცედურებია: ცისტოსკოპია, სიმსივნეების, პაპილომების მოწვა, კენჭების გამოღება და სხვა.

ქალის ურეთრა მოკლე და განიერია და თითქმის მასში კათეტერის შეყვანა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს, ხოლო მამაკაცის შარდსადენი გრძელია, აქვს შევიწროებები და გამრუდებები და მისი გამოკვლევის პროცესი საკმაოდ მტკივნეულია. ამიტომ, რომ ქალის ურეთრაზე მანიპულირებას ექთანსაც ანდობენ, ხოლო მამაკაცის კათეტერიზაცია გამოცდილმა ქირურგმა ან უროლოგმა უნდა ჩაატაროს. ურეთრის დაზიანება ხომ ძალიან ადვილია, განსაკუთრებით, ლითონის კათეტერით, რამაც სისხლში ინფექციის შეჭრა შეიძლება გამოიწვიოს, ზედა საშარდე გზებში, შესაძლოა განვითარდეს სტრიქტურები (შევიწროებები) შარდსადენში.

საბედნიეროდ, არსებობს ისეთი პრეპარატები, რომლის მეშვეობითაც ეს პროცედურა მაქსიმალურად უმტკივნეულოდ და უსაფრთხოდ ტარდება. ასეთია, მაგალითად, ინსტილაგელი. მას აქვს კარგი ანტიმიკრობული და მანეოსთეზებელი თვისებები და უკვე 30 წელია, იყენებენ ევროპელი ექიმები ურეთრაზე სხვადასხვა მანიპულაციის დროს, რაც არსებითად, ამცირებს მისი ტრავმირებისა და გართულებათა განვითარების რისკს. ინსტილაგელი შეჰყავთ შარდსადენში მანიპულაციის დაწყებამდე 10 წუთით ადრე და „წამების იარაღს“ – კათეტერს ავადმყოფი ვეღარც კი გრძნობს.

კითხვა: ცხვირზე და პირის ირგვლივ ხშირად გამომდის ჩირქიანი გამონაყარი. მე მათ ხელის დაჭერით ვიშორებ და შემდეგ სპირტით ვიწმენდ, მაგრამ მერე მიჩნდება ახალი კერები. ექიმმა მითხრა, რომ ამ ადგილას მუწუკის წვალება არ შეიძლება, რადგან შესაძლოა, ტვინის ანთება დამემართოს. მართალია თუ არა? (ვარ 15 წლის).

პასუხი: ასეთი მეთოდით ჩირქიანი გამონაყარის მოშორება მხოლოდ უსიამოვნებას მოგიტანთ: თქვენ ხელებით მოთესავთ ინფექციას და კანის სხვა ადგილებში გაჩნდება ახალი კერები.

ცხვირისა და პირის ირგვლივ საშიში ზონა მართლაც არის, რადგან ვენები ამ უბიდან კეფის არეში თავის ქალის შიგა მხრიდან ერთიანდება დიდ ვენურ სინუსში. ეს იმას ნიშნავს, რომ ინფექცია ტვინში შეიძლება გავრცელდეს, ამიტომ ჩირქიანი მუწუკების მიჭყლეტა დაუშვებელია.

1946 წლის 6 დეკემბერს 24 წლის ჯეინ უოლესი ატლანტაში მეუღლესთან შესახვედრად ჩავიდა და, ბუნებრივია, ვერც წარმოიდგენდა, რომ მეორე დღეს შემზარავი ტრაგედიის მონაწილე გახდებოდა, ორშაბათს, 8 დეკემბერს კი, ქვეყანაში ნაციონალურ გლოვას გამოაცხადებდნენ, რომელიც მას პირდაპირ შეეხებოდა.



საიდუმლოებით მოცული დანაშაული, რომელიც ბოლომდე გაუხსნელი დარჩა

„ვაინკოფი“ - მკვლეელი ოჯახი

... მანამდე კი ქალი ატლანტის საუკეთესო ოტელის - „ვაინკოფისკენ“ მიმავალ ტაქსიში იჯდა და ძალზედ ღელავდა: ჯეინი ქმარს - ბობ ბაირონს რამდენიმეწლიანი განშორების შემდეგ უნდა შეხვედროდა.

წყვილმა ჯერ კიდევ ომამდე გაიცნო ერთმანეთი - ოჰაიოს შტატის ქალაქ ოქსფორდში, სადაც ფუძემდებელი ჯეინი ლაზარეთში პრაქტიკას გადიოდა. იქ ახალგაზრდა ოფიცერი ბობ ბაირონი მკურნალობდა. მათ შორის რომანი სულ რამდენიმე დღეში გაიბა და უმაღლესი წინებითაც დაგვირგვინდა. ერთ კვირაში ბაირონი ფრონტზე გაემგზავრა და კარგა ხანს არაფერი შეუტყობინებია ჯეინისთვის. გავიდა წლები და ერთი თვის წინ, მოულოდნელად ქალს ბობის წერილი მოუვიდა: მეუღლე პაემანს უნიშნავდა ოტელ „ვაინკოფში“.

ჯეინთან ერთად ატლანტაში მისი დეიდაშვილი რუთი, თავის ვაჟიშვილ - 16 წლის რეთლიჯითურთ, გაემგზავრა.

უმაღლესი დონის მინის ლიფტში საჭირო სართულამდე მგზავრობისას ჯეინმა მელიფტეს ჰკითხა: „იმედია, ჩემი ნომერი სათადარიგო გასასვლელთან ახლოს არის?“ მელიფტეს გაეღიმა: „ლედიის ხანძრის ხომ არ ეშინია? ნუ ღელავთ, მემ! ჩვენს ოტელს სათადარიგო გასასვლელები არ ესაჭიროება: „ვაინკოფი“ აბსოლუტურად ცეცხლგამძლეა“. ამ დროს საუბარში მაღალი, ჭადარათმიანი მამაკაცი ჩაერია: „მართლს ამბობს, გეთაყვა: ამ ოტელში თქვენი უსაფრთხოება გარანტირებულია“. „ჯეინ, თუ არა ბატონი ვაინკოფი, დაგიდასტურებთ ამას?!“ - მლიქვნელურად გაიღიმა მელიფტემ: ჯეინ-

თან ერთად თურმე თვით ოტელის მებატონე - უილიამ ფლემინგ ვაინკოფი მგზავრობდა, რომელმაც კარიერა ბროკერობით დაიწყო, წარმატებას მიაღწია და ჯერ კიდევ 1913 წელს ააგო „ვაინკოფის“ ვეებერთელა შენობა.

დეიდაშვილთან და მის შვილთან დამშვიდობების შემდეგ (მათი ნომერი რამდენიმე სართულით მაღლა იყო), ჯეინმა თავისას - 332-ეს მიაშურა. ბობი უკვე იქ იყო. ერთხანს ცოლ-ქმარი გაშეშებული უცქერდა ერთმანეთს, შემდეგ გაექანნენ და ჩაეხუტნენ ერთმანეთს. ბობი ისევ იმ სააღერსო სიტყვებს ჩასწურწულვდა, რაც ჯეინს რამდენიმე წლის წინ ჰოსპიტალში გაეგონა, კაცის წითური უღვაშები კი ისევ ისე ელამუნებოდა მის ლოყას. „ბობ, - იმეორებდა ჯეინი, - რატომ არაფერს მწერდი ამ ხნის მანძილზე? ისიც კი ვიფიქრე, რომ სხვა ქალი გყავდა“. „მერე, მერე ვილაპარაკეთ ყველაფერზე, - პასუხობდა ბობი. - ყველაფერს, ყველაფერს მოგიყვები...“

შუალამე კარგა ხნის დამდგარი იყო, ისინი კი კვლავ ისხდნენ ჩახუტებულები და სინათლის ანთებაც არ უფიქრიათ. მოულოდნელად ტელეფონმა დარეკა. ეს რუთი იყო, რომელმაც ჯეინს აუწყა, რომ მეზობლად მდებარე სხვა ოტელში გადავიდა: „ვაინკოფის“ ნომერი ვვიწროვ, მასში მოუხერხებლად იგრძნო თავი, აი, შვილი - რეთლიჯი კი ვერა და ვერ დაითანხმა. „ნუ გაუწყობი, რუთ, - უთხრა ჯეინმა, - ბიჭს, უბრალოდ, უნდა, დამოუკიდებლად იგრძნოს თავი“.

დიდი ხნის განშორების შემდეგ შეყრილ ცოლ-ქმარს გვიანობამდე არ დაემინა, თუმცა, სურვილიც რომ ჰქონოდა,

გაუჭირდებოდა, რადგან მათი მეზობელი - 330-ე ნომრიდან ძალზედ ხმაალაღი ლაპარაკი ისმოდა, რომელიც დროდადრო ნამდვილ ჩხუბში გადაიზრდებოდა ხოლმე. რამდენჯერმე ბობმა მუშტიც კი მიუბრახუნა მეზობლებს კედელზე, ბოლოს კი, ოტელის მსახურთან უჩივლა, რომელიც დაჰპირდა, რომ ურჩ მოსახლეებს დააშოშმინებდა.

ჯეინს არ ახსოვდა, რა დრო გავიდა ამის შემდეგ - ერთი საათი, თუ უფრო მეტიც, - მაგრამ ახანინიდან რომ გამოვიდა, უკვე ლოგინში ჩაწოლილმა ბობმა უეცრად თქვა: „მგონი, რაღაც იწვის. ვერ გრძნობ? აშკარად დამწვრის სუნია!“ ჯეინმა ხალათი გადაიცვა და დერეფანში გაიხედა: მთელი სართული კვამლით იყო სავსე. „ბობ, ვიწვით! - შეჰყვირა ჯეინმა, - ჩქარა ჩაიცვი, სხვებიც უნდა გავაღვიძოთ! ღმერთო, რეთლიჯი! დამელოდე, ახლავე დავბრუნდები!“ ჯეინი უაზროდ წრიალებდა ლიფტთან, ვიდაცას საშველად უხმობდა, მაგრამ ძალი მიხვდა, რომ ბიჭის ნომრამდე ვერ მიაღწევდა და ისევ ბობთან დაბრუნდა.

ამასობაში მე-17 სართულზე ყველანი პანიკას მოეცვა: დერეფანი სულ უფრო ივსებოდა კვამლით, ნომრებიდან შეშინებული ხმები ისმოდა. როგორც იქნა, ჯეინმა თავის ნომერს მიაღწია. ბობი ღია ფანჯარასთან იდგა და ხველების შეტევისგან იკრუნჩხებოდა. ცოლი რომ დაინახა, რაღაცის თქმა სცადა, თან ხელს დერეფნისკენ იშვერდა, მაგრამ მისი გულმკერდიდან მხოლოდ სტვენანარევი ხროტინი გაისმა. „კვამლისგან იგუდება!“ - დასცეცხლა ჯეინს, რომელსაც გაახსენდა, რომ ბობს ასთმა ჰქონდა. ახლა მის-

თვის მთავარი იყო, როგორმე თავი დაეღწიათ აქაურობისთვის. ხსნა მხოლოდ ფანჯრის მხრიდან შეიძლებოდა: მთელი ღერეფანი უკვე სავსე იყო კვამლით, იგივე ხდებოდა ქვედა სართულებზე – უკვე რბილი იატაკი იწვოდა.

ოტელი ნამდვილ ჯოჯოხეთს დამსგავსებოდა. ცოცხლად რომ არ დამწვარიყვნენ, ადამიანები ფანჯრებიდან ხტებოდნენ. ქვემოთ უკვე მოქმედებდნენ მშველები, რომლებიც ასაკეც კიბეს ამარებდნენ. „ის ჩვენამდე ვერ მოაღწევს!“ – უყვიროდა მათ ჯეინი. მაგრამ მალე კიბემ მათ ფანჯრამდეც ამოაღწია. პირველად მას აკანკალებული ფეხი ჯეინმა დაადგა, მას ბობიც მიჰყვა. მაგრამ როცა, ბოლოს და ბოლოს, ძირს ჩავიდნენ, ის მიწაზე დადგომისთანავე დაეცა. მასთან უმაღლესი გაჩნდა ექიმი, რომელმაც... სიკვდილი დააფიქსირა... მეორე დღეს კი, ჰოსპიტალში, ჯეინმა შეიტყო, რომ რეთლივიც დაღუპულა – ის თავის ნომერში ცოცხლად დამწვარა.

ადრიანი დილით ელის-სტრიტზე შეკრებილი ხალხის წინაშე საშინელი სურათი გადაიშალა: ალიონის ცის ფონზე „ვაინკოფის“ დამახინჯებული, ცეცხლისა და კვამლისაგან გაშავებული შენობა აღმართულიყო, რომლის წიაღშიც 119 ადამიანი, მათ შორის ოტელის მეპატრონე – ფლეინგ ვაინკოფიც დაღუპულიყო.

რამდენიმე კვირის მანძილზე გაზეთების პირველი გვერდებიდან არ ჩამოსულია მკვლელი ოტელის თემა. „რა იყო ეს – უბედური შემთხვევა თუ მოწყობილი ხანძარი?“ – კითხულობდნენ რეპორტიორები. გამოძიებლებს აოცებდათ ის ამბავი, რომ შტატის ეს საიამფე, „ცეცხლგამძლე ვაინკოფი“, თითქოს სპეციალურად იყო იმგვარად დაპროექტებული, რომ ხანძრის შემთხვევაში, სასიკვდილო ხაფანგად ქცეულიყო: არქიტექტორთა უცნაური დაუდევრობის გამო, შენობაში არც სათადარიგო გასასვლელები იყო, არც სახანძრო კიბეები; უმოქმედო აღმოჩნდა ხანძარსაწინააღმდეგო კვამლგამწოვი – მისი ორივე ტუმბო კარგა ხნის წინ გამოვიდა მწყობრიდან. რამდენიმე კვირით გაკანურებული გამოძიება საბოლოოდ, უშედეგოდ დასრულდა: ხანძრის მოწყობის დამადასტურებელი სამხილის უქონლობის გამო, ხელისუფლებამ საქმის დახურვა გადაწყვიტა, რადგან მიიჩნია, რომ „ვაინკოფში“ ტრაგიკული შემთხვევა მოხდა.

თუმცა, მალე, საზოგადოებრიობის ზეწოლის შედეგად, ქალაქის მერი რობერტ დეივი იძულებული გახდა, გამოძიების



განახლება მოეთხოვა: დაზარალებულებმა და დაღუპულთა ნათესავებმა სარჩევებით აავსეს სასამართლოები – ისინი „ვაინკოფისაგან“ სულ ცოტა 15-15 ათასი დოლარის კომპენსაციას მოითხოვდნენ. რომ დამტკიცებულიყო, ხანძარი უბედური შემთხვევის შედეგი იყო, სარჩევების თანხები რამდენჯერმე შემცირდებოდა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, პირიქით – გაიზრდებოდა. ხელისუფლებას თავისი ურთიერთობა ჰქონდა „ვაინკოფთან“ და მისი გაკოტრების სურვილი ქალაქს ნამდვილად არ ჰქონდა.

გამოძიება ატლანტის საუკეთესო კერძო დეტექტივის ლეო ნელიკს დაავალეს. ჩეხი იმიგრანტი თერძის შეილმა ლეომ კარიერა საქალაქო გაზეთ GEORGIA-ს ფოტოგრაფად დაიწყო. ლამაზი, წარმოსადგეი ახალგაზრდა კაცი იყო, მის სისუსტეს აბრეშუმის ჰალსტუხები და ბრილიანტის ბეჭდები წარმოადგენდა. პირველი სპეციალობის კერძო მაძებრობით შეცვლა მან მაშინ გადაწყვიტა, როცა ცნობისმოყვარეობის გამო, რამდენიმე ისეთი ხმაურიანი დანაშაული გახსნა, რომელსაც პოლიციამ ვერაფერი მოუხერხა. როცა ის რომელიმე საქმის გამოძიებას მოჰკიდებდა ხელს, სამიხნე კაცის გარდა, მისთვის არაფერი არსებობდა, მაგრამ საკმარისი იყო ეპოვა დამნაშავე, რომ ლეო სრულიად კარგავდა ინტერესს ამ საქმისადმი. ადამიანებთან ურთიერთობაში ხისტ ნელიკს არ ჰყავდა მეგობრები, ატლანტაში კი მისი ეშინოდათ კიდევ და იმავდროულად, პატივსაც სცემდნენ.

„ვაინკოფის“ საქმეში ნელიკის

გამოჩენისთანავე, ხანძრის მოწყობის რამდენიმე დამაჯერებელი ვერსიაც გაჩნდა. პირველი: მკვლელი, ოტელის მეპატრონის უახლოეს ნათესავებს შეიძლებოდა დაექირავებინათ, რათა მოეკლათ ფლეინგ ვაინკოფი და მის ქონებასა და დაზღვევის თანხას დაჰპატრონებოდნენ. მეორე: ახსენებდნენ ვილაც პირომანიაკს (აფეთქებების ოსტატს), რომელიც რამდენიმე მსგავს დანაშაულში იყო შემჩნეული. ეჭვი მიიტანეს ვილაც უცნობზე, რომელმაც გადაწყვიტა, ამგვარად ეძია შური ცოლზე, რადგან სწორედ იმ დამით დაიჭირა ოტელის ერთ-ერთ ნომერში საყვარელთან ერთად. ვიდრე ეს ვერსიები განიხილებოდა, გაზეთ JOURNAL-ში გამოქვეყნდა წერილი, რომელმაც საზოგადოების სამსჯავროზე ტრაგედიის ახალი ვერსია წარმოადგინა: ავტორი ამტკიცებდა, რომ ხანძარი პოკერის პროფესიონალ მოთამაშებთან იყო დაკავშირებული. საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენდა, ამერიკის სამხრეთ რაიონებში ოტელები ხშირად იატაკქვეშა სათამაშო ბიზნესის ბუდედ რომ იქცეოდა ხოლმე. ამჯერად ლაპარაკი იყო ეწ. „წითულ პოკერზე“ – თამაშზე, რომელშიც უზარმაზარი ფული ტრიალებდა და მაფიოზურ კლანებთან იყო დაკავშირებული. „წითულს“ მას იმის გამო უწოდებდნენ, რომ თითოეულ თამაშზე, მისი მონაწილენი ახალ ადგილას საიდუმლოდ იკრიბებოდნენ, რათა თავი აერიდებინათ პოლიციასთან შეხვედრისთვის.

... მისის უოლესი ცდილობდა, გამოწველილვით შეესწავლა ეს წერილი. ჯეინს განსაკუთრებული მიზეზები ჰქონდა საი

მისოდ, რომ გამახვილებით ედევნები-
ნა თვალყური გამოძიებისთვის: ჯერ ერთი,
ამ ხანძრის დროს მან ქმარი და ნათესავი
დაკარგა, მეორეც — თავს დამნაშავედ
გრძნობდა დეიდაშვილის წინაშე, რადგან
თვითონ გადარჩა, რეთლიჯს კი ვერაფ-
რით დაეხმარა. დანაშაულის გრძნობა
იმანაც დაუმძიმა, რომ ტრაგედიიდან რამ-
დენიმე კვირის შემდეგ დიდი სისწრაფით
მიმავალი რუთის ავტომობილი ხეს შეე-
ჯახა. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ეს
თვითმკვლელობა იყო.

„პოკერის ვერსიის“ შესახებ დაწერ-
ილი სტატიის კითხვისას ჯეინს გაახ-
სენდა: ხანძრის დამეს მათი მეზობელი
ნომრიდან აღელვებული ხმები, ყვირილი
და ლანძღვა-გინებაც ისმოდა; როგორც
ჩანს, იქ მართლა თამაშობდნენ კარტს!
ჯეინის გონებაში იმედი აკაფდა: ამ „კარ-
ნახის“ შემდეგ, ნელიკი სწრაფად მოახ-
ერხებს ბოროტმოქმედთა აღმოჩენას.
უცნაურია, რომ მძებარს თავად არ მოუ-
ვიდა ეს აზრი.

ყოველ დღით, სამსახურში მიმავა-
ლი (ის კი კვლავ მედღად მუშაობდა
პროვინციულ ოქსფორდში), — ჯეინი ეწა-
ფებოდა პრესას, მაგრამ კვლავ და კვლავ
გაწიბრებული რჩებოდა. „პოკერის ვერ-
სია“ რატომღაც ნელიკს ყურადღების
ღირსად არ ჩაუთვლია. დეტექტივმა დაპ-
კითხა ოტელის გადარჩენილი მენეჯერი
— იცოდა თუ არა მან რაიმე „ვაინკოფ-
ში“ სათამაშო ბიზნესის მოქმედების შესახ-
ებ, — მაგრამ ის ირწმუნებოდა, რომ მსგავ-
სი რამ არ შეუნიშნავს.

თვე-ნახევრის შემდეგ ჯეინი მსხ-
ვილ საგაზეთო სათაურს წააწყდა:
„სენსაცია! ნაპოვნია უტყუარი სამხ-
ილები! „ვაინკოფში“ მომხდარი ხან-
ძარი მოწყობილი იყო!“ როგორც ჩანს,
მხოლოდ ის არ იყო უკმაყოფილო
გამოძიების მდორე მსვლელობით. აალებ-
ბადი ნივთიერებების რომელიღაც სპე-
ციალისტმა საკუთარი გამოძიება ჩაა-
ტარა. ქიმიკოსი ნაკოლსი იმით დაინ-
ტერესდა, რომ ოტელის დაბალ
სართულებზე დერეფნის ერთი მხარე
დაიწვა, მეორეს კი, რატომღაც, ცეცხ-
ლი არ მიჰკარებია. მესამე სართულის
ლიფტთან აღებული ფერფლის ექსპერ-
ტიზის შედეგად ნაკოლსმა აალებადი
ნივთიერების — შესაძლოა, ბენზინის, კვა-
ლი აღმოაჩინა.

ნაკოლსის განცხადების შემდეგ დე-
ტექტივმა ნელიკმა მოულოდნელად გა-
მოაცხადა: მასაც არ ეპარება ეჭვი, რომ
ხანძარი მოწყობილი იყო, მაგრამ არ-
სებული ვერსიებიდან ვერც ერთი ვერ



მტკიცდება, რადგან ყველა მოწმე დაღუ-
პულია.

ამის წაკითხვისას ჯეინი აღშფოთ-
და: ვინ ყოფილა ეს ნელიკი?! ამას
ეძახიან გამოჩენილ მძებარს? რაღაც,
საეჭვოდ ცუდად უძებნია მოწმეები: მა-
გალითად, თავად ჯეინი რატომ არ დაპ-
კითხა? გარდა ამისა — ჯეინის უცებ
გაახსენდა: ცოცხალი გადარჩა მსახ-
ური ქალი ელის ედმონდი! ჯეინმა მას
თვალი მოჰკრა ჰოსპიტალში, სადაც
თვითონ იყო ხანძრის შემდეგ. საინ-
ტერესოა, მოახერხა თუ არა მაშინ
ელისმა 330-ე ნომრის ბინადართა და-
შოშმინება, როგორც ის ჯეინსა და ბობს
დაჰპირდა? როგორც ჩანს, დასაკითხად
ისიც არავის გამოუძახებია, წინააღმ-
დეგ შემთხვევაში, ქალს აუცილებლად
გაახსენდებოდა ბობის ზარი. ჯეინი
შეძრული იყო ამ აღმოჩენით: მას სულ
უფრო უმტკიცდებოდა ის აზრი, რომ
გამოძიება ტენდენციურად მიმდინარე-
ობდა. მან მაშინვე შეადგინა რისხვით
სავსე წერილი და JOURNAL-ში გააგ-
ზავნა. ცოტა ხანში გაზეთში დაიბეჭ-
და ჟურნალისტ ჯინ მურის სტატია,
რომელშიც თანაგრძნობით იხსენიებდა
ჯეინის წერილს და ამტკიცებდა: „ქალა-
ქის ხელისუფლება უნამუსოდ ჩქმლა-
ვს ხანძრის „პოკერის ვერსიას“, რათა
თავიდან აიცილოს 119 ადამიანის
დაღუპვის პასუხისმგებლობა. ამის გარდა,
თუ ეს სიმართლეა, ობიექტური გამო-
ძიება პოლიტიკური სკანდალის მიზეზ-
იც შეიძლება გახდეს, რადგან ყვე-
ლასთვის ცნობილია, რა დიდი ძალები
უმაგრებს ზურგს სათამაშო ბიზნესს“.

ამ სტატიამ აღშფოთების მთელი

ტალღა გამოიწვია. ატლანტის მერი
რობერტ დეივი საჯაროდ დაჰპირდა სა-
ზოგადოებას, რომ პარალელური გამო-
ძიების წარმართვისთვის დამოუკიდებელ
დეტექტივს მოიწვევდა. ამ როლში ატ-
ლანტელებს 39 წლის ჯო ალენი მო-
ეკვლინა, რომელმაც განაცხადა, რომ
„ბოროტმოქმედებს თუნდაც იმ ქვეყნიდან“
გამოიყვანდა სამზოზე, მაგრამ ერთი თვის
შემდეგ ალენი საავტომობილო კატას-
ტროფაში დაიღუპა — ქალაქიდან თხ-
უთმეტიოდე კმ-ის დაშორებით, სრული-
ად უკაცრიელ გზატკეცილზე...

მას შემდეგ ორი წელიწადი გავიდა.
1948 წლის ზამთარში ატლანტა კვლავ
შემრა ცნობამ საშინელი ხანძრის შესახ-
ებ, რომელმაც ათეულობით ადამიანის
სიცოცხლე შეიწირა. ეს საქალაქო ციხ-
ეში — ბაფორდ როკში მოხდა. თუმცა
ამჯერად ბოროტმოქმედი ძალიან სწრაფად
დაიჭირეს: ეს რეციდივისტი როი
მაკქალოპი აღმოჩნდა. ამ საქმის გამომძ-
იებელმა განაცხადა, რომ დანაშაულის
ხელწერა ძალზედ ჰგავდა იმას, რაც „ვაინ-
კოფში“ მოხდა, ნავისა და ფერფლის
ექსპერტიზამ აალებად ნივთიერებათა არ-
სებობა დაადასტურა.

... გაზეთებში დამნაშავის ფოტოსუ-
რათის დანახვისას ჯეინ უოლესს თითქოს
თავში მძიმე საგანი ჩაართყეს: ეს სწორედ
ის ტიპი იყო, რომელსაც ჯეინი „ვაინ-
კოფის“ დერეფანში შეეფეთა! მაშინ ასეთმა
აზრმაც გაუელვა: ნეტავი, ასეთ სუბიექტებს
რიგან ოტელებში როგორ უშვებენო?
ქალს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ „ვაინ-
კოფს“ სწორედ მაკქალოპმა წაუკიდა
ცეცხლი. ის გაფრინდა დაუყოვნებლივ
ატლანტაში, ჩვენების მისაცემად. ცოტა

ხანში კიდევ ერთი მოწმე გამოჩნდა: ეს იყო შვეიცარი, რომელიც იმ საბედისწერო ღამით მორიგეობდა. მაკქალოპში მანაც ამოიცნო კაცი, რომელიც შუადღით ნახა ოტელში.

მაკქალოპის წინააღმდეგ დაგროვილი სამხილების რაოდენობა საკმარისი იყო იმისთვის, რომ დაწყებულიყო სასამართლო მოსმენა. მისი დანაშაული რომ დამტკიცებულიყო, ბოროტმოქმედს სასჯელის უმაღლესი ზომა ელოდა. მაგრამ სასამართლომდე ერთი კვირით ადრე, მსჯავრდებულმა სენსაციური განცხადება გააკეთა.

მაკქალოპის თქმით, „ვინკოფის“ საქმეში ის მხოლოდ შემსრულებელი იყო, დამკვეთი კი, უმწიკვლო რეპუტაციის მქონე კერძო დეტექტივი, რომელსაც... ლეო ნეილიკი ერქვა! ბუნებით აზარტული ნეილიკი თურმე ხშირად მონაწილეობდა ფარულ თამაშებში. 1946 წლის დეკემბრის დასაწყისში ნილბიანი ლეო თამაშის დროს იცნო ვინმე ნელ სტენლიმ, რომლის ქმარიც მანამდე ცოტა ხნით ადრე დეტექტივმა დააპატიმრა. ნეილიკმა მაკქალოპს სთხოვა, – რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, ეს ქალი გაექრო. რეციდივისტმა შეიტყო, რომ 7 დეკემბრის ღამით ის „ვინკოფის“ 330-ე ნომერში იქნებოდა (დიდ თამაშში უნდა მიეღო მონაწილეობა). მაკქალოპმა შეაღწია ოტელში და დერეფანში შეეფინა, რათა ქალის მოსაკლავად ხელსაყრელ მომენტს დალოდებოდა: სწორედ იქ იყო ამ გვემის შესრულება ხელსაყრელი, რადგან მითამაშეთა გარჩევები ხშირად დამთავრებულია მკვლელობით. თითქოს მის ჯინაზე, ბოროტმოქმედს რამდენჯერმე ჩაუარა მეზობელი ნომრის ბინადარმა. ბოლოს და ბოლოს, 330-ე ნომრის კარიც გაიღო და იქიდან ნელ სტენლი გამოვიდა. ქალმა ორი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ მკვლელმა ყელი გამოსჭრა და კიბისკენ გაიქცა. მაკქალოპი ლიფტთან იყო, როცა მსახური ქალი შეეფეთა და ჰკითხა: „რომელი ნომრიდან ბრძანდებით, სერ?“


მაკქალოპმა თითქოს ვერ გაიგონა შეკითხვა, მაგრამ იაზრა, რომ მოვლენები მისთვის საბედისწეროდ ვითარდებოდა: ის უკვე ორ ადამიანს ჰყავდა ნანახი – ახალგაზრდა ქალი 332-ე ნომრიდან და ეს „ბებერი კუდიანი“. ახლა კი ის გვამს აღმოაჩენს და კივილს მორთავს! ასეთი შემთხვევისთვის მაკქალოპს ნაცადი ხერხი ჰქონდა შემონახული – ჯიბეში ნავთით სავსე ბოთლს დაატარებდა. დიდი ხანი აღარ უფიქრია – მან საწვავი კედელს მიასხა და ასანთს გაჰკრა.

... ჯვინი გაოცებული უსმენდა მაკქალოპის აღსარებას. ახლა ის მიხვდა, რაზე მიუთითებდა გაოგნებული ბობი, როცა ხელს დერეფნისკენ იშვერდა: ეტყობა, მან დერეფანში გვამი აღმოაჩინა!..

ადამიანთა უმრავლესობას ეგონა, რომ „ვინკოფის“ საიდუმლო ბოლომდე ამოიხსნა: ბოროტმოქმედნი ნაპოვნნი არიან და მხოლოდ განაჩენის გამოტანადა იყო დარჩენილი, მაგრამ ეს თურმე მცდარი აზრი ყოფილა: სასამართლო მოსმენის წინა დღეს, მოულოდნელად მაკქალოპმა უარი თქვა ადრე მიცემულ ჩვენებებზე და საქმე დამატებით გამოძიებისთვის დააბრუნეს. ჯვინი გაზეთ JOURNAL-ის რედაქციაში გავარდა: ჯინ მურმა, რომლის სტატიაშიც ხელისუფლება აიძულა, თავიდან დაეწყო გამოძიება, აგროვებს მასალას წიგნისათვის „ვინკოფის“ ტრაგედიაზე და ალბათ უკვე ელის ედ მონდიც იპოვოს, რომლის შესახებაც მას ჯვინმა უამბო. სამწუხაროდ, რეპორტიორმა ვერაფრით გაახარა უოლესი: ხანძრის დღიდან ერთ თვეში ელისი მოულოდნელად, საეჭვო გარემოებაში გარდაიცვალა...

ამის შემდეგ, კიდევ ერთი ფრიად გასაკვირი მოვლენა ხდება: კვლავ თავისუფალი, თუმცა საქმეებს ჩამოშორებული ლეო ნეილიკი პოლიციაში მიდის და მოულოდნელად, ცოლის მკვლელობას აღიარებს. გაოგნებული პოლიციელები საქმეს აღძრავენ, მაგრამ რატომღაც ძალიან მალე, ისევ ხურავენ.

იღუმალეებით სავსე ამ ამბის დასკვნით აკორდად ის იქცა, რომ ჟურნალისტ ჯინ მურის ჩანაწერები სარედაქციო სეიფიდან გაქრა. ვერც დაცვამ, ვერც პოლიციამ ვერ აღმოაჩინეს დოკუმენტები და გატაცების ვერანაირი ვერსია ვერ წამოაყენეს. თავად მური კი მას შემდეგ „ვინკოფის“ ხანძრის თემას აღარ დაჰბრუნებია... ■



ერთგული პკითხველი


თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-
მანსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი
და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდ-
ებათ პასუხის გაცემა...

1. საახალწლო ნამძის ხის სამშობლოდ ითვლება:



- ა) ამერიკა;
- ბ) გერმანია;
- გ) სომხეთი.

2. რას კლავს ნიანგის ხორცი მამაკაცში?



- ა) ქალის განაყოფიერების უნარს;
- ბ) ქალის ნდომის სურვილს;
- გ) ქალის პატივისცემას.

3. რომელი ოლიმპიადის პრიზიორი იყო მძლეოსანი მანია აზარაშვილი?



- ა) სეულის;
- ბ) მოსკოვის;
- გ) მეხიკოს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



ჩვენი ახალი რუბრიკის შემოქმედებით გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ ქართული ენის დამახინჯების ტიპურ მაგალითებს, რომლითაც ბეჭდური სიტყვის ნებისმიერი ნიმუში „იწონებს თავს“ — პრესა იქნება ეს, პერიოდული გამოცემა თუ სხვადასხვა სფეროს ლიტერატურა. ამ რუბრიკით კვლავ შემოგთავაზებთ ცნობილი მხატვრული ნაწარმოების ნაწილებს ან ისტორიული მოვლენის ამსახველ ტექსტს, რომელიც „გამდიდრებულია“ დღეს გავრცელებული შეცდომებით. თქვენი ამოცანაა აღმოაჩინოთ ეს შეცდომები და სწორი ვარიანტებით შეცვალოთ ისინი.

რუბრიკას უძღვება
ლია შარვაშიძე

„მერი“



ქართულ პოეზიაში, ლექსის ობიექტად, გალაკტიონ ტაბიძემ პირველმა გამოიყენა სახელი „მერი“.

მანამდე კი, „მერი“ ხშირად იყო ჯორჯ ბაირონის ლირიკაში, იგი გასდევდა პერსი ბიში შელის შემოქმედებასაც. მასვე ეტრფოდა ალექსანდრ პუშკინი და კიდევ ბევრი ევროპელი რომანისტიც.

თუმცა, როგორც თავის ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს „მერის“ ქართველი ავტორი, იგი „რომანტიულია, მაგრამ ცხადი, სრულიად დამოუკიდებელი ლექსია“.

სხვათა შორის, გალაკტიონის „მერი“, პირველად, მის დაუკითხავად დაიბეჭდა 1915 წელს, გაზეთში „თეატრი და ცხოვრება“. ლექსი მალე აიტაცა მკითხველმა და მასწინვე ისეთი პოპულარული გახდა, რომ თითქმის ყველამ ზეპირად იცოდა.

„მერთ“ აღტაცებულმა ახალგაზრდებმა, ლექსი ძალზედ უქეს ცნობილ ქართველ მოღვაწეს ზაქარია ჭიჭინაძეს.

— როგორ სთქვით, რა ჰქვია იმ ლექსს?

- „მერი“, — მიიღო პასუხად.
- აა, გამოიგონია, — ჩაილაპარაკა მშვიდმა მწიგნობარმა — მესხეთ-ჯავახეთშიც კი, დიდად გავრცელებულია ეგ ლექსი.
- ეს როგორ? — გაოცდნენ ახალგაზრდები.

— როგორ და ასე. აი, ეს ლექსია: „მე რომ მოკვდე, მერისთვისა, გადამთიელ მერისთვისა!“

— მართლაც პოპულარული ლექსია, — კიდევ ერთხელ დაუდასტურა ბატონმა ზაქარია უკვე მოღიძარ ახალგაზრდებს.

მაკო ჩიბლაშვილი

კუდიანი გარსკვლაფი

(რეზო ჭყიშვილი)

ხერეტვა-დაჭერების დროს ქართული ხელოვნების დეკადა გაიმართა მოსკოვში, — იმპერიის დედაქალაქში; რეპრენციები გრძელდებოდა, დოლ-გარმონის ხმები გამოდიოდა სარეპეტიციო და საკონცერტო დარბაზებისგან...

დააპატიმრეს დეკადის მონაწილეთაგან მრავალი, მათ შორის დამსახურებამინიჭებულნი და ვორდენოსნებიც.

„ფრაქციული ბრძოლა“ იყო თურმე სიმღერისა და ცეკვის ერთ დიდს ანსამბლში. ერთი მცირერიცხოვანი ჯგუფი ებრძოდნენ მორე მცირერიცხოვან ჯგუფს. ერთი ხალხური სიმღერის დაბოლოებაში თუ რეფრენში ვერ შეთანხმებულებიყვნენ და დაეწყით მტრობა, ჩივილი, ბეზღობა, პოლიტიკური ბრალდებების წაყენება.

ერთი ჯგუფი ამტკიცებდა: ჰეი, ჰეით უნდა გასრულდეს ეს სიმღერაო, მეორენი ამბობდნენ: არავითარ შემთხვევაში, ჰეი, ჰეით უნდა იყოსო.

დახვეტეს ყველანი — ჰეი, ჰეის დამცველები და ჰეი, ჰეის მოტრფიალენი — და გადაასახლეს ხალხის მტრების სტრატუსით. ანეგოტს გავს, მაგრამ პოლტ-



იკური ბრალდებების წაყენება ჰეი, ჰეითი, შეიძლება, ჰეი, ჰეითი დაწყებულა.

გადასახლებაში აუჩვილდათ გული, რა გვქონდა გასაყოფიო. ერთმა ჯგუფმა მეორე გაამართლა, მეორემ — პირველი. 50-იან წლებში, სტალინის სიკვდილამდე შემცირეს ყველას სასჯელი და ცოდვებ მონანიებულნი დააბრუნეს სამშობლოში, რაც გასაკვირია, — იმავე ანსამბლში. ირონიული გამომეტყველებით ეფერებოდნენ ერთმანეთს, არ ვიყავით დასაზოგვი, სწორედ, სამართლიანად დავისაჯეთო. თქვენ იყავით პრინციპში სწორიო. როგორ გეკადრებათ, თქვენ იყავითო და ასე და ამგვართო.

თურმე ისევ გათომულიყვნენ: ჰეი, ჰეის დამცველები ჰეი, ჰეიზე გადასულიყვნენ; ჰეი, ჰეის მოტრფიალენი — ჰეი, ჰეიზე. ერთიც სხვისას მიაჭენებდა, მეორეც — სხვისას: ჰეი ჰეიმ ჰეი, ჰეი დაიჟინა, ჰეი ჰეიმ — ჰეი, ჰეი და კვლავ აღმაცერათ დაუწყეს ერთმანეთს ყურება.

თავის შესამონმებლად, ჟურნალის 64-ე გვერდზე გთავაზობთ შეცდომების გასწორების სრულ ნუსხას. დაშვებულია 19 შეცდომა

უკრადლება!

თხილისელთათვის

ჟურნალ „გზის“ გამომწერის მსურველებს გთხოვთ, შეავსოთ ეს ქვითარი და გამოგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით, ან დარეკეთ 33-26-73

მსურს გამომწერი

ჟურნალი „გზა“

თქვენი მისამართი, ტელეფონი

სახელი, გვარი

კვირის (8 - 14 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

სასწორი - 24/IX-23/X



ამ კვირაში რაღაც დადებითი ძვრები მოხდება თქვენს ცხოვრებაში. შესაძლოა, ეს მხოლოდ სამსახურში ერთი საფეხურით ასვლა იყოს, ან რაიმე სინარული, რომელიც თქვენს ოჯახთან თუ ახლობელთა წრესთან იქნება დაკავშირებული. აი, პერსონალურ ზეიმს კი, შაბათისთვის უნდა ელოდოთ.

ღრინაბალი - 24/X-22/XI



სტუმრად ან რესტორანში წასვლაზე თავს უარს ნუ ეტყვი, საამისოდ პარასკევი განსაკუთრებით ხელსაყრელია. ბოლოს და ბოლოს, თქვენც ხომ გაქვთ უფლება, ხანდახან მაინც გაილალოთ?! ეს კვირა კი, განსაკუთრებით სასიამოვნო უნდა იყოს თქვენთვის: შინაც და სამსახურშიც, ყველა სიტუაციის თქვენს სასიკეთოდ შემობრუნებას შეძლებთ.

მეშვიდოსანი - 23/XI-21/XII



თუ დიდი ხანია, განზრახული გაქვთ, თავი დაანებოთ თამბაქოს მოწვეას ან სხვა მავნე ჩვეულებიდან გათავისუფლდეთ, ნულარ გადადებთ: ახლა ეს უფრო მეტად გაგიადვილებათ. საერთოდ, ეს კვირა ძალზედ ხელსაყრელია სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის.

თხის რქა - 22/XII-20/I



ამ კვირაში ყველა საქმეს ადვილად გაართმევთ თავს და იმის მანძიც გექნებათ, რომ ოთხშაბათ-ხუთშაბათისთვის, დაგვებით ყველა ჩანაფიქრიც განახორციელოთ. იმ შემთხვევაში, თუ ამინდიც შეგიწყობთ ხელს, რამდენიმე ხნით სადმე გამგზავრებასაც გირჩევთ: სუფთა ჰაერი და ბუნება ძალზედ წაგადგებათ კარგი ფორმის შენარჩუნებაში.

ვერძეული - 21/I-19/II




დაიმახსოვრეთ – წინსვლისთვის იმდენად ხელსაყრელი დღე, როგორც ეს ორშაბათია, შეიძლება, კარგა ხანს არც გქონდეთ! კარიერაში წარმატება, რაღაც აღმოჩენა ან მნიშვნელოვანი შეხვედრა გელით. დანარჩენ დღეებში კი, როგორც ჩანს, პირადული ხასიათის საზრუნავითა და რომანტიკული განცდებით იქნებით დაკავებული.

თევზები - 20/II-20/III



ამ კვირაში რამდენჯერმე აღმოჩნდებით ისეთ სიტუაციაში, როდესაც სერიოზული არჩევანი უნდა გააკეთოთ. კარგად აწონდაწონეთ საქმის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე, რადგან მიღებული გადაწყვეტილების შედეგი მნიშვნელოვანი იქნება თქვენი მომავლისთვის.

მშვიდი - 21/III-20/IV



ამ კვირის მამოძრავებელი ძალა, თქვენთვის სიყვარული იქნება. სხვათა შორის, აუცილებელი არ არის, რომ მეტისმეტად ბოჰაქარი რომანი გქონდეთ: შესაძლოა, აქ ლაპარაკი იყოს საკუთარი შვილის მიმართ გრძნობის მოზღვაებაზე, ყველა შემთხვევაში, თქვენზე ეს შთამაგონებლად იმოქმედებს: ენერჯის იმდენად შეგმატებთ, რომ დროდარღო ექსცენტრიკულიც კი იქნებით.

კბრი - 21/IV-21/V



თუ საოჯახო საქმეები დაგვიტოვდათ, სჯობს, უქმეებისთვის არ გადალოთ: ორშაბათიდანვე შეუდექით და ყველაფერს სწრაფად და შედეგიანად გაართმევთ თავს. ამ კვირაში ძალზედ დინამიკური ციკლი დაგეწყებათ. ოთხშაბათიდან განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ: კარიერაში წინსვლისა და პერსპექტიული ნაცნობობის შანსი მოგეცემათ.

მარცხი - 22/V-21/VI



ორშაბათიდანვე თქვენი ცხოვრება დინამიკურ მოვლენათა ორთომტრიალში მოექცევა. გირჩევთ, დაემორჩილოთ მას: ოთხშაბათიდან ახალ რიტმს მოერგებით და თავადაც შეძლებთ ამ მოვლენათა მართვას. კვირის მანძილზე მომხდარი, უქმეებისთვის კარგ შედეგებს მოგიტანთ.

მირიანობა - 22/VI-22/VII



შესაძლოა, სამსახურში კოლეგების დახმარება დაგვირდეთ. თავს ნუ აარიდებთ ამას, ოღონდ კარგად შეარჩიეთ თანამშრომელი, რომელიც მართლაც შეძლებს თქვენთვის დახმარების გაწევას. ამ დროს, თქვენს ოჯახში სიყვარული და სიმშვიდე იქნება გაბატონებული, ხოლო თუ ოჯახი არ გაქვთ, ურთიერთობა ახლობელ ადამიანთან უფრო მყარი და საიმედო გახდება.

ლომი - 23/VII-23/VIII



საქმეებში წარმატებები გექნებათ (განსაკუთრებით მაშინ, როცა ჯერ კარგად დაფიქრება საჭირო) და თქვენს ქმედებებს სათანადო შეფასებაც მიეცემა. შესაძლოა, სამსახურში მეტი თავისუფლებაც მოგანიჭონ და ახალი პროექტიც მოგანდონ. და კიდევ: ეს კვირა შორს გამოიზრული გეგმების შესადგენადაც ხელსაყრელია.

ქალწული - 24/VIII-23/IX



სამშაბათს-ოთხშაბათს თქვენს საფინანსო მდგომარეობაში სერიოზული ცვლილებები შეიძლება მოხდეს, ამიტომ ყურადღებით უნდა იყოთ. და კიდევ: გაითვალისწინეთ, რომ ახლა ოჯახის წევრებს თქვენი დახმარება და მხარდაჭერა სჭირდებათ – განსაკუთრებით, თქვენი უნარი, აკონტროლოთ ყველაანარი სიტუაცია.

რამდენად კეთილგონიერი ადამიანი ხართ?



ადამიანთა ნაწილი კეთილგონიერებით გამოირჩევა: საქმის დაწყებამდე ისინი ყველაფერს კარგად აწონ-დაწონიან, სხვები კი დაუფიქრებლად შეუდგებიან სოლმე საქმის კეთებას: მათ რისკზე წასვლა უფვართ, მაშინაც კი, როცა წარმატება გარანტირებული არა აქვთ. თქვენ რომელ კატეგორიას მიეკუთვნებით? ამის დასადგენად, უბასუხეთ ქვემოთ მოყვანილი ტესტის კითხვებს:

- 1) გამოდისხართ თუ არა წონასწორობიდან უმნიშვნელო მიზეზის გამო?
დიახ - 0;
არა - 1.
- 2) გეშინიათ თუ არა იმ ადამიანის გაბრაზება, რომელიც ფიზიკურად თქვენზე ძლიერია?
დიახ - 1;
არა - 0.
- 3) შეგიძლიათ თუ არა სკანდალი მხოლოდ იმიტომ ატენსოთ, რომ გარშემომყოფთა ყურადღება მიიზღვროთ?
დიახ - 0;
არა - 1.
- 4) გიყვართ თუ არა მანქანით ჩქარი სიარული, თუნდაც ეს რისკთან იყოს დაკავ-

- შირებული?
დიახ - 0;
არა - 1.
- 5) ავადმყოფობისას, გიყვართ თუ არა ბევრი წამლის მიღება?
დიახ - 0;
არა - 1.
- 6) შეგიძლიათ თუ არა ყველაფერზე წახვიდეთ, რათა ის მიიღოთ, რაც გსურთ?
დიახ - 0;
არა - 1.
- 7) მოგწონთ თუ არა დიდი ძაღლები?
დიახ - 0;
არა - 1.
- 8) გიყვართ თუ არა მზეზე საათობით ჯდომა?
დიახ - 0;

- არა - 1.
- 9) გჯერათ თუ არა, რომ ოდესმე აუცილებლად მოიხვეჭთ სახელს?
დიახ - 0;
არა - 1.
- 10) შეგიძლიათ თუ არა, დროულად გამოხვიდეთ თამაშიდან, თუ იგრძნობთ, რომ აგებთ?
დიახ - 1;
არა - 0.
- 11) გაქვთ თუ არა ჩვეულებად ბევრი ტყაპა?
დიახ - 0;
არა - 1.
- 12) გსურთ თუ არა იცოდეთ წინასწარ, რას გაჩუქებენ დაბადების დღეზე?
დიახ - 0;
არა - 1.

დააჯავეთ მიღებული ქულები

9-12 ქულა: ძალიან გონიერი ადამიანი ხართ და ზომიერების გრძნობა არასოდეს გღალატობთ, ამის გამო კი თქვენი ცხოვრება მეტი სმეტად მონოტონურად მიედინება. იქნებ სცადოთ და გაიმრავალფეროვნოთ ყოფა, ამით ურთიერთობებს უფრო ადვილად დაამყარებთ და ცხოვრებაც უფრო საინტერესო გახდება.

5-8 ქულა: შეიძლება ითქვას, რომ „ოქროს შუალედის“ მოყვარული ადამიანი ხართ: ზომიერების საუცხოო გრძნობა გაქვთ, ზუსტად საზღვრავთ

საკუთარ შესაძლებლობებს და ფუჭი ოცნებებით თავს არ ირთობთ, ხანდახან თავქარიანობაც გახასიათებთ, მაგრამ ეს თვისება მომხიბვლელობას უფრო გმატებთ.

0-4 ქულა: კეთილგონიერება თქვენთვის სრულიად გაუგებარი ცნებაა, შეგიძლიათ გუნება-განწყობა სრულიად უმნიშვნელო რამის გამო გაიფუჭოთ. შეეცადეთ, ცხოვრება წვრილმანი, სასიამოვნო მოვლენებით გაილამაზოთ, თანდათანობით უფრო მშვიდი და წინდახედული გახდებით.

ლოგინში ფეხბურთთან ერთად

რას ფიქრობენ ტემპერამენტით განთქმული იტალიელები, როცა სიყვარულით ტკობას ეძლევიან? აღმოჩნდა, რომ საწოლში კარგი შთაბეჭდილების მოხდენას მხოლოდ ის მამაკაცები ცდილობენ, ვინც არცთუ ისე დიდი ხნის წინ გაიცნო თავისი სატრფო. როგორც კი სექსი ყოველდღიურ, ჩვეულებრივ საქმედ იქცევა, იტალიელების გონება სხვა აზრებით იტვირთება. რომის ერთ-ერთი სექსოლოგიური კლინიკის გამოკითხვის შედეგების თანახმად, თურმე ყველაზე ხშირად, იტალიელები საწოლში... ფეხბურთზე და ნისიად შექმნილი უძრავი ქონების საფასურის დაფარვაზე ფიქრობენ. „საფეხბურთო“ ხილვებს შორის კი, ყველაზე გავრცელებული ის მომენტია, როდესაც ესპანეთში 1982 წელს ჩატარებულ მსოფლიო პირველობაზე, იტალიის ნაკრებმა მსოფლიო თასი მოიპოვა და სახელგანთქმულმა მარკო ტარდელიმ (იხ. სურათზე – მარჯვნივ, თამაშის მომენტში) არაჩვეულებრივი ყიჟინით აღნიშნა. იტალიელ მამაკაცთა დიდი ნაწილი იმაშიც გამოტყდა, რომ ტკობის მწვერვალის მომენტში მათ იტალიის კინო და ტელეეკრანსკვლავი საბრინა ფერილი ელანდებათ ხოლმე...



ხეივანედად სქელტანიანი ლექსიკონი

ჰოლანდიელმა და ფლამანდიელმა ლექსიკოგრაფებმა თავიანთი მრავალწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის ნაყოფი წარმოადგინეს. ეს არის 40 სქელტანიანი ტომი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი ლექსიკონის „ტიტუსის“ პრეტენდენტია. მასში მოცემულია ჰოლანდიური ენის მილიონობით სიტყვის წარმოშობა, განმარტება და გამოყენების წესი. ამ ლექსიკოგრაფიული შედეგის შექმნას 147 წელი დასჭირდა, მისი მოცულობა 45 ათასი ნაბეჭდი გვერდია. ლექსიკონის ერთადერთი ნაკლი ის არის, რომ მასში XVI საუკუნეში გავრცელებულ სიტყვებს შეხვდებით, მაგრამ არ შესულა სიტყვები, რომელიც 1976 წლის შემდეგ შემოვიდა ხმარებაში.

საუნიანო დავალება

მეცდომა	წმორი ვარიანტი
ხერეგვა-დაჭერების რეპრენციები	- ხერეგვა-დაჭერების რეპრესიები
დარბაზებისგან	- დარბაზებიდან
ვორდენოსნებიც	- ორდენოსნებიც
დიდს ანსამბლში	- დიდ ანსამბლში
ჯგუფი ებრძოდნენ მორე	- ჯგუფი ებრძოდა მეორე
დაბოლოვებაში	- დაბოლოებაში
სტრაგუსი	- სტაგუსი
ანეკლოტს	- ანეკლოტს
გავს	- ჰგავს
პოლიტიკური	- პოლიტიკური
პიერელი	- პირველი
ცოდვებ მონანიებულნი	- ცოდვებმონანიებულნი
ფერებოლენ	- ფერებოლენ
დასამოტი	- დასამოტი
სწორედ	- სწორად
ამგვარათ	- ამგვარად
ალმაყერათ	- ალმაყერად

ხაჩის ღომისებრი ნახტომი

ტორეადორთან ბრძოლით დაღლილმა 476 კილოგრამიანმა ხარმა არენიდან გადახტომა გადაწყვიტა. ეს ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდში მოხდა. მაყურებელთაგან სერიოზულად არავინ დაზარალებულა, მისი შეურაცხმყოფელი ტორეადორი კი მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოში მიიყვანეს.



ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა.

ვულოცავთ ბატონ მიხეილს და ვუსურვებთ წარმატებებს!

ბარანი

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაფარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (9 ოქტომბრის) 13 საათამდე.



**„ფანტაზია“
ტარანი**



**„ფანტაზიორობს
მკითხველი“**

...რასა სტეპი — ფხვით ჩამოდი, რაღა!

b³⁶/33



გვ. 28

**გორგობა ენებმა არს
ლალი მოროუკინა
დაინდეს: მისი მკერდი
ნამდვილი არ გეგონოთ,
სილიკონით აქვს დაბერილი
და როგორ ზომავებს უნდა,
ისეთზე დაიყენებსო...**